ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

3 / 92

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაზარეთში
ღაღადებითი
ღაღადებითი.

ილია II,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

მარტი № 3

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1857 წ.

თბილისი
1992

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

ქართული

სალიტერატურო ჟურნალი

გამოიცემის ი. კერესელიძის მიერ.

იანვარი.

წელიწადი მეხუთე.

«თუ შეიტკბარო სმენად.—მოიფალე და
უკეთე მოუყარ ყური შენი, ბრძენ იქმნე»
(წიგ. ისო ზირ. თავი 6, მუხ. 33.)

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1861

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
დათო მაღრაძე

სარედაქციო საბჭო

გალათერ არაგული, გაადურ გალარჯიშვილი, ირაკლი გაზაძე, თეიდო გეჭიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); **ეთერ თვარაძე, ზაურ კალანდია, ლევან მალაზონია, ელზა მეტრეველი, ზურაბ ნარმანია, ვაჟა ჩოჩდელი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ნანა ჯაფარიძე.**

სარედაქციო კოლეგია

ნოდარ გრიგალაშვილი, გათუ დანელია, ვახტანგ რურუა, მამუკა სალუქვაძე, ზაალ სამადაშვილი, ზურაბ სამადაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გიგი სულაკაური, ვახტანგ ღლონტი, თემურ შავლაძე, ნუგზარ შატაიძე, მანანა ჩიტიშვილი, ედიშერ ჭელიძე, კოტე ჯანდიერი, მაკა ჯოხაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პოეზია და პროზა

5. **გიგი სულაკაური** — ლექსები
9. **მამუკა დოლიძე** — ამაღლება. ნაწყვეტი რომანიდან
27. **ნუგზარ ზაზანაშვილი** — ლექსები
31. **მანანა ავალიანი** — ტკივილი. მოთხრობა
44. **ზურაბ ლობჟანიძე** — ლექსები
48. **ლელა გაგური** — ლექსები
50. **მარინე რჩეულიშვილი** — გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის
94. **კახა ტიგინაშვილი** — ლექსები
96. **ირაკლი ჯავახაძე** — მოთხრობები
102. **ანდრო გუაჩიძე** — ლექსები

წერილები

106. **გრიგერ ფარულავა** — ტანჯვის ქრისტოლოგიური გაგება და ეროვნული მწერლობა
128. **თამაზ ნატროშვილი** — ხვედრი ერთი რომანისა

ისტორიის თეთრი ფურცლები

140. **რემონ დიუგე** — მოსკოვი და წამებული საქართველო. გაგრძელება. ფრანგულიდან თარგმნეს მზია და აკაკი გაქრაქეებმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიგი სულაკაური

შუადღე

ამ ქალაქში
მუდამ ღიაა, იაფი და მდარე დუქნები,
იქ ჯამბაზები წესების დაცვით ნიღბებს იხსნიან,
მათი ნიღაბი —
ღვინო, დრო და უბირი თამაშებია.
მოგონებების და გართობების
ბროლის კოშკები
ადგილობრივ უსაქმურთათვის...
მიიპარება შემოდგომის ჯადოსნური, ჟღალი მზე
გიჟი ქალივით,
მკვდარი ფოთლების მოულოდნელ სიმღერას
მღერის,
რაც ანათებდა,
ჩვენი თვალების მიღმა იყო,
რაც ვერ უარყო,
ამ ჩვენს ტვინებში ვერ დააძინა,
უკეთესს დღეებს გადაუნახა...
(ბროლის ჭაღებქვეშ
გაქონილი ებრაელები
წარმოუდგენელ ამბებს ჰყვებიან დედაკაცებზე,
და იმაზეც,
რომ დრაკონები ჩინურ ვაზებზე
ებრძვიან მზეებს,
დაე, ებრძოლონ...
საუბარში დრო სწრაფად გადის!)
და ვერ ამჩნევენ,
ჭაღარა სუნთქვა, შორი კუთხიდან
ნელა როგორ მოიზლაზნება — ჩვენსკენ, ყველასკენ,
როგორც ზამთარში
ნესტიანი, გაყინული სანაპიროდან—
მძაფრი სიცივე...
და სასაფლაოც იქვე, გვერდით
ყომარბაზივით ათამაშებს ქვების კამათლებს —
ყველა მოკვდავის უკვდავებისთვის...

შენაქო. ფპიმა.

გამოვიარე ტბათანა,
რომ მოვსულიყავ ძმასთანა.
ახლა მინდა რომ შენაქო,
როგორმე უნდა შევაქო.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმს, ჩაიტანა ფერდობი,
წვიმას მე როგორ ვენდობი.
წვიმას რად უნდა ლოცვები,
ვსვამთ, აღარ ჩანან ბოსლები.
ჟიპიტაურის ბრალია,
მასპინძელი რომ მთვრალია.
წვიმაში ისმის, ჭენებით
დიკლოს გარეკეს ცხენები.
ჭრელ წინდებს ქსოვენ ქალები,
საით უჭირავთ თვალები?
ასეთი ვნახე შენაქო,
ეგების, ახლა შენც ნახო.

ბიჭი

რა თქმა უნდა,
ჯობდა რომ არ ეხმაურათ,
მაგრამ ამ ხმაურს ჰქონდა თავის
მიზეზები,
მიზეზთან ერთად შედეგიც ახლდა:
გარეთ თოვლია!
ბიჭი ფანჯრიდან იხედება,
მისი იერი,
მასში ნაპოვნი მარტოობა,
ჩემი ბოლო გაკვეთილია.
მისი მკაცრად მოკუმული, უფერული ბაგეები
ზეცას მიკრული, შეწებებული დედამიწაა!
(საუკუნეებს შეაჩერებს ეს მარტოობა!)
გარეთ თოვლია!
(ძლივს გავუძელი.
თოვლში გასვლის ველურ ცდუნებას —
შევხვდებოდი ბებერ ლოთებს
გაყინულებს გასტრონომებთან,
მათი ძველი, ჩახლეწილი დიალოგები
ლოთურ „ლოცვებად“ იღვრებიან ღვინის წერტებთან).
გარეთ თოვლია!
მე დღეს დავმარცხდი —
ვერ გადავლახე ფეხით გავლის სიამოვნება,
ტელეფონი,
ცხელი ჩაი,
ფანჯარაში მომზირალი ფერმკრთალი ბიჭი...
ვერ მოვიცალე ჩემი ძველი მტრებისთვის —
უტიფარი, ცნობისმოყვარე ტარაკნებისთვის...
ეარეთ თოვლია!
ეზოში ვუშვებ ჩემს ძველ ნაწერებს —
ქაღალდის ჩიტებს —
დათოვლილი ფრინველებივით...
ღამდება,

ლეონიძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც ბედისწერის გარდუვალობა,
ახლა ღამე
ყველა ლოგინს თავის დროს და სამართალს უჩენს...
ბიჭის ფანჯარაც ჩამქრალია,
მისი ფეხები
იქნებ პირველად იპყრობენ მიწას —
ცივ იატაკს,
იქნებ ეზოშიც იხედება
ბნელი ფანჯრიდან...
ბიჭის სარკეში
შებრუნებული ჩანს ყველაფერი:
მისი ფერმკრთალი ორეული,
ანთებული წარმოსახვები,
სიცხით ნაწრთობი,
შებრუნებული კოშმარები...
და ჩაკარგული,
საბნისა და თეთრეულის, ბნელი ოთახის
ლაბირინთებში
სანამ ეხება ცივ ფანჯარას,
თოვლს და ჟრიამულს,
განმკურნავ აბებს,
დამხრჩვალის კივილს,
გარეუბანში მომხდარ მკვლელობას,
ტელევიზიით გამოცხადებულ დაკარგულ ბავშვებს,
მაწვნის ქილას,
საათის წიკწიკს
და უამრავ,
ჭკვიანურ და ბრძნულ დარიგებას,
თავისთვის ჩუმად გაიძახის:
„მე ისევ მძინავს,
მე ხომ ჯერ არ გამღვიძებია“.

ნაპირი

ზღვა ებრძოდა ქარს და იალქანს,
ქარი ებრძოდა —
ზღვას, ნავს და ნაპირს,
ხოლო კაცი — ნავს და იალქანს,
ზღვას, ქარს და საკუთარ თავსაც,
რადგან იცოდა:
რომ ეს ბრძოლის ამსახველი
ყოველდღიური პეიზაჟი
კარგად მოჩანდა
ზღვისპირა დუქნის
კვადრატული სათოფურიდან...

დუქანს „ნაპირი“ ერქვა და სვამდნენ
პორტვეინს, ყავას, მდარე კონიაკს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ალკოჰოლით გადამწვარი
შავი ტვინები
ცივი კივილით ზღვისკენ მირეკავს
ბრძენ, კეთილშობილ და ჰუმანურ კაცობრიობას...
მალე ისინი გაშიშვლებულნი,
ურცხვად დახვრეტენ ზღვას და ნაპირებს...
ხოლო ზედმეტად მკაცრი, უდრეკი მესაზღვრეები
აღარც უფრთხობენ მყუდროების
თავისუფლებას...

უაზროდ მჯდარი,
სუფთად გარანდულ მაგიდასთან,
ხელებდაყრილი,
კაცი ფიქრობდა — როგორ დაბრუნდა,
ფეხზე მიკრულ ქვიშასავით მას თან შემოჰყვა
ზღვის და მარილის, და თევზების ჩვეული სუნი...
კიდევ ფიქრობდა —
კედელზე გაკრულ ბავშვების ძველ ფოტოსურათზე,
რიგორ გაექცა, უღალატა ბავშვების მზერას,
უთვალავ ვარსკვლავს ბავშვების და ზეცის თვალებში.
ნათელი, სუფთა და მართალი მზერით ბავშვები
რაღაც ჯადოსნურს, მნიშვნელოვანს მოელოდნენ
უზარმაზარი, გულკეთილი, გაუპარსავი მამაკაცისგან...
სურათს თარიღი მიაწერა და შეინახა.
ახლა იჯდა ერთიერთზე საკუთარ თავთან
(მარტოც არა ხარ თურმე მარტო!)
გამოფიტული,
მაგიდაზე დალაგებული,
დასერილი მძიმე ხელებით...
რა შეუძლიათ ამ მძიმე ხელებს?
ქალის მოხვევა?
იქნებ ძმაკაცის მხარზე დაყრდნობა?
ბადის მოზიდვა,
თუ ნავის თრევა?
თუ გადაწყვიტა, რომ წავიდეს, ბოლომდე წავა,
ის არ ეკუთვნის არც ერთ მათგანს,
რომლებიც უკან ბრუნდებიან კოცნისა თუ სიზარმაცისთვის...
ყველას თავისი მეთოდები, მულამები აქვს —
საკუთარი თავის მეფეა,
გუმანით ხედება,
რომ ეს ღამე ამოუხსნელი დარჩება მისთვის —
ის დიდ სიღრმეებს მიეახლება
და კარგად იცის, —
რომ სიკვდილი არის მხოლოდ გამოცდილება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამუკა დოლიძე

ამაღლება

ნაწყვეტი რომანიდან

ვუძღვნი ძვირფასი მამის,
გივი დოლიძის ხსოვნას.

ნათელი ღიმილით შემობრუნდა ცის კანდელი, დაიფერფლა ვარსკვლავებით, დაიბზარა ღამენათევი სხივებით, ლოცვად ჩამოდგა სიტყვის კონა და ცაზე ცეცხლის მახვილი გაბრწყინდა.

სული მიენებისა ქვეყანას, გამოეცნაურა ერს. სული გაუთვისტომდა წარმავალს, მარადისი ჩაესახა წუთს. სული ჩაესიძა ხორციელს, არ გაიფანტა, არ ჩამტვერდა ბნელ სასახლეში, სრულყო ნაკლული, აღავსო აღუვსებელი, შეუერთდა წამიერებას და იშვა უკვდავების მძებნელი „მე“.

●

ვიდრე დაიწყებოდა ეს ამბავი, დავითი წინასწარ შეიგრძნობდა მას, როგორც ზვავივით მოწყვეტილ სიტყვას, არსებულის დასანგრევად მოვარდნილს. მისთვის უკვე ნათელი იყო, რომ ეს გაუცხოებული, გორგასლის თვალსაწიერს გადამცდარი ქალაქი, არ წარმოადგენდა იმ რეალობას, იმ მასალას, რომლის ფარგლებშიც ამაღლებას შესძლებდა. თუ მის წინაპარს თავისთავად ეძლეოდა ბრძოლის ველი, თუ მზს ღმერთი ანიჭებდა სიკვდილზე გამარჯვების ძალას, ახლა ამ ველის აღმოჩენას თუ შექმნას გაფაქიზებული თვალი და პირადი ძალისხმევა სჭირდებოდა. დავითმა არ იცოდა, საით მიემართა ეს მზერა, სტრიქონებად ქცეული ქალაქის რომელი კუთხე გადაეფურცლა, რომ სიტყვების უკან ნამდვილ, ისტორიულ დროსა და სივრცეში დაეწყო ცხოვრება. არ იცოდა, მაგრამ მოლოდინით შეპყრობილი, იდუმალ ტალღასა და რიტმს ადევნებული, მოდებული იყო ყველას და ყველაფერს; ვერ ძღებოდა დროს ტარებით, ვერ კმაყოფილდებოდა წინსვლით, რადგან სიხარბე და პატივმოყვარეობა კი არ ბადებდა ამ უკმარისობას, არამედ სიხარული, რომ სულ სხვა ცხოვრებისთვის მოწოდებულ სულს ამქვეყნიური ვერაფერი აღავსებდა სრულად.

არადა, მომზადებულიც კი არ იყო აჯანყებისთვის. ბრძოლა, რომელიც მოსაგები ჰქონდა, თავისი არსით გამორიცხავდა ყოველგვარ სამზადისს. ის არ ფიქრობდა ამ ლაშქრობაზე, მაგრამ სადღაც, ფიქრების მიღმა, უკვე დასახული იყო მისი ბედი, მისი გზა და მიზანი. ისიც იცოდა, რომ მარტო არ იყო. რომ მრავალთა გული ძგერდა ამ წმინდა საქმისთვის, მაგრამ მათ აღმოჩენას განსაკუთრებული ნიჭი სჭირდებოდა, — უსასრულო ხეტიალი სტრიქონთა ხნულებით გაკეალულ გზებზე.

ამ ხეტიალმა ფიქრის გორაზე გაიყვანა.

ვარაზის ხევიდან ამოცურებულ ქალაქს უცებ მოედო ალიონის ცეცხლი. დავითმა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უკვე ჩაიარა ფერდობი, გადალახა პატარა ღელე. სადაცაა ბაღი უნდა გამოჩენილიყო, რომლის მიღმა, მანქანურ სივრცეში, თავიდან დაიწყებდა ტრიალს ცხელი, უაზრო, არაფრისმომცემი დღე.

ბაღი არ გამოჩნდა. ალბათ, დავითს მხარი ეცვალა და ვარაზის ხევის ნაცვლად, ახლა გმირთა მოედნისკენ ეშვებოდა. თუმცა, ეს გზაც არ უნდა ყოფილიყო ასე გრძელი. გორა, რომელსაც გაუცხოებული ქალაქი ერტყა გარს, პატარა ოაზისი იყო. რად უნდოდა ამდენი დრო მის შემოვლას? დავითი ჩამოჯდა და გზას დააცქერდა. რა დაემართა ამ ნაცნობ ბილიკს? ასე ვიწროდ, ასე დახლართულად თითქოს არ მიარღვევდა ჯაგნარს. ნაძვნარიც უფრო ჩაშავებულია, თითქმის გაუვალი. დავითმა მაჯა მოისინჯა. გალიაში მომწყვდეული ჩიტივით უფართხალებდა გული. ნეტა გახსნილიყო გალია და თავის გულთან ერთად გაფრენილიყო ლაჟვარდში! მაგრამ, ცაც დაიხურა. ელვამ წამით გაარღვია ღრუბელთა რიდე და ამ ნარღვევიდან სინათლის ნაცვლად, წყვდიადი ჩამოდგა. სრულიად ჩამობნელდა. ფარდა ჩამოეფარა აწმყოს და წარსულს. წლების სიღრმეში მხოლოდ მისი ბავშვობა ბჟუტავდა ოდინდელი სინაზით — ძველი უბანი, ვარდისუბნის ქუჩა და კირით შეფეთქილი პატარა სახლი. ფანჯრიდან ცისფერთვალება კაცი უღიმოდა მას. უთქმელი სიტყვა, გაუბედავი სიყვარული ახლა ხიდივით გადებული მათ შორის; მაგრამ ამ ხიდს, სტიქსის ტალღებზე გადებულს, ვერც ერთი გადავიდოდა და ვერც მეორე... დავითი გრძნობდა ამ შეუძლებლობას, ტკივილით გრძნობდა ამ აღუსებელი ნატვრის სიშორეს, გრძნობდა იმასაც, რომ სწორედ ამ მიუწვდომლობამ შემოსა ხიბლით ძველი აღმართი, ოდინდელი სახლი და კიდევ უფრო შორეული, უკვე დაბადების ბინდში გახვეული ბავშვობა. ეს ყველაფერი იქითა ნაპირს ეკუთვნოდა; დავითი ცხადად ხედავდა იმ ნაპირს, გრძნობდა იმ მიწის ა რ ს ე ბ ო ბ ა ს და ამ ახალმა განცდამ თუ რწმენამ, რბილი, გამაბრუებელი სინათლით მოიცვა მისი სიმარტოვე. ცა ისევ გაიხსნა. სადღაც, ზეცაში ითქვა გაუბედავი სიტყვა და ამ სიტყვამ აჯანყების ცეცხლით მოიცვა ფიქრის გორა. დავითი წამოდგა. გზაც გამოიკვეთა ცხადად. ახლა მან უკვე იცოდა, რისთვის უნდა ებრძოლა, ვინ უნდა დაეცვა, რა უნდა გადაერჩინა. — გაუცხოებული ქალაქის სული, ძლივს რომ ფეთქავდა ხსოვნის შუქ-ჩრდილში, ხსნას მისგან ელოდა. ახალი რწმენა, ახალი ძალა და შთაგონება უნდა ყოფილიყო ამ განდევნილი სულის საფარი.

ტყიდან მხედარი გამოვიდა. ამ სხივთა თამაშით შექმნილ სახეში დავითმა ჭოლა შეიცნო — ღირსეული, ჩუმი, მოკრძალებული კაცი. დავითის გამჭოლმა მზერამ მოსწყვიტა ის ხეთა კონტურებს, ტყის წიაღიდან გარეთ გამოიწვია, მზით განათებულ ველზე. ჭოლა ახალი დაბრუნებული გახლდათ გადასახლებიდან, მაგრამ ბოროტებამ ვერ აამღვრია მისი სული. ის ჯერაც იმ წლებში ცხოვრობდა, რომელთა დინებასაც უცებ მოსწყვიტეს. მისი ცხოვრება ორად გაგლიჯეს და ეს ნახევრები ათი წლით დააშორეს ერთმანეთს. თუმცა, ამ დაშორებამ, ამ შემზარავმა ყოფნაარყოფნამ სადღაც ქვეყნის კიდეზე, თითქმის შეუგრძნობლად, წუთიერი სიზმარივით ჩაიქროლა მის თვალწინ; ელვის სისწრაფით ჩაიქროლა, რადგან დავითზე გაცილებით ადრე ჭოლა ფიქრობდა გარდაცვლილთა მიწაზე, შეუდარებლად სრულ და ნათელ მიწაზე და ამ ფიქრმა გადაატანინა ციმბირის სუსხი, კაცად დაარჩინა მგლების ხროვაში. ახლა ის უკვე მზად იყო ბრძოლისათვის; მზად იყო იმასთან შესახვედრად, რასაც აქაურები სიკვდილს ეძახდნენ და რაც იქ, იმ სუსხიან სითეთრეში, ყველაზე ახლობელი იყო მისთვის, რადგან სწორედ ამ ახლობლობამ ახადა ფარდა იდუმალს და განდევნა შიში, რომელსაც გაურკვევლობის მოლოდინი იწვევდა.

ჭოლამ ორი საუკეთესო ცხენი ამოიყვანა ფიქრის გორაზე. მეორე, დავითისთვის განკუთვნილი ნამდვილი ცეცხლი იყო თავისი მოუსვენრობითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალისმომჭრელი ელვარებით. დავითი სწრაფად მოახტა ცხენს, მათრახი წინ გაიშვირა და ორი მხედარი გმირთა მოედნისკენ დაეშვა.

თითქმის შეუსვენებლივ გაიარეს საბურთალო, აიარეს ნუცუბიძის პლატო და ლისის ტბასთან შეჩერდნენ.

ხუთი წუთით დაასვენეს ცხენები. შემდეგ შორიდან, დიდი სიფრთხილით, დაიწყეს ტბის შემოვლა. აქამდე უკვე ველარ აღწევდა ქალაქის მძიმე, შხამით გაჟღენთილი ჰაერი. ქვევით, ტაფობის ფსკერზე დარჩა მანქანებად ქცეული სივრცე, ამორფული განურჩევლობა, სადაც ქრებოდა საგანთა ზღვარი, იკარგებოდა ყოველი საზომი; სადაც სიკეთეს აზრი აღარ ჰქონდა, ბოროტებას კი — ძალა. ქალაქს თითქო გველეშაპი ერტყა გარს. მზის ნაცვლად, გველეშაპი აფრქვევდა ცეცხლს და განურჩევლობა, გულგრილობა იყო ამ გველეშაპის სახელი; რადგან ის, ვინც წარმართავდა ქალაქის ცხოვრებას, ვერ ხედავდა იქითა ნაპირს, არ ელოდა უკვდავებას და ფიქრობდა, რომ მხოლოდ ერთხელ, ამ წუთისთვის და ადგილისთვის იყო მოსული ამქვეყნად.

მხედრებმა ერთი ამოსუნთქვით დასძლიეს ურწმუნოების ეს თითქმის გაუღწეველი შრე; ერთი ამოსუნთქვით, შეუსვენებლად, რადგან ფერდობს შეფენილ პლატოზე ოდნავი შეჩერება, ოდნავი რიტმის დარღვევაც კი მოცურებას და ქალაქის ხახაში ჩავარდნას ნიშნავდა.

ეს ყველაფერი უკან დარჩა. ტბაზე ამოსულ მოქალაქეთა ყაყანაც ველარ აღწევდა მათ ყურს. ლისის გორა გადაიარეს და უეცრად მეორე, პატარა ტბას წააწყდნენ, ლურჯად რომ იყო ჩახატული მკრთალ სიმწვანეში. ამ წყალნარევი სიმწვანის იქით, ცის კიდეზე, გრაფიკულად მონიშნული ქოხი გამოჩნდა. ბინდდებოდა სიმწვანის უკანასკნელი ფენა რომ დასძლიეს და ქოხს მიაღწიეს. მათ შესახვედრად სანთლით ხელში მოდიოდა ცისფერთვალება კაცი. პირველად დავითს ჩამოართვა სადავე, ხელი შეაშველა ჩამოხტომისას, ამასობაში ჭოლაც ჩამოქვეითდა და ქოხში შევიდნენ.

ბუხართან უკვე გაშლილი იყო სუფრა, სამარხვო სუფრა, რომელსაც უხვად ასდიოდა მინდვრის ყვავილთა სურნელი. მასპინძელმა ჭურს თავი მოხადა და ჩაფი ღვინით აავსო. ქაფივით მსუბუქი და სიზმარივით შემპარავი ღვინო ცეცხლივით შემოენთო გულ-მუცელს.

— ბევრს ნუ დალევთ, — თქვა ცისფერთვალება კაცმა. — გათენებამდე უნდა გაასწროთ აქედან. სასახლემ უკვე შეიტყო აჯანყების ამბავი. დილით აქაურობა მსტოვრებით გაივსება. გზებს ამაღამ გადაკეტავენ.

— ცოტანი ვართ, წინააღმდეგობის გაწევასაც ვერ შევძლებთ, — თავი გააქნია დავითმა.— არადა, წოდორეთამდე ტრიალი მინდორია, გათენებამდე თუ არ გადავლახეთ, ზემოდან დაგვცხრილავენ.

— იქ სულ ჭაობებია... — ჩაილაპარაკა ჭოლამ.

— ჭაობში მე გაგიყვანთ, — შეაწყვეტინა მასპინძელმა. — ოღონდ თვალებს აგიხვევთ. არც ერთ თქვენგანს არა აქვს იმ ბილიკის დანახვის და დამახსოვრების უფლება.

— მაშინ, დროს ნუღა ვკარგავთ, — წამოდგა ჭოლა.

— შუაღამემდე დაისვენეთ, — საათს დახედა კაცმა. — მზის ამოსვლამდე მოასწრებთ ხეობაში შესვლას.

ჭოლამ სავარძელი მონახა. მასპინძელმა ლოგინი გარეთ დაიგო, ტახტი სტუმარს დაუთმო, დავითს არ ეკარებოდა ძილი, კი არ იცოდა, გრძნობდა, ვინ შეიძლება ყოფილიყო ეს ცისფერთვალება კაცი და ეს გრძნობა ყოველგვარ ცოდნაზე უფრო ცხადი და საიმედო იყო.

ზუსტად თორმეტ საათზე ქოხიდან გავიდნენ. არაჩვეულებრივი სიმშვიდე სუფევდა ლისის ტბის ირგვლივ. ვარსკვლავებით მოიჭედა ზაფხულის ბნელი, ხავერდოვანი ცა.

მინდვრის ბოლომდე მიდიოდნენ. შემდეგ, თუმც არაფერი ჩანდა, მეგზურმა მაინც აუხვია თვალები მზგავრებს, ცხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნები ერთმანეთს გადაბა და დავითს სადავე ჩამოართვა.

ამის შემდეგ არც ერთს აღარაფერი ახსოვს. ფიქრები მდორედ, უსისტემოდ დაცურავდნენ დაბინდულ გონებაში. საღღაც ოდნავ ბჟუტავდა სიფხიზლის კერა და ეს შავ-წითელი ციმციმი იყო ერთადერთი, რაც მათ არ აძლევდა სრული თავდავიწყების, მიწიდან სრული მოწყვეტის უფლებას.

როცა დავითს თვალებიდან სახვევი ჩამოხსნეს, ის უკვე სოფლის გზაზე იდგა, ზედ განთიადის კართან. ცისფერთვალება კაცი არსად ჩანდა. ჭოლა სახეს იჩრდილავდა, თვალს ვერ უსწორებდა აისის სხივებს. წოდორეთში ჯერ არავინ არაფერი იცოდა მათ შესახებ, მაგრამ დარაბებმოხურული ფანჯრებიდან მაინც ეჭვითა და გაბოროტებით უმზერდნენ თათრის ქალები. ჭოლა ფრთხილობდა, ყოველ ფანჯარას, ყოველ ფარდას აკვირდებოდა, დავითი კი ყურადღებას არ აქცევდა თათრებს, იცოდა, რომ ვერ გაუბედავდნენ სროლას, რადგან აღარ ეშინოდა მათი.

გზაჯვარედინს მიაღწიეს, წყაროსკენ გაუხვიეს, ღელე გადაიარეს და ზემოთ ავიდნენ. აქ დაშორდნენ ერთმანეთს. დავითი წინ წავიდა, ბევრეთის ხეობისაკენ, ჭოლამ მარცხნივ აუხვია ნათლისმცემლის მთაზე, რომლის იქით, მუხათწყაროში, აჯანყების სხვა მონაწილეებს უნდა შეეყარათ თავი. ისინი მაშინვე წამოვიდოდნენ და, მსხალდიდის გავლით, ისევ ჩავიდოდნენ ბევრეთის ხეობაში, ზედ ტაბარულის გადასახვევთან, სადაც მათ დავითი უნდა დახვედროდა.

ზუსტად ისე მოხდა, როგორც ვარაუდობდნენ. დავითს ბევრჯერ უნადირია ამ მიდამოებში და თვალდახუჭულს შეეძლო უმოკლესი ბილიკების პოვნა. ბევრეთის ხეობაში არც ჩახულა, ცერად, მთა-მთა წავიდა და შებინდებამდე კარგა ხნით ადრე მიაღწია დიღმის წყლის სათავეს. აქედან რამდენიმე გზა მიდიოდა მუხნარში, ძაგრამ დავითმა იცოდა, რომ მრავალთაგან მხოლოდ ერთი იყო ნამდვილი გზა; გზა რომელიც ასცდებოდა მუხათგვერდის საფლავებს და, ნასოფლარის გავლით, გამარჯვების მწვერვალზე აიყვანდა მას. განსჯითა და ლოგიკით ვერ მიაგნებდა ამ გზას, ვერც ბრმა, უცაბედ არჩევანს მიანდობდა თავისი საქმის ბედ-იღბალს; იმისთვის, რომ ბედმა გაგიღიმოს, მსხვერპლია საჭირო; უნდა დახარჯო, გასცე საკუთარი თავი, გასცე არა ანგარებით, არა ნაწილ-ნაწილ, არამედ მთლიანად, ერთბაშად, სიკეთის ძალას მინდობილმა და მის ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებულმა.

ჭოლა იგვიანებდა. მზე ჩავიდა, მთვარემ უკვე მოჰფინა იისფერი სინაზე მუხნარს; ფლოქვების ხმა და მოყრუებული ბგერები კი თითქოს ისმოდა და არც ისმოდა. დავითი ყურს უგდებდა ტყის მდუმარებას. ცდილობდა მარაოსავით გაეხსნა, გაეშალა ბნელი სიჩუმე ათასფერ ხმებად, რომ ამ ხმებიდან გამოეწვია, შეექმნა ის, რასაც ელოდა. დავითი დაიძაბა. ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა სახეზე. როგორც იქნა, გამოსტაცა ტყის სიჩუმეს ცხენების ჭიხვინი და ადამიანის ხმა. ეს ხმა მაშინვე ხმებად დაიმსხვრა; შეინძრა, ახმაურდა ღამე და ფერდობს მოწყვეტილი, ლანდებად ქცეული ტყე გამოქანდა მისკენ.

ეს ლანდები ჭოლას მოჰყავდა. საშინელი სისწრაფით მოაქროლებდნენ ცხენებს; არ ერიდებოდნენ დაგორებულ ქვებს, თავბრუდამხვევ ქარაფებს. დავითი წამოხტა. ხორცშესხმული ლანდები უკვე გადმოდიოდნენ დიღმის წყალზე.

— მოგვდევენ! — შორიდანვე შესძახა ჭოლამ. — ხუთ წუთში აქ იქნებიან!

— ვინ? საიდან? — აღმოხდა დავითს.

— მსხალდიდთან იქაურმა თათრებმა შეგვიკრეს გზა. ამასობაში ზურგიდან სასახლის აქტივისტებმა დაგვარტყეს ძლივს მოვასწარით ხეობაში ჩასვლა.

— ბევრნი არიან?

— ორას კაცამდე იქნება. თათრებს წერაქვები და ნაჯახები აქვთ, აქტივისტები იარაღით არიან.

— ბრძოლა მოგვიწევს, — ჩაფიქრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითი. — მაგრამ აქ გაშლილი ფერდია, ერთი ათს ვერ სძლევს. ხეობაში უნდა შევიტყუოთ, ნასოფლართან.

რაწამს მიიღო ბრძოლის გადაწყვეტილება, დავითი შეუმცდარად დაადგა იმ ერთადერთ ბილიკს, რომელიც, ადრე თუ გვიან, ისტორიულ დროსა და სივრცეში გაიყვანდა მას. გააკეთა თუ არა ეს არჩევანი, დავითმა ორად გაყო თავისი ხალხი. ერთი ნაწილი, მდევარის გასაგონად, სროლითა და ყვირილით ხეობაში ჩაიყვანა და აჩქარებით, თითქმის სულმოუთქმელად ატარა ნასოფლარამდე. მეორე ნაწილი, ჭოლას მეთაურობით, ფერდობზე ავიდა და ტყეში გაიფანტა. ტაბარუღის ირგვლივ შეიქმნა ერთგვარი რკალი, რომელიც აჯანყებულთა სიმცირის გამო, იმდენად გაიშვიათებული და სუსტი იყო, რომ ალყაშემორტყმულ მდევარს ადვილად შეეძლო მისი გარღვევა, მაგრამ დავითს წყვდიადის იმედი ჰქონდა; ღამე დაიფარავდა მათ სიმცირეს და გააძლიერებდა უცაბედი თავდასხმის ეფექტს. გარდა ამისა, მშვენივრად იცნობდა აქტივისტებს, ერთი შეხედვით მტკიცე და შეუპოვარ, სინამდვილეში კი თათრებზე უფრო მხდალ და თვგზაარეულ ხალხს.

ნახევარ საათში ტაბარუღიც გმოჩნდა. მიტოვებული, კაცის უმადურობით გულაყრილი სოფელი თითქოს განშორებოდა მიწას და მთვარის სხივთა ძაფებით ჰაერში ეკიდა. დავითმა პირველმა მიაღწია ნასოფლარს და მხედრებს გაჩერება ანიშნა. ცხენოსნები ჩამოქვეითდნენ და ნანგრევებში ჩასაფრდნენ.

ისევ მოლოდინით სავსე სიჩუმე ჩამოწვა. ჩქამიც კი არსაიდან ისმოდა. ხომ არ მოელანდა დავითს ეს ყველაფერი? იქნებ სულაც არ წამოსულა ფიქრის გორიდან და ეს აჯანყება, წარსულს დანატრებული სულის სიზმარი იყო მხოლოდ? გული კი სხვას ეუბნებოდა, რომ სიზმარი სწორედ ის იყო, გაუბედავი არსებობა სიცრუის ქალაქში. ეს ნასოფლარი, ეს მოლოდინი კი ნამდვილი იყო, მაგრამ ეს სინამდვილე არ არსებობდა მის გარეშე, მისი სულიდან იყო ამოზრდილი, სულიერ ძალთა უკიდურესი დაძაბვით არსებობდა.

ამ დაძაბულობამ ისევ გაამახვილა დავითის თვალი. ისევ გაკვეთა მზერამ სიბნელე და შორს, ხეობის სათვეში ცხენოსანთა გუნდი დალანდა. ჩუმად, შემპარავად უახლოვდებოდა მდევარი. ნეტა ამოიარონ აღმართი და ნანგრევებში შეჩერდნენ! უკვე ნათლად მოჩანდა აღმართული წერაყინები, მოღერებული ცულები. დავითმა დაიყვირა და ცეცხლის რკალი სამი მხრიდან შემოეხვია თათრებს. ექვსი კაცი დაეცა, დანარჩენები უკან გაბრუნდნენ, მაგრამ სოფლის თავში დავითი დახვდათ ხმალამოღებული. ვიდრე თათარი ნაჯახს მოიქნევდა, დავითის ხმალი უკვე ჭრიდა და ჩეხავდა მის ხორცსა და ძვლებს. მაინც უსაშველოდ ბევრნი იყვნენ. მეომრები ძლივს აკავებდნენ შიშისაგან გაოფთრებულ მემწვანილეებს. აქ მხედრებიც გამოვიდნენ ნანგრევებიდან და ზურგიდან დაეცნენ მტერს. ურჯულოები აირივნენ. აღარ იცოდნენ, ვინ ვის ურტყამდა, ვინ საით გარბოდა. დავითის რისხვას გაქცეულნი, ბრმად, უგზო-უკვლოდ მიარღვევდნენ ჯაგნარს და პირდაპირ მდინარეში ცვიოდნენ. ეშხში შესული დავითი კი ფეხდაფეხ სდევდა მათ, არ აცლიდა გაღმა ნაპირზე გასვლას, მაგრამ სწორედ ამ დროს კლდეებმა იქუხეს და აჯანყებულებზე ტყვიების სეტყვა წამოვიდა. გაქცეული თათრები საფარიდან გადმოსულ აქტივისტებს შეერივნენ, რომლებიც მწყობრად, პიონერული საყვირითა და დაფდაფების ცემით მოიწევდნენ წინ. ახლა დავითი აღმოჩნდა ალყაში. უკან, უკვე, გონს მოსული მსხალდიდელები იდგნენ, წინ კიდევ ბოლო არ უჩანდა ნასახლის მოციქულთა ელვარე მუზარადებსა და სიძულვილით ანთებულ თვალებს. მაგრამ ეს ვარიანტიც გათვლილი ჰქონდა დავითს. იცოდა, რომ აქტივისტები წინ ჯერ მემწვანილეებს გამოუშვებდნენ და მხოლოდ მერე, შემონახული ენერგიითა და სიბრაზით ჩაებმებოდნენ ბრძოლაში. ამიტომაც იმედის თვალი შეაპარა დამსხვრეულ ღამეს, ალიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით განაზებულ მთას... მთავარია, ჭოლამ მოასწროს ფერდობიდან ჩამოსელა, რომ საბოლოო რკალში მოიმწყვდიოს ისინი.

ახალი ძალითა და გააფთრებით გაჩაღდა ბრძოლა.

აჯანყებულები ერთმანეთთან ზურგშექცევით იდგნენ. აქიტვისტებსა და თათრებს შეერთებისა და წრედ შეკვრის საშუალებას არ აძლევდნენ. შემზარავი და თან რაღაც გრანდიოზული სანახაობა შეიქმნა! მზე ვერ ბედავდა ამოსვლას, მთვარეჩაფერფლილი ცა კი შიშით დასცქეროდა ხმლებით განათებულ ხეობას. დავითი შეუპოვარი ბრძოლით ამხნევებდა აჯანყებულებს. უკვე დაუმძიმდა და გაუშეშდა მარჯვენა ხელი და ახლა მარცხენათი იქნევდა ხმალს. დაეცა კახა, დაეცა კიდევ ერთი პოეტი... უფრო შეიკუმშა, შემკვრივდა ალყაშემორტყმულთა ბირთვი და აქ, სასოწარკვეთის კიდეზე, უცებ განათდა და ახმაურდა ტყე. განათდა იმიტომ, რომ დავითს ბოლომდე არ დაუკარგავს იმედი და საკუთარი გონების რწმენა. აღსრულდა ის, რაც ჩაიფიქრა! ფერდობიდან ჩამოსული ჭოლა თავისი მხედრებით თავს დაესხა სასახლის ხალხს. თათრებმა მაშინვე პირი იბრუნეს და მდინარისაკენ მოკურცხლეს, აქტივისტები კი უკან, წოდორეთისკენ გაიქცნენ. ჭოლა და დავითი ფეხდაფეხ სდევდნენ მათ; გზადაგზა ჩეხავდნენ, სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ. სულ რამდენიმე კაცი გადარჩა. ეს საცოდავებიც ისე იყვნენ თავზარდაცემულნი, რომ წოდორეთშიც არ შეჩერებულან, ქალაქში ჩაცვივდნენ, სასახლემდე ირბინეს და იქაც რომ ვერ დააკავეს, კარგა ხანს ბღავილითა და თავში ცემით ტრიალებნდენ სასახლის გარშემო.

ამ გამარჯვებამ დავითს უცებ გაუთქვა სახელი. ხალხმა დაინახა, რომ დიალექტიკური მატერიის სისხლისფერ წიაღში ჯერ კიდევ ფეთქავდა სული, რომელიც წალმა შემოაბრუნებდა მათ გაუკუღმართებულ ცხოვრებას. ლელობამდე არც იყვნენ მისულნი, რომ ძეგვის მხრიდან უამრავი ხალხი მოაწყდა დიდგორებს. დავითს შესცქეროდნენ როგორც სასწაულს, რომელმაც ამ ჩაჩუმებულ და ჩამკვდარ ქვეყანაში ხმა აიმაღლა ურჩხულის წინააღმდეგ.

დავითთან შეერთება სურდა ყველას, მაგრამ ყველა ვერ გახდებოდა მასთან ყოფნის ღირსი. ხელი, რომელიც ქაოსიდან სულიერ მთლიანობას ძერწავდა, დიდი სიფრთხილით არჩევდა ამ მთლიანობის შესაფერის მასალას. გარდა ამისა, მოხალისეთა ეს აღგზნებული, თავშეუკავებელი, უვიცი და გამოუცდელი ბრბო, მხოლოდ ზედმეტი ტვირთი იქნებოდა აჯანყებულებისთვის და შეაფერხებდა მათ სვლას დიდგორისაკენ. დავითი იმით იყო მოუხელთებელი, რომ სწრაფი, მობილური, რაც მთავარია, მთლიანი და ერთსულოვანი რაზმი ჰყავდა. რაზმი, რომელიც ერთი კაცივით მოქმედებდა და რომლის თავდასხმა ყოველთვის მოულოდნელი და ელვისებური იყო. ამიტომ დავითმა მოხალისეებიდან მხოლოდ საუკეთესოები აარჩია; ზოგს იცნობდა, ზოგიც წინასწარ იგრძნო როგორც ძალა, რომელიც გმირად გამოიკვეთებოდა გამოღვიძების და ამაღლების გზებზე. დანარჩენები დიდი ტაქტით და თავაზიანობით გამოისტუმრა უკან, მაგრამ ხალხი მოტყუებულად არ გრძნობდა თავს. უბრალოდ, მიხვდნენ, რომ ასე იოლად, ერთი მოსურვებით ვერ შეიცვლიდნენ ფერს, ვერ შეუერთდებოდნენ სულის დასამკვიდრებლად მოვლენილ გმირებს.

დავითს ახლა სამასამდე შეიარაღებული კაცი ჰყავდა. პირველ ასეულს ჭოლა მეთაურობდა, მეორე და მესამე ასეული, ახალწვეულებისაგან შემდგარი, უშუალოდ დავითს ემორჩილებოდა; ეს ის ნედლი მასალა იყო, საიდანაც შემოქმედის ნიჭსა და გონებას ახალი გმირები უნდა შეექმნა.

აჯანყებულები ლელობში იყვნენ დაბანაკებულნი. დავითი დილიდან დაღამებამდე წვრთნიდა თავის მეომრებს; ასწავლიდა, რომ თავისუფლება ანარქია და ქაოსი კი არ იყო, არამედ შინაგანი წესრიგი, რომელსაც ვერასოდეს მიაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] დიქტატურა და შიში. შემოქმედი, რომელიც დიდ ხანია ფიქრობდა ამ ლაშ[illegible]ობასეე, ბოლობდა და ხვეწავდა გა[illegible]ბარჯვებისკენ მიმავალ გზებს, ახლა ზუს[illegible]ად გრძნობდა იმ ზღვარს, სადაც ძალა და სიმსუბუქე, ბედისწერა და თავისუფ[illegible]ლება აწონასწორებდა ერთმანეთს. ამიტომ ვერაფერს დააძალებდა თავის სამასკაციან ქმნილებას, თავისუფლად რომ იყო აღმოცენებული მისი ოცნებიდან, მაგრამ ვერც ბოლომდე მიუშვებდა სადავეებს, რადგან მაშინ ოცნება მოსწყდებოდა მიწას, დაკარგავდა დამაჯერებლობას და ვეღარ გამოალვიძებდა ძილად მიგდებულ ქვეყანას. დავითი სულ ბეწვის ხიდზე იდგა, დაძაბულობასა და სიმ[illegible]ებრალის შორის; ერთი მოდუნება, ერთი [illegible]ასწორი ნაბიჯი და, ან სიტუაცია ჩა[illegible] — თავს ვეღარ დააღწევდა მოვ[illegible]ენათა სიმძიმეს, ან მისი აჯანყებისგან მხოლოდ ქაფი შერჩებოდა ხელთ — [illegible] რიტმი და ლამაზი სიტყვების ფრქვევა. მხოლოდ ბეწვის ხიდიდან ხედავდა დავითი ორივე ნაპირს. თან იბრ[illegible]ოდა, ებრძოდა მთელი ძალით, თან ერ[illegible]თი წუთითაც არ კარგავდა ირონიის, სიმსუბუქის განცდას. გრძნობდა, რომ ეს ყველაფერი თამაში იყო, სინამდვილის არსში ჩადებული თამაში და ამ თამაშით მართავდა სიტუაციას, განაგებდა ბედს.

ახლა დავითი საკუთარი თავივით ფლობდა თავის მეომრებს, საკუთარი თავივით ენდობოდა და ძალდაუტანებლად [illegible]ანაითავდა მათ. ვიდრე დავითი თრიალეთზე იყო, ვიდრე მას არ ახსენდებოდა ქალაქში მიტოვებული ქალი, მისი ერთსულოვანი და განუყოფელი ჯარი, ზედიზედ ამარცხებდა ურჩხულს და ათავისუფლებდა თრიალეთის სოფლებს. ღვევი, დრე, ვანათი, წვერი, პანტიანი და [illegible]ბეთი სამ თვეში აჯანყებულთა ხელში გადავიდა. ქალაქის ირგვლივ ვითარება მეტად დაიძაბა. სასახლეში საგანგებო სხდომა მოიწვიეს ამ უჩვეულო, აქამდე არნახული კონფლიქტის გადასაწყვეტად. მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ რესპუბლიკის შნიაგან საქმეთა ჯარები ახლო აღმოსავლეთში იყვნენ გაწვეულნი. დღესდღეობით, სასახლეს მხოლოდ ერთი მოტორიზებული დივიზიის გამოყვანა შეეძლო, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ვერ ივარგებდა თრიალეთის ციცაბო კალთებზე. რაც შეეხება ქვეითებს და კავალერიას, პრეზიდიუმს პირად განკარგულებაში ჰყავდა ორასი მხედარი და მცველების შვიდასკაციანი რაზმი. მთავარმართებელი იმედოვნებდა, რომ ამ ძალებით შესძლებდა აჯანყების ჩაქრობას, მით უმეტეს, რომ გამგეობამ, ხანგრძლივი ბჭობისა და აწონ-დაწონის შემდეგ, ექსპედიციის თავკაცობა ისეთ გამოცდილ მუშაკს მიანდო, როგორიც ლიპარიტი იყო.

ლიპარიტმა თავისი კარიერა ავღანეთით დაიწყო. სასახლიდან მოხალისედ წასულმა, იქ რამოდენიმე დამსჯელ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა და განსაკუთრებული სისასტიკით გამოიჩინა თავი. როცა ორდენებდამშვენებული, სასახლეს მოადგა, მას პირადად გამოეგება შინაგან საქმეთა მინისტრი და კიდევ რამდენიმე ფრიად წარჩინებული პირი. ლიპარიტი ჯერ უსაფრთხოების კურსებზე გაამწესეს მსმენელად, შემდეგ კი ერთი თავნება ჟურნალის რედაქტორად დანიშნეს, რის შემდეგაც ჟურნალი ისე მოთვინიერდა, რომ აღარც კი საჭიროებდა წაკითხვას; ისედაც ნათელი იყო, რა ეწერა და რა არ ეწერა შიგ. აი, ასეთი კაცი იყო ლიპარიტი, — ცბიერი, მოქნილი, ქვემძრომი; პატივმოყვარე და დაუნდობელი. სამდივნო დიდ იმედებს ამყარებდა მასზე და აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, სასახლის კანცლერად არჩევასაც კი უპირებდა.

ლიპარიტი თავისი ცხრაასკაციანი ჯარით იმავე დღეს გავიდა ქალაქიდან. ლისის ტბაზე არ ასულა, მთავარ გზას დაადგა და მუხათგვერდთან აუხვია. მუხათგვერდიდან პირდაპირ შეიძლებოდა ლელობში გადასვლა, სადაც დავითი იდგა. ეს გზა უფრო შორი იყო, უფრო შემოვლითი, სამაგიეროდ, უფრო ფართო და სასაფლაომდე მოასფალტებული. ლიპარიტი კატაფალკში იჯდა, ცხენები და ჯარისკაცები ავტობუსებით მისდევდნენ

მას, ასე რომ ხალხმა სამგლოვიარო პროცესიად მიიჩნია ისინი, თუმცა იშვიათად უნახავთ მგლოვიარეთა ასეთი გრძელი, ხმაურიანი ნაკადი.

პანთეონთან გადმოვიდნენ და სწრაფად განაგრძეს გზა. ლიპარიტმა ყველა დაიჭირა, ვინც გზად შეეფეთა, დავითს ხმა რომ არ მისვლოდა მათი მოახლოების შესახებ. შებინდებამდე ქედი გაიარეს და მთის ძირში დაბანაკდნენ. ეს პატარა მთა ყოფდა სასახლის ჯარს დავითისაგან.

ლიპარიტმა მაშინვე სხდომა მოიწვია. ლელობის ლანდშაფტი და მტრის პოზიცია წინასწარ ჰქონდა შესწავლილი. თუ ბანაკს სამი მხრიდან დაეცემოდა, დავითი გამოვიდოდა ნასოფლარიდან და აღმოჩნდებოდა მტკვრის ხეობის თავზე, თვალჩაუწვდენელ ქარაფებს შორის. ჩიტიც ვერ ჩააღწევდა იქიდან მიწას, კლდეები შვეულად ეცემოდნენ ღრმა ხეობაში.

— მტერმა არაფერი იცის ჩვენს შესახებ, — თქვა მან. ვიდრე გათენებულა, ვიდრე შეგვამჩნევს, თავს უნდა დავესხათ.

— მთა მაინც გადასასვლელია, — რუკას თითი დაადო კახაბერ ყორღანაშვილმა. — დავითი გაიგონებს ქვათა ცვენის ხმას და მიხვდება ყველაფერს.

— დავითი შეიძლება არც იყოს ბანაკში, — გაიღიმა ლიპარიტმა, — უკვე მიუვიდოდა წერილი, რომელიც უკან, ქალაქაში დაბრუნებს მას.

ამ წერილის მიხედვით დაგეგმა ლიპარიტმა თავისი ლაშქრობა. თავად ეახლა ქალს როგორც დავითის მეგობარი და მათი სიყვარულის მესაიდუმლე. მისი წერილი კი ერთ მოსყიდულ მწერალს გაატანა დავითთან. ასე რომ აჯანყების მოთავე შეიძლება უკვე მოსწყდა თავის ქმნილებას და სიყვარულს მონატრებული, უბრუნდებოდა ქალაქს. ლიპარიტმა მაიას სახლის ირგვლივაც დააყენა თავისი ხალხი. დავითი შიგ კი შევიდოდა, მაგრამ გარეთ უკვე ვეღარ გამოაღწევდა.

იმ რამდენიმე სტრიქონმა მართლაც მოადუნა დავითის ნება. ქვენყის გადასარჩენად მოკრებილი ძალა მაიას სიტყვამ შემოატრიალა და სულ სხვა მხრივ წარმართა. გაქრა ოცნებით შექმნილი, ოფლითა და სისხლით დამძიმებული მიწა. ისე გამოიყვანა და შეკაზმა ცხენი, ისე შეაქცია ზურგი ბანაკს, არც კი შეხედა თავის გმირებს. დავითი ახლა ქედის გასწვრივ მიფრინავდა. იყო რაღაც საამო, გამაბრუებელი, ამ ჭენებაში, ამ წუთიერ სისუსტესა და ტკბობაში. დავითი უბრუნდებოდა ქალაქს, უბრუნდებოდა ფიქრის გორას, იქ შეწყვეტილი ცხოვრების გაგრძელებას ითხოვდა, სიხარულით საცხე ცხოვრების... ვერეს ხეობიდან აბლაბუდას ქსელივით იხლართებოდა ქალაქი. დავითი ნებაყოფლობით ებმებოდა ამ ქსელში, რადგან ეს თავბრუდამხვევი ქსელი ქალთან მიიყვანდა, რომლის გარეშეც ცხოვრება არ შეეძლო. დიდხანს იოკებდა თავს, არ ფიქრობდა მასზე, არ ტკბებოდა იმ ცხოვრებით, რომელიც ბედმა არგუნა, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. ახლა ელვასავით მიარღვევდა ძილად მიგდებულ ქალაქს, ვერავითარი წუხილი, ვერც სინდისის ხმა ვერ აოკებდა ამ მისწრაფებას, ამ სულისწამღებ ქროლას. თუმც გული უგრძნობდა, რომ ეს ქუჩა, ეს სახლი, ხაფანგი იყო, მაგრამ დავითი აღარ უჯერებდა გულის ხმას. მას უნდა დაეხარჯა, უნდა მოეკლა თავისი ენება, რავარდნილიყო მის ტყვეობაში, რადგან მხოლოდ მას შემდეგ, რაც განიცდიდა ამ გრძნობას, შესძლებდა მის დაძლევას და კიდევ უფრო მაღლა ატყორცნას.

შუაღამე გადადიოდა, ფიქრის გორიდან ამოზრდილ სახლს რომ მიადგა. ყურადღებით შეათვალიერა მიდამო, მაგრამ ის უკვე ჩამოვარდნილი იყო მწვერვალიდან და ვერ ხედავდა ჩასაფრებულებს, ვერ ცნობდა წყვდიადს როგორც მეტაფორას, რომელსაც გახსნა და ამოკითხვა სჭირდებოდა. ახლა მხოლოდ მოლოდინით დაძაბული სახლი იზიდავდა მას, სახლი, რომელიც ხელში ჩაემსხვერა, ნაჭუჭივით ჩამოეცალა და შერჩა როგორც ქალი, რომლის იქით აღარ არსებობდა არაფერი. თვითონაც აღარაფერი იყო ამ ვნებისა და მონატრების გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. რაღაც ტკბილ, მათრობელა ბურანში გახვეული, უცებ განსხეულდა, უცებ მოსწყდა მიწას და, ქალთან ერთად, ლურჯ ზმანებათა სამყაროში გაფრინდა.

— დარჩი ჩემთან, — ეჩურჩულებოდა მაია. — ვინ წაგართვა ცხოვრების უფლება? რატომ ცდილობ, სძლიო საკუთარ თავს და შეუძლებელი შესძლო?

მაგრამ დავითში არსებობდა მეორე დავითი, რომლის წინაშეც უძლური იყო ქალი. ის მეორე ხედავდა, რომ მის გულში ფესვებგადგმული გრძნობა იყო მხოლოდ მსხვერპლი, რომელიც უნდა გაეღო სულის გადასარჩენად. და კაცმა შესძლო ეს. შესძლო უფსკრულთან გაჩერება, ტკბილი სიზმრიდან გამოსვლა და ფეხზე წამოდგომა.

— არ წახვიდე, — ებღაუჭებოდა მაია, — შენ უკვე აანთე ცეცხლი და ახლა ეს ცეცხლი უშენოდ გაიკვლევს გზას.

დავითს აღარ ესმოდა მაიას ხმა. როგორც კი თავს სძლია და ფეხზე დადგა, დაკაკუნება მოესმა. ურდული გასწია და ოთახში უცნობი კაცი შემოვარდა. — თავს უშველე! — დაუყვირა უცნობმა და თოკი ამოიღო. დავითმა ქუჩას გახედა. თვალს ისევ დაუბრუნდა უჩინარ სახეთა ძერწვის უნარი. ჩასაფრებულებმაც იგრძნეს, რომ დავითი ხედავდა მათ. აზრი აღარ ჰქონდა მალვას, სიბნელე გამოარღვიეს და სახლს ალყა შემოარტყეს. ტყვიებმა გაანათა ოთახი, მილეწ-მოლეწა ჭურჭელი. გადარაზულ კარს უკვე რამდენიმე ხელი არყევდა. უცნობმა სარკმელი გამოაღო, თოკი გადაუშვა და ორივე გორაკის ფერდობზე, ახლად ამოყრილ ნაძვნარში ჩაეშვნენ.

— შენი ხალხი ალყაშია, უფსკრულის პირას!

უცნობი წინ გავარდა. ფიქრის გორა გადაირბინეს და მიტოვებულ საყდართან გავიდნენ, რომლის ნანგრევებში შვეულმფრენი იდგა. მისი ცხვირწაწვეტებული კორპუსი საოცრად წააგავდა დავითის საწერ-კალამს. ჩასხდეს' თუ არა, მანქანა მსუბუქად, უხმაუროდ მოსწყდა ნანგრევებს, შემობრუნდა და ცაში აიჭრა.

ინათა თუ არა ლელობიც გამოჩნდა. სოფლარი ცეცხლში იყო გახვეული. ანყებულები უფსკრულის პირას იდგნენ და გააფთრებულნი იგერიებდნენ ლიპარიტის ჯარს. შვეულმფრენი ალიოხის სხივს დაეკიდა, წამით ჰაერში გაჩერდა და დავითი პირდაპირ მწვერვალზე, კლდეებს შორის ჩახტა.

— აქეთ! — დაუძახა თავისიანებს. წამოღებული თოკი გაშალა და კლდის ქიმს გამოაბა.

— ვერ ჩავაღწევთ, — თავი გააქნია ჭოლამ.

— უნდა ვცადოთ, სხვა გზა არა გვაქვს. პირველი მე ჩავალ. თუ გადავრჩი, სათითაოდ დაეშვებით. ასი კაცი აქ დარჩება და ბრძოლას განაგრძობს.

დავითმა პირჯვარი გადაისახა და თითქმის შვეულ კლდეზე დაიწყო დაშვება. ხეობაში ჩაბუდებულმა წყვდიადმა მალე მთლიანად შთანთქა მისი უზარმაზარი ლანდი.

ორი წუთის შემდეგ თოკი შეინძრა, ჭოლამ შვებით ამოისუნთქა და სხვებსაც მომზადება ანიშნა.

მზის ამოსვლამდე ორასი კაცი ჩაეშვა ხეობაში. ჭოლა ზემოთ დარჩა თავის ასეულთან და ახლა უკვე იმედმიცემული, ახალი ძალითა და ენერგიით იგერიებდა შეტევებს.

ამასობაში დავითმა სწრაფად გაიარა მტკვრის ხეობა, ძეგვში შეესვლელად აუხვია დიღმის დიდგორებისკენ, გადაიარა ლელობის გორა და ლიპარიტის ჯარს ზურგიდან დაარტყა. ლიპარიტს შიშისა და გაოცებისგან თმა ყალყზე დაუდგა, როცა დავითი სულ სხვა მხრიდან გამოეცხადა მას. არადა, მწვერვალიდანაც მოისმოდა სროლა. ორი დავითი ხომ არ ებრძოდა? ბელადის დაბნეულობამ ჯარიც არევ-დარევა. ამ არეულობაში ჭოლა შემოიჭრა, მწვერვალიდან წამოსული, მტრის წინა რიგებს დააცხრა. დავითმა კი ლიპარიტის მარცხენა ფრთა გაფანტა, ცენტრი გაარღვია და მარჯვენა ფლანგი კლდეებს შორის მოიმწყვდია. ჯარისკაცები იმ უფსკრულში ცვიოდნენ, თავად რომ გაუმზადეს ანყებულებს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი ღრიალი იდგა, თითქო ადამიანები კი არ ყვიროდნენ, ხახადაღებული უფსკრული ღმუოდა სიამით და ვარდნით გაწყვეტილ ცხენკაცებს ზედიზედ ყლაპავდა.

ლიპარიტმა თვითონაც არ იცოდა, როგორ დააღწია თავი სიკვდილს. იქნებ სულაც დავითმა აჩუქა სიცოცხლე? გაქცევის საშუალება მისცა, რომ სიკვდილზე უარესი სირცხვილი ეჭამა და თავად მოეთხრო სასახლისათვის ამ წარმოუდგენელი მარცხის ამბავი.

იმავე საღამოს ლიპარიტი მართლაც წარსდგა უზენაესის წინაშე და ათასნაირი თავის მართლებით მოყვა დავითის გამარჯვების შესახებ. იფიცებოდა, რომ არ იყო დამნაშავე, რომ მ[illegible]ხდა რაღაც სასწაული და რომ დავითს ისეთი ძალა ეხმარებოდა, რომლის წინ[illegible]შე სასახლე კი არა, ამ ქვეყნის მთელი ძალებიც კი ვერ გააწყობდა ვერაფერს.

აქ მას ყველაფერი გაუსინჯეს: როგორ მიიწევდა წინ ღალატისა და სხვათა დაბეზღების ხარჯზე, როგორ ებრძოდა ნიჭის ყოველგვარ გამოვლინებას. მოკლედ, მთელი დამსახურებანი დანაშაულად ჩაუთვალეს და საჯარო გასამართლების შემდეგ, რესპუბლიკიდან გააძევეს.

●

სასახლე ახლა მართლაც კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ერთძა უსახელო და უსახურმა პირმა, რომელსაც მოფერებით ჯოკერს ეძახდნენ, რადგან არც ჩინი გააჩნდა და არც თანამდებობა, ყველას ემსახურებოდა, მაგრამ საჭირო შემთხვევაში, განუსაზღვრელ ძალაუფლებას იძენდა, სასწრაფოდ ხელთ იგდო მართვის სადავეები და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

ქალაქში გაბნეულმა გადამთიელებმა მაშინვე გადაიცვეს ფორმა, აისხეს იარაღი და თავი მოიყარეს სასახლის წინ.

იმავე ღამეს სარდლად აირჩიეს ბატონი ზევახი — დიალექტიკის დიდი მცოდნე, დავითზე არანაკლებ ბრგე და გამჭრიახი კაცი, იმ განსხვავებით, რომ ზევახი ვერ იხედებოდა მატერიის იქით და არ ცნობდა სულის უკვდავებას. ზევახს გადამთიელთა უკვე გამზადებული ლაშქარი დახვდა. ხალხი შიშით, სასახლე კი აღფრთოვანებით შეეგება ამ უზარმაზარ, გველეშაპივით დაგრეხილ კოლონას, რომელიც ქალაქს შემოეგრაგნა და თავისი ბრმა საცეცებით მის ყოველ უბანს, ყოველ ქუჩასა და კარ-მიდამოს მისწვდა.

სასახლის კარზე ზევახს შეხვდნენ როგორც განმათავისუფლებელს, აჯანყებულთა რისხვისგან რომ დაიფარავდა მათ. რადგან ხელისუფალი შეუძლოდ ბრძანდებოდა, სტუმრები ჯოკერმა მიიღო, მაგრამ ზევახმა უარი განაცხადა სასახლის მასპინძლობაზე და კოჯორში აიყვანა თავისი ჯარი; განზრახ ჩააყენა უმძიმეს პირობებში: უმოწყალოდ ამუშავებდა, აწრთობდა მეომრებს, რომ ბრძოლის ველზე გასვლა შვება და სიხარული ყოფილიყო მათთვის. აქედან მანგლისის მიმართულებით რამდენჯერმე გაილაშქრა ზევახმა. დაიბრუნა წვერი და პანტიანი, ორბეთამდე მივიდა და იქ თავისი გარნიზონი ჩააყენა, მაგრამ მობრუნდა თუ არა დავითი თავს დაეცა ორბეთს და მთელი გარნიზონი, თავისი იარაღითა და ნაძარცვით, ხელში ჩაიგდო. მხოლოდ დაპყრობილ სოფლებზე უარის თქმით მოახერხა ზევახმა ტყვედ-ჩავარდნილთა გამოხსნა, გათავისუფლების ნაცვლად, ტრიბუნალს გადასცა ისინი და როგორც მოღალატენი, უკლებლივ ყველა ჩამოკიდა კოჯრის ტყეში.

ამის შემდეგ გადამთიელები ბოლომდე იბრძოდნენ და დავითს უფრო და უფრო უჭირდა მათი მოგერიება. ბოლოს პანტიანის ველზე, ზევახმა შესძლო აჯანყებულთა დამარცხება, შესძლო მიუხედავად იმისა, რომ გორაკებს შორის მომწყვდეულმა, მისთვის არახელსაყრელ პირობებში მიიღო ბრძოლა; მაგრამ იდეურად ნაწრთობი, თუ ტრიბუნალის შიშით შეპყრობილი ჯარისკაცები ისეთი გააფთრებით იბრძოდნენ, რომ აჯანყებულებმა ვეღარ გაუძლეს მათ შემოტევას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდერ დავითი თავისი მხედრიონით მტრის ზურგში გავიდოდა, უკან დახევა დაიწყეს.

როგორც კი მარცხი იგრძნო დავითმა, მაშინვე შემოაბრუნა ცხენი. რაღა აზრი ჰქონდა ზურგიდან დაცემას? გადამთიელები გათიშავდნენ მათ ერთმანეთისგან და ცალ-ცალკე ამოხოცავდნენ. ამიტომ დავითი პირდაპირ, მოკლეზე დაეშვა, მდევარს გზა გადაუჭრა და ამით გაქცეულებს სულის მოთქმისა და შემობრუნების საშუალება მისცა. ჭოლამ მართლაც მაშინვე გონს მოიყვანა ხალხი, საომრად განაწყო და სწრაფად შეუტია გადამთიელთა ფლანგებს. ცოტაც და, შემოაბრუნებდა ბედის სასწორს დავითი, მაგრამ ზევახმა სწორედ ამ დროს ბრძოლაში ჩააბა მსტოვართა ჯარი, რომელიც შეუბრალებელი იყო როგორც მტრის, ასევე უკუქცეული თავისიანების მიმართ. ისევ დააცხრა დავითის გმირებს განუზომელი შიში და სიბრაზე! ისევ შეიკუმშა მათ ირგვლივ სასიკვდილო რკალი, მაგრამ დავითმა მოახერხა რკალის გარღვევა, გადარჩენილთა გამოყვანა და ბეთანიის ხეობაში ჩასვლა; სადაც გუნდ-გუნდად გაფანტა ლაშქარი და ყოველი მხრიდან ჩასაფრებულმა, მდევარს ტყეში ჩამოსვლის საშუალება არ მისცა.

ჯოკერმა იმ საღამოს სასახლეში დიდი ქეიფი გამართა. მაგრამ ზევახი არ გამოცხადდა წვეულებაზე. გამარჯვების მიუხედავად, მთავარსარდალი უგუნებოდ ბრძანდებოდა, რადგან თითქმის დატყვევებული დავითი ხელიდან გაუშვა. რაღა აზრი ჰქონდა ამ სისხლისღვრას, თუკი ვერ ჩააქრო აჯანყების ცეცხლი; თუ ფერფლსა და ნაცარში მაინც ბჟუტავდა ნაპერწკალი, თუ თრიალეთის მთებში ისევ ფეთქავდა აღზევების სული!

ამ მთების თავზე კი, ვარსკვლავთა სხივებით მოჭედილ დარბაზში, დავითის ბედ-იღბალი წყდებოდა. დარბაზს ესწრებოდა ცისფერთვალება კაცი; ეს კაცი ერთხანს გულგატეხილი იყო, აღარ სჯეროდა, რომ რამე გაასწორებდა ამ ქვეყანას, მაგრამ მეგობრების ერთგულებამ, უკანასკნელ დღეებამდე რომ არ ეტოვებიათ მისი საფლავი, ისევ აქეთ შემოაბრუნა და სასიკეთოდ განაწყო. დავითს მისი დახმარების იმედი ჰქონდა, რადგან იმ ქვეყნადაც ორი ძალა ებრძოდა ერთმანეთს. ერთს მიაჩნდა, რომ ცისქვეშეთი, ბოროტების საუფლო, არ იყო თავისუფლების ღირსი და მას ამაოდ ესახებოდა დვითის ბრძოლა; ეს ყველაფერი ხომ ოდესღაც მოხდა, უფრო ნამდვილი და უფრო ეპიკური; ოქროს ხანამ კი საუკუნეც ვერ გაატანა; შურმა და გაუტანლობამ ისევ აქეთ მოიზიდა აღმოსავლეთიდან წამოსული წყვდიადი.

მეორე ძალა მაინც არ ჰკარგავდა იმედს. მართალია, ეს ამბავი უკვე გათამაშდა და დავითი ხელმეორედ ცდიდა ბედს, მაგრამ შეიცვალა არა მხოლოდ აქცენტები და შტრიხები, არამედ მთელი სივრცე-დრო. აჯანყება ახლა ფენომენოლოგიურ სიბრტყეში ხდებოდა, სიცხადისა და წარმოსახვის მიჯნაზე. ეს სიბრტყე სულისა და სამყაროს ერთიანობას ემყარებოდა და, ამდენად, ორი ნაპირის შეერთების, სულის ამ სოფლად დამკვიდრების შესაძლებლობას სახავდა.

ცისფერთვალება კაცი მხარში ედგა დავითს; მის სასიკეთოდ განაწყობდა უზენაეს არსებებს. სიყვარული, რომელიც თავის ცხოვრებაში დათესა, აქ აღმოცენდა როგორც ძალა და განგების ამ ძალით წარმართავდა აჯანყებულთა ბედს.

მოწინააღმდეგე მაინც არ ცხრებოდა. განხეთქილებამ მოიცვა სხივთა დარბაზი. ზოგი იმასაც ამტკიცებდა, რომ არათუ საყდარნი და ქერუბინები, სერაფიმებიც კი ვერ ჩაერეოდნენ სულისა და მატერიის ბრძოლაში, რადგან მხოლოდ ერთსა და ყოვლისშემძლეს ეპყრა ამ ბრძოლის სასწორი ხელთ.

ეს მოძველებული თვალსაზრისი გახლდათ, რალ-ან ჟამთა სიახლეში თვით უზენაესმა კაცად მოავლინა თავისი სიყვარული ამ ქვეყნის მიმართ და ამ სიყვარულს გადასცა მართვა-გამგეობის კვერთხი. ცისფერთვალება კაციც ამ უზენაესი არსების ნაწილი იყო, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ უკვე ჩამოვიდა მიწაზე და ჯვარს ეცვა ადამიანის გადასარჩენად. ამიტომ ახლა თამამად ეხმარებოდა დავითს არა მხოლოდ შემოქმედებაში, არამედ იმ მოვლენათა მართვაშიც, რომელთა ფონზეც ცოცხლდებოდა დავითის ოცნება.

დავა უსასრულოდ გაგრძელდა, მაგრამ ეს გაჩერებული წამის უსასრულობა იყო, წუთიერი სიზმარივით რომ მოელანდა ტყეში შეხიზნულ დავითს. ცისფერთვალება კაცი გამოეცხადა და აუწყა, რომ კამათი მის სასიკეთოდ გადაწყდა და რომ დარბაზმა მის დასახმარებლად მერაბი გამოაგზავნა, რომელიც თავისი მძლავრი გონებით გაანათებდა მის მარცხით დაბინდულ ხილვებს.

მეორე დღეს დავითს მართლაც მიუვიდა მიპატიჟება მეგობრის ქორწილზე. წუხანდელი მარცხისა და ტყეში გახიზვნის შემდეგ, დავითი მძიმედ წამოდგა საწოლიდან. ჭრილობებისგან დაბუჟებული ჰქონდა მთელი სხეული. წვერის გაპარსვისას სრულიად გახევებულ, უგრძნობ სახეს უსვამდა სამართებელს. საწერი მაგიდა ბრძოლის ველს ჰგავდა, პერანგიც შემოფლეთილი ჰქონდა. როდის-როდის მოახერხა გონს მოსვლა, გამოწყობა და მანქანის გამოძახება.

სამასკაციანმა ქორწილმა ისე ჩაიარა, არაფერი შერეჩნია მახსოვრობას გამაყრუებელი მუსიკის გარდა, რომელმაც შთანთქა მოქეიფეთა გზნება და პათოსი. ამ არეულობაში დავითმა ვერც მეგობრების ნახვა მოახერხა, ვერც სიძე-პატარძალს მიაწვდინა ხმა; მის ირგვლივ შეიქმნა რაღაც ამორფული, განურჩეველი გარემო. სადღაც სიცილი ფეთქავდა, სადღაც გრძნობა იღვრებოდა, მონოტონური, გამაბრუებელი მუსიკა კი სულს აცლიდა ამ სიტყვებს და აქეთ-იქით ფანტავდა ფხაგამოცლილ ბგერებს. ხუმრობა, მინიშნება, ორაზროვნება და გულწრფელობა ერთმანეთს იყო გადახლართული და საუბრის ეს აბურდული, ათასფერად გადანასკვული ძაფი, აბლაბუდას ქსელივით ედებოდა დავითს.

კარგა ხნის წინათ გაეცლებოდა აქაურობას, მერაბთან შეხვედრის მოლოდინი რომ არა. არადა, ვერ წარმოედგინა, რომელი შეიძლება ყოფილიყო ის. არც ერთი სახე არ იმსახურებდა დავითის ყურადღებას; ვერც კი არჩევდა მათ ერთმანეთისგან. იქნებ ცალ-ცალკე არც არსებობდნენ ისინი და თავიანთ არსსა და მნიშვნელობას მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთობებში იძენდნენ?

დავითი ბოლომდე შერჩა ღრეობას, ვიდრე არ გაირღვა და არ ჩამოვარდა ერთმანეთს გადაწებებულ სახეთა ფენა და სუფრის კიდეზე მერაბი არ გამოჩნდა. შემთხვევამ შეახვედრა ისინი, შემთხვევამ, რომელსაც ამქვეყნად არ ეპოვებოდა მიზეზი და ამიტომ თავისთავადი და ყოვლისშემძლე იყო! ფიქრის გორიდან ბაზალეთის ქუჩამდე ფეხით იარეს. დავითს გაახსენდა, სად შეხვედროდა მას. ეს ის უცნობი იყო, რომელმაც მაიას სახლიდან უვნებლად გამოიყვანა და თავის გმირებთან დააბრუნა.

მერაბი მზად იყო აჯანყებისთვის. მისი გონების თვალი არღვევდა მატერიას და ახალ სინამდვილეს ქსოვდა. მერაბიც შეუძლებელს ცდილობდა, ოღონდ არა ნებით, არამედ გონების ძალით. გათენებამდე ლაპარაკობდნენ. დავითს არ ესმოდა, რას ეუბნებოდა მერაბი. აზრი რომელსაც აწვეთებდა, საოცრად ნათელი, მაგრამ სწორედ ამ თვალისმომჭრელი სიცხადის გამო მიუწვდომელი იყო მისთვის. ეს გაუგებარი, ეს ხატოვანი, ეს სახეებად ქცეული აზრი კი არ აბნელებდა, აღაგზნებდა მის გონებას, ერწყმოდა მის ფიქრებს, აღვიძებდა ნებას და აცოცხლებდა ოცნებას.

ამ ოცნებამ კვლავ დიდგორებისკენ გაიტაცა დავითი. მერაბთან საუბრის შემდეგ, ეს ფერმიხდილი, ეჭვით გაბზარული ქვეყანა ისევ გამთლიანდა, ფერ-ხორცით აივსო. დავითი ახლა სამადლოსაკენ მიიწევდა, სადაც მერაბთან ჰქონდა შეხვედრა დათქმული. მასთან შეხვედრა და შეერთება სულიერ ძალთა გამუდმებულ დაძაბვას საჭიროებდა; მაგრამ ცხოვრება თავისას ითხოვდა; ცხოვრება როგორც მაია, როგორც ტკბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სიზმარი, თან სდევდა მას, შემპარავად ადუნებდა მის ნებას და გრძნობათა მორევში ითრევდა. დავითმა იცოდა, რომ მაია დაეძებდა მას, მოდიოდა მის კვალდაკვალ, სოფლიდან სოფლამდე, მაგრამ დაეძებდა როგორც კაცს და ვერ შეიგრძნობდა სულს, საუკუნეებიდან გადმოსულს. ამიტომ იყო, რომ თუმცა სამადლოზე პირისპირ შეხვდნენ, ქალმა ვერ იცნო ის და განერიდა როგორც უცხოს. მისი ხილვით მონუსხული კაცი კი ფეხდაფეხ მიჰყვა და უცებ სამადლოს ეზოში აღმოჩნდა. აქ მას ჯარისკაცებმა გადაუღობეს გზა, ესროლეს კიდევაც; ტყვია გულზე დაკიდებულმა ჯვარმა აისხლიტა. დავითი წაბარბაცდა, მთელი სიმძიმით ოფიცერს შეასკდა, შემობრუნდა და მოქნეულ დანას ხელი დაახვედრა. „არ ესროლოთ! ცოცხლად დაიჭირეთ!“ — ყვიროდა ზევახი და დავითის ირგვლივ სწრაფად იკვრებოდა რკალი. უკან უკვე ვეღარ დაიხევდა; ყოველი მხრიდან იგერიებდა დარტყმებს და შეუმჩნევლად წინ მიიწევდა, შემდეგ უცებ ზამბარასავით გაიშალა, თავისი უზარმაზარი მუშტით გაწყვიტა მტრის ჯაჭვი და ვიდრე მეორედ ესროდნენ, თავის ცხენს მოახტა. წამიც და, უკვე ტეთანიისკენ მიქროდა, მთელი ძალით, სულისა და გონების მთელი დაძაბვით ცდილობდა ხაკისფერი სივრცის გარღვევას. ინტერნატისკენ არც ჩაუხვევია, კვესეთის გზით მიაღწია მონასტერს, მდინარეზე გადავიდა კლდეებს შორის გაძვრა. გაღმა ნაპირს უკვე მოადგა მდევარი სროლითა და ყიჟინით. ფონს ეძებენ. ნაკვალევს მოჰყვებიან. დევნილმა ერთხანს ცერად ატარა ცხენი, შემდეგ ისევ წყალზე გადავიდა და წვერისკენ აუხვია. სოფლამდე ვეღარ მიაღწია ზევახმა განჭვრიტა მისი გზა, მდევარის ნაწილი კვალში ჩაუყენა, ნაწილი კი პანტიანიდან გადმოიყვანა და წინ დაახვედრა.

— დაგვნებდი! — შეგაფონით გასძახა დავითს. — არაფერს დაგიშავებთ, თუ სამსახურს და ოჯახს დაუბრუნდები.

დავითი გადმოხტა, ცხენს მოეფარა, იარაღი დატენა და მტერს მიუშვირა. ვიდრე სული ედგა, უნდა ებრძოლა, თავი უნდა შეეწირა წმინდა ხაქმისთვის.

რაწამს განიზრახა თავგანწირვა, ვერეს ხეობიდან ხმაური მოესმა. ჯერ უეცრად მოვარნდილი მდინარის ჩხრიალი ეგონა, შემდეგ ნელ-ნელა გაარჩია შეძახილები და ჭენების ხმა. ეს ხმა თანდათან ძლიერდებოდა და, მტვრის კორიანტელთან ერთად, მთელ არეშარეს იპყრობდა. ბოლოს გაიფანტა მტვერი და დევნილმა სულ ახლოს მერაბი იხილა, თავისი მხედრებით. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მათ შორის მყოფმა ჯარისკაცებმა წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ მოასწრეს, ვერ მოასწრეს თუ ვერ გაბედს. მერაბის დანახვაზე ელდა ეცათ გადამთიელებს. იარაღი დაყარეს, თხრილი მიატოვეს და მთელი ძალით თავისიანებისკენ მოკურცხლეს. ვერ შეაჩერა ვერც იდეოლოგიურმა წრთობამ და ვერც სასჯელის შიშმა. მდევარი ისეთი შეძრწუნებით გარბოდა, თითქო ძეხორციელის ნაცვლად, მიქელგაბრიელი მისდევდა. მერაბი მაინც მისწვდა მათ და რამდენიმეს თავები დააყრევინა, შემდეგ დავითისკენ შემობრუნდა, მათრახი წინ გაიშვირა და ცხენს დეზები ჰკრა.

ისინი უცაბედად, ღვთის რისხვასავით დაატყდნენ თავს მტრის მთავარ ძლას. ვიდრე დანარჩენები მოშველებას მოასწრებდნენ, მერაბმა უკვე შუაზე გაჭკვეთა მდევარი. მისი მახვილი ელვასავით კრთებოდა მტრის სიუხვით ჩაბნელებულ სივრცეში, ელვასავით მიარღვევდა ამ სიბნელეს და უკან ერთმანეთზე დახვავებულ გვამებს სტოვებდა. ვიდრე ზევახი მოასწრებდა ძალთა შემოკრებას, აჯანყებულებმა გაარღვიეს ალყა და ზემოთ, ვანათისაკენ აუხვიეს. უმოწყალოდ მიაჭენებდნენ ცხენებს, რადგან გადამთიელები უკვე მოვიდნენ გონს და გაშლილი ფრონტით გამოუდგნენ. ამავე დროს მსტოვართა რაზმი, ზევახის მეთაურობით, ზედ ქედზე ავიდა და იქიდან სროლა-სროლით, თითქმის მხარდამხარ მიჰყვებოდა დევნილებს. მერაბის გუნდი საგრძნობლად შეთხელდა. ზემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან სეტყვასავით ცვიოდა ტვყია, ქვემოდან უკვე ეწეოდა მტრის გამძვინვარებული ტალღა. ვანათში ისეთი სისწრაფით ჩაიქროლეს, სოფლელებმა ვერაფრის გარჩევა ვერ მოასწრეს; ხეობიდან ამოვარდნილ მხედართა ქარი უცებ ქარიშხლად იქცა და ამ ქარიშხალმა ლამის წარიტაცა მათი ქოხები. დავითს ამ თავბრუდამხვევი ქროლისაგან დროის შეგრძნება დაეკარგა. ტყვიები ისევ ცვიოდა ციდან და ამ შეუწყვეტელ თავსხმაში მერაბის ყველა მეომარი დაეცა. დაჭრეს მათი ცხენებიც; ოირვემ დროზე მოასწრო გადმოხტომა და სირბილით აუყვნენ აღმართს, რომელიც თითქმის შეეფარა კლდეებთან თავდებოდა. ამ კლდის თავზე დიდგორის ველი იყო გაშლილი, სადაც დავითის ლაშქარი იდგა, მაგრამ მიუწვდომელი იყო მათი ბანაკი, ჩიტი თუ გადააფრინდებოდა ამ ცას მიბჯენილ კედელს.

ქედის მხრიდან და ქვემოდან კი სწრაფად ახლოვდებოდა მტერი. ყველაფერი დაიღუპა? აჯანყების ცეცხლით აელვარებული სულ გაუვალ კლდეებში იყო მომწყვდეული. მერაბს ან გააქრობენ, ან დაატყვევებენ. დავითს კი ისევ შთანთქავს ქალაქის უღიმღამო ცხოვრება.

ვიდრე სული უდგას, არ დანებდება! იქ, იმ უსახურ არსებობაში ჩაძირვას, ბრძოლაში დაცემა ურჩევნია! დავითი კლდის ქიმს მოეფარა და მთელი ძალით ჩაებღაუჭა ელვასავით დაგრეხილ ხმალს. მერაბმაც მოიხსნა ჩანთა, მაგრამ თოფის ნაცვლად, იქიდან თოკი, ჩაქუჩი და პალოები ამოყარა—თოკის ბოლო დავითს გადაუგდო და სწრაფად დაიწყო კლდეზე აცოცება.

— შეუძლებელია აქ ასვლა, — ეჭვით თავი გააქნია დავითმა.

— შენ საქმეში სწორედ შეუძლებელი უნდა შესძლო! — ჩამოსძახა მერაბმა.

დავითმა ხელი ჩასჭიდა კლდეს, მიწას მოსწყვიტა თავისი უზარმაზარი სხეული. მერაბი ერთი ნაბიჯით მაღლა იყო და ნაპრალში პალოს აჭედებდა. მზე ისე ეცემოდა მას, რომ თითქმის უხორცო, გამჭვირვალე ხდებოდა. სინათლითა და ზესწრაფვის სიხარულით იყო სავსე მისი ლანდი. ერთი ბზარიც კი არ გასჩენოდა მის ათასნაირად ნათრევ-ნაწამებ სულს. დავითი დაეწია მერაბს, შემდეგ წინ წავიდა და უფრო ზემოთ ჩაარჭო პალო, თოკი ზურგზე გადაიგდო, ფეხი ნაპრალს მიაბჯინა და დაზღვევისათვის დაიძაბა; მაგრამ მერაბს არ სჭირდებოდა დაცვა. მსუბუქად, ლამის უსხეულოდ მიცოცავდა კლდის სარკეზე. ამ სიმსუბუქემ, ამ ელვარებამ, ამ თამაშმა და შემოქმედებამ დავითიც აიტაცა. მას ახლა მწვერვალი უფრო იზიდავდა, ვიდრე მიწა. ღიმილით დასცქეროდა მთის ძირში თვშეყრილ გადამთიელებს, რომლებიც კედლის სიმაღლემ თუ დავითის ამაღლებამ, ცეროდენა თოჯინებად აქცია. მათ შორის დავითი ზევახსაც არჩევდა, ყველაზე მეტად რომ ყრიდა ცოფებს და დევნით ქანცგაწყვეტილ მეომრებს მათრახს უტყლაშუნებდა. რის გაჭირვებით წამოყარა ისინი ზეზე, ერთმანეთს გადაება და კლდეზე აუშვა.

ქვევით ნუ იყურები! — ჩამოსძახა მერაბმა. — თავბრუ დაგეხვევა!

დავითმა თვალი ვერ მოსწყვიტა მიწას. ის არ იყო ბოლომდე თავისუფალი. მაშინაც კი, როცა ივიწყებდა თავს და საგნებისაგან დაცლილ სიტყვას მისდევდა რიტმისა და მუსიკის წიაღში, არ კარგავდა სინანულის, მონატრების განცდას, რომელიც უკან, ამ ქვეყნისაკენ იზიდავდა მას. განყენების ნიჭის მიუხედავად, დავითი თავის ცხოვრებაში ფესვებგადგმული იყო, ვერ ივიწყებდა მაიას, როგორც ცხადად ქცეულ სიზმარს, ამიტომ ქვევით იხედებოდა, მონატრებულ სახეს ეძებდა და ამ სახემ უცებ ისეთი განცდითა და ტკივილით იელვა, რომ დავითმა ვეღარ შეიმაგრა თავი, კლდეს ხელი უშვა და მის შესახვედრად უფსკრულში ისკუპა.

მერაბმა რაღაც სასწაულით შეძლო მისი დაჭერა. მთელი ძალით ჩააფრინდა კლდის წვერს. თოკმა ზურგი გადაუყვლიფა, ხელები სისხლით შეეღება. დავითი ახლა ცასა და მიწის შუა ეკიდა და ქანქარასავით ეჯახებოდა კლდეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზევახი ზედიზედ ესროდა, ერთ-ერთმა ტყვიამ გაწყვიტა თოკი, მაგრამ კლდეს შეხეთქებული დავითი ქიმს ჩაებღაუჭა და ზედ შემაგრდა.

აქ, სიკვდილის პირას, როცა გაუწყდა თოკი და საკუთარი თავის იმედზე დარჩა, დავითს უცებ გაუქრა შიში. რაღაც მოირღვა, გათავისუფლდა მასში და ამ გათავისუფლებულმა, აქამდე უცნობმა და განუცდელმა ძალამ ზემოთ დიდგორებისკენ აიტაცა.

დავითს არ ახსოვს, როგორ მიაღწია მწვერვალს. ახსოვს მხოლოდ ის, რომ ბეწვზე მოასწრო აცოცება, უზარმაზარი კლდე მოსწყდა კედელს და ქვათა ცვენამ უფსკრულში ჩაიტანა ერთმანეთს გადაბმული ჯარისკაცები.

დავითს უცებ საშინელი დაღლილობა მოაწვა, მაგრამ აქ, უფსკრულის პირას, ვერ გაჩერდებოდა. ზევახი უკვე მიაღწევდა ბანაკს, წამოშლიდა მთელ თავის ძალებს და შემოვლით, ორპეთის მხრიდან ამოვიდოდა დიდგორზე. ამიტომ ორივენი ძალიან სწრაფად მიაბიჯებდნენ ხეკორძულას სათავისაკენ, სადაც დავითის გმირები იდგნენ. დაბნელებამდე მოასწრეს საძოვრების გადასვლა და ცოტა ქვემოთ, ქვათახევის მხარეს დაინახეს აქა-იქ დანთებული ცეცხლი. აქ დავითმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, თავისიანებს დაუყვირა და გრძნობა დაკარგა.

გონს უკვე თავის ბანაკში მოეგო. ამასობაში ხეობებიდან უამრავი ხალხი ამოსულიყო მასთან. ეს უკვე აღარ იყო უვიცთა ბრბო, ბრმად, გრძნობამორევით რომ მისდევდა დავითს. მოხალისეებს ფერი ჰქონდათ შეცვლილი; იცოდნენ, სადც მოდიოდნენ და რისთვის უნდა შეეწირათ თავი.

ხუთიათასზე მეტმა კაცმა მოიყარა აჯანყებულთა დროშის ქვეშ თავი. მათ შორის ფიქრის გორიდან წამოსული გმირებიც იყვნენ... მხოლოდ მდგმურებმა უღალატეს დავითს; ხათუნა, თემური, მურმანი, მოხუცი — მისი ხელით შექმნილი და ამქვეყნად დამკვიდრებული სახეები, მის წინააღმდეგ ამხედრდნენ.

დავითმა აჯანყებულები ნიჩბისის ხეობასთან გაამაგრა. ეს ხეობა ქვემოთ გადახერგა და ამით, ერთი მხრივ, უკანდასახევი მოუჭრა მათ, მეორე მხრივ კი, ზურგი დაიცვა მტრისაგან.

ინათა. დიდგორის ველი ხალიჩასავით გადაგორდა დავითის წინ. მზის აბლაბუდებში გაიფანტა ნისლი და მინდვრიდან ყვავილთა სურნელებამ დაჰბერა. ცისარტყელა გაიჭიმა ციდან ზეცამდე, მისი მკაფიო საღებავები ხასხასა ველზე გადმოსკდნენ და ფერთა ნიაღვარი ჯადოქრულად მიმოეფინა არეს. ეს არ იყო მისთვის ჩვეული სილამაზე. გამარჯვების წინ ოდესღაც ასე გაბრწყინდა დიდგორი და ეს სიმშვენიერე ახლა ახალი მოლოდინით დაუბრუნდა მას.

ერთ ნახვად ღირდა ველზე გაშლილი ლაშქარი! ამაღლების გზებზე დახვეწილი და გამობრძმედილი! თუმცა მიზანი ჯერ მიუღწეველი იყო, ჯერ არ შეიძლებოდა საკუთარი ქმნილებით ტკბობა, ამიტომ დავითმა განაგრძო შეწყვეტილი სიტყვა და მტრის შესახვედრად მზადება დაიწყო.

ზევახმა ჯარი ორბეთ-მანგლისის მხრიდან შემოიყვანა და ყორღანის უკან გაშალა. ამავე დროს დიღმის ხეობიდან სასახლის ჯარი ამოვიდა ჯოკერის წინამძღოლობით. მას შეუერთდა მდგმურების რაზმიც, მას თემური ედგა სათავეში.

ზევახს კიდევ ჰქონდა შევსების იმედი. გაუგებარია, რა ასაზრდოებდა ამ რწმენას, მეძებრის გეში თუ შორსმჭვრეტელი თვალი, რომელიც კი არ ხედავდა, გრძნობდა ნისლის ნაფლეთებით მოფენილ ყორღანს და მის ირგვლივ ყრუდ მოგუგუნე, მოლოდინით დამუხტულ მიწას.

აჯანყებულთა წინააღმდეგ თორმეტიათასმა კაცმა მოიყარა თავი. ზევახის ჯარი, ორ მწკრივად განფენილი, ყორღანის ირგვლივ განლაგდა. წინ გადამთიელთა ორი ათასეული იდგა, ომის ვეტერანის წინამძღოლობით, ბაბუაწვერას რომ მიუგავდა თავი. მათ უკან მსტოვართა მოტორიზებული დივიზია იდგა, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჯვნივ, სათოვლიასა და ნაბალირების თავზე, სასახლის ფრთა გაიშალა, მარცხენა ფლანგი მდგმურებმა დაიკავეს.

აჯანყებულთა ძირითადი ძალა, დავითისა და ჭოლას სარდლობით, ორ მთას შუა, ნიჩბისის ხეობის თავზე დაბანაკდა. მარჯვნივ, მთის იქით, დავითის მხედრიონი იყო ჩასაფრებული. მერცხენა ფრთაზე მერაბის დროშის ქვეშ ფიქრის გორიდან მოსული გმირები იდგნენ. სულ შეიკრიბა ხუთი ათასექვსასი კაცი.

ბრძოლა უთენია დაიწყო. ორიათასი გადამთიელი ხმლების ფარებზე ცემით შეტევაზე გადმოვიდა და ჭოლას ათასეულს დაეტაკა. მზის ამოსვლამდე თანაბარი გააფთრებით იბრძოდა ორივე მხარე. ყვირილის, სროლის, ჩეხისა და გოდებისაგან ისეთი ხმაური დგა, თითქოს ათასი მეხი ერთად არღვევდა ალიონის სისხლისფერ ცას.

ჭოლა ორი მახვილით ხელში ტრიალებდა და აქეთ-იქით ცელავდა მტერს. გადამთიელთა წინამძღვარი, თავი ბაბუაწვერას რომ მიუგავდა, გაშმაგებული მიიწევდა მისკენ. შორიდანვე ესროლა, მაგრამ ჭოლამ დავარდნა მოასწრო. ბაბუაწვერამ ხმალი ცულივით დასცა დავარდნილს, აჩეხავდა კიდევაც, ჭოლას გვერდზე გადაგორება რომ არ მოესწრო. ისევ მოუქნია, მაგრამ ჭოლამ აიცდინა დარტყმა, მარჯვნიდან გაკვეთა ჰაერი და ისე სუფთად და სწრაფად წაანყვიტა ბაბუაწვერას თავი, რომ მისი სისხლით მფეთქავი, გაოგნებული სხეული ერთხანს კიდევ ფეხზე იდგა, და უაზროდ იქნევდა ხმალს, შემდეგ საკუთარ თავს დაენარცხა და გაშეშდა. უმეთაუროდ დარჩენილი გადამთიელები მაშინვე აირივნენ, უკანუკან წავიდნენ; ჭოლა ისეთი ძალით აწვებოდა მათ, რომ უკან დახევა მალე გაქცევაში გადაიზარდა. მაშინ ზევახმა ბრძოლაში ფლანგები ჩააბა. მდგმურებმა და სასახლის ხალხმა ორივე ფრთიდან ერთდროულად შეუტიეს ჭოლას, მაგრამ აქ დავითმაც გასცა ბრძანება. ᲛᲗᲘᲓᲐᲜ მხედრიონი ჩამოვიდა და მდგმურებს ეკვეთა, მოპირდაპირე ფლანგზე კი მთელი ფიქრის გორა აიშალა და წინ აღუდგა სასახლის ჯარს.

ახალი ძალით გახურდა ბრძოლა. აფეთქებების ხმა, შეუწყვეტელი სროლა, ჯაჭვებისა და ძვლების ჩეხა, მომაკვდავთა კვნესა ერთმანეთს იყო შერწყმული. სამი საათი არ შეწყვეტილა სისხლისღვრა. ჯოკერმა ვერ გაუძლო მერაბის შეტევას, უკან დაიხია და თავისი ხალხი მსტოვართა ლაშქარში გაფანტა. მხედრიონმაც შეუტია მდგმურებს, ამასობაში ჭოლა უკვე შეიჭრა ცენტრში და სწრაფად გასწია მთავარსარდლის ბანაკისაკენ; და აქ მოხდა ის, რისი წარმოდგენაც ზევახს ნამდვილად არ შეეძლო, არა მხოლოდ თავისი მატერიალისტური მსოფლმხედველობის, არამედ სულიერი სიგლახის გამოც. მიწა შეინძრა, შეზანზარდა და უეცრად ყორღანიდან ნეჯმად-დინ ილღაზი გამოფრინდა უამრავ მხედართა თანხლებით. სისხლის სუნზე სხვა სარდლებმაც გაარღვიეს მიწა, აიკრიფეს ძვლები და ბრძოლის ველისკენ გასწიეს. ჩონჩხად ქცეულ სახეთა ლაშქარმა მოიცვა დიდგორი! დურბეიზ სადაყის ძე, თოღრულ მოჰამედის ძე, თბილისის ამირა და თუღარ არსლან კუზიანი დავითთან შესახვედრად მიჰქროდნენ! ჯერაც არ განელებოდათ შურისძიების ათასწლოვანი ცეცხლი! ილღაზის ხმალი ნახევარმთავარესავით მიუძღოდათ მათ წინ. იყო რაღაც შემაძრწუნებელი ამ სიმსუბუქეში, ამ სიზმრეულ ქროლვაში ელვის სისწრაფით შემოუარეს ყორღანს და ჭოლას მეომრებს ზურგიდან დაეცნენ. ილღაზმა შორიდანვე ისროლა ხმალი და ალესილმა ნახევარმთვარემ შუაზე გაკვეთა ჭოლას ჭრილობებით დასერილი სხეული.

ცენტრი და მარჯვენა ფრთა ახლა მხედართა აჩრდილებს ეპყრათ, ქარიშხალივით რომ ტრიალებდნენ დიდგორებზე და ირგვლივ ყველაფერს სპობდნენ. ზევახს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა შეიძლება ყოფილიყო ეს ბნელი ძალა - ამ ქვეყნის ჯალათად მოვლენილი, მაინცდამაინც თავს არ იტკივებდა თავისი ერის ისტორიის შესწავლით; ქვესკნელს მადლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწირა დახმარებისათვის, სწრაფად შემოიკრიბა დარჩენილი ძალები და რადგანაც ლანდების ჯარი დავითს მარჯვნიდან, ნიჩბისის ჩახერგილი ხევით უტევდა, სადაც მხოლოდ უხორცო ქაჯებს შეეძლოთ გასვლა, თვითონ მსტოვართა ლაშქარი პირდაპირ, მტრის შუაგულისკენ დასძრა.

აჯანყებულები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდენ. მათ ირგვლივ სწრაფად იკვრებოდა და მჭიდროვდებოდა მოსისხლეთა ჯარი. მაგრამ დავითი ამ განსაცდელსაც მშვიდად შეხვდა. სასწრაფოდ გამოიყვანა თავისი მონა-სპა და მსტოვართა ჯარს წინ დაუყენა. ამავე დროს მერაბს უკან დახევა უბრძანა და ფიქრის გორით ნიჩბისის ხევის მისადგომები გაამაგრა. ეს ბრძოლის ყველაზე მწვავე ადგილი იყო. მხოლოდ გონების უკიდურეს დაძაბვას უნდა შეეჩერებინა ქვესკნელიდან ამოფრენილი ძალა.

ილღაზი სწრაფად მიიწევდა მერაბისაკენ. შურისმაძიებელთა ვეება ჩრდილებით დაიქსაქსა ხეკორძულას სათავე. მერაბი ზედ ჩახერგილ ხეობასთან ჩასაფრდა. იცოდა, რომ ტყვია ვერაფერს დააკლებდა სიძულვილით ხორცშესხმულ ლანდებს, ამიტომ ფიქრის გორის მთელი ძალები ხელჩართული ბრძოლისთვის განაწყო. წინ ცხენოსნები ჩააყენა, რომლებსაც აღმოსავლეთის მხედართა პირველი დარტყმა უნდა მიეღოთ, მათ უკან და გვერდებზე კი რწმენით აბჯარასხმული მეომრები განალაგა, რომლებიც თანდათან ჩაებმებოდნენ ბრძოლაში და ფრონტის მთელ სიგრძეზე შეავსებდნენ დაცვის გაწყვეტილ ხაზებს.

ფიქრის გორასთან პირველი განძის ათაბაგი მიიჭრა. მოლოდინით დამუხტულ ღრუბელს მაშინვე გამოეყო თალხი მხედარი, რომელსაც თავისი სიმსუბუქის და მოუსვენრობის გამო, პეპელას ეძახდნენ. განძის ათაბაგმა მახვილი პირდაპირ დააძგერა პეპელას, რომელმაც მოასწრო გვერდზე გადაფერნა. უსხეულო ათაბეგმა მაშინვე შემოაბრუნა ცხენი, მაგრამ პეპელამ მოსასხამი გაშალა, ათაბაგს ცხვირწინ აუფრიალა და სიბრაზისაგან ბრმადმოძრავი მხედარი ერგვლივ შემოიტარა. შემდეგ თავბრუდახვეულ ლანდს ელვასავით დასცა ხმალი და მისი სილუეტი ათასფერ შუქჩრდილებად გაფანტა.

ამის დანახვაზე დურბეიზმა და თბილისის ამირამ ხმლები იშიშვლეს და პეპელას შეუტიეს. მაშინ ფიქრის გორიდან გმირები გამოცვივდნენ და რაღაც წარმოუდგენელი სვრემა დაიწყო! ლანდებს არ სდიოდათ სისხლი, თავმოკვეთილნი, უკან მიფრინავდნენ და პირდაღებულ სამარხებში წვებოდნენ. ილღაზი მოჩვენებასავით დაჰქროდა მათ შორის, ამხნევებდა შიშით გაფანტულ მეომრებს, რაღაც გაუგებარ სიტყვებს ისროდა და ამ სიტყვებზე ახალ-ახალი მხედრები ამოდიოდნენ მიწიდან! ფიქრის გორის ჯარი კი თანდათან ილეოდა. ილეოდა, მაგრამ უკან არ იხევდა. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა ებრძოლათ, როგორმე უნდა შეეჩერებინათ ყორღანიდან მოწოლილი წყვდიადი, რომ დავითის ძირითადი ძალა არ მოხვედრილიყო ალყაში. მერაბი ხეკორძულას სათავესთან იდგა და ზედიზედ იგერიებდა ალყაშემორტყმულ ლანდებს. ამ ლანდებს შორის ილღაზს დაეძებდა, რომ სამუდამოდ დაედუმებინა ახალ მოლანდებათა გამომწვევი ხმა. თავის მხრივ, ილღაზიც მიიწევდა მერაბისკენ, რადგან მერაბი იყო ალყაშემორტყმული მტრის ჯერ ჩაუმქრალი, მფეთქავი გული. შეანგრევდა ამ გულს და დავითსაც მიაწვდენდა ხმალს, დამშვიდებული დაუბრუნდებოდა მარადისობის ყორღანს.

და აი, მზის ჩასვლისას, როგორც იქნა, იპოვეს ერთმანეთი! ილღაზმა თავის მხედრებს გაჩერება უბრძანა. თვითონ კი მახვილი წინ გაიშვირა და ცხენი გააქროლა მერაბისაკენ, რომელმაც მოასწრო შემობრუნება და ხმალს ხმალი შეაგება. ვერც ერთმა ძალამ ვერ იმარჯვა. მაშინ ილღაზმა ცელივით შემორტყმული ნახევარმთვარე მოიხსნა და ქვემოდან მოუქნია. ცხენს ფერდი გაუსკდა, მერაბმა მოასწრო გადმოხტომა და თვითონაც გაკვეთა ცხენის აჩრდილი. ახლა ილღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიც ძირს აღმოჩნდა. შეუძახეს და ეცნენ ერთმანეთს. მეომართა ყვირილმა შეაზანზარა დიდგორის ველი. ბოლოს გონების თვალის სიზუსტემ სძლია ბრმადმოძრავ სიბრაზეს. მერაბმა აიცდინა ილღაზის დარტყმა და წონასწორობადაკარგულ მტერს მთელი ძალით ხმალი დასცა, მაგრამ სწორედ ამ დროს თუღარ არსლან კუზიანმა მშვილდი მოზიდა და შიგ გულში გაუყარა ისარი.

მერაბი დაეცა. სასიკვდილოდ დაჭრილი ილღაზი კი თავისიანებმა ისევ ყორღანისაკენ გაიტაცეს. დადუმდა მოლანდებათა გამომწვევი ხმა. განიბნენ და სამარხებში ჩაწვნენ უმეთაურო ლანდები. ფიქრის გორის ჯარიც მთლიანად გაწყდა, მაგრამ თავისი ვალი მოიხადა. დავითმა მოასწრო ძირითადი ჯარის ალყიდან გამოყვანა, უკან დახევა და ხეობის კართან გამაგრება.

დაღამდა. ორივე მხრაე ჭრილობებს იშუშებდა. აჯანყებულებმა ორი ათასი კაცი დაკარგეს. ზევახის დანაკლისი კი ოთხი ათასს აღწევდა. დავითს გათენებამდე არ მოუხუჭავს თვალი. მთელი ღამე ლოცვად იდგა სიზმარ-ცხადის ხიდზე. გრძნობდა მერაბის დაღუპვას, ხედავდა, როგორ ილეოდა ფიქრის გორიდან წამოსული შუქი, მაგრამ სადღაც, ახლა უკვე მის არსებაში ახალი ნაპერწკალი ფეთქავდა, ნება ცოცხლდებოდა, ნება, რომელმაც თოკის გარეშე, ერთი ამოსუნთქვით დასძლია დიდგორის კლდეები და აიყვანა მიუწვდენელ მწვერვალზე.

მთელი ღამე თვალწინ ედგა ცისფერთვალება კაცი. არაფერს ეუბნებოდა, მხოლოდ უღიმოდა და ამ მიუწვდომელ ღიმილში დავითმა ამოიცნო თავისი ხვალინდელი ნაბიჯი.

ახლა მან უკვე იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა და ის, რაც მან გააკეთა, აღმოჩენასავით შევიდა მატერიასთან ბრძოლის ისტორიაში.

ინათა თუ არა, დავითმა განაწყო თავისი ლაშქარი, შემდეგ ბრძოლის ველზე გააბიჯა და მარტოდმარტომ გასწია მტრისაკენ. ზევახი ხეირიანად არც იყო გამოღვიძებული, როცა შეატყობინეს ნიჭის ამ სასწაულებრივი ნაბიჯის შესახებ. მან მაშინვე გადაწყვიტა, რომ სული ნებდებოდა მატერიას. ამიტომ გასცა ბრძანება. გადამთიელები მოწიწებით განზე გავიდნენ და ბანაკში შემოუშვეს დავითი, რომელმაც უცებ იძრო იარაღი, მცველები ამოხოცა და ზევახს ზედ ყელზე მიაბჯინა ხმალი.

მსტოვრები უკუიქცნენ. ერთი ნაბიჯი და, დავითი სულს გააფრთხობინებდა მათ სარდალს. ამ უკუქცევამ წინა რიგებიც არია. გადამთიელებმა იფიქრეს, მტერი ზურგიდან დაგვეცაო. ამასობაში მხედრიონმა მძლავრად შეუტია მდგმურების ფრთას, მონა-სპა კი პირდაპირ წამოვიდა და ცენტრში ჩემოიჭრა.

მზის ამოსვლამდე ყველაფერი დამთავრებული იყო! კოალიციის ჯარი გარბოდა, გარბოდა არევ-დარევით, გაფანტულად. სასწაულით თავზარდაცემულმა გადამთიელებმა სასახლის ჯარიც გადათელეს. ამაოდ ცდილობდა მათ შეჩერებას ჯოკერი, ჯერ ამხნევებდა, მერე ეეედრებოდა, ბოლოს კი ემუქრებოდა ეაი, მაგრამ გაქცეულ ჯარს ვერც ხვეწნა და ვეღარც მუქარა ვერ აჩერებდა. მათ მოსდევდათ ღვთის რისხვად ქცეული ნიჭი და ამ ნიჭთან შეხვედრას, საკუთარ ბანაკში სიკვდილით განჩინება ერჩივნათ.

დავითმა მთაწმინდის ფერდობებამდე სდია მტერს. თითქმის მთელი ლაშქარი გაწყვიტა. ზევახი უკვე დატყვევებული ჰყავდა. ეხოლოდ ჯოკერი გადარჩა. უსახომ და მოუხელთებელმა, შეუმჩნევლად განვლო მათ შორის და კვლავ ჩაიბუდა სასახლეში.

ასე დამთავრდა ეს ომი. ომი, რომელმაც გამოაღვიძა და აამაღლა სული. სული აღმაშენებელი, სული შემომდგარი მთაწმინდის თავზე, ნისლად ქცეული ქალაქის თვალწინ, რომელიც უკვე ცნობდა მას და ელოდა მისგან განწმენდას. მაგრამ ამ განწმენდისათვის ახალი ძალა, ახალი სიტყვა, ახალი ნიჭი და შთაგონება იყო საჭირო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ ზაზანაშვილი

ძაღლის თვალებით

ისევ ცუდად წვიმს, წვიმს — ცის
წვალება
აღარ გათავდა, იქნებ გათოვდეს...
და უპუტრონო ძაღლის თვალები
ამ დეკემბერში აქვს სიმარტოვეს.
ხომ იყო გზები, თუნდ არეული,
მაგრამ გულწრფელი, ხომ იყო გუშინ?
დღეს — ტელეფონი დამუნჯებული
და აბლაბუდა საფოსტო ყუთში.

სიყალბე თურმე მთავრდება ასე:
უჩინარდება არჩევნის ტვირთი
და უნებლიეთ გადიხარ გზაზე,
რომელიც სიმარტოვისკენ მიდის.
მერე კი სულ წვიმს, სულ წვიმს
წვალებით
და იმედები მშვიდად ქრებიან...
და უპარტონო ძაღლის თვალებით, —
სული ცის გუმბათს მისჩერებია.

სასაზღვრო სიტუაცია ანუ ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ერთია

ტლანქი სხეულით, ღამე ეშვება,
ღამე ეშვება ყრუდ და ჯიუტად,
მთვარე მკვეთრდება, როგორც ეშვი და
ალბათ, ასეთ დროს შეცდა იუდა;
ალბათ, ასეთ დროს, როდესაც ცოდვა
ასე ახლოა, ასე მიზიდავს
და ასე მიჭირს, უბრალო მოკვდავს,
არ დამცდეს მრუდე სიტყვა პირიდან;
მიჭირს, არიან თანაც ისინი —
ცოდვას ცოდვაში არც ჩამითვლიან —

მოკვდა ღმერთი და მოკვდა სინდისი
რა სახარება, ან რის ბიბლია?!
ღამე კი, ღამე ყველასგან მთიშავს
და ვებრძვი მარტო ჩემ ცოდვილ წიაღს.
დუმილი ახლა არაფერს ნიშნავს —
არა ან დიახ, არა ან დიახ...
ნუთუ ერთია, მაინც ერთია?
ღმერთს ხომ არ ვყიდი, როგორც იუდა?..
მთვარე მკვეთრდება, როგორც ეშვი და
სულში ეშვება ყრუდ და ჯიუტად.

კითხვის ნიშნებიანი ლექსი

რა გინდა?
სიზმარში მაინც რატომ არ დამანებებ
თავს?
ვიცი, ჩემზე ძლიერი ხარ,
ჩემი ხარ, ჩემში ხარ,
ჩემთან ერთად დაიბადე,
ჩემთან ერთად გაიზარდე,
და ჩემთან ერთად დაასრულებ ყოფნას.
მეტი რაღა გინდა?
სიზმარში მაინც... მაგრამ იქნებ

სიზმარი მართლა ხატოვანი გამოცანაა
ერთადერთი შეკითხვით: სადა ხარ შენ?
მაშინ სჯობს ბრმანაწლავის ოპერაცია
გავიკეთო —
იქნებ იმ კუბელივით
ოცდაათი წელი თვალი აღარ მოვხუჭო.

რა გინდა? სიზმარში მაინც...
მაგრამ შენ ხომ სიტყვაცა ხარ?
სიტყვა მაძრწუნებს —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ხომ შენს მხოლოდ ერთ სახეს
ვიცნობ—
სიტყვას.
ნუთუ შენზეა ნათქვამი —
თავიდან იყო სიტყვაო?
შენზე იქნება, შენ იქნებოდი თავიდან,
სხვა — რა?
დასასრული და დასაწყისი რამ გაჰყო?

მაშ, დავმშვიდდეთ — შენა ხარ სიტყვა.
ოღონდ სიტყვასაც ხომ შეიძლება
რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს?
მაგალითად, სიტყვა „თვალი“
სხეულის პატარა ნაწილსაც აღნიშნავს
და იმასაც, რაც გაკავშირებს
შუქთან, ცასთან.
შენ რაღას ნიშნავ?
როგორია შენი მეორე სახე?
ან იქნებ მესამეც გაგაჩნია?
ჰგავხარ თუ არ სიტყვას „ღიმილი“,
ან სიტყვას „მუსიკა“?
თუმცა შენ ყველაფერს ჰგავხარ —
შენ ხომ მარტო ჩემში არა ხარ,
შენ ყველაფერში ხარ,
შენ ყველაფერს ჰგავხარ
და არ ჰგავხარ არაფერს,
სასაფლაოს ჯვარსაც კი.

სიზმარში მაინც...
რა გაღელვებს, გაფორიაქებს?
დამშვიდდი —
ჩვენ ვერაფერი დაგვაშორებს
ერთმანეთს,
ვერაფერი.. ვიდრე სიტვყის ნიღაბს
მოიხსნიდე;
ხოლო ვიდრე გიკეთია — შენ არსებობ
და არც არსებობ,
როგორც სიტყვა,
როგორც ღიმილი,
როგორც მუსიკა.

●

დრო განა მართლა ყველაფერს
წაშლის —
ყველაზე წმინდას ვერ წაშლის, ვერა! —
ნუშის ყვავილთა თოვაში, ხალხში
თვით აღმაფრენა მიდის და სჯერა!

დრო განა მართლა ყველაფერს
წაშლის —
ყველაზე მღვრიეს მაინც დატოვებს —
ფოთოლცვენაში, ძველისძველ ბაღში,
მხრებში მოხრილი, დუმს სიმარტოვე.

●

ველარ ვპოულობ საერთო ენას
ვერც მეგობრებთან, ველარც
მშობლებთან.
ვუმზერ ვარსკვლავთა უსულო ცვენას
და გულით მინდა გამოთხოვება
წარსულთან... მაგრამ წარსული მე ვარ,
მე ვარ მხოლოდ და მხოლოდ წარსული.
თითქოს ცის ფსკერზე უაზროდ ვწევარ,
დროის და სივრცის იქით წასული.

●

თოვდა,
იმ წუთას მართლა მჯეროდა, ის
რასაც ვამბობდი,
მაგრამ სად არის ის წუთი —
თოვა!..

ლეონიძეები

●

მზე ამოდის, რომ ჩაქრეს.
მზე ქრება, რომ კვლავ ამობრწყინდეს.
მზე არა ჰგავს ადამიანს.

ივსება მთვარე, რომ დაიცალოს.
იცლება მთვარე, რომ კვლავ აივსოს.
მთვარე არა ჰგავს ადამიანს.

ადამიანს ჰგავს ბალახის ღერი,
ჭიანჭველა,
ოთახის ბუზი.

●

და როდესაც საბოლოოდ ხელს ჩაიქნევ
მაინც გახედე ცას
და ბელურებს

●

საქართველო ღმერთების
ისეთივე საჩუქარია,
როგორიც — სიზიფეს ლოდი.

მაგრამ მაინც იქნება

Contra spem spero

რას ვუქცერ იმედის თვალით
ამ ნაცრისფერ წვიმებს —
ვიცი, არც დღეს გადაიღებს,
მაგრამ მაინც იქნებ..

ან და რისთვის ჩავაციედი
ამ ჭკვიანურ წიგნებს —
ზღაპარია, კარგად ვიცი,
მაგრამ მაინც იქნებ...

ან კი სულაც რაღას ვწვალობ
ყოფნას ჩავკირკიტებ —
ვიცი, ამაოებაა,
მაგრამ მაინც იქნებ...

მეჯლისი

ამ სახეების მღვრიე მორევში
ვინღა გაარჩევს მტყუანს და მართალს?
ცოფიან ცეკვას უკრავს ორკესტრი
და მეჯლისს მართლა სატანა მართავს.
თითქოს აკრძალულ ნაყოფის ხილვამ
პირველყოფილი აღძრა ვნებანი,
როკავენ ხელფეხგადახლართულნი
ხორციელნი და მოჩვენებანი,
მეძავები და უბიწოები,
რაინდები და თითლიბაზები.
სადღაა ჟამი განმარტოების,
გულდამშვიდების და გააზრების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავაწყვეტილნი როკავენ, ძრწიან —
განცხრომასავით ტკბილი წამებით —
ვილაცას ფეხი დაუცდა — ყრია,
აქა-იქ უკვე ყრია გვამები.

ცოფიან ცეკვას უკრავს ორკესტრი
და მეჯლისს მართლა სატანა მართავს,
ამ სახეების მღვრიე მორევში
ვინღა გაარჩევს მტყუანს და მართალს?

●

ცვივა ფოთლები, ცვივა წუთები,
ქუჩებს უხდება ყვითელი გრიმი
და ცუდი შვილი სახლში ვბრუნდები,
ვიცვამ გადაღლილ სახეზე ღიმილს,
მაგრამ ღიმილი აღარ მერგება,
როგორც ბავშვობის რბილი პერანგი.

არც მეტირება, არც მემღერება,
ვბრუნდები, რადგან დედა მეძახის.
ისევ ყველაფერს დედა ართულებს,
მეც ისევ ვუთმობ და ტყვედ ებარდები
და აი, ჩემი მეცხრე სართული,
ყალბი ღიმილი და გასაღები.

მცხეთის ჯვარს

მონუსხულივით ისევ შეგცქერი—
უშენოდ ჩემი ყოფნა ფუჭია,
მაღლა დგახარ და რკინის ფესვებით
სრულიად ქართლი ჩაგიბღუჯია.
კი არ აგაგვს, კი არ აღგმართეს,
ამოიზარდე თვითონ მიწიდან.
ისევ მოვდივარ მძიმე აღმართში —
ანდამატივით ისევ მიზიდავ.
და თუმცა თვალი გეჭირა ცისკენ,
ბევრჯერ მაცდური იდგა ამინდიც,

შენ შეგიყვარდა ეს მიწა ისე,
რომ ველარ დათმე, ველარ გაფრინდი.
შენ ყოველივე ნახე და გესმის,
შენ ხატიცა ხარ და შემოქმედიც.
პატიებას გთხოვ, რომ ერთი ლექსი,
ულირსმა შვილმა, მეც შემოგბედე.
შემოგბედე და მუხლზე ვეშვები —
უშენოდ ჩემი ყოფნა ფუჭია,
მაღლა დგახარ და რკინის ფესვებით
სრულიად ქართლი ჩაგიბღუჯია.

პოლკოვნიკს

მარკესის სამყაროდან

არა — გზა, არა — გამოსავალი,
ისე გამყარდა ფესვები ბნელის, —
ლოდინს არ აქვს არც ნატამალი
საღი აზრის და
თქვენ მაინც ელით.

ნახეთ ყოველი, იმდენი ნახეთ —
მოკლული ძისთვის არ შეგრჩათ
ცრემლი.
იცნობთ ჟამთასვლის ციხიკურ სახეს,
თვალებში უმზერთ
და მაინც ელით.

ოქტომბრის წვიმის უსახო ტოტი —
თქვენი ცხოვრების ამდენი წელი.
წერილი არა და აღარ მოდის
და აღარც მოვა
და მაინც ელით.

და მამალივით სუსტსა და ამაყს,
იმედს ვერ ისპობთ თქვენივე ხელით.
პურის ნატეხი, ფინჯანი ყავა,
ხანდახან — ფაფა...
და მაინც ელით.

მოლოდინია ბოლო საყრდენი,
უტყვი პროტესტი, თუ ჩუმი ცეცხლი.
მზე აღზევდება და ბნელს განდევნის,
მზე აღზევდება,
რამეთუ ელით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ავალიანი

ტკივილი

მოთხრობა

ეს მანამდე იყო, სანამ დონის დედა გველად გადაიქცეოდა: კედლის ჭუჭრუტანიდან უყურებდა დონი, როგორ რეცხავდა დედა ჭურჭელს ონკანთან. ლამაზი, ძლიერი ფეხებით მკვიდრად იდგა მიწაზე. ისე გამალებული ამოძრავებდა ხელებს, იქვე მდგარი უზარმაზარი თასი სწრაფად ივსებოდა ჭურჭლით. სხვა რაღა უნდა ყოფილიყო შრომის ჰიმნი, თუ არა ეს განუწყვეტელი ჭურჭლის წკრიალი და დანა-ჩანგლის რაჩხარუჩხი, წყლის ჩხრიალის აკომპანიმენტით. წუთით თუ წყდებოდა ეს ჰიმნი, მაშინაც დედა წინ გადმოყრილ თმას მკლავით გადაიწევდა ხოლმე უკან ან სახიდან წყლის წვეთებს იწმენდდა.

რა ლამაზია დედა, ნუთუ ეს ენერგიული ქალიც იქნება როდისმე დავრდომილიო, ფიქრობდა დონი და „როდისმეზე“ მწარედ ეღიმებოდა, როდისმე კი არა, ერთ გაელვებაშიო, ამატებდა ფიქრში და იმ წუთის ბედნიერებასაც იმწარებდა. ჭურჭლის რაწკარუწკი უკვე სევდიან ჰიმნად აღწევდა მის ყურამდე და კედელზე მიყრდნობილი, ცრემლებს ღვრიდა.

მერე ერთხელ კიდევ აეკვიატა ასეთი ფიქრები და აი, რატომ: იმ დილით მეზობელი ქალი შემოვიდა ენის გასასვლელებლად, ძალიან გამხდარი იყო, ძვალზე ტყავი ჰქონდა გადაკრული (მისი ჩონჩხის წარმოდგენას დიდი ფანტაზია არ სჭირდებოდა), ლოყები ისე ჰქონდა ჩავარდნილი, თითქოს სულს ღაფავსო, მაგრამ მისი მჭექარე ხმა დაგამშვიდებდა. იჯდა და სიცილით იხრჩობოდა საკუთარ ნაამბობზე. სასაცილო თითქმის არაფერი იყო, ლოგინად ჩავარდნილ, გონებადაბინდულ დედაზე ყვებოდა:

— საჭმელს რო ვაჭმევ, ყოველთვის ვეკითხები, ძე თუ მცნობ-მეთქი. ვერაო, შეწუხდება ხოლმე, ვერ გიცანიო. შენი შვილი ვარ-მეთქი, ვეუბნები, რომელიო, მაკვირდება, მერე გამომკითხავს: გათხოვდი თუ არა, შვილი რამდენი გყავსო...

დონი გაოგნებული შეჰყურებდა ამ მოხითხითე არსებას. ისეთი გამხდარია, ეტყობა, გრძნობებისთვის ადგილი აღარ დარჩენიაო, ფიქრობდა. შეწუხებული ტახტზე დედის მოქარგული ჰაწაწინა ყურთბალიში ეგდო. დასწვდა და აიღო. ყურთბალიშის შეხებამ ცოტათი დაამშვიდა. იმ წუთში დედა ფარდებს ასწორებდა, მანამდე მტვერი გადაწმინდა. ჩვევა ჰქონდა ასეთი, გამუდმებით საქმიანობდა, ჯდებოდა თუ არა, იმწამსვე რული ერეოდა. დონიმ გულისტკივილით შესცქერა მის ლამაზ ტანს, ჯოხშემართულ ირძელ მკლავს, მონდომებით რომ ასწორებდა ფარდას და რომ არ ატირებულიყო, სწრაფად მოარიდა თვალი.

— ქმარი სადა გყავს-მეთქი, ვეკითხები, რაღაც ადგილი მითხრა, იქ წავიდაო...

დონი აღარ უსმენდა მას, ყურთბალიშს ჩასჩერებოდა, ერთ-ერთ კუთხეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სახელი იყო ამოქარგული და იმას ეძებდა. დედა ახლა ტახტის გადასაფარებელს ასწორებდა, შენ რა გითხარიო, მხარზე უბიძგა მეზობლის ქალს, ეტყობა, რაღაც თქვა ისეთი. ქალი გადაფიჩხდა.

— დონი, გიოს გახედე შენ გენაცვალე! — შეეხვეწა დედა. დონი ადგა და ძმისწულის მოსაძებნად გავიდა.

ღამით, თავის ჩაბნელებულ ოთახში იწვა და ტიროდა. ღია ფანჯარაში მთვარით განათებული კაკლის ხე მოჩანდა. კაკლის ხე ერქვა, თორემ მისი ნარჩენიღა იყო: ერთ დროს ბუმბერაზსა და ლამაზს, ჯამხმარ შტამბზე ერთადერთი საღი ტოტი უკონწიალებდა. იმდენი ხადეს არაყი მის ჩრდილქვეშ, რომ დაფუღუროვდა და ხმობა დაიწყო.

დედა შემოვიდა და თავზე დაადგა მტირალს. იმ სევდისა და ტკივილის სიტკბო სადღაც ჩანდა და ჩაიღვარა, სირცხვილიღა დარჩა მისგან. იცოდა, რომ ტირილი აბრაზებდა და აშინებდა დედას. თანაგრძნობას არ ელოდა მისგან, ერთს მკვახედ ეტყოდა:

— რა გატირებს გოგო, ღმერთს ნუ აწყენინებ, არ ვარგა ტირილი!

მაგრამ მაშინ დედა არ გაბრაზებულა. მიუწვა და მოეფერა. დონის უფრო ამოუჯდა გული.

იმ ღამიდან სულ ცოტა ხნის მერე დონის დედა გველად გადაიქცა. წინა დღით თითქოს არაფერი შეუნიშნავს მნიშვნელოვანი, გარდა იმისა, რომ ოდნავ ნაღვლიანი იყო და იმდენს აღარ ფუსფუსებდა. ესეც მერე აღიდგინა, მოგვიანებით, როცა ყველა წვრილმანს იხსენებდა, ჩაჰკირკიტებდა.

ზაფხული იყო და ეზოში უსაქმოდ ისხდნენ.

— მეტი შვილი უნდა გამეჩინა, — ნაღვლობდა დედა, ალბათ, ფიქრობდა, მარტონი ვართო. ნიავიც კი არ იძვროდა, ირგვლივ თითქოს, უძრაობა და სიცარიელე გამეფებულიყო, მაგრამ ეს მხოლოდ მათთვის ჩანდა ასე, სინამდვილეში დრო მიჰქროდა. მზე, რომელიც იმ წუთში თავზე დაჰყურებდათ, უკვე საკმაოდ გადახრილიყო. ვაშლისა და ქლიავის ხეები ნაყოფით იყო დახუნძლული, დროდადრო ისმოდა ტყაპანი, — გადამწიფებული ვაშლი ან ქლიავი წყდებოდა ხეს. ძირს, ბალახში დაცოცავდნენ ჭიანჭველები თუ სხვა მწერები, მაღლა ფრინველთა უსასრულო ნავარდს თვალს ვინ მიადევნებდა. ეს იმდენად ჩვეულებრივი იყო, იმდენად ნაცნობი, არც ადიქმებოდა. უჩვეულო მხოლოდ ის იყო, რომ დედას საკერავი არ ეჭირა ხელში, უქმად იჯდა.

მერე ჭიშკარში გიორგი და მამამისი გამოჩნდნენ.

— ბებო, ბებო! — თვალები უბრწყინავდა გიოს.

— შენ შემოგევლოს შენი ბებია, — ჭიშკრისკენ მიიჩქაროდა დედა, ჰატარა, ხუჭუჭთმიან ბიჭუნასაკენ მიიჩქაროდა. მწარედ ახსენდებოდა დონის, როგორ წამოჰკრა დედამ სიჩქარეში ფეხი რაღაცას (ალბათ, ხის გადანაჭერი თუ იყო, ან ნიჩაბი) და ტკივილისაგან ჩაიკეცა. მზე ამ დროს თითქმის ჩადიოდა. ბევრი რამ იცვლებოდა ამასობაში.

●

დონის დასამთქნარებლად გაღებული პირი გაუშეშდა. იმ ლოგინზე, სადაც დედა ეგულებოდა, დახვეული გველი იწვა. რაღაცამ ისეთი ძალით დაჰკრა თავში, წაბარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა. ფლოსტები დაყარა და გარეთ გავარდა. ისევ დაჰკრა თავში რაღაცამ. ხმის ამოღება უნდოდა და, ვერაფრით ახერხებდა. სუნთქვაც გაუჭირდა. დარწმუნებული იყო, კვდებოდა და, დედაო, ამოიხრიალა. უეცრად გიო მოაგონდა და უკანასკნელი ძალა მოიკრიბა. მოგვიანებით, ვერა და ვერ გაიხსენა, როგორ გამოიყვანა მძინარე ბავშვი თავის ოთახში. ახსოვდა მხოლოდ ის, რომ გონს მოსულს უკვირდა, რატომ იწვა იატაკზე. გიოს საწოლზე ეძინა. მერე ყველაფერი გაახსენდა და ხელმეორედ დაკარგა გრძნობა. ისევ რომ მოვიდა გონს, საშინელი უიმედობა დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლა. თავის წამოწევას, სიკვდილი ერჩია. ეგონა, საშინელებებით იყო გარშემორტყმული. იწვა და ნატრობდა: რა იქნება, რაღაცა ძალამ შეგვიფაროს. უცებ, შემზარავმა წინათგრძნობამ მოიცვა მისი გონება და ზამბარასავით წამოაგდო. მძინარე ბავშვი აიყვანა და კარს ეცა. კარი გადაკეტილი ჰქონოდა, ვერ გაბედა გაღება და გადაწყვიტა, ფანჯრიდან გადამძვრალიყო. რის ვიბვაგლახით მოახერხა გადახტომა. გიოს გაეღვიძა და ბებო მოიკითხა. ბებო სადღაც გაპარულა და ახლავე ვიპოვითო, ესღა უთხრა ბავშვს. დონი დედის საძებნელად მიდიოდა, ბიძა ცხოვრობდა იქვე ახლოს, დედის ძმა და, მისი სახლისკენ გარბოდა. ერთადერთი უსაზღვრო, უზომო, უკიდეგანო სურვილი დაუფლებოდა, — დედის ნახვის სურვილი, სხვა ყველაფერი გამქრალიყო, შიშიც კი. ეჩვენებოდა, რომ ამ სურვილს გაყოლილი მისი ნაწილი მიქროდა შარაგზაზე, თვითონ კი ისევ იატაკზე იწვა და ცდილობდა სიზმრიდან გამორკვეულიყო. ის ნაწილი თვალებად იყო ქცეული. სხვა არც ერთი გრძნობის ორგანო არ გააჩნდა. ვერც გიორგის მხიარულება აღწევდა ამ ნაწილამდე და ვერც ჩიტების ჭიკჭიკი, არც ჭიშკრის ჟღრიალის ხმას გაუღიზიანებია, ასე თვალებად ქცეულმა გაიარა ცარიელი ეზო და სამზადში შევიდა. ჩვეულებრივად, იქ ამ დროს ვინმე უნდა ყოფილიყო, მაგრამ არავინ დახვდა, არადა, იმდენად უნდოდა ვინმე დახვედროდა, კართან ხმებიც კი მოესმა, თითქოს დედის ხმაც გამოარჩია, მაგრამ შიგნით უბადრუკი სიცარიელე დახვდა. დონი უღონოდ დაეშვა სკამზე. დიდი ვენური სკამი თითქოს თანაგრძნობისთვის იდგა იქ, მხოლოდ იმისთვის, რომ ყველაზე სასოწარკვეთილი დაშვებულიყო ზედ. დონი დარწმუნებული იყო, რომ ეს იმედის ყველაზე დიდი დაკარგვა იყო. ამის ტოლფასი, მხოლოდ ადამიანის სამოთხიდან გაძევება თუ იქნებოდა.

ყველაზე საშინელს უკვე მიმხვდარი იყო და უსასოობაშეყრილმა ისევ ინატრა, ნეტავ, მიწა მაინც გაიხსნებოდეს და შემიფარავდესო. აღარ შეეძლო ამ დაგვილ-დაწკრიალებულ სამზარეულოში ჯდომა. მაგიდაზე გადაფარებული ყვავილებიანი მუშამბა სისუფთავისაგან ლაპლაპებდა. წყალი სულ ახლახან აეღოთ და დოქის ზურგზე დასკუპებული წყლის წვეთები ნელ-ნელა სინისკენ მიცოცავდა. დოქს გვერდით კრიალა ჭიქა ედგა. გარეთ ასეთი რამ ხდებოდა, აქ კი ამდაგვარი წვრილმანები იყო გათვალისწინებული.

ბიძამისი რომ შემოვიდა, დონი თითქმის უგონოდ იჯდა და ერთ წერტილს მიშტერებოდა. ბავშვი იატაკზე ჩაცუცქულიყო და თამაშობდა. ოჰ, ეს ვინო, კი დაიწყო გაბომ და ბავშვისკენ გაიწია, მაგრამ დონის შემხედვარემ ველარ გაგრძელა.

— მოხდა რამე, შვილო, ადამიანის სახე რომ აღარა გაქვს? — იკითხა შეშფოთებით. მხრებში მოიხარა და სახეში შეაცქერდა.

— დედა არ გინახავს? — ყრუდ ამოიგმინა დონიმ, არაფერი შეცვლია, ტუჩებიც კი არ გაუნძრევია.

— რა მოხდა, დონი? — გაბომ მხარში ჩაავლო ხელი და შეანჯღრია. დონი საწყლად მოიკუნტა, თითქოს რაღაც განაჩენს ელისო.

— გველად გადაიქცა დედა, — ამოთქვა და რაღაც იმედისმაგვარი იგრძნო, რომ მარტო არ იყო და მისი ტანჯვა სხვამაც გაიზიარა.

— გამაგებინე, რას ამბობ! — გაბოს გაფითრებულ სახეზე ყველა ნაკვთი უთრთოდა და დონის იმედის ნაპერწკალი კიდევ უფრო გაუძლიერდა, იქნებ ჩვენმა ერთობლივმა ტანჯვამ რაღაც შეცვალოსო, გაიფიქრა, მაგრამ გაბო კარისკენ რომ წავიდა და ერთხელაც არ მოხედა, ისევ ეულად იგრძნო თავი. გიო აიყვანა ხელში, ხომ ჩემი ხარო, მოეხვია.

ამასობაში გაბომ ეზო გადაჭრა ბუტბუტით. ეს დილა ასე რატომ უნდა დამთავრებულიყოო, იმეორებდა გაუთავებლად. ეზოში ცოლი იჯდა ჯორკოზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმინდის ტაროს არჩევდა. ფუჩეჩის ზვინი ედგა ფეხებთან. გაბოს შემხედვარემ დაყარა ყველაფერი და ქმარს გამოუდგა. პირველად ხედავდა მხრებში მოხრილს და უკვირდა, ნეტა, რა გაიგო ასეთიო. იქნებ იმდენი არაფერი მომხდარაო, დროდადრო თავს იმშვიდებდა გაბოც. სულ რამოდენიმე წუთის წინ ბაღის სიუხვით ტკბებოდა. თითქოს ცუდს არაფერს ელოდა. არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ბედნიერებიდან იწყებოდა უბედურება. დონის კივილმა უკან მიახედა და ის პაწაწინა იმედიც დაუკარგა. დონი წამებულივით თმაგაშლილი და ფეხშიშველი მოსდევდა გაბოს და მოჰკიოდა, არ მოკლაო, ვიღაცამ (მათთვის ახლა ყველა და ყველაფერი ვიღაცა და რაღაცა იყო) სცადა შეეჩერებინა, მაგრამ არ გაჩერებულა.

გაბო უკვე ჭიშკართან იყო და გაიქცა. დონი რომ მოვარდა აქოშინებული, ის კიბის თავზე იდგა და თითებს იმტვრევდა. მერე ნელ-ნელა აირია ყველაფერი ერთმანეთში. ეზო ხალხით აივსო. იყო შეცხადებაც, მითქმა-მოთქმაც, ნუგეშისცემაც. დონიც კიბის თავზე იდგა და შუბლით ბიძამისის მხარს მიყრდნობოდა. ეს აბავი ჩვენ ორს გვეხება მხოლოდ, მე და გაბოსო, ფიქრობდა ის და სასოწარკვეთილი ელოდა ამ ღრიანცელის დასასრულს. ბოლოს მაინც ყველას მიტოვებული საქმე გაახსენდებოდა და თავის ქნევით გავიდოდა ეზოდან. ხვალაც ჩვეულებრივად გააგრძელებდნენ ცხოვრებას. ბიცოლაც კი აადუღებდა რძეს, დღეს თუ არა ხვალ მაინც, სიმინდსაც მოხარშავდა, ახლა კი ლოყაჩამოხოკილი ამშვიდებდა შეშინებულ გიოს. მხოლოდ ჩვენ ორიხ ცხოვრება შეიცვლება, ფიქრობდა დონი, საწყალი გაბო, ჩვენი ხომ დამთავრდა, მაგრამ მაგის ცხოვრებაც დამთავრდაო. ეგონა, ვეღარასოდეს ამოიღებდა ხმას. ყველაფრის მიმართ დაკარგა ინტერესი. ისიც ეგონა, რომ წყალში არეკლილი ლანდივით იყო, უბრალო კენჭსაც კი შეეძლო მისი გაქრობა. შეეშინდა, მართლა არ გავქრეო და თავს ძალა დაატანა ხმა ეღო:

— ისევ ისე დახვეული წევს? — მთვლივით ბარბაცა სიტყვებმა ძლივს იგნეს გზა და იმწამსვე შეეზიზღა სათარი ხმა, ის ძალით ამოღერღილი ნადადებაც და ყველაფერი ირგვლივ. მერე გაბოს გასაცოდავებული ნუგეშცემაც შეეზიზღა და ინატრა, ნეტავ, დამიწამ გადამაფურთხოსო.

— რამ გაფიქრებინა, ბიძია, ასეთი რამე, დედაშენი საცაა შემოაღებს ჭიკარს, მე ხო ვიცი, როგორ ეშინია დას გველის, — ეს იყო ის გასაცოდავებული სანუგეშო სიტყვები, რასაც ნის ყვირილი მოჰყვა:

— რა უნდა მოხდეს ამაზე მეტი. შენ რამე დაიჯერო!— ზიზღისაგან და გათავისუფლებულიყო, რომ სიცხლე შეენარჩუნებინა. — ვერ ხედავ, როგორ წევს, არც განძრეულა, ყველაფერთან შეგუებულია, — ან მოკვლავთ, შევიფარებთ. — მერე თითქოს ახლა ეგო გონსო, სასოწარკვეთამ თავი გაუფართოვა, აცახცახდა. — დედლაპარაკი, გეხმის, გაბო, დედაჩემ ლაპარაკი!

გაბომ პაპიროსის კოლოფი მოდა ძლივს მოახერხა ერთი ღერის ამრობა. ღერები კიბეზე დაუცვივდა. რე ასანთს დაუწყო ძებნა, მაგრამ იპოვა და ძირს ჩავიდა. დონიმ თვალაყოლა მის გამხდარ ზურგს, დასილ შარვალს, დაინახა როგორ მილა ჭრელ-ჭრელ ხალათებსა და დასილ შარვლებს მიღმა.

— რაღა დედას, რა დააშავა დედამ, ყველანი უნდა დავისაჯოთ! — სიმვილით უყურებდა ყველაფერს, რაც ბოს აქეთ დარჩა. იქ ხალხი იდგა, ნისთვის ახლობელი ადამიანები, რამ ახლა ის ვერავის ამჩნევდა. მწუხარების სქელი ნისლი ; ფარა ყველა უნდა დაისაჯოთ, ყველა დაიბითო, ყვიროდა დონი და ქართლი უნ და ეს, უნდოდა რაღაც მომხდარიყო მწუხარებაზე უფრო მეტი. გრძნობ რომ სხვისი უბედურება შვებას მ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭირა ხელში), ოღონდ ეს გასაცოდავებული მადლიერება იყო.

მერე უმცროსმა თქვა:

— დონი ჩვენთან უნდა წამოვიდეს, ჩვენ მოვუვლიო, ჩვენ უფრო გვეხება.

დუმილი მაინც ჩამოვარდა, მაგრამ გაბოს სახეზე მადლიერება უფრო ადრე გაქრა, ვიდრე უმცროსი ამას იტყოდა. უფრო ადრე უმცროსმა ცოლს გადაულაპარაკა:

— ბავშვი დაიღალა, წასულიყავით სახლში...

„ყველას სხვადასხვანაირად უხარია და სხვადასხვანაირად იტანჯება. ახლა აქაც ყველა სხვადასხვანაირად იტანჯება, ვიცი, რომ მარტო მე და გაბო ვიტანჯებით ერთნაირად", — დონი აღარ სლუკუნებდა, ჭერს მიშტერებული, ამას ფიქრობდა, როცა გაბომ მტკიცედ თქვა:

— დონი აქ დარჩება, შინ!

●

„საშიში არაფერია, ყველაფერი კარგად დამთავრდება", — ამას, ალბათ, ექიმი ამბობდაო, ფიქრობდა ავადმყოფობაგადატანილი დონი. კარგა ხანს იავადმყოფა. მაღალი სიცხისაგან გონებას კარგავდა და იმდენად ხშირად ესმოდა ეს სიტყვები, ექიმი სულ აქ ხომ არ იჯდებოდა, იქნებ [illegible] სხვა ამბობდა ამ სიტყვებს, ჩემი [illegible]ერების მიღმაო, ამასაც ფიქრობდა.

ისევ თავის ოთ[illegible]ში იწვა და გაბოს მადლიერი იყო. თავთან ქათქათა ტილოგადაფარებული [illegible]კამი ედგა, ლურჯი, ღრმა თეფში იდო ზედ, ხელუხლებელი ფაფით სავსე და ჭიქით რძეც იდგა. ფანჯარაში კაკლის ხე რომ მოჩანდა, იმის საღ ტოტს ფოთლები შეყვითლებოდა, მაგრამ დონის აღარაფერი ენალვლებოდა. რა საშინელი შემოდგომა დაგვიდგაო, ფიქრობდა გრძნობებისაგან დაცლილი. ის ღამე გაახსენდა, დედასთან ერთად რომ იწვა. რა მატირებდა იმ ღამესო, მწარედ ჩაიცინა. ეს ყველაფერი მის შიგნით ხდებოდა, სხვა არაფერი იცოდა. გარედან ჩქამიც არ ისმოდა. წეღანდელმა ჩურჩულმა უკვე ჩაიარა (იმ ჩურჩულის მერე იყო, ზიზღი რომ გაუჩნდა საკუთარი თავის მიმართ), დონიმ თავი მოიმძინარა და ესმოდა, როგორ უბარებდა ბიცოლა ქმარს, სულ შეაჭამე, იცოდე, ძაან არის დასუსტებულიო. მას მერე სიჩუმე არ დარღვეულა. მერე გაბო შემოვიდა მორიდებით, თითქმის თითისწვერებზე, მიუახლოვდა განჯინას, სულ ტყუილად იფათურა შიგდა გამობრუნდა, ისევ თითისწვერებზე. დონისთვის არაფერი უთქვამს, უსასოოდ გადახედა ფაფას, რომლის შუაგულშიც კარაქის მოზრდილი ნაჭერი დნებოდა ნელ-ნელა, გულში ორივეს ზანტად, შეუკურთხა: ცოლსაც და კარაქის ნაჭერსაც ღა გავიდა. მეორედ რომ შემოიხედა, დონის ზიზღით მიჰქონდა კოვზი პირისკენ. კართან შეყოყმანდა, შესვლა-არშესვლის ზღვარზე იდგა. ეს იყო რიდი დონის ფერწასული, გამხდარი სახისა და საცოდავი თვალების წინაშე და კიდევ, სიტყვების თავმოყრის წინაშე.

— ცუდად რომ იყავი, არც ის ეკარებოდა რძეს, — დონიმ ცივად რომ დადო კოვზი, მერეღა მიხვდა, არ უნდა ეთქვა. საწოლის კიდეზე იჯდა ფეხებთან და გამოხმაურებას ელოდა, მაგრამ დონიმ მხოლოდ კოვზი დადო თეფში ისევ ხელში ეჭირა და ფაფას დაჰყურებდა უხმოდ. ისეთივე რიდი დაუ[illegible]ბოდა, როგორსაც გაბო განიცდიდა.

— ბიჭიც სადარდელია, — ისევ გაბომ ამოიღო ხმა. — ყოველდღე თვრება.

მერე კიდევ თქვა რაღაც. დონი კარგა ხანს იყო ჩუმად. მოულოდნელად მხნედ ალაპარაკდა:

— რაც უნდა მოხდეს, ყველაფერს უნდა გავუძლოთ, სხვა გზა არა გვაქვს. ამას ვერ გავექცევით, გაბო.

გაბომ თავი დააქნია. წასვლისას თავზე აკოცა დონის.

გაბოს წასვლის მერე, დონიმ სენაკს დაამსგავსა თავისი ოთახი. თავბრუ ეხვეოდა, მაგრამ მაინც მოაბა თავი: ფანჯრები მთლიანად დაფარა სქელი ფარდებით, სარკესა და თაროებზეც ჩამოფარა მუქი ფერის ქსოვილი, ყველა სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათი ჩამოხსნა ... ნივთი იდო გარეთ ... ბოლოს და წიგნების თაროს მიადგა, ... ცხოვრებაზე რამდენიმე წიგნი გამოიქექა, მერე ისევ დაწვა, ... და კითხვას შეუდგა.

საღამოს დონის ... ისევ მთვრალი იყო, მაგრამ ... ისეთი თვალი გადააგლო, ... უფრო ადრე გაბომ და ... ბუნება და არშემჩნევის ... ახვეებზე აღბეჭდილი.

— როგორა ხარ, დონი? — მოუხეშავად ეფერებოდა დას თავზე. — ნამტირალევი ხარ? არ წამოხვალ, გოგო, ჩვენთან? — თავზე დაჰყურებდა.

დონიმ შეხედა. მწუხარება ბახუს მოეხრჩო და მის თვალებში ... არაფერი ჩანდა ... ბრაზე მოეძალა, მაგრამ თავს ... ატანა მშვიდად ეკითხა:

— გიო როგორ არის, რას შვრები სახლში?

— აქეთ იწევს, სულ ბებიამისის ... ნაშია, — ღრმად ამოიხვნეშა და ... თის ცემას მოჰყვა, მერე ... ნასთან შეჩერდა, კარი გამოაღო და ... ერა.

— არაფი არ გვაქვს ცოტა?

ეს კაცი იოლი გზით აპირებდა მწუხარებისაგან თავის დაღწევას და ... კბილს კბილზე აჭეოდა, რომ არ ... რა. მერე იქნებ სიბრალულისაგან გულიც გასკდომოდა, მაგრამ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოჭრილმა მზის სინათლემ წამიერი გახადა ეს სიხალისე. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მოედანზე გაათრიეს საწოლიანად და ბუკიც უნდა დაჰკრან ხალხის შესაკრებადო.

...და ბუკის ნაცვლად, არაფერია დასალევიო? ჰკითხეს. ის, ვინც კითხულობდა, მოხრილიყო და განჯინის ღია კარში იყურებოდა. მერე გაიმართა და აგდებით ჩაიბურტყუნა:

— სად არის ეს კაცი, სულ დაკარგა ტკინი, დამალევინებდა რაღაცას.

— გაჩუმდი! — გამოსცრა დონიმ. — შენ არა გაქვს მისი ხსენების უფლება!

— რაა? — სიძულვილით შეხედა დას, (ასეთი სიძულვილით არავის შემოუხედავს ჩემთვისო, ფიქრობდა მერე დონი გულის ტკივილით.) — მე არა მაქვს თქვენი ხსენების უფლება, არა? მაინც, რა ხართ ასეთები? წმინდანები ხართ? ორი შეშლილი, ორი გამოშტერებული, — ბებერი და ახალგაზრდა. გამოიგონებთ რაღაც სისულელეს და მერე ელოლიავებით.—შუა ოთახში იდგა და მარჯვენას გამალებით იქნევდა ჰაერში, მარჯვენის საპირისპიროდ მარცხენა ჯიბეში გაყუჩულიყო, თითქოს პატრონის საქციელისა რცხვენიაო, არც ინძრეოდა. — მე რა გამოვდივარ? უსინდისო, არაფერი რომ არ ანაღვლებს, არავინ უყვარს, ასეა, არა? დიახ, გასაცოდავებული და გაუბედურებული არაფერი მიყვარს. ყველაფერი ნორმალური და ჯანმრთელი მინდა: ცოლიც, შვილიც, დედაც და ქვეყანაც, თუ არადა, წავალ, დავიკარგები, არ შემიძლია ასე.

დონი სიბრაზისაგან კანკალებდა.

— არც შენისთანა და მჭირდება რამეში, რას დაგდებულხარ უაზროდ, — არ ცხრებოდა ძმა.

დონი გაცოფდა:

— შენა ხარ აზრიანი? უბადრუკი ლოთი, სასმელისთვის მოდიხარ აქ, სხვა არაფერი გაინტერესებს. ნუღარასოდეს მოხვალ, გიკრძალავ აქ სიარულს.

— გავყიდი ამ სახლს და ნახავ მერე, ყველაფერს გავყიდი! — არც უსმენდა ძმა.

— წადი, ახლავე წადი აქედან! — ბოლოდ დონი.

— ფუი, შენი... — ერთი. მიაფურთხა და წავიდა.

საოცარი რამ ხდებოდა! საწუხარი ერთი და იგივე ჰქონდათ, ეს იყო მხოლოდ, სხვადასხვანაირად გამოხატავდნენ და ვერ აეტანათ ერთმანეთის წუხილი.

გაბო შემოვიდა.

— ისევ მთვრალია, გაგიჟებული შემხვდა ბიჭი, — სიმწრით ჩაილაპარაკა.

დონი ბოლთას სცემდა. წამით შეჩერდა და ისე გადაივარცხნა თითებით თმა, ღამის სულ ჩამოიღო.

— გაფრთხილებ, გაბო, კიდევ რომ დაეინახო ის აქ, თავს მოვიკლავ!

— რა დაგემართათ! — გაბო მოღუშული, მხრებში მოხრილი იდგა. — თუმცა, რა საკითხავია, კიდევ კარგადა ვართ...

— ხომ ხედავ, როგორები ვართ! — თავში ხელებს იცემდა დონი, — ხედავ, რა პირუტყვები გაგვზარდა დედამ? ხედავ, რა მუქთახორები გაგვზარდა? ვერ გაგვზარდა, არ ვარგოდა, ალბათ, და... იმიტომაც დაისაჯა! — ისტერიულად ყვიროდა და ვერ ამჩნევდა ავად მოკუმულ ტუჩებსა და კუშტ ნიკაპს. — მამაჩემიც ხომ გააგდო სახლიდან.

დონი რაღაც საზარელმა ხმამ გამოაფხიზლა. ვერ გაარჩია, მტვრევის ხმა იყო, თუ ღრიალი. ორივე ერთად იქნებოდა, რადგან ვერცხლის სინი ჯერ ისევ ზრიალებდა იატაკზე, ზედ ფაიფურის ნამსხვრევები ეყარა, იმდენად წვრილი, რომ დონი ვერ მიხვდა, რისი იყო, გაბო კი პირდაღებული იდგა და საკუთარი ნამოქმედარით გაოგნებულმა, აღარ იცოდა, რა ექნა.

●

ამ ამბის შემდეგ მათ შორის განსაკუთრებული რიდი ჩამოწვა. დონი მიხვდა, რომ მაგრად შეაჯანჯღარეს და თანაც იმან, ვისგანაც ყველაზე ნაკლებად მოელოდა მსგავს რამეს. რადგან გაბო გამოიყვანა მოთმინებიდან, იმად დარჩენა აღარ შეიძლებოდა, რაც იყო. რაღაც უნდა შეცვლილიყო.

ტკივილი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განა მე ვერ ვგრძნობ, რა გაბოროტებულიცა ვარ, ადამიანად აღარ ვვარგივარო, ათასჯერ იმეორებდა ერთი და იგივეს გუნებაში და ცდილობდა გაბოს არ მოხვედროდა თვალში. ჩემმა მუქთახორობამ გაბო მოთმინებიდან გამოიყვანაო, ფიქრობდა საშინლად შეწუხებული და ჯარასავით ტრიალებდა: რეცხავდა, ხეხავდა, ასუფთავებდა.

გაბოს კი მსგავსი არაფერი ედო გუნებაში და დარცხვენილი დადიოდა ხქითაქეთ. დონიზე გაბრაზება გულშიც არ გაუვლია. ის იმ ერთ წუთს გაუბრაზდა, დედის უდიერად ხსენებას გაუბზარდა. რა ბუზანკალი შემიძვრაო, წყევლიდა თავის თავს და, თავის მხრივ, ისიც ცდილობდა, დონის მორიდებოდა.

ასეთ ყოფაში ერთადერთი შვება ბიცოლა იყო. გარეთ თოვდა და კიბის ბოლო საფეხურზე მისი ბოტების ბერტყვის ხმა ყველაფერს სჯობდა ამქვეყნად, განსაკუთრებით მაშინ, როცა გაბოს აღარაფერი ესაქმებოდა ეზოში, ხოლო დონის ვერაფერი მოეფიქრებინა ისეთი, შინიდან გასვლის მიზეზად რომ გამოსდგომოდა.

ბიცოლა მზის სხივივით შემოდიოდა გაგუზგუზებულ სამზარეულოში, ფუთით ხელში. ფუთას მაგიდაზე შემოდებდა და ცოტა ხანს ჩამოჯდებოდა, მუხლებზე ხელებდაწყობილი ისვენებდა. მერე ისევ დგებოდა და ფუთას ხსნიდა. ფუთაში სულ იყო: მაწონი ქილით, რძე, ღვეზელი, ან სხვა რაღაც. დონის გაუსაძლისი ტკივილი შემოაწვებოდა ხოლმე გულზე. თვალებს აელმებდა, იქნებ მოფუსფუსე დედა წარმოვიდგინოო, მაგრამ ვერაფრით ვერ ამსგავსებდა ბიცოლას დედას.

„ერთი დღით ვცხოვრობთ“, — ფიქრობდა გამწარებული, — არ გვშია და არ გვცივა, ეს არის და ეს. მომავალი არა გვაქვს“.

მერე უკვე ბიცოლას თბილი ხელიც ველარ შველოდა, მხარზე რომ ეფერებოდა.

— როგორ დაილიე, ჩემო გოგო, — წუხდა ის და ხელს ნეკნებთან აჩერებდა.

— უნდა დავილიო, აბა, რა! — ჯიუტად ეპასუხებოდა გუნებაში დონი, — უმომავლოდ ვცხოვრობთ, უმომავლოდ არაფერს არა აქვს სახელი, ყველაფერი გახუნებულია.

ეს მაინც გასინჯეო, აჩეჩებდა ბიცოლა ხელებში თეფშს.

— ნეტა, იმას ხო არ სცივა?! — ოხრავდა დონი და თეფშის კუთხეში მიხატულ ყვავილს უაზროდ უსვამდა თითს.

— იქაც ხო მინთია, შვილო, — აწყნარებდა ბიცოლა.

— ან როგორ არის სულ მარტო! — გული ამოჰქონდა დონის.

ბიცოლა ველარაფერს ამბობდა და ისიც ოხრავდა.

მერე დონიმ დედის ოთახშიც შებედა. გრძნობას, ამ ოთახისაკენ რომ ეწეოდა, მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობა ერქვა. რამდენჯერმე კარებამდე მისული, უკან გამობრუნდა, ვერ გაბედა შესვლა. ღამით, როცა ყველას ეძინა, საათობით იდგა იმ კარებთან მიყურადებული, სასწაულს ელოდა. ღამის სიჩუმეში დონის ეჩვენებოდა, რომ იქით ვიღაც საქმიანობდა. ერთხელ დედის ხმაც მოეყურა, ერთი წამით და კარებს მიაკვდა, მაგრამ, თითქოს განგებ, სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

მეორე დილით დონიმ გადაწყვიტა დედის ოთახში შესულიყო. კარის გაღებამდე კინაღამ იქვე ჩაიკეცა, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ცოტა რომ დაფიქრებულიყო, ისევ უკან გამობრუნდებოდა, ამიტომ სწრაფად შეაღო კარი. ზღურბლთან შეჩერდა და ჭერს მიაცივდა, მერე ნელ-ნელა ქვემოთაც ჩამოატარა მზერა. გაქვავებულ ქვეყანას ჰგავდა იქაურობა, უკაცრიელსა და სევდის მომგვრელს, მით უფრო რომ, ყველაფერს კრიალი გაუდიოდა, სრული წესრიგი სუფევდა ირგვლივ. „ბიცოლას ხელი ატყვია“, გაიფიქრა და კედლები მოათვალიერა. მღელვარებისაგან პირი უშრებოდა, იქით გახედვას ვერ ბედავდა და დიდხანს აკვირდებოდა ყველა წერტილს კედელზე. გიოს სათამაშო, თეთრ-ვარდისფერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაფუკი კურდღელი ისევ იქ ეკიდა, დედის ნახელავი გობელენიც.

„გახსოვს ის...“ თავის გასამხნევებლად რაღაცის გახსენება მოიწადინა, მაგრამ მიხვდა, თავს იტყუებდა, ამ წუთში არაფრის გახსენება არ შეეძლო. მიხვდა თუ არა ამას, მაშინვე იქით გაიხედა. ის კუთხეში საწოლზე იდო ისეთივე, როგორიც პირველად ნახა (არც თავი უჩანდა, არც ბოლო). შემდეგშიც, როცა რძე შეჰქონდა, ან ოთახს ალაგებდა, სულ ასე გაუნძრეველად იდო უსულო საგანივით და დონის მოქმედება კერპის წინაშე რიტუალის შესრულებას ჰგავდა. გული უსკდებოდა სიბრალულისაგან, შიში გამქრალიყო და მისი სული მხოლოდ განგაშს მოეცვა ამ უსულობის შემყურე.

მხოლოდ ერთხელ ნახა თავაწეული, თუმცა...

იმ ერთხელ გაბო ტყიდან დაბრუნდა.

— გაზაფხულმა იქნებ ჩვენც მოგვიტანოს სიკეთე, — თქვა უჩვეულოდ გამხნევებულმა და ნაჯახის პირს წმენდა დაუწყო.

არავისთვის მიუმართავს, ისე თქვა, თავისთვის, უფრო კვირტებდაბერილ ქლიავის ხეს უთხრა, რადგან იმას ახედა.

დონი და ბიცოლა კიბეზე ისხდნენ. ერთმანეთს გადახედეს და ორივემ იგრძნო, რომ ეს სიტყვები მათ თვალებში აირეკლა. მერე ნაჯახს რომ მიანება თავი, გაბომაც იგრძნო ეს და ისიც კიბეზე ჩამოჯდა. ერთნაირი განწყობილებით იჯდა სამივე. გაზაფხულის სიო დაჰქროლა მათ სულებში და გააერთიანა. ერთნაირად ფიქრობდნენ წარსულზეც და მომავალზეც. ბიცოლა პირჯვარს იწერდა და ლოცულობდა. გაბო რაღაცას ეძებდა ქურუოკის ჯიბეში, ან იქნებ არც ეძებდა არაფერს, მღელვარებისა და რიდის გამო შუაფარა თავი ჯიბეს და ასე ქექვაში, თავი არ მიუბრუნებია, ისე თქვა:

— არ დავლოცოთ, დონი, გაზაფხული?

ბიცოლა გაეპასუხა ტკბილად, ალერსიანად. დონიც შეეცადა ეთქვა რამე, მაგრამ სიტყვებს ვერ მოუყარა თავი. მერე ორივე (ქალები შეთანხმებულებიკით ერთდროულად ადგა და სამზარეულოსკენ გაემართნენ.

გაბო რაღაცას გრძნობდაო, ფიქრობდა დონი უკვე შემდეგ, როცა დედა დაბრუნდა. იმ საღამოს არ უფიქრია ამაზე, თავჩაქინდრული უსმენდა გაბოს.

— ამათი დაშორება გულისტკივილის მეტი არაფერი იყო, — ამბობდა ის შეჭმუხნილი სახით.

იმდენად უსიამოვნო იყო მოგონება, თვალი ვერაფერზე შეაჩერა. ერთხანს ათვალიერა საგნები დაბნეულად, მერე თითქოს ვიღაც დაინახაო, სადღაც, შორეთში გაეყინა მზერა. შეუჩერებლად ლაპარაკობდა, თუმცა მეორე ჭიქა არც კი ჰქონდა დალეული. ასეთ გაბოს პირველად ხედავდა დონი.

— მამაშენი რაღაცას გაექცა, უფრო სწორად, რაღაცის საძებნელად წავიდა, დედაშენს არ გაქცევია. გული ხელით ეჭირა, ისე წავიდა. აქეთ ჩვენ ვოხრავდით, იქით — ის. მაგრამ ცდებიან, როცა ასე მიდიან, ვერც გაქცევას ახერხებენ, აღარც ძებნა გამოდის, არც იქით არიან, არც აქეთ, — გაზაფხული აღარც გახსენებია, მთელი საღამო მათზე ილაპარაკა. ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ უხსენებია ისინი და, ისევ ჩემზე ბრაზობსო, წუხდა დონი.

თუმცა გაბოს ხმაში სიბრაზის ნიშანწყალიც არ იგრძნობოდა. რაღაც ჩასახლებულიყო ახლა მის არსებაში, დიდი, ყვითელი, ყველაფრის დამთუთქავი, სევდის სახელით რომ მოქმედებდა, ყველაფერს იმორჩილებდა. ყველა კუნთი და იოგი ისე იყო მომართული, რომ გაბოს ხმა სწორედ ასეთი ყოფილიყო, სევდიანი. სიტყვები ცხვრებივით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს კვალში და სევდიან წინადადებებად იკვრებოდნენ. ის ძალუმად მფეთქავი ძარღვიც ყელთან, ის ორი თითიც, — ცერა და საჩვენებელი, თლილი ჭიქის წიბოებს ჭრილობასავით, რომ ეთათუნებოდა, რაღაც შორეულს ეფერებოდა, სამუდამოდ წასულს.

უეცრად მოწყდა წარსულს და დო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიო, ისე თბილად დაუძახა, სახელის პატრონი შეკრთა.

— დონი, რატომ არაფერს ამბობ, გასინჯე ღვინო.

იმან ჭიქა აიღო და დასუნა. ჟრუანტელმა დაუარა. ის სურათი დაუდგა თვალწინ: დედა, გიო და თვითონ, ტყეში რომ წავიდნენ წყაროს საძებნელად. ტყეში ნესტისა და მიწის, მზისა და წიწვის, ტკბილი ნაყოფის და კიდევ ათასი რამის სუნი იდგა. ახლა იმ ათასნაირ სუნს ჭიქაში მოეყარა თავი და დონი ისე სვამდა ღვინოს, თითქოს მისი სამუდამოდ გადანახვა გადაუწყვეტიაო.

— აი, ეს ნაძვი იყო ჩემი, კევით იყო ხოლმე დახუნძლული, ყველაზე მეტს მე ვაგროვებდი, — ბავშვივით უხაროდა დედას და გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდა ხეს, მერე შტამბი მოუსინჯა, მაგრამ ვერაფერი უპოვა და, დაბერებულაო, თქვა.

— აი, ეს გაბოსი იყო, მე მგონი, — იქვე, მეორე ნაძვს მიადგა, დიდხანს უყურა, — თუ, ეს იყო ჩემი, არა, ჩემი ნაძვი, მგონი, ეს იყო, — შეფიქრიანებული იდგა მესამესთან და ასე სდია საკუთარ ბავშვობას ნაძვიდან ნაძვამდე, მაგრამ ვერ დაეწია, გულდაწყვეტილი დატოვა შუაგულ ტყეში, არ აპატია გულმავიწყობა.

იმ დღის გახსენება დონის ისეთ გუნებაზე აყენებდა, როგორზეც შეიძლება დადგეს ადამიანი საღამოჟამს, ან შემოდგომით.

— ხანდახან მთელი კვირა ჩაიკეტებოდა ხოლმე, თითქმის მშიერ-მწყურვალი, — ისევ თავისას ყვებოდა გაბო. — ასეთ დროს დედაშენი ბრაზობდა, როდემდე ვუყურო ამის ჯღაბნასო. სამალავიდან რომ გამოდიოდა, იცოცხლე, ის მხიარულობდა, მაგრამ ნაწყენი დედაშენი არც მის მხიარულებას უხსნიდა წარბს.

მისი სევდიანი თხრობა თანდათან აგზნებული ხდებოდა, ცხვირის ნესტოები გულის მომკვლელად უთრთოდა და ხელს ნერვიულად ისვამდა თავზე მალამალ. დონის აღარ შეეძლო ასე ჯდომა, უმეტყველო სახითა და გაუბედურებული გონებით, გაბოსა და საკუთარ წარსულს შორის სირბილი. არც ბიცოლა იყო იქ, რომ ხელი მაინც გადაესვა, ან რაღაც ეთქვა. მან იცოდა, ასეთ დროს რისი თქმა იყო საჭირო. ცრემლები ახრჩობდა და, ის იყო, დედის ოთახში დაპირა გასვლა, ბიცოლაც შემოვიდა, რძე მოიტანა. შეშფოთებულმა შეხედა დონის მოქცეულ სახეს.

— ეს არის შენი გაზაფხული! — მწყრალად გადახედა ქმარს. — ვერ ვიცანი ბავშვი. — რძიანი ქოთანი ისევ ხელში ეჭირა და კართან იდგა.

— სანამ ძროხებს წველიდი, გაზაფხულიც წავიდა, — ისე ნაღვლიანად გაიღიმა გაბომ, დონიმ თვალი მოარიდა.

— რძეს შევუტან დედაჩემს, — ძლივს თქვა მერე. — დედაჩემი წევს გვერდით ოთახში, რაც უნდა იყოს, დედაა და მოფერება უნდა.

ეს აზრი ბიცოლას შემოსვლამდე დაიბადა მის გონებაში და ისეთი უსასოო იყო, ძლიერი პატრონი სჭირდებოდა, ფუჭად რომ არ დაბერებულიყო. იმ წუთში ისინი ჭირისუფლებივით ისხდნენ ერთმანეთის გვერდით, არაფერი უთქვამთ.

დონიმ ჯამში გადმოისხა რძე და შეიტანა, სწორედ მაშინ ნახა პირველად თავაწეული. მონუსხული იდგა კართან, ოღონდ იმის ძალა კი გააჩნდა, არ დავიწყებოდა, რისთვის იყო შემოსული და წელანდელ აზრს ჯიუტად ჩასჩიჩინებდა თავის თავს გუნებაში. ძალიან გაუჭირდა პირველი ნაბიჯის გადადგმა. ეს ისეთი მძიმე წუთი იყო, ყველაფერმა დაკარგა მნიშვნელობა. თითქოს რეალობასაც შორდებოდა: ქვა-ღორღში იდგა და ვერც წინ ხედავდა რამე საიმედოს. ფეხის გადადგმას ყველაფერი ერჩია, აღარც ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა, მაგრამ ვიღაც ძალით ეწეოდა წინ და მანაც გადადგა ეს ნაბიჯი. მერე უკვე ცნობიერების მიღმა ხდებოდა ყველაფერი: იმ აწეულ თავს ეხუტებოდა და ვერ გრძნობდა ვერაფერს, ვერც ზიზღს, ვერც სიყვარულს, ვერც სიბრალულს. ამ გრძნობას არ ჰქონდა არც ფერი, არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემო, არც სუნი. ხედავდა მხოლოდ, იატაკზე დაღვრილ რძის გუბეს, რომელიც თანდათანობით იზრდებოდა. ავსებდა სივრცეს, სულს უხუთავდა და წალეკვით ემუქრებოდა.

უეცრად საოცარი სიმსუბუქე იგრძნო და თეთრ სივრცეში გაცურდა. დასრიალებდა იმ სითეთრეში და უმაღლეს ნეტარებას გრძნობდა. ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა და რაც შეეძლო, ძაბავდა მხედველობას, მაგრამ ირგვლივ თეთრი ფერი გაბატონებულიყო. ბოლოს თეთრი თანდათან განაცრისფრდა და რაღაც საგნებს შორის ამოყო თავი. მერე საგნებმა ადამიანების სახეები მიიღო და დონიმ იმ სახეებში თავისიანები ამოიცნო. თავის ოთახში იწვა, თავის საწოლზე, გამამხნევებელი ჩურჩული ესმოდა და დიდი ხნის უნახავივით ენატრებოდა ისინი.

ის ღამე დონიმ ლოცვაში გაატარა. დილამდე მუხლმოყრილი ევედრებოდა ღმერთს პატიებასა და შველას.

●

დედა ისე დაბრუნდა, არავის შეუმჩნევია, ყველა თავის საქმით იყო გართული. დონი შინ არ იყო, ახლა ის ყოველდღე დადიოდა ძმის სახლში და ამას ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც ცოდვის გამოსყიდვას. იმ ღამით, ლოცვის დროს გაუჩნდა ეს სურვილი და მიხვდა, მათი უნახაობა ტანჯავდა, ოღონდ, იმ დიდი ტანჯვისაგან ვერ განესხვავებინა. სხვა სათხოვარი ჰქონდა ღმერთთან, თვალწინ კი მათი სახეები ედგა მთელი ღამე. იმდენად დაუოკებელი გახდა მათი ნახვის სურვილი, დილით ღამენათევმა მათკენ გასწია. ძმის სახლში რომ შევიდა და მათი სახეები დაინახა, მწარედ ინანა, აქამდე მათ გარეშე რომ გაძლო, ტანჯვა და სიხარული ერთად, რომელიც დონიმ შეამჩნია მათ სახეებზე, ან მართლა იყო, ან იმდენად უნდოდა ყოფილიყო, რომ ნათლად დაინახა. მერე შეშფოთებით აკვირდებოდა ძმის ნამთვრალევ სახეს, გულის ტკივილით ისმენდა რძლის დარცხვენილ თავის მართლებასა და საკუთარ ბედზე ჩივილს, გიოს ორაზროვან შეკითხვებს ბებიაზე, უყურებდა მის გაურკვევლობით აღსავსე გამოხედვას და საშველი არ იყო. გულდამძიმებული ბრუნდებოდა შინ და ღმერთს შესთხოვდა, გადაერჩინა ისინი. ასე გრძელდებოდა ყოველ დღე.

დედის დაბრუნება დონიმ შინ მისვლამდე გაიგო. ვიღაცამ უთხრა გზად, ისიც უთხრა, ახლა იქიდან მოვდივარ, თუ გინდა, გამოგყვებიო. რაღაცით ჰგავდა ეს დღე, იმ ავბედით დღეს. დონიმ ვერაფრით ვერ გაიაზრა ნათქვამი, ვერც სახე გამოარჩია სივრცისაგან, წყალში არეკლილი ლანდივით ხან ამოტივტივდებოდა, ხან ისევ გაქრებოდა. მერე მიხვდა, მის სახლში რომ ხდებოდა რაღაც და გაიქცა. იმდღევანდელივით მირბოდა შარაგზაზე და ვერ მიმხვდარიყო, უარესი ხდებოდა რამე, თუ უკეთესი.

ეზო ხალხით სავსე დახვდა, რაღაცას შემოხვეოდნენ. დონი ჭიშკართან იდგა, ახლოს მისვლას ვერ ბედავდა. არ იცოდა, რა დახვდებოდა იქ. ბოლოს ფრთხილი ნაბიჯით გაემართა იქითკენ, თითქოს ადამიანებს კი არა, ჩიტების გუნდს უახლოვდებოდა და ფრთხილობდა, ჩქამზე არ გაფრენილიყვნენ, მარტოდმარტო არ დაეტოვებინათ იმის წინაშე, რასაც ეხვეოდნენ. ერთმა ორმა უკან მოიხედა და, დონი მოვიდაო, ატყდა ჩურჩული, მიიწ-მოიწიეს, გზა გაათავისუფლეს და დონიმ დედა დაინახა.

უეცრად, საშინელმა გაურკვევლობამ მოიცვა. წარმოუდგენლად დაკარგა მნიშვნელობა დრომ და სივრცემ. ერთმანეთში აირია ყველაფერი: უარესი და უკეთესი, ბოროტი და კეთილი, მწუხარება და სიხარული, ტყუილი და მართალი. დონი მხოლოდ ხედავდა ეს იყო და ეს. ხედავდა დედას ნაცნობ კაბაში, ოღონდ როდინდელი იყო ეს კაბა, არ ახსოვდა. დედა მხნედ იჯდა სკამზე, მისკენ ხელებგამოწვდილი, ახალგაზრდული იერით, მხიარული, ბიცოლა დასტრიალებდა თავს, მარადიული გულშემატკივარი. ეს გულშემატკივარი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეგება, მხრებზე გადახვია ხელი და დედასთან მიიყვანა. დონის არც უხარია, არც სწყინდა. ყოველგვარი ზღვარი წაშლილიყო: არც ბედნიერი იყო, არც უბედური, არაფერი არ იყო. ცოცხალი ხორცისა და ძვლების გროვა იყო, რომელიც ნელ-ნელა კვდებოდა.

— გაუხარელია ესეც, დაიტანჯა გოგო! — მასზე თქვა ბიცოლამ.

— ეჰ, ამ წუთისოფელში ვის გაუხარია, — გაეპასუხა ვიღაცა.

თავები ააკანტურეს, უპეებს იმშრალებდნენ. დონი დედის ფეხებთან მოკეცილიყო, თავი მის მუხლებზე ედო და ბურანიდან გამორკვევას ლამობდა. თავზე ჟრიამული ედგა. დედის ხმაც ესმოდა, ძალზე მშვიდი და ალერსიანი. დედა ზურგზე უსვამდა თბილ ხელს, ხანდახან თავზეც გრძნობდა მის ლოყას, ან ტუჩებს. ბიჭს ახსენებდა წარამარა: ბიჭი მისახედი მყავსო, ან სად არის ნეტა ბიჭი ამდენ ხანსო. გიოსაც ახსენებდა. მერე ისინი მოვიდნენ, გაბომ მოიყვანა და დონიმ იხილა ჭეშმარიტი სიხარული. თვითონაც ეჩვეოდა გარემოს, დედის ხელსაც შეეჩვია ზურგზე, ხმასაც.

●

ჭეშმარიტი სიხარულის შარავანდედით შემოსილიყო მომდევნო დღეებიც. სულ ცოტა ხნის წინ კი, ყველაფერი თავჩაქინდრული იყო. სევდიანები და გულჯავრიანები, ინერციით მიჰყვებოდნენ უსასრულობაში მიმავალი დღეების პროცესიას: სახლიც, ხეივანიც, ხეებიც, ადამიანებიც.

დონი ივჯდა განმარტოებით და გაწბილებული (გაკვირვებულიც იმით, თუ რად უნდა ყოფილიყო გაწბილებული) ფიქრობდა:

„ამქვეყნად არაფერი ქრება ისე უკვალოდ, როგორც ახდენილი ოცნება. გამოცარიელებულს გტოვებს და მიდის“.

გაწბილების გრძნობა მშიერი ნადირივით დაწრიალებდა მის სულში და რაღაც ახლისათვის, რომელიც იწყებოდა, იმდენად უსარგებლო ხდებოდა, უიმედობა დაეუფლა. საკუთარ თავსაც არ უმხელდა, მაგრამ ისევე უჭირდა ცხოვრება, როგორც იმ ავბედითი დღის მერე. მის არსებაში დაგროვილი, რაღაც დიდზე ზრუნვის მარაგი, გაურკვევლობის გორად გადაქცეულიყო და დღითიდღე იზრდებოდა.

ერთადერთი თავშესაფარი მამაზე ფიქრი იყო. ამ გაურკვევლობაში ის იმედის კუნძულივით ანათებდა.

„მამა უნდა მოვძებნოთ“, — თავს იმხნევებდა მზესმიფიცხებული დონი.

დედა მიწას უფხვიერებდა ყვავილებს დაფიქრებული. ნეტა რაზე ფიქრობსო, აინტერესებდა დონის. ასე დახრილი იყო ერთხანს, მერე დონის გამოხედა და წამოდგა, მისკენ გაემართა ხელების ფშვნეტით. იქვე ჩამოჯდა, ისევ ხელებს დაჰყურებდა და მოულოდნელად, სახეში არ შეუხედავს დონისთვის ისე თქვა:

— მამაც მოსაძებნია, ჩვენი სისხლი და ხორცია მაინც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ლობჟანიძე

●

მთელი ზამთარი დედა ყოველდღე
პურის ნაფშვენით კვებავს ბელურებს,
საწყლად მობუზულთ ვაშლის შტოებზე,
როგორც ჩვილ ბავშვებს ისე
შეჰყურებს...

●

ხელისგულს გაწვდილს თბილი
ალერსით —
დაჰკანკალებენ, ფრთხილად კენკავენ...
და დედაჩემის ნათელ თვალებში,
ალბათ გაზაფხულს და მზეს ხედავენ...

ე. ნ-ს

ვის აღარ ვხვდები, ვის აღარ ვხედავ,
შენ არსად არ ხარ...
შენა ხარ ჩემი დარდი და სევდა,
შენ სხვებს არ გავხარ...
შენ ხარ სუფთა და
შენ ხარ ანკარა,
ვით დილის ცვარი...

. . . . . .

. . . . . .

ამდენი ტანჯვა, ღმერთო მაკმარე,
დაგვწერე ჯვარი....

●

ჩამიქრა ცეცხლი, დამზაფრა ხვედრმა,
ვარ ცარიელი, როგორც ყრუ ორმო...
დავბრმავდი თითქოს და ველარ ვხედავ,
დიდი ხანია რაც ასე ვცხოვრობ...

●

მე აღარაფრის იმედი არ მაქვს,
ასე უმზეოდ, ბნელში ვბერდები...
და გული როგორც სამარე დამაქვს,
სავსე სიცივით, ცრემლით, ცხედრებით...

●

გარეთ კი თეთრი აპრილი ჰყვავის,
მზის სუსტი შუქი ოთახშიც ატანს...
შენ აუქშიე ჩემს სულში ყვავებს —
მათ მოზეიმე ნაბიჯს და ყრანტალს...

●

ამ ქვეყნად იყავ მხოლოდ შენ ერთი
(ო, ის წუთები მართლაც ხომ იყო...)
რომ აღგედგინა ეს გული მკვდრეთით
და კვლე შეეგრძნო სიცოცხლის სითბო...

●

გავლეოთდი, ძმაო,
გამოლია სიცოცხლის ძალა —
უიმედობამ,
მწუხარებამ
და შიშმა ხვალის...

დაელევ ღვინოს
და დავუყვები დაყურსულ ქალაქს,
მტერმა უყურა
ამ ცხოვრებას ფხიზელი თვალით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ვისტომრებ ვალებს აღებულს ადრე,
მივაჭრიალებ ცხოვრებას ასე...
გარდასულ დღეებს დღევანდელს
ვადრი –
მწუხარებით და იმედით სავსეს.

ვჯახირობ, მაგრამ ვერაფერს ვერ ვცვლი,
ასე ჯახირში წლები მიდიან...
არ მიჩერდება ჯიბეში ვერცხლი,
მაგრამ არ ვნაღვლობ, ფეხზეც...
მკიდია...

●

ცხოვრება – წისქვილია.
დრო – წყალი.
სიცოცხლე – ბორბალი.
საფქვავი – ადამიანი!...

ჩემი ცხოვრება კი...

ყველა გზა მოჭრილია,
წუთები დათვლილია,
მუხა თუ წიფელია,
კუბოდ გათლილია,

სხვებისთვის მოჩითული
ბრდღვიალა აპრილია,
ჩემი ცხოვრება კი
დიდი ხნის ჩავლილია...

სულ მეშინია...

სულ ძეშინია,
შუაღამისას,
როცა ვუზივარ
საწერ მაგიდას,
ჩემთვის ვფიქრობ და
ჩემთვის ვოცნებობ...
სამყაროც თითქოს
ჩაფიქრებულა...
მაშინ, ჰო მაშინ
ჩემთან ოთახში
უხმოდ შემოვა
უცხო სტუმარი,
ქათქათა ქაღალდს
დაადებს ხელს და
ჩურჩულით მეტყვის –
გეყოფა, კმარა,
ჩვენთან წამოდი.
იქ სულ მზე არის
ნაზი და თბილი –
ოქტომბრის მზის ქეშ
იქ ყველაფერი
შუქში ლივლივებს.

შემოდგომის მზით
გამთბარ ველ-მინდვრებს
ათასნაირი
ყვავილი ამკობს.
იქ ყვავილები
სულ არ ჭკნებიან.
ცა ლურჯია და
ისეთი თბილი
ვით დედის მზერა.
წამოდი ჩვენთან,
იქ დაისვენებ,
იქ მარადისი
სიწყნარე სუფევს.
ყველა ოცნება
აგისრულდება
და სინამდვილედ
გექცევა ფიქრი.
სულ მეშინია...
შუაღამისას
ერთხელაც მართლა
შემოვა ჩემთან
ჩემი აჩრდილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ახალგაზრდას სულით და ხორცით,
რად მოგეჩვია სიკვდილზე ფიქრი,
რად გელანდება საფლავის ბორცვი —
პირმოტეხილი სურით და ჭიქით...
ნდომით გიყურებს ქალწული მორცხვი,
რად... ხომ დღეები ისე არ მიჰქრის...

ჯერ მრავალს ნახავ ჭირსა და ქორწილს,
მერე, ისედაც ყველანი იქით...
ჯერ ახალგაზრდას სულით და ხორცით,
რად მოგეჩვია სიკვდილზე ფიქრი...

ვერ ეგუები...

ყალბ ზარ-ზეიმის, ბუკის, დაფდაფის
ვერ შეგუება ბედმა გარგუნა,
და ბოღმას იკლავ ღვინის სარდაფში,
ღვინო გედება გულზე სალბუნად.
გრძნობას გიმძაფრებს ჰაშიშის ბოლი,

მიწას სცილდები მსუბუქი ფრთებით...
წინ გზაა სისხლის, შიმშილის, ბრძოლის,
შენ ამას ხედავ და ჟინით თვრები...

ღამის ქალაქი

გამხმარ ფოთლებში შრიალებს ქარი
და თითქოს ვიღაც კივის ჩემს სახელს...
მიმოვიხედავ, ნეტავ ვინ არის,
ქარი ხეების ბნელ ჩრდილებს არხევს...

ღრუბლებს ტყვიისფერს დაუსხლტა მთვარე,
ხიდან ფოთლები უხმოდ მოცვივა...
ქუჩას გავხედავ, — არავინ არის,
შორით კი თითქოს ვიღაც მომკივა...

ეჭვი

დიდხანს ველოდი შენს მოწყალებას,
რა დამრჩა გარდა წმინდა ზრახვების?
ენით უთქმელი ტანჯვა წვალება
და მეოცნებე კაცის სახელი...

შენ არა ჩანხარ, ქვეყნად სატანა
გამარჯვებული ცივად ხარხარებს...
და გულში ეჭვი — ლეკვი პატარა,
კუდის ქიცინით ეშმას ახარებს...

ცხოვრება

შენ ხარ ანჩხლი დედინაცვალი,
დედური სითბო მენატრება...
არათუ ლუკმა-პური,
ფეტვის მარცვალი —
ჩემთვის გენანება!

უნდობლად ვუყურებ ამ სოფელს,
იქითას გავცქერი ნაპირებს...
მე შენი სიყრუე მაღონებს,
შენი გულქვაობა მაკვირვებს!

შემოდგომა

დღე არის უქარო, მყუდრო და წყნარი.
მზე არის თბილი, ნაღვლიანი და თან ალერსით სავსე,
ფოთლები ნელნელა მიწას ეფინება,
ისმის მათი ოდნავი ყრუ შრიალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცაზე ქათქათა, გამჭვირვალე ღრუბლები დაცურავენ.
მივდივარ ნელა, ასე ჩუმად უნდა ვიარო,
რომ არ დავარღვიო ეს ღვთიური სიმყუდროვე.
ბაღში სკამზე ჩამოვჯდები და ვოცნებობ.
სიტყვა, ხმამაღლა ლაპარაკი ზედმეტია,
უნდა იჯდე და იოცნებო...
თვალებზე დარდის მსუბუქი ჩრდილი გადამივლის —
იმდენი მიოცნებია, რომ საოცნებოც აღარაფერი მაქვს,
მაგრამ მაინც:
ვოცნებობ —
ჩემი მოუწყობელი ცხოვრების მოწყობაზე,
რომელიც რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო რთულდება.
ვოცნებობ —
ლამაზსა და სუფთა ქალწულზე,
რომელიც ღმერთმა ამ ქვეყნად ჩემთვის გამოგზავნა,
მაგრამ იმდენად მიყვარს,
რომ ჩემი გაწამებული ცხოვრებისთვის არ მემეტება...
და კიდევ მახსენდება ჩემი ლექსის სტრიქონები:
„შენ გნახავდე უბორკილოს,
თუნდაც მეორე დღეს მომკლა...“
სიკვდილი არ მინდა, მაგრამ მასზე ოცნება ტკბილია.
ალბათ იმიტომაა ტკბილი, რომ ის ჩემგან ჯერ შორსაა...
შორეულსა და მიუწვდომელზე ოცნება კი
პოეტების ავადმყოფობაა...
თვალწინ ჩემი სოფლის სასაფლაო მიდგება...
სუფთა, მყუდრო, ნათელი, ფართო მინდორი,
რომელიც ახლა გადათიბულია
და შემოდგომის მორჩს ამოუყვია თავი.
თივის ზვინები ოქროსფრად ღგანან მოღუღუნე მზის ქვეშ.
გვერდით ვერცხლისწყალივით თეთრი, აქაფებული რუ ჩაუდის,
ქვევიდან კი რიონის ყრუ და მძაფრი შხუილი მოისმის.
მიქრის რიონი და
დაყურსული საფლავები მის ყრუ ხმაურს უსმენენ...
ვოცნებობ...
შემოდგომის თბილი, მზიანი, უქარო დღეა.
მთელი დღე ხმა არ უნდა ამოვიღო,
არავის არ უნდა დაველაპარაკო,
ირეალური სამყაროს სუნთქვისაგან გაბრუებულმა
უნდა ვიხეტიალო ქალაქის დაჩრდილულ ქუჩებში...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელა გაბური

სინანული

დღეს სინანულის წვეთი დამეცა,
მომდევს სინათლე ფერით დაისის...
არავინ იცის... რაც იცის ზეცამ
და რაც სიკვდილმა უწყის და იცის...
არ დამიდგება არვინ თავდებად,
(ცას ჩაუცვივდა თეთრი ფერდები)
ახლა შორია ჯერ უკვდავება,
და მე დავღამდი და მე ვბერდები...
დღეს სინანულის წვეთი დამეცა,
მომდევს სინათლე ფერით დაისის...
არავინ უწყის... რაც უწყის ზეცამ
და რაც სიკვდილმა უწყის და იცის...

●

...რა არის ლექსი?
შევიცნო ვითა...
უწყის კი ვინმემ,
მიწად თუ ცადა?
ვკითხულობ რიდით,
ჩურჩულით, წვითა
და თან მაშინებს
ეს ფიქრი სადა...
და იბადება ნეტავ საიდან,
ის — შეწევნითა... მაღლისაითა...

გარდასახვა

სიცოცხლეა ფიქრებად
ჩამოქნილი ისარი...
არაფერი იქნება,
დასტოვებ და... ის არი.
სიკვდილი და სიშავე,
არის შორი სიზმარი...
არაფერს დაიშავებ,
შეიცნობ და... ის არი...
ადვილია სათქმელად,
ეს უბრალო წესდება,
მაგრამ ვიტყვი და გული,
შიშით ამიკვნესდება...

●

სად მიდიოდი...
ვის ეძებდი...
ვისი იყავი...
ვინ შემოგაგდო
ჩემს თვალებში
შვლის ნუკრივით დაფეთებული...
რად ორთოდი,
რად გეშინოდა ისე ძალიან,
რომ ჩემს სხეულში
ერთი ღამეც ვერ გაათიე....
. . . . . .
...ახლა სადა ხარ, სიყვარულო?!

●

გადაიძრე
ბალახების მსუბუქი საბოსი...
მოიცილე
ტვირთმძიმე ჩემი ნაბიჯი,
ნაბიჯები ათასეულთა...
და გამიშიშვლე მხურვალე გული.
საოქმელი მაქვს, რაღაც, შენთან,
დედაო, მიწავ!

ლეონ ბერაძის ბიბლიოთეკა

ომით მინდა....

შიში ელდას დაატირებს,
ცას ესწრაფვის ფიქრი ლეგა,
ვუხმობ ქარებს,
ვუხმობ ქარებს —
სულის ჩემის წასალეკად...

გაცემული არის სესხი,
(პირქუშები დგანან მთები)
სულს სწადია ომის ცეცხლი,
ბრძოლის ხმებით დანანთები...
ნატვრის ელდა დამაცხრება,
როს ცად მიდის ფიქრი წმინდა.
ომით მინდა დამარცხება,
გამარჯვებაც ომით მინდა...

●

...ოღონდაც მეახელ მშვიდობით, —
ვჩურჩულებ ბაგითა...
ო, მსვლელო იდუმალ გზა-კვალით,
იდუმალ ბანგითა...
და როცა მზის სხივებს
სიშავის ქარები გაჰგლიან,
შენ ექმენ, შენ ექმენ მალამოდ
ჩემს სხეულს ეკლიანს...
ძრწოლით და იმედით მოგელი
ამ გზაზე არშინის...
გელი და მეშინის, სიკვდილო,
გელი და მეშინის...

სურვილი

გაგვიანდება,
რა უზომოდ გაგვიანდება
და რებუსივით ირეკლება სულში
მერმისი,
ელი და ელი
სიტყვის კონის ამზიანებას,
სხვა არაფერი შენ არ გრჩება
სასოებისთვის...

აღარც სინათლე,
აღარც ლოცვა გემახსოვრება...
იმედად ხვალის — გარინდება რჩება
თვალების....
ამოისუნთქო ზღაპარივით გინდა
ცხოვრება
და გაჰყვეს ნისლებს
სული, ედემს მისათვალები...

●

ბილილა სიცივით დაზრა,
დეკემბრის ქარები მოდის...
სანამდე შევიძლებ ამ წვას,
სანამდე შევიძლებ ლოდინს...
საწუთრო ნარ-ეკალს თესავს,
ფერები ეცლება დაისს...
რა ხდება,
რა ხდება ჩემს თავს...
სად ვარ და მივდივარ საით...

წამსვლელი სიხარულს ვბედავ,
ღამდება, ღამდება თითქოს...
სულს უნდა სამყაროს ხედვა,
მიწა კი საზღაურს ითხოვს...
ბილილა სიცივით დაზრა,
დეკემბრის ქარები მოდის...
სანამდე შევიძლებ ამ წვას,
სანამდე შევიძლებ ლოდინს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე რჩეულიშვილი

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის

დედა, თავისი ხუთი თვის შვილით, ახალი წლისთვის დაუბრუნდა თბილისს.

1935 წლის აპრილში, გურამის დაბადებიდან 9 თვის შემდეგ, მამამ და დედამ თავიანთი ვაჟიშვილის მონათვლა გადაწყვიტეს. ნათლიები უნდა ყოფილიყვნენ ივანე ჯავახიშვილი და ილია ჯანდიერი. იმხანად ნათლობის რიტუალიდან, ნათლობის საიდუმლოდან მხოლოდ სახელიღა იყო შემორჩენილი. ეკლესიიდან — ქორწინებასა, ჯვრისწერასთან ერთად, ნათლობამაც „მმაჩში" გადაინაცვლა, სადაც, უბრალოდ, მოწმობას იძლეოდნენ „ნათლიების" გვარებითა და სახელებით. მამა „ნათლობის" დღეზე წინდაწინ იყო მოლაპარაკებული. იმ დილით მაინც შეიარა თურმე „მმაჩის" ბიუროში საათის დასაზუსტებლად და გაირკვა, რომ, სრულიად მოულოდნელად, ეს სამოქალაქო „ნათლობაც" გაეუქმებინათ. არშემდგარი „ნათლობის" წვეულება კი გადაიხადეს წინა დღით; ჩვენს წინა, მზიან ოთახში მთელ სიგრძე-სიგანეზე გაშლილი იყო საზეიმო სუფრა, რომელსაც უსხდნენ ნათლიები, ნათესავები და ახლო მეგობრები. მიუხედავად იმისა, რომ გურამი ეკლესიაში არა ყოფილა მონათლული, რაც ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ საერთოდაც არ ყოფილა მონათლული, არც სამოქალაქო „ნათლობა" შედგა. თუმცა თვით ამ გადაწყვეტილების მიღებით, ნათლიების შერჩევით და ნათლობისათვის განკუთვნილი წვეულებით, სადაც, ცხადია, მომავალი ნათლიების სადღეგრძელოც შეისმებოდა, დედამ მიიღო გურამის ნათლობის განცდა და ამიტომაცა წერს მოგონებებში:

„მოვნათლეთ 9 თვისა, ნათლიები იყვნენ ჩვენი საყვარელი და საპატივცემულო ადამიანები ი. ჯანდიერი და ი. ჯავახიშვილი"

ოთხი წლის შემდეგ მეც დავიბადე. გურამი დათო-დალი-გიგისთან ერთად, პაპა ვანოს დაჰყავდა უნაფქოშვილების საბავშვო ბაღში, სადაც ერთხანობას მამიდაჩემი ნათელაც მუშაობდა კონცერტმეისტერად.

თავდაპირველად დედა ცდილობდა ოჯახური საქმიანობა შეეთავსებინა სამეცნიერო მოღვაწეობასთან, მუშაობასთან; უნივერსიტეტში უფროს მეცნიერ-მუშაკადაც კი გადაიყვანეს, ნიჭიერი, საქმიანი, ფხიზელი გონების ახალგაზრდა მეცნიერი ქალი, მაგრამ ერთხელ ჩემი ძმა პარტახტიანი ტიფით გახდა ავად. ბუნდოვნად მახსოვს, შეიძლება არც მახსოვს და დედას მონაყოლიდან ვიცი მხოლოდ, რომ ამის შემდეგ მან მტკი-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცედ მოჭრა და, ყველას გასაკვირად, სამუდამოდ გაანება თავი სამსახურს, რის შემდეგაც მთელი თავისი ულევი ენერგიით გადაეშვა ოჯახის, ქმარ-შვილის მოვლა-პატრონობაში. თუმცა ეს არ იყო მარტო საკუთარი სახლი, დედა ნამდვილად მთელი ნათესაობის გაჭირვების ტალკვესად ითვლებოდა.

მახსოვს ჩვენი ორი დიდი ოთახი რენინგერის და კალინინის ქუჩაზე მდებარე კუთხის სახლის სარდაფის სართულში. ამჟამად ამ სახლზე ჯავახიშვილის (კალინინის) ქუჩის მხრიდან, ივანე ჯავახიშვილისა და მარიამ ორბელიანის მემორიალური დაფებია გაკრული. კიტა აბაშიძის (რენინგერის) ქუჩის მხრიდან კი — კიტა აბაშიძის და ჩემი ძმის, გურამ რჩეულიშვილის. გურამის მემორიალური დაფა გაკეთებულია ჩემი მამიდაშვილის, მწერალ დათო ჯავახიშვილის ძალისხმევით.

ჩვენს ბინაში, რენინგერის ქუჩის მხრიდან, ჩადიოდა ქვის კიბე რამდენიმე საფეხურით. შემდეგ იყო ძველებური, მასიური ხის სადარბაზო კარი, სანახევროდ რკინისრიკულებიანი ფანჯრით, რომლის შემდეგაც ისევ ჩადიოდა, ოღონდ ახლა უკვე ხის კიბე, ისევ რამდენიმე საფეხურით. ეს ხის საფეხურები, რომლებიც პატარა ჰოლით მთავრდებოდა, უცნაურად იყო მომრგვალებული, ისე როგორც თეატრის დეკორაციებშია ხოლმე. ჰოლის მარცხნივ, სათავსოები იყო, პირდაპირ — დიდი ქვის იატაკიანი სამზარეულო, ხოლო ჰოლიდან მარჯვნივ კი, ერთმანეთის მიყოლებით, ორი დიდი ოთახი. უკანა ოთახი უფრო ნესტიანი იყო, ვიდრე წინა. მაგრამ საძინებელი მაინც ამ ოთახში გვქონდა, რადგან წინა, შედარებით ნათელი ოთახი, გასავლელი იყო და, ამდენად, სრულიად მოუხერხებელი დასაძინებლად. ამ უკანა ოთახს ჰქონდა ორი ფანჯარა: ერთი ეიწრო, რადგან მისი უმეტესი ნაწილი მიწაში იყო ჩამარხული. მეორე კი უფრო ფართო, სანახევროდ მიწის ზემოთ იყო ამოსული, რაც გარკვეულ უპირატესობას ვვაძლევდა მეზობელ სვახჩიანებთან შედარებით, რომელთა ფანჯრებიც მთლიანად მიწაში იძირებოდა. ეიწრო ფანჯარა გადიოდა კალინინის ქუჩაზე. ოთახიდან ძირითადად ჩანდა გამვლელების ფეხები მუხლის ქვემოთ. ფანჯარაზე აძრომისას შეგეძლო დაგენახა მოკირწყლული ქუჩა, ლამაზად ამობურცული, პრიალა, მოშავო ტრამვაის ლიანდაგი, რომლის მეორე მხარესაც, ეზოს სიღრმეში, კათოლიკების ეკლესია იდგა. სხვათა შორის, ჩემთვის საამყო ამბებს, შორის იყო ისიც, რომ ჩემ ქუჩაზე დადიოდა ტრამვაი; ისიც, რომ აქ იდგა კათოლიკური ეკლესია, ცოტას გაივლიდა და — რუსული ეკლესია. იქვე, ღობის კუთხეში კი კიდევ ერთი, ძალიან პატარა ეკლესია. ამ პატარა ეკლესიაში, რომელიც კირკის ქუჩაზე გამოდიოდა, თითქმის ყველა ავლა-ჩავლისას შეირბენდა ხოლმე დედა, აანთებდა სანთლებს, ერთიორი წამი შეჩერდებოდა რომელიმე ხატთან, გადაიწერდა პირჯვარს და თან რაღაცებს ჩაიბუტბუტებდა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს სანთლების ანთება დაკავშირებული იყო ომში დაკარგულ დედის ძმასთან, ძია ვალოდიასთან, რომლის დაბრუნების იმედი, ბებოსთან ერთად, დედაჩემსაც ჰქონდა.

ბავშვობიდან მახსოვს ჩვენს ოთახებში ერთი სრულიად ჩვეულებრივი საოცრება, რასაც, ალბათ, ყოველდღე უყურებდა ჩემი ძმაც.

ეს საოცრება დაკავშირებული იყო მზის სხივთან, რადგან ჩვენ სარდაფის სართულში კი არ თენდებოდა და ბნელდებოდა ისე, როგორც სხვაგან, ზევითა სართულებში — გათენდა და მორჩა, დაბნელდა და მორჩა. არამედ გათენება დაკავშირებული იყო მზის სხივის შემოსვლასთან, ისე როგორც დაბნელება მის წასვლასთან, გაქრობასთან. ამდენად, ჩვენ სარდაფის სართულში ყველაზე კარგად აღიქმებოდა მზის არსებობა, უფრო სწორად, სხივების გამომცემი მზის, რადგან ყოველთვის იგრძნობოდა რაღაც წყარო, რომლისგანაც მოდიოდა სინათლე; რომელიც ამ სინათლეს გამოსცემდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ბნელ ოთახში, აი, იმ ვიწრო ფანჯრიდან, რომელიც ეკლესიის მხარეს გადიოდა, არ ვიცი, როგორ, მაგრამ მზის ვიწრო, გამჭოლი სხივი, გრძელი, ოღონდ მხიარული, ყოველთვის ახერხებდა შემოსვლას. იმავე ოთახის დიდი, მაღალი ფანჯრიდან შემოდიოდა თითქოს უფრო ფერმკრთალი, დაბნეული და მოწყენილი სხივი. მეორე ოთახი კი სავსე იყო მარაოსავით გაშლილი მზის სხივებით, რომლებიც სხვადასხვა ფანჯრიდან შემოსულები რაღაც მომენტში ერთმანეთსაც კი კვეთდნენ, მაგრამ როგორიც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ეს იყო ყოველთვის მზის ვიწრო, გრძელი სხივი, რომელშიც ირეოდა უამრავი გაბრწყინებული, პატარა მტვრის ნაწილაკი, ეტყობა, იმდენად სწრაფი იყო მათი მოძრაობა, რომ ისინი გაჩერებულებივით ჩანდნენ. აი, ეს იყო ის ჩვეულებრივი საოცრება, რასაც ჩვენ ყოველდღე ვუყურებდით – მზის სხივი, რომელსაც ჰქონდა ფორმა, სიმკვრივე, რომელიც ჰაერში გაჩერებული იყო დამრეცი სვეტივით, საყრდენების გარეშე და, არ გადავაჭარბებ თუ დავწერ: როდესაც ადრეული ბავშვობისას წავიკითხე ილიასთან, რომ განდეგილმა წიგნი მიაყრდნო სხივს, არ გამკვირვებია, მაშინვე გამახსენდა ჩვენი სხივი და მისი მნიშვნელობა ბუკვალურად აღვიქვი.

დედა, მამა და მე, უკვე უგურამოდ, ვცხოვრობდით მზით გაჩახჩახებულ ლარსის ქუჩაზე, მეორე სართულის ოთახებში. მაშინ ჩვენი ოჯახი ექვსი წევრისგან შედგებოდა: ია – ჩემი ძმისშვილი, გურამი – ჩემი შვილი და ჩემი მეულლე გეიდარ ფალავანდიშვილი. ლარსის ქუჩაზე ჩვენს ბინას ჰქონდა ერთი დიდი ფანჯარა, ანუ შუშაბანდი მთელი ორი ოთახისა და სამზარეულოს გაყოლებაზე. შუშაბანდი მზის მხარეს იყურებოდა და მთელი დღის განმავლობაში ძლიერ, ერთიან, შემონათებულ, ყაშკაშა მზეს აქეთ-იქიდან ვემალებოდით სქელი ფარდების უკან. მაშინ, როდესაც აი, იმ მზით გაჩახჩახებულ შუშაბანდში გურამმა (ჩემმა შვილმა), რომელმაც ის-ის იყო გამართულად დაიწყო წერა-კითხვა, მოულოდნელად წაგვიკითხა თავისი პატარა მოთხრობა მზის „მიმზიდველი სხივის" შესახებ, რომელიც „დანავარდობდა", „ტკბილად უღიმოდა", „ეალერსებოდა", „ხელებს უწვდიდა", „იჭერდა", რომელმაც მას მოთხრობის ბოლოს „თავზე მზეჭაბუკის გვირგვინი დაადგა", – რენინგერის ქუჩაზე ჩვენი სარდაფის სართულში შემოსული მზის სხივი არ გამხსენებია. ახლა კი როდესაც გამახსენდა ერთი, იმას მოჰყვა მეორე და მოგონდა ისიც, რომ ამ სხვადასხვა დროების ერთ დროდ აკინძვას უძღოდა წინ „პაპა გოგოთურის" დაჟინებული კითხვისას აღძრული ფიქრები, რომლებიც პაპა გოგოთურთან ერთად გამალებით მიჰყვებოდნენ ჭერში საცეცხლურად დატოვებული ჭუჭრუტანიდან მზის სხივს ზევით. ჩემი ბუნდოვანი შეგრძნებები, ფიქრები, კარგა ხანს ვერ მოსცილდნენ მაშინ ამ პატარა მოთხრობას, როგორც რაღაცა სითბოს, ენერგიის წყაროს და, როგორც შემდეგ რეტროსპექტულად გაირკვა, ეს იყო გურამის მოთხრობების ფარულ, სიმბოლურ მნიშვნელობასთან, ჩემი პირველი მოულოდნელი შეჯახება. მაშინ ეს იყო შეჯახება და სივრცესთან, სრულიად ჩაკეტილი კარით.

ახლა ჩვენს ოთახებში რენინგერის ქუჩაზე ცხოვრობს ჩემი მამიდაშვილი დათო ჯავახიშვილი. ერთი-ორი წლის წინ დათოსთან წვეულებაზე, ჩვენი ძველი სახლის დიდ ოთხში ვისხედით. დათო და მე სუფრაზე ერთმანეთის გვერდით მოვხვდით სულ ცოტა ხნით, დათომ უეცრად დახარა თავი და ძალიან მორცხვად, ჩუმად თქვა: „რა საოცრად შემოდის ამ ოთახებში მზის სხივი, რამდენჯერ მიფიქრია, რომ, ალბათ, თქვენ დროსაც ასევე შემოდიოდა და თქვენც უყურებდით ხოლმე".

ოღონდ იმ ნესტიანი ოთახის ვიწრო ფანჯარა, წლების განმავლობაში, სულ ახლად და ახლად დაგებული ასფალტისგან, მთლიანად ჩაიძირა მიწაში და ბუნებრივია, რომ ის სხივი, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ოთახის თავისებურებას ქმნიდა, მხოლოდ ქუჩისპირა კედელს ეჯახება ახლა, — რომელიც, ალბათ, მთლიანად აირეკლავს მას.

მაშინ, ჩვენი ბავშვობისას ეს მზის სხივი იყო მთელი პრობლემა. ახლა მახსენდება, რომ ეს არ იყო მხოლოდ ჩემი განცდა. მზის სხივის შესახებ იყო გაუთავებელი ლაპარაკი: — „აი, უკვე შემოვიდა მზე", ამბობდა დედა, „შენ კი წევხარ". ან კიდევ, „მოიღრუბლა, მზის სხივიც კი არა ჩანს"; „გადასწიე ფარდა, შემოუშვი მზის სხივი", ან კიდევ, „როგორ შემოვა მზის სხივი, როდესაც ორი დღეა ფანჯრის გაწმენდა ვერ მოვახერხე". იყო გაუთავებელი: „მზეს ძალა აქვს დღეს", „მზეს აღარა აქვს ძალა". დედა თითქმის ყოველდღე წმენდდა ფანჯრებს, რომ მზის სხივს დაუბრკოლებლად შემოეღწია ჩვენს ოთახებში. წმენდდა, გვიდა და რეცხავდა ასფალტს ჩვენს ფანჯრებთან თითქმის მთელი სახლის გაყოლებაზე, რომ ეს სხივი ქუჩის მტვერში არ ჩაფლულიყო, არ დაკარგულიყო მისი სულ პატარა ნაწილაკიც კი. ის ხან მარჯვნიდან შემოდიოდა, ხან მარცხნიდან. ამ სხივს ველოდებოდით კიდეც მთელი დღე. მზის სხივების მიხედვით დედა უცვლიდა ადგილს ჩვენს საწერ მაგიდებსაც, ჩვენს საწოლებსაც. ახლა ვხვდები, ალბათ, იმიტომ, რომ მისი ტრაექტორია წელიწადის დროების მიხედვით იცვლებოდა. ველოდებოდით იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მზის სხივი გარკვეულ დროს მიანიშნებდა. მუშაობის დროს ანათებდა ჩვენს სამუშაო მაგიდებს, ჩვენი დილის საუზმის და სადილის დროს კი — ჩვენს სასადილო მაგიდას. წინა ოთახში ის გარკვეულ შორეულ კუთხესაც კი ანათებდა ხოლმე დიდი ხნის განმავლობაში. ეს ადგილი ყველაზე ჯანსაღ, მშრალ ადგილად ითვლებოდა მთელ სახლში. ამ ადგილას დედა სასწრაფოდ ათავსებდა ავადგამხდარი ოჯახის წევრის საწოლს. მახსოვს, იქ, ერთხელ, ოთახის შორეულ კუთხეში, როგორ იწვა ჩემი ძმა მაღალნიკელებიან საწოლში და როგორ ამხიარულებდა მზის სხივი მის ქათქათა ლოგინს და მის გვერდით სასწრაფოდ მოთავსებულ დაბალ ტუმბოს თერმომეტრით, წამლებითა და გემრიელი ხილით.

ასე იყო ბავშვობისას. ჩვენ შევდიოდით მზის სხივში და მაშინ მზის სხივი ისარივით გვერჭობოდა გულში. ჩვენ ვჩერდებოდით, ვიცინოდით, გვიხაროდა, რომ გადავკვეთეთ, მერე გამოვდიოდით ამ სხივიდან, ვისხედით და გაუთავებლად ვუყურებდით პატარ-პატარა ნაწილაკებს, გაუთავებლად ვენიძლავებოდით ერთმანეთს, მოძრაობენ ისინი თუ გაჩერებულები არიანო. დედა კი ასუფთავებდა და ასუფთავებდა, ალამაზებდა და ალამაზებდა ყველაფერს ჩვენს გარშემო. სასადილო მაგიდაზე ყოველთვის გადაფარებული იყო ქათქათა თეთრი სუფრა, რომელზეც იდო იაპონიიდან პაპას ჩამოტანილი მრგვალი, განიერი, დაბალი, რბილი, ჭრელი, უნაზესი ფაიფურის ვაზა, ამ ვაზაში გაუთავებლად ეწყო დიდი იასამნის ტოტები. ღამღამობით ამ მაგიდას ზევიდან ანათებდა ხშირი რეცხვისაგან გახუნებული ჭრელი აბრეშუმის ჭაღი.

როდის დავინახე პირველად ჩემი ძმა?

ეს იყო ალვანში, სადაც ოთის დროს გადავედით საცხოვრებლად. აი, იქ, ალვანში გადავაწყდი პირველად მის სიყვარულით ანთებულ თვალებს, რომელთაც შემდეგ არა ერთხელ შემოუხედავთ ჩემთვის განაწყენებულებს.

ერთხელ, თელავში, ბებოსაშასთან სტუმრობის დროს გავხდი ავად. ძალიან პატარა ვიყავი, სამი ან ოთხი წლის. დედა და გურამი ალვანში იყვნენ, უამრავი რამ იყო იქ მოსავლელი და თავს ვერ ანებებდნენ. მახსოვს, მაღალი სიცხე მქონდა. საშინლად მენატრებოდა დედა. უეცრად ჩამოვიდა მამაჩემი, ჩექმებში ჩატანებული შარვლით, მზეზე დამწვარი, გარუჯული სახით... ამის შემდეგ ჩემი თავი მახსოვს ფეხშიშველა იმ კარებს შორის, რომლებიც ეზოს მხარეს, ვიწრო პივანზე გამოდიან. ვდგავარ, თვა-

ლებს ვიფშვნეტ და ვტირი. ბებო ვიშ-ვიშით გამორბის შეშინებული, მამაჩემს ხელში ავყავარ. მე ვიცი, რომ უხეში, გარუჯული სახისა და ხელებს იქით, მამას აქვს თეთრი, ქათქათა ტანი. მამა ამ-ბობს: „დედა, წავიყვან მარინეს მაროს-თან. ნუ გეშინია, არაფერი მოუვა". ბებო, ცალხელისგულლოყაზეშეძოდებული, შეწუხებული აქნევს თავს აქეთ-იქით. მახვევენ ნაბადში და შარაბანზე მსვამენ... მერე არაფერი მახსოვს, შეიძლება მეძი-ნა კიდეც მოელი გზა. მახსოვს, ის, რა-შიც ვისხედით, გაჩერდა. მამა დაიხარა და ჩუმად მითხრა „ხმა არ ამოიღო". მა-მას სახით და ხმით უცებ მივხვდი, რომ რაღაც ეშმაკობაშია საქმე და გავინა-ბე. მაგამ თავფეხიანა გამახვია ნაბადში. მერე ნაბადი მსუბუქად აიტაცა ხელში და დაღო აივანზე... დედა და გურამი რა-ღაცას ეკითხებიან. მესმის „მარინე, მა-რინე" — ხან გურამის და ხან დედის ხმა. მამა ამბობს: „თელავიდან სხვაგან უნდა გამევლო და ვერ წამოვიყვანე". მე უკვე ვიცი, რომ დედას და გურამს საოც-რად წყდებათ გული. ვიხლართები ნაბა-დში, საიდანაც მინდა სწრაფად გამოვ-ძვრე. ძლივს ვითავისუფლებ თავს და, აი, მაშინ პირველად აღვიქვამ, რომ მყავს ძმა, რომელსაც ძალიან ვუყვარ-ვარ.

რატომ გადავედით ალვანში?

მამა დასაწყისშივე გაიწვიეს ომში. მერე, ორ დღეში უკვე გაწვეული, მოუ-ლოდნელად დააპატიმრეს გაურკვეველი მიზეზების გამო. შემდეგ ასევე მოულო-დნელად გაათავისუფლეს, ასევე გაურ-კვეველი მიზეზით. ასე რომ, ომში გა-წვევას მაშინ გადარჩა. შემდეგ კი, რო-გორც ბრუცელოზგადატანილი, საერ-თოდაც გაათავისუფლეს. მამა ჯერ კი-დევ ჩვენ დაბადებამდე გამხდარა ავად ბრუცელოზით, რამაც კარგა ხანს მია-ჯაჭვა ლოგინს. ერთხელ თურმე, როდე-საც დედას უნდოდა მწოლიარე მამასთ-ვის ლოგინის გამოცვლა და ფრთხილად გადაჭყავდა გვერდზე მიდგმულ საწოლ-ზე, ძას შუა გზაში დაეწყო შეტევა და 2-3 თვით გაეჩხირა საწოლებს შორის საშინელი ტკივილებით. ასე ყვებოდნენ, თუმცა, დედას და მამას ხასიათიდან გა-მომდინარე, უფრო სარწმუნოა, რომ მა-მა ლოგინებს შორის ძაძინ 2-3 დღე იწ-ვა, რაც მათ მთელ საუკუნედ მოეჩვენათ.

მერე მამა დაჯავშნეს, როგორც მეცნ-ნიერი მუშაკი. ისე რომ ომში აღარ წასუ-ლა. თბილისში ცხოვრება, რა თქმა უნ-და, ძალიან ძნელი იყო. მამა სამუშაოდ გადავიდა თუშეთში და ჩვენც თან წაგ-ვიყვანა. ვცხოვრობდით ქვემო ალვანში 1-2 წელიწადი — თუ მეტი არა.

მახსოვს ყველა სახლი ალვანში, რო-მლებშიც ჩვენ ვცხოვრობდით. მე მაშინ სამი ან ოთხი წლისა ვიყავი, ასე, რომ, გურამი იქნებოდა 7 ან 8 წლის და უკვე პირველ კლასში დადიოდა.

თავდაპირველად ვიდექით ბაინდურა-ძეების ორსართულიანი სახლის ზევითა სართულის ოთახებში. ქვევით, დიდ ოთ-ახ-სამზარეულოში თვითონა ცხოვრობ-დნენ. ქალებს აქ ღამე ჩაცმულებს ეძი-ნათ, აქ აკეთებდნენ საჭმელს, აქვე ჭამ-დნენ. ზევითა ოთახებში, რომლებიც ჩვენ დაგვითმეს, ჩვეულებრივ, ეძინათ ხოლ-მე ცხვრიდან მობრუნებულ კაცებს, წი-ნდაწინ ცოლების მიერ დაბანილ-დასუფ-თავებულებს. „რატომ წვები, ეპრო, ჩაც-მულ-დახურული, თანაც მარტო, ქვედ ოთახში?" იკვლევდა ახალჩასული დე-და გზას თუშურ წეს-ჩვეულებებში „სად გეცალის ქალებს იქ დასაწოლად, ვერა ხედავ, დილაადრიან ვადგივართ საქ-მეს", — პასუხობდა განაწყენებული ეპ-რო დედას და თან უკვე ცხვარში დიდ ხნით გასული მეუღლის ქვეშაგებს უვ-ლიდა სასხამ დილით.

მახსოვს ის უცნაური სიცივე, უცხო სუნი, როდესაც პირველად შევედით იმ ზევითა სასტუმრო ოთახში. მახსოვს ნი-კელებიანი საწოლები, ერთმანეთზე დაწ-ყობილი მაღალი, გაყინული, გაქვავებული ბალიშებით, ოთახის შუაში პრიალა მა-გიდით, უაზრო ჭაღით და ასევე გაშეშ-ბული, უაზრო, უფუნქციო სკამებით. მა-ხსოვს, როგორ სწრაფად გაათბო და მო-აშინაურა დედამ ის ოთახი. როგორ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუმფულდა, დარბილდა და დაპატარავდა ბალიშები. როგორ გამხიარულდნენ ნიკელის საწოლები ჩვენი ძველი გადასაფარებლების ქვეშ. მახსოვს, როგორ დადგა კედელთან დედამ ის პრიალა მაგიდა, როგორ გადააფარა ბებოს დარუფიავებული ჭრელი სუფრა და როგორ თბილად ანათებდა მაგიდის ნათურა საღამოობით ჩვენს ნახატებიან წიგნებს, ფერად ქაღალდებსა და ფანქრებს, გურამის ხელით გამოყვანილ დიდ ასოებს, რომლითაც ის სკოლის რვეულის ფურცლებს ავსებდა.

ერთ საღამოს მე, დედა და გურამი ჩვეულებისამებრ ვისხედით იმ ნათურიან მაგიდასთან. დედა შუაში იჯდა, მე ვიჯექი მაგიდის ერთ კუთხეში, საწოლებისაკენ, მაღალბალიშებიან სკამზე, გურამი კუთხეში — კარისაკენ. დედას თითი ჰქონდა დაჩირქებული, დასიებული და მალიმალ დებდა ცხელ წყალში, რომელიც ღვინის ჭიქაში ესხა. თან გურამს, რომელიც იქვე სკოლის დავალებას ამზადებდა, რაღაცებს ეუბნებოდა. მე ჩემთვის ვჩხაპნიდი ფერადი ფანქრებით. უეცრად გაიღო კარი და შემოვარდა ქურქში გახვეული ქისტი, სწრაფად მტაცა ხელი და, ის იყო, ოთახიდან უნდა გავარდნილიყო, რომ დედა საოცარი ნახტომით აღმოჩნდა იმ ქისტსა და კარს შორის. რატომღაც, სრულებით არ მახსოვს ჩემი თავი იმ მომენტში, არც ფიზიკურად, არც შეგრძნებებით; თვალწინ მიდგას მხოლოდ წამოვარდნილი დედა, წამომდგარი გურამი. ეს ყველაფერი ერთ წუთში მოხდა. ეტყობა, დედას ისეთი გააფთრებული სახე ჰქონდა, რომ უეცრად იმ საშიშმა ქისტმა მოიხადა ჩამოფხატული ბოხოხის ქუდი და სიცილით თქვა: „რა იყო, დეიდა მარო, რამ შეგაშინათ, გეხუმრეთ, ეს მე ვარ, ლამარა". ლამარა ბაინდურაძე იყო ჩვენი დიასახლისის უფროსი ქალი, რომელიც თავისი ოინებით განთქმული იყო. ამ ამბავს შემდეგ ხშირად ყვებოდნენ უფროსები და თან მოაყოლებდნენ ხოლმე, ასეთმა სულელურმა, უშნო ხუმრობამ ადამიანს შეიძლება გული გაუხეთქოსო. ეს იყო 1942-43 წლები. ამ დროს ქისტები აჯანყდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამბობდნენ, რომ მათ ჰყავდათ ორი სარდალი: იბა და იდრისა. იბა ცალთვალა იყო და თუშებს შიშის ზარსა ცემდა. ქისტები ეომებოდნენ გარეშემო ყველას, განსაკუთრებით კი კომუნისტ თუშებს. ნამდვილი ომი იყო, რომელშიც ბევრი არაკომუნისტიც ზარალდებოდა, იჭერდნენ ბავშვებს. ცვლიდნენ ტყვეებზე, იღებდნენ ფულს. ამიტომ იყო, რომ ასე ძალიან შეეშინდა მაშინ დედას.

ბაინდურაძეებთან იმ პირველ ზამთარს ჩამოვიდა ბებო საშაც. მამამ თქვა, ბაინდურაძეების ზევითა სართული ცოტა ფარღალალა იყო და ამიტომ, როდესაც ბებოს ფილტვების ანთება დაემართა, მთელი ოჯახი თავხელიძეებთან გადავედით, რადგან მათი სახლი გამოსაზამთრებლად შედარებით უფრო მყუდრო იყოო. დედას ახსოვს ეს გადასვლის მომენტი, როგორ მოიყვანა მამამ ურემი, როგორ დააწყვეს ზედ ყველაფერი, რაც გვებადა, მერე ამ ყველაფერს ზევიდან როგორ დაადეს ლეიბები, რომლებზეც დააწვინეს საბანში გახვეული ბებო საშა; იმ ცივ ზამთარს ბებო თურმე ძლივს დაუძვრა მძვინვარე ავადმყოფობას, მხოლოდ კარგი მოვლისა და ახლად შემოსული სულფიდინის წყალობით. მახსოვს თავხელიძეების ერთსართულიანი, აივნიანი სახლი გზის პირას, თავისი შიშველა, უშნო ეზოთი, შიგადაშიგ გაბნეულად მოფარფატე ქათმებითა და ბატებით და ახლად გამოჩეკილი, ყვითელი, ფუმფულა წიწილებით გარშემორტყმული ჭრელი კრუხით.

აი, ახლაც ვხედავ ჩემ თავს — ძალიან პატარას, ძრგვალს, გარუჯული ლოყებით, ხუჭუჭა თმით და თეთრი წინსაფრით, — თავხელიძეების ეზოს შუაში. მესმის, დედა და გურამი ალერსიანი ხმით მეძახიან. მე უკვე ვიცი, რა უნდათ ჩემგან, ოღონდ არ ვიმჩნევ. ნელა მივბაჯბაჯებ, გულში კი საშინლად გახარებული ვარ. გურამს და დედას ჩემი დახმარება სჭირდებათ. ასე იყო გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაც, თვითონ დადგებიან შორიახლო და მე გამაგზავნიან ეზოში დავარდნილი მკვდარი წიწილას გადასაგდებად. მე თამამად მივდივარ, ფეხში ვკიდებ ხელს და ცოტა მოშორებით რაღაცა ორმოში ვისვრი. მერე შეშინებული გამოვრბივარ უკან უდარდელი სახით. დედა და გურამი მაქებენ. მერე სარდაფში მაგზავნიან, რომ ვნახო, იქაც ხომ არა გდია მკვდარი წიწილა. მე ამაყად ჩავდივარ და კიდევ ამომყავს ერთი, რომელიც მიწაზე უძრავად ეგდო და იგივე ორმოში ვისვრი. მერე დედა საპნით ხელებსა მბანს ეზოში და ვიღაც ქალს ეუბნება: „ჯერ ძალიან პატარაა, არაფერი ესმის". გურამი შორიახლო დგას და ჩუმად მიყურებს. მე რაღაც გახარებული ვარ. არც დედას ვუყურებ და არც გურამს. მერე ყველა ერთად ესხდებით სასაუზმოდ.

ალვანში დედა საპონს ამზადებს. მე და გურამი დედაჩემისათვის სურნელოვან ღეროებს ვწყვეტდი, რომელსაც „გერანი" ქვია. დედა საპნის დასამზადებელ წყლიან მასაში დებს და მერე ყველაფერს ერთად ადუღებს. საპონს ამის შემდეგ არაჩვეულებრივი სუნი აქვსო, ეუბნება დედა ყველას და თან ასწავლის, სად იზრდება ეს ყვავილი. სურნელოვან სითხეს, რომელიც შემდეგ საპნად უნდა იქცეს, დედა დიდ, გრძელ სარეცხის ტაშტში ასხამს. ეს სითხე ცოტა ხანში მაგრდება, მერე დედა პატარ-პატარა ნაჭრებადა ჭრის და ნაცნობებს ურიგებს... გაგიჟებით მიყვარს გორდილები და ქუმელები. თბილისში უკვე მერე, აღმოვაჩინე, რომ არათუ გემო არ იცის არავინ ამ საჭმელების, არამედ არც გაუგიათ. ქუმელა მოხალული ქერისა და ერბოში მოზელილი შაქრის ფხვნილისაგან მზადდება. ერთმანეთში არეული მკვრივ მასას შეგიძლია კვერცხის ფორმა მისცე ხელში ზელით და ისე შეუდგე ნელ-ნელა ლოღნას. ცხელ-ცხელ გორდილას, — მოხარშულ ჭადს კი, თუშურ ყველთან ერთად, არაფერი სჯობია საჭმელად. „საწყალი მიშა, ნეტა როგორ გიძლებთ, მჭამელაი გყავთ მუცელში თუ რა არის! ყველს პურივით ჭამთ. ქალოვ, საოჯახო არ უნდა იცოდეთ!" — ეს ეპროს სიტყვებია, თავხელიძეების დიასახლისის. უკვე მერამდენედ აცინებს დედა ჩვენ სტუმრებს თბილისში ეპროს სიტყვებზე და თან ამატებს, რომ თუშები „საოჯახოს" ეძახიან ისეთ ყველს, რომელიც ერთ მოწიწკნაზე ხუთ გორდილას მაინც შეგაჭმევინებს.

არ ვიცი, დედას მონაყოლიდან მახსოვს თუ მეც იქვე ვიდექი მაშინ, დედას გვერდით... ჩვენ აივანზე ვსხედვართ. შარაგზაზე მოდიან ბიჭები, დედა შორიდან ამჩნევს ბავშვების ჯგუფს და გახარებული ამბობს: „გურამს ვერც კი გამოარჩევ თუში ბიჭებიდან". გურამი შემორბის ეზოში, შორიდან ისვრის ჩანთას და სადღაც გარბის. მამაჩემმა ახლა, როდესაც გაიგო, რომ ალვანის შესახებ ვწერ, მითხრა, „მარინე, ბიჭია მელინეიკეზე დაწერე რამე? გურამს რო თვალს მოკრავდა, სპეციალურად დააოთხებდა ცხენებს, გურამი, გამოუდგებოდა და შეახტებოდა ხოლმე". იქნებ გურამი მაშინ სწორედ ბიჭია მელინეიკეს გამოუდგა, ჩანთა რომ ისროლა ეზოში და გავარდა!

დედაჩემი თავის ჩანაწერებში ალვნის პერიოდსაც იხსენებს:

„გავიდა დრო. მოიზარდა ჩემი გურამი. 41-42 წლებში, მესამე კლასის მოსწავლე ალვანში გადავიყვანეთ სასწავლებლად. 7 წლის გურამს ჰყავდა უკვე 3 წლის და მარინე, მეტისმეტად დინჯი და ადვილი გასაზრდელი გოგო, ალვანში ჩვენთან ბებო საშა იყო ხოლმე. ერთ დღეს პატარა გურამმა გამოგვიცხადა, მე მოელი შარვლით და კალოშებით სკოლაში არას გზით არ წავალო. ჩემო ბებო, ძალიან გთხოვ, რემ ლურჯ შარვალზე უკან ორი სხვადასხვა ფერის საკერებელი დაადე, რომ გამოჩნდეს; ფეხზე ქალამნები უნდა ამოვიკრა და ჭრელი წინდები ჩავიცვა. სასკოლო ჩანთას სახელურში თოკი უნდა გავუყარო, თუშური ქუდი უნდა დავიხურო და მაშინ ნამდვილ თუშის ბიჭს დავემსგავსები. თო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემ ასე ქალაქელს მეძახიან და არ მინდაო. მე ძალიან გავჭირვეულდი ყველაფრის შესრულებაზე, მაგრამ საწყალმა ბებო საშამ მოხოვა, მოდი, შევუსრულოთ, რაც არის, არის. ღამიანად დაჯდა ბებო და გურამის ლურჯ შარვალს ორი დიდი ღია ფერის საკერებელი დაუდო. დიასახლისს წინდები გამოართვა, ქალამნები ამოასხმევინა, გურამმა კი დიდი თოკი გაუყარა სასკოლო ჩანთის სახელურს, თუშური ქუდი მოიდო თავზე და დიდი სიხარულით ადრიანად გაიქცა სკოლისკენ. შუადღისას ცოტა დაიგვიანა, შარაზე გავედი შესახვედრად, მოდიოდნენ აუარებელი თუშის გოგო-ბიჭები, გურამი არ ჩანდა, მაგრამ ნახეთ მე და ბებოს სიცილი, როცა მოგვიახლოვდნენ, ვნახეთ, წინ მშვილდ-ისრით გურამი მოუძღოდა. უკვე ისეთი ელფერი ჰქონდა, ჩემი შვილი ვერც კი ვიცანი. მთელი დღე ჩვენი სახლის კართან გურამის ძახილი ისმოდა, შეუყვარდათ თუშის ბიჭებს გურამი. გაკვეთილებს სასწრაფოდ მოამზადებდა და მერე სულ „რაგატკების" დამზადებაში იყო, ჩვენს აივანზე რა ხარისხის რეზინა და „რაგატკის" ჯოხი აღარ იყო. ერთი თვე ეყო ეს გატაცება, ეს გასართობი, მერე მშვილდ-ისრით შეცვალა. იყო ერთი ისრების ტყორცნა, ბიჭები ცდილობდნენ რაც შეიძლება ესიამოვნებინათ, ახალი ამხანაგი, თუ კი სადმე კარგი მშვილდ-ისარი იყო, გურამთან მოჰქონდათ. მოკლედ, პატარაობა გურამმა ძალიან კარგად გაატარა ალვანში, ნუ გგონიათ, გურამი მარტო სწავლაში და თამაშში იყო ყოჩაღი, არა, ამავე დროს იყო დაუზარებელი, გამრჯე და იმედიანი ბიჭი. 7-8-10 წლის გურამი შესანიშნავად მშველოდა სიმინდის დაბინავებაში. მამამისი სიმინდის ტეხის დროს ალვანში არ იყო. ეს სიმძიმე მე და ჩემმა პატარა შვილებმა გადავიტანეთ, გურამი ისე დაუზარებლად მეშველებოდა, როგორც დიდი".

მახსოვს, ალვნის რომელიღაც ეზოში მე და გურამი სახლობანას ვთამაშობთ, დედა სახლში არ არის. ეტყობა, გურამთან დამტოვეს. გურამი მეთამაშება და თან მეუბნება, რომ მე დედაჩემის შვილი არა ვარ, აყვანილი ვარ. ამიტომ არა ვგავარ არც დედას და არც მამას. ამიტომაც ისე არც ვუყვარვართ, როგორც ის. მე ვერაფერს ვატყობ და არცა მჯერა არც ერთი სიტყვის, მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის, როგორც კი დედა მოდის, ყელზე ვეკიდები და ტირილ-ტირილით ვუყვები გურამის ნათქვამს და თან ჩემ ძმას ნიშნის მოგებით ვუყურებ. გურამი სიყვარულით შემომცქერის, თან იცინის, მერე, ჩემგან გათავისუფლებული, ღობეს ახტება და სადღაც გარბის.

ჩვენი ალვანში ყოფნის პერიოდში დედაჩემი ძალიან ახალგაზრდა იყო, ალბათ, 29-30 წლის. რაღაც ისეთი შეგრძნება მაქვს ახლა, რომ დედა მაშინ ისეთი იყო, როგორიც მერე გახდა გურამი — თამამი, უშიშარი, დამოუკიდებელი, აქტიური, მოუსვენარი („თუხთუხა ჩაიდანი", როგორც ერთმა ჩვენმა ნათესავმა შეარქვა). სწრაფად იღებდა გადაწყვეტილებებს, ხან აღმა მივყავდით, ხან დაღმა. მაშინ ჩვენ მაყურებლები ვიყავით, დედა მოქმედი, მერე როლები შეიცვალა.

ერთხელ ალავერდობაზე უნდა წავსულიყავით. მამა საქმეზე იყო ცხენით წასული. დაიგვიანა. შეიძლება დედამ იფიქრა, რომ მიშა საერთოდ აღარ აპირებდა ჩვენს ალავერდობაზე წაყვანას. ყოველ შემთხვევაში, დედა გაქრა და ცოტა ხანში შარაბანით დაბრუნდა. კოხტად ჩაგვაცვა, თავზე თუშურად წამაკრა თავშალი, თვითონაც ასევე წაიკრა. მე და გურამი შარაბანზე აგვსვა, თვითონ კი კოფოზე შემოჯდა და ხცენს მათრახი გადაუჭირა. არ მახსოვს გახარებულები ვიყავით თუ არა, ჩუმად კი ვისხედით. ისე, დედაჩემის გვერდით უშიშრობის განცდა ყოველთვისა მქონდა. დედა გამალებული მიაჭენებდა „ბეგოვკას". გამოჩნდა გაშლილი ალაზანი. დედამ სწრაფად მოუძებნა ფონი. მერე ამბობდნენ, რომ ალაზანი ადიდებული იყო, რომ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიში იყო შიგ შესვლა და სხვა. ასე თუ ისე, დედა ნელ-ნელა გავიდა ფონს. იქვე მდინარის გაღმა აღმართი იწყებოდა. მახსოვს ის თიხნარი აღმართი, ისიც, როგორ ააგდო დედამ ცხენი მთელი ქანით იმ აღმართზე და უეცრად როგორ მოწყდა „ბეგოვკა“ ცხენს და როგორ დავგორდით ალაზნისაკენ. ისიც მახსოვს, უეცრად როგორ მოვარდა ვიღაც ცხენოსანი, რომელმაც თურმე შორიდანვე შეამჩნია ჩვენი გასაჭირი, როგორ სტაცა ხელი ჩვენს „ბეგოვკას“ და როგორ კინალამ არ ჩავგორდით ალაზანში. მერე ჩვენ ჩამოგვსვეს შარაბნიდან, თვითონ შეაბეს ცხენი, მერე იხევ ჩაგვსხეს. რაღაც ბუნდოვნად მახსოვს გურამი, ძალიან პატარა: მე უკვე შარაბანში ვზივარ, დედაც. გურამი კი ქვევითა დგას, ცოტა მოშორებით, ჩვენ გვიყურებს და თითქოს ჩაჯდომა არ უნდა. მერე ისიც ხტება შარაბანში. ცხენოსანი ჰკიდებს ხელს ჩვენს ცხენს და ნელ-ნელა აღმართზე აჰყავს. ამბობს, რომ ტყე სავსეა ყაჩაღებით და გვაცილებს. ტყის ბოლოდან უკან ბრუნდება და ჩვენ სამნი მივაჭენებთ ალავერდისკენ. დედა — ისევ კოფოზე, შემართული, უშიშარი, ანთებული, ხალისიანი თვალებით; ჩვენ — ჩუმები, პატარები. მერე მახსოვს, სურათივით, ჩვენი შარაბანი აწეული ბოლოებით, ჩვენი პატარა სუფრა შარაბნის ჩრდილში. დედას თბილისელი ნაცნობი პროფესორები გაკვირვებულები ჩვენი იქ ყოფნით და ჩაცმულობით; მერე უეცრად მამა საიდანღაც ცხენით, თუშური ქუდით, ჩექმებში ჩატანებული შარვლით. მერე მე როგორ ვცეკვავ თუშურს: ვიმართები წელში, თავს ვწევ მაღლა და ოდნავ გვერდზე ვიხედები, მერე ხელს ვლუნავ იდაყვში და გადმობრუნებული მუშტი წელთან მიმაქვს, ფრთხილად ვუსვამ ფეხებს და თუშის გოგოსავით სისინით ვუვლი წრეს. ყველა იცინის.

ალვანთან ჩვენი ბევრი უმნიშვნელო მოგონებაა დაკავშირებული, რომელთაც, ყველა გახსენებისას, რაღაცა ძალით მომავალში გადავყავარო.

აი, ერთხელ, მე და დედას დიასახლისის ვირით საფქვავი მიგვაქვს წისქვილში. მე ვირზე ვზივარ და ნელ-ნელა, მთლიანად დედაჩემს მინდობილი, მივყვები ვირის რიტმს. ბუნდოვნად მახსოვს, ძალიან შორს როგორ გამოჩნდა ჩემი ძმის სილუეტი და როგორ მოწყდა ადგილს ვირი, როგორ ყვიროდა დედა, რომ ვირისათვის მაგრად ჩამეჭიდა ხელი და არაფრისა შემშინებოდა, ისევ ვიღაც ცხენოსანმა როგორ გააჩერა ჩემი ვირი და მოვარდნილმა დედამ და გურამმა როგორ ჩამომიყვანეს ვირიდან. დიასახლისმა საღამოთი დედას უთხრა: „წაიყვათ, ბეჩავ, ეგ ვირი ქალაქში, აქ მე აღარ გამომადგება. დავუდებდი ძველად საფქვავს და მიმქონდა ნება-ნება. ახლა ამ ბიჭმა (გურამმა) სულ გადამირია, გაგონილა, ქა, ვირის ჭენება?“

აი, ახლა მხოლოდ აღვიდგენ ომის პერიოდს თავისი გაჭირვებით, სიცივით, ვარდისუბნის თოვლით დაფარულ აღმართს, რომელზეც ნელ-ნელა ჯიუტად მიიწევს წინ ხურჯინგადაკიდებული ვირი; ხურჯინიდან თავი ამოუყვიათ კახურ შოთ პურებს. დედა და პატარა გურამი დაუღალავად მოსდევენ ვირს.

ალვანთან დედაჩემის კიდევ ერთი საყვარელი მოგონებაა დაკავშირებული, რომელსაც დღესაც ისეთივე ხალისით იხსენებს ხოლმე, როგორც 40-50 წლის წინათ, როდესაც სულ ახალი ამბავი იყო: „ერთხელ დავაკვლევინე ეპროს ქათამი, მრგვლად მოვხარშე, გავაკეთე ხირხიტოც, მოვხარშე გორდილა, ქადაც გამოვაცხვე, რაც განსაკუთრებით უყვარდათ ბავშვებს, წინდაწინ ავადუღე ჩაი და გავშალე სუფრა. მერე შევუკეთე ცეცხლს: უკვე დიდი ხანია დულდა ორი ვედრო წყალი; გავამზადე ტაშტი, გავანელე წყალი, ჯერ მარინე ვაბანავე, ჩავაცვი სუფთა საცვლები, ტანსაცმელი, წავაკარი თავზე და ტახტზე დავსვი. მერე გურამი ვაბანავე. იმასაც ჩავაცვი სუფთა საცვლები, ტანსაცმელი, წავაკარი თავზე და ისიც ტახტზე დავსვი. ერთი წუთით გავედი ოთახიდან რაღაცის შემოსატანად და ჩემ შემოსვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამდე გურამმა იმდენი იხტუნავა ამ ტახტზე, რომ მოასწრო ჭუჭყიან ტაშტში ჩავარდნა, რომლის გატანაც ვერ მოვასწარი და თავიდან დამჭირდა მთელი პროცედურის ჩატარება". ყვება დედა და სიხარულით იხსენებს: თავიდან როგორ გააცხელა წყალი, თავიდან როგორ აბანავა გურამი, თავიდან როგორ ჩააცვა სხვა სუფთა შარვალ-ხალათი, თავიდან როგორ წააკრა თავსაფარი. რის შემდეგაც დაუღლელი, როგორი სიხარულით მიუჯდა სუფრას თავის შვილებთან ერთად.

რატომ ყვება დედა ასეთი ხალისით და აღფრთოვანებით ამ ამბავს? რა არის ამ მოგონებაში მისთვის ასეთი მნიშვნელოვანი? ალბათ, ის, რომ ამ პატარა იდილიურ ეპიზოდში კარგად გამოჩნდა მისი შვილების ბუნება ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში: გურამის მოუსვენარი ხასიათი (რითაც ის ძალიან ჰგავდა დედას) და ჩემი — წყნარი, მშვიდი, სადაც დამსვამდა, იქვე ვზდებოდი, გინდ ორი საათი გასულიყო. მაგრამ დედას აქვს მთელი სერია ამბებისა თავისი ოჯახური ცხოვრებიდან, ამბები უნავთობის, უფულობის, საოცარი გაჭირვების შესახებ, რომელთაც ის ასეთივე სიხარულით და აღფრთოვანებით ყვება. ადვილია მიხვდე, რომ ამ მოგონებებს სიტკბოებას, სიხარულს მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის განცდა აძლევს, მთლიანობის, უნაკლო სისავსის შეგრძნება; თავისი შვილების, ოჯახის მოვლა-პატრონობაში დახარჯული ენერგიის განცდა იმ ულრუბლო, უხინჯო დღეებში.

იწყება სიცხეები და თუშები საგარაკოდ მიდიან მთათუშეთში ვიწრო ბილიკებით, რომელზეც ცხენი ძლივს იკიდებს ფეხს. მამა ჩვენც გვპირდება წაყვანას ყოველ ზაფხულს და თან გვიყვება, რომ მთათუშეთის გზაზე ბავშვები ცხენზე გადაკიდებულ „რიუკზაკებში" სხედან, საიდანაც თავს ამოყოფ თუ არა დაინახავ უძირო უფსკრულს, რომლის პირასაც მიდის ცხენი მთელი გზა. ეს განცდა იმდენად რეალური იყო მაშინ ჩემთვის, რომ დღემდე მგონია და ეშინოდ ვყვებოდი მერე თბილისში დიდობისას, რომ ერთხელ მამამ საგარაკოდ წაგვიყვანა მთათუშეთში, ჩაგვსვეს ცხენზე გადაკიდებულ „რიუკზაკებში" და როდესაც ცხენი შეუყვა აღმართს, დავინახე უფსკრული, რომლის პირასაც გამჭვირვალე ნისლებში მივიკვლევდით მერე მთელ გზას ომალოსკენ.

ჩვენ კი სინამდვილეში, როგორც კოდნავ დაცხებოდა, გადავდიოდით თელავში, სადაც ბებოს უკვე მთელი სახლი მომზადებული ჰქონდა შვილიშვილების დასახვედრად...

ჩვენ ვეწყობით აივნის ერთ კუთხეში. დედას გარეთ გამოაქვს საწოლები. მეორე კუთხეში კი ძალო რუსუდანი და გოგი წვანან. შუაში, აივნის მოაჯირთან, გრძელი მაგიდა დგას. როცა მეღვიძება, ბებო უკვე აივნის კიბეზე ამოდის აწეული კალთით, წელში მოხრილი. მერე ცოტა იმართება, კალთას შლის და მაგიდაზე ხის ლასტებზე აწყობს ახლად მოწეულ ლეღვებს. „ეს გუდალეღვია" ამბობს, „ნამდვილი ლეღვი მერე შემოვა, ის ბევრად უფრო გემრიელია..." ბიჭები მთელი დღე ომობანას თამაშობენ: ედიმ, ჩემმა მამიდაშვილმა, რაღაცნაირი თოფები გააკეთა ხისგან, რომელთაც შუაში ლულასავითა აქვთ ამოღრუტნული. სადღაც მიბმულია თოკი, სადღაც შეგიძლია ჩადო ქვა, სადღაც გამოსწიო და ვაისროლო. ყველა ამბობს, რომ ედი ძალიან ყოჩაღია და მარჯვე. ედი ჩემს ძმაზე ორი-სამი წლითაა უფროსი. ბიჭები ედის თაოსნობით აშენებენ ნამდვილ შტაბს კაკლის ძირში, საცეკვაო მოედნის უკანა მხარეს. ზელ აყრიან კაკლის ტოტებს, რომ მტერმა არ შენიშნოს. მე და გოგი სანიტრები ვართ. მკლავზე წითელი ჯვარი გამიკეთა დედამ, თეთრ ნაჭერზე. რაღაცა ჩანთა გადამკიდეს, სადაც ბამბა და ბინტი მიდევს. მე და გოგი ჩანთაგადაკიდებულები გიჟებივით დავდევთ ბიჭებს ხან აღმა, ხან დაღმა. არავის არ ახსენდება სანიტარი, მაგრამ შტაბში გვიშვებენ ხოლმე, თუ თვითონ შეგნით არ არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ავნის ერთ კუთხეში ვხსნი აფთიაქს.

გურამის მოთხრობებში ბევრი ავტობიოგრაფიული ფაქტია. ზოგიერთი შემდეგ მოთხრობის ბოლო ვარიანტში არც შესულა. აი, ერთი მათგანი, რომელიც შემორჩა მოთხრობის „მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ" (გამოცემებში — „მე ახლა ოცდახუთი წლისა ვარ") შავ ვარიანტს: „ბაღის ბოლოს შტაბი გავაშენეთ. ჩემ სამი წლის დას მოწყალების დის როლი ჰქონდა". აი, ისევ ამავე მოთხრობიდან რამდენიმე ზუსტი ფაქტი: „მამა ჯარში არ წაუყვანიათ. სამაგიეროდ, წასული ბიძის დედამ არაფერი იცოდა". „საკრამენტო" ისმოდა ბებოს ხმა ყველგან". მაგონდება გაბრაზებისას ბებოს მიერ ნათქვამი კიდევ სხვა სიტყვები, რომლებიც ყველას ძალიან გვიყვარდა, თუმცა კარგად არც ერთის მნიშვნელობა არ გვესმოდა: «Ерехонская труба» „აშართარაქამა", „ქალი მაინც არ იყო, შე ქალობაშაო, შენა", „თქვენ გინდათ, თქვენი ჭკუის ქეიფზე იაროთ..."

მახსენდება სხვადასხვა ასაკში ჩვენი თავი — გურამი და მე. მაგრამ ეს სხვადასხვა ასაკები ერთმანეთს კი არ ფარავენ, ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ რაღაცნაირად თანაარსებობენ თითქოს, ყველას თავისი ადგილი აქვს, როგორც კინოფირზე ყველა მოძრაობა, ყველა მდგომარეობა თავის საკუთარ სივრცეშია. თითქოს ერთხელ გამოვლენილი არსი ან ხილული ფორმა არა კვდება, არ იკარგება, თუნდაც მხოლოდ სულ ცოტა ხნით შემოხაზოს თავისი კონფიგურაცია ჰაერში.

ასე რომ მუდმივობაშია ის პატარა გოგო, რომელიც გამალებით აგროვებს ახლა სახლის ყველა კუთხეში პატარ-პატარა ბოთლებს, რომლებიც აფთიაქობანას თამაშის დროს გამოადგება. ის ახლაც არსებობს, ის გოგო. აი, ახლა დგას იმ სინჯარებთან. აი, როგორ უხარია წამლების ასაწონი ნამდვილი სასწორიც, რი ჭელსაც მამა ჩუქნის, ის პატარა გოგო და ანთებული დედა, რომელიც გაუთავებლივ უვსებს და უვსებს აფთიაქს ახალ-ახალი ნივთებით.

ბუნდოვნად მახსოვს, როგორ ამოიმარა აივანზე, ჩემს აფთიაქთან, ერთხელ, მუდმივობაში, უკან გადაგდებული თავით, ფაფარაშლილი ცხენი, რომელზეც გურამი იჯდა. არც მამას, არც დედას, არ ახსოვთ, საიდან იყო ის ცხენი. მამა ამბობს, ეს ცხენი გურამმა შეიძლება ბაზრიდანაც კი ამოიყვანაო.

ამ აივანზე ზამთრობითაც გვძინავს ხოლმე. მაშინ საბნებზე ზევიდან მუშამბებს გვაფარებს დედა, რომლებზეც ხანდახან თოვლიც კი დევს. ასეთ დროს დედა დილით ადრე შემოდის, ამოგვაძვრენს საბნებისა და მუშამბების საფარიდან და სწრაფად შევყავართ დიდ ოთახში აგიზგიზებულ ბუხართან. ხანდახან მე უფრო ადრე ვიღვიძებ, ვიდრე დედა მოვა და ხმამაღლა ვიწყებ „გავიღვიძებ ბუჩქის ძირას, ვაკნატუნებ მზესუმზირას". გურამი მეუბნება, რომ ჯობია გავჩუმდე. მე მაინც ვიმეორებ გაუთავებლად ერთი და იგივეს და თან თბილ ლოგინიდან სასიამოვნოდ ვგრძნობ, რომ სიცივისაგან ყველაფერი გაქვავებულია ჩვენს გარშემო. პირიდან ამოსული თბილი ორთქლი ალღობს სიცივეს. მე და გურამი ერთმანეთს ვეჯიბრებით, ვის უფრო ბევრი ორთქლი ამოუვა და ვინ უფრო შორს გაუშვებს.

ხშირად ვიღვიძებთ ჯანღში, დღის სიბნელეში, როდესაც მხოლოდ გონებით იცი, რომ მზე უკვე ამოსულია და ჩვენს აივანს უყურებს. სწრაფად ვიცვამთ დიდ ოთახში, მერე გავდივართ პატარა ოთახში, იქიდან სამზარეულოში, ვაღებთ კარს და ვაბიჯებთ გარეთ ჯადოსნურ ზღაპარში, რბილ, ფაფუკ ნისლში, რომელშიც გახვეულია მთელი სამყარო. ნისლში მივაბიჯებთ ფრთხილად, იქით, სადაც ნადიკვარი გვეგულება და როდესაც ვიგრძნობთ, რომ, აი, უკვე სამუდამოდ გადავსახლდით ამ უცნაურ სამყაროში, უცნობ ქვეყანაში, უეცრად ნისლი უკან იწევს, მერე ისევ უკან, მერე ძალიან სწრაფად უკან-უკან და უეცრად მთლიანად ქრება; გეგონება, არცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილა არასოდეს, ყველაფერი თითქოს შიშვლდება ჩვენს გარშემო. გეგონება, ჩვენც შიშვლები ვრჩებით, მარტონი, რბილ სიწესტეში. მაგრამ, აი, ყოველთვის საიდანღაც, ყოველთვის მოულოდნელად ყველაფერი მზის გაათმაგებული, სიხარულით სავსე სხივებით ივსება. ბრწყინდება ნამიანი ბალახი, ნამიანი ფოთლები, ნამიანი ყვავილები. ძალიან ადრე გაზაფხულზე ნადიკვარი ენძელებით იფინება, რომელსაც ცოტა ხანში ღობის ძირებში მიმალული იები და ყოჩივარდები მოყვება ხოლმე.

ღამე ჩვენი აივნის ცაზე ელვა არაჩვეულებრივი სისწრაფით მოხაზავს ხოლმე უცნაურ, გრძლად დაგრეხილ ფიგურას, ერთი ხელის მოსმით. მოუხელთებელი სინათლის ხაზი, რომელსაც საოცარი წუთიერი სიჩუმის შემდეგ მოჰყვება ასევე საოცარი ჭექა-ქუხილი, რომელიც ხანდახან საოცარი ხმით წყდება. გეგონება, სამყარო დაგემხო თავზე. მაშინ ბებო ან დედა ამბობს ხოლმე „სადღაც ჩამოვარდა მეხი". ხმის სიძლიერის მიხედვით შეგიძლია მიხვდე, რა მანძილზე ჩამოვარდა. ერთხელ, მახსოვს, ყველანი მივხვდით, რომ მეხი დაეცა ნადიკვრის თეატრს და ქვეშ მოიყოლა იქ შეფარებული გოგო და ბიჭი. იმ დღის შემდეგ უკვე ვიცი და სხვებსაც ვეუბნები: „წვიმის დროს ჯობია დასველდე, ვიდრე თავი შეაფარო რამეს". ელვა-ჭექა-ქუხილის შემდეგ, წამით ჩამოწოლილ საიდუმლო სიჩუმეში, უეცრად იწყება ძლიერი წვიმა, რომელიც უმატებს და უმატებს, თითქოს იქცევა ცა და მერე, როდესაც მიაღწევს მაქსიმუმს და ერთნაირ მონოტონურ რიტმში გადავა, გეგონება, დასასრულის გარეშე, შეუმჩნევლად ძილის უფსკრულში ვარდები და იღვიძებ მხოლოდ მაშინ, როდესაც საოცარი მცხუნვარე მზე მოგანათებს დილაადრიან სახეში ისეთი სიძლიერით, ისეთი ინტენსივობით, რომ გეგონება, მხოლოდ შენი აივნისაკენ, შენი ლოგინისაკენ ჰქონდეს მთელი სხივები გამოტყორცნილი.

როგორ განსხვავდება ეს უძირო ძილი, რომელშიც მთლიანად იკარგები გაზაფხულის შხაპუნა წვიმის ხმაურში, სხვა ძილისაგან, რომელიც ერთიან კოშმარულ სიფხიზლეს უფრო გავს. ძალიან მეშინია ასეთი ძილის თუ უძილობის. ბებო მეუბნება, რომ გულზე დავიკრიფო ხელები და სამჯერ ჩუმად ვთქვა „დავწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სასთუმალს დამესვენება". ვამბობ ყოველღამე, თითქოს მშველის.

ახლა ვწერ ამას და ვხედავ უკვე მერამდენედ, სხვაობას დედაჩემსა და ჩემს შორის. დედამ მაშინ ჩემი კოშმარული ღამეებისათვის თითქოს დამტუქსა კიდეც და მითხრა, თავი გამენებებინა სასულელეებისათვის და დამეძინა. ჯობდა, საერთოდ არ მეფიქრა ძილზე თუ უძილობაზე, გადავბრუნებულიყავი მარჯვენა გვერდზე, დამეხუჭა თვალები და ძილი თვითონ მოვიდოდა, როცა საჭირო იქნებოდა. და ამით დაამთავრა. რას ვიზამდი მე იმ შემთხვევაში თუ ჩემი შვილი შემჩივლებდა იგივეს? პირველ რიგში შემიპყრობდა საშინელი შიში, რაღაც გაურკვეველი ავადმყოფობის, და დაიწყებოდა გზა ნევროპათოლოგიდან ფსიქიატრისაკენ, ძიება მიზეზის... ლოგიკის გრძელი ჯაჭვი მტკიცებიდან მტკიცებისაკენ, უაზრო მიზეზიდან უაზრო შედეგისაკენ და, შებრუნებით, სრულ უაზრობაში!

როგორც კი მზე შემოანათებს ჩვენს აივანზე, ჩვენ ვიცვამთ და გავრბივარო ნადიკვარზე. იქ სიგრილეა, მზე გაშლილია, მოფენილია მთელ ნადიკვარზე, სახლის სახურავებზე, გიგოს გორის ტყეებზე და ამიტომ ისეთი მცხუნვარე არ არის. ბალახი ჯერ სველია. ღამის წვიმის შემდეგ შიგადაშიგ გუბეებიცა დგას. მალევე ებრუნდებით სახლში, სადაც უკვე გველოდება დილის საუზმისათვის გაშლილი სუფრა.

მეორე დღეს ძია ლეოს მივყავართ მთელი ბავშვები ცივ-გომბორის მთების კალთაზე მოფენილ ტყეებში, წვიმის მერე გამოსული სოკოების შესაგროვებლად. ვერავინ ვერ აგროვებს ვერაფერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი გამოგვდის, ვედებით ტყეს და ,,აცხოებულები ვჭამთ მაყვალს. მერე ვბრუნდებით უკან, ჩქარ-ჩქარა. მზე უკვე გადახრილია. უეცრად წყდება გზა. მაღალი ხეების უკან უფსკრული ჩანს. უსიამოვნო, ოდნავ შიშნარევ სიჩუმეში ძია ლეო რაღაცა ნიშნების და კომპასების საშუალებით ცოტა ხანში ისევ სწორ გზაზე გვაყენებს, რომელსაც ანათებს უკვე ჩასული მზის სუსტი შუქი..... რა იქნებოდა, ეს უფსკრულები რომ არ არსებობდეს, გზის დაკარგვები, გადახვევები.. შევიგრძნობდით კი მაშინ საერთოდ გზის არსებობას!

ტყის შემდეგ ძია ლეოს რომელიღაცა ეკლესიის სანახავად მივყავართ, მგონი შუამთაა. ძია ლეო რაღაცას გვიყვება. როდის, როგორ, ვინ სად... უეცრად, შუა მოყოლისას აღმოვაჩენთ, რომ შალიკო არ არის ჩვენს შორის. ვეძახით, აქეთ-იქით დავრბივართ. ვიღაცა ხედავს შალიკოს, რომელიც შორს, კლდეზე ბაში-აჩუკის გამოქვაბულებს შორისაა გაჩხერილი. როგორღაც ვიღაცას ჩამოჰყავს ქვევით.

მერე ჩამოდის მამა სამწვადე ხორცით, საზამთროებით — ჩავდივართ ალაზნის ჭალებში. საზამთროებს ცივ მდინარეში ვკიდებთ, რაღაც კუნძებს ვეძებთ, რაღაც ხმელ ფიჩხებს. ჩვენ შინდის ჯოხებსა ვთლით შამფურებად, მერე ხორცსა ვჭრით პატარ-პატარა მოგრძო ნაჭრებად. ფიჩხებს ვაყრით გიზგიზა კოცონს. მამა ამბობს: „დეკაზე შემწვარ მწვადს არაფერი ჯობია". ძია ვახტანგი კი ამბობს: „წალამზე შემწვარი ბევრად უკეთესია". ყველაფერში ასეა. მამას და ძია ვახტანგ ხომეზურაშვილს სხვადასხვანაირი რაღაცები მოწონთ, ძია სულხან სულხანიშვილს კი ყოველთვის ეცინება და ხან ერთს უყურებს და ხან მეორეს. მერე იცინის და დედაჩემს თვალს უკრავს. მერე მამა უკრავს სულხანს თვალს და ვახტანგზე ანიშნებს, მერე ძია ვახტანგი უკრავს თვალს ძია სულხანს და მამაზე ანიშნებს. მამა და ძია ვახტანგი კი კამათს განაგრძობენ. მუხის ბდღვრიალა ნაკვერჩხლები როდესაც ოდნავ ნაცრით იფარება, აქეთ-იქიდან დადებული რიყის ქვებზე ვდებთ შინდის ჯოხებზე წამოცმულ სამწვადეებს და ნელ-ნელა ვატრიალებთ ნაკვერჩხლების თავზე. როდესაც ხორცი მწვადად იქცევა, ჩვენ უკვე ალაზანში სასროლად ბრტყელ ქვებს ვეძებთ. „აბა, ისროლე", — მეუბნება გურამი. ვისვრი, თითქმის იქვე ეცემა. „ეგრეც ვიცოდი", ამბობს გურამი ისევ. „გოგოები საერთოდ ვერ ისვრიან. იმიტომ რომ მკლავით უნდა ისროლო, მხრით. აი", მაჩვენებს თვითონ. მე მაინც ვერ ვისვრი. გურამს მოსწონს, რომ ვერ ვისვრი, იმიტომ, რომ მე გოგო ვარ და ასეც უნდა იყოს. მეც მიხარია, რომ ვისროლო, ვიცი, გურამს მოეწონება, იმიტომ რომ მე გოგო ვარ და მაინც ვისვრი და მეც გამეხარდა, მოკლედ, სულერთია, გინდ ისროლე, გინდ ვერ ისროლე. გინდ რომ გოგო ხარ პატარა ბიჭივით, გინდ რომ გოგო ხარ პატარა ქალივით. ყველაფერი მხოლოდ კარგია.

ალაზნის მერე ისევ ნადიკვარზე გავრბივართ დაღლილები. ნადიკვარი ჩვენი ეზოა. დღისით დავრბივართ ფეხშველები, მხოლოდ ტრუსიკებით. ცაცხვის დაგრეხილ ფესვებში გოგოები სახლობანას ვთამაშობთ. გურამი არ ვიცი, სად დაქრის. რაც ამ მწვანე-ბალახ-ხალიჩა-გადაკრულ გორაზე ხდება, ყველაფერი ჩვენ გვეკუთვნის. ჩვენ გვეხება. საღამოთი ჩვენს ეზოში მთელი თელავი იკრიბება. ჩვენც, მასპინძლები, ნადიკვრობისათვის საგანგებოდ დაბანილ-დავარცხნილები, ვიღებთ სტუმრებს. ზოგს უბილეთოდ ჩვენი ორღობიდან ვაპარებთ მე და გოგი, ზოგს კი ბებო კატოს სალაროში დარჩენილი ზედმეტი ბილეთებით. მე და გურამი ერთმანეთს მხოლო სადილობის დროს ვხვდებით. მე ახალ-ახალი ამბებით შემოვდივარ. „გავიცანი მსახიობ ზიტას შვილი, რომელიც ჯანეტ მაკდონალდის შვილიცაა, იმიტომ, რომ ზიტა და ჯანეტ მაკდონალდი ერთი და იგივეა. ეს გოგონა ახლა აქ მარტოა, ვიღაცამ მოიტაცა", — საიდუმლოდ ვეუბნები გურამს. გურამი მასხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად მიგდებს. მეუბნება: „ვიღაცა მაგრად გატყუებს“. მე ვეჩხუბები: „ეგრეც ვიცოდი, რომ ასე გეგონებოდა, და ჯობდა, არაფერი მეთქვა საერთოდ“. გურამი დედას ეუბნება: „მარინეს გაშვება ნადიკვარზე არა ღირს, კიღაც სულელებთან მეგობრობს“. მე ტირილს ვიწყებ, ეცდილობ, ყველანაირად დავარწმუნო გურამი, რომ სიმართლე ვთქვი, რომ თურმე გაზაფხულზე ყოფილა კიდეც ზიტა თბილისში და გამოვიდა ცირკში. რომ ჩემი ამხანაგი, ზიტას შვილი, წინა რიგში იჯდა და, როდესაც დედამისმა ზიტამ, ანუ ჯანეტმა დაინახა ის, გული წაუვიდა. მერე ისევ გადაკარგეს. ახლა მკაცრი კონტროლის ქვეშ უშვებენ მხოლოდ გარეთ, თან ათასი ზედამხედველი დაყვება. ამ გოგოს მოხუცებული დედ-მამა, რომლებიც მე ზედამხედველები მგონია, გულუბრყვილოდ დააბიჯებენ ნადიკვარზე, როდესაც გვიახლოვდებიან, ჩვენ ვჩუმდებით. დღე და ღამე ვაწყობ გეგმებს, როგორ დავეხმარო. თან ვიცი, რომ თანაგრძნობის მეტი არაფერი შემიძლია. გურამი უკვე მაწყნარებს, მეუბნება, რომ ნუ ვღელავ, ზიტა ჩამოვა და ყველაფერი კარგად იქნება. მახსოვს კარგად, არ მაცივდება, რომ ამ ტყუილების სამყაროს დავაღწიო თავი. მხოლოდ მშვიდად, ღიმილით მეკითხება ხოლმე ამბებს (შეიძლება სწორედ ამ „ამბებს“ გულისხმობს გურამი, როცა ერთ-ერთი მოთხრობის შავ ვარიანტში წერს: ჩემი და თავის სკოლის ამბებს მიყვებოდაო). მერე ცოტა ხანში მე თვითონ მივიკვლევ გზას ფანტაზიების ლაბირინთებში. ის გოგონა თბილისში მიდის. რაღაც ახალ ცნობებს ელოდება დედა ზიტა-ჯანეტისაგან. ჩვენ კი, თელავში დარჩენილები, ახლად შემოსული ამერიკული კლასის თამაშისაკენ ვინაცვლებთ, რომელიც, ძველისაგან განსხვავებით, თავისი უამრავი უჯრით, კლასით, საოცრად საინტერესო გვეჩვენება. ბიჭები საღ იკარგებიან, არავინ იცის, ჩვენ-ჩვენი ამხანაგები გვყავს, რომლებიც ერთმანეთს არც ერთ წერტილში არა კვეთენ. ერთ-ხელ გურამი მეუბნება: „თუ თმებს არ გადაიპარსავ, მოგეპარები და შეგჭრი. უსწორმასწორად, იმიტომ, რომ მუცლის თმით სიარული არ შეიძლება“. მე ვითომ მჯერა და დედასთან მივრბივარ საჩივლელად. მერე თმებს მართლაც მპარსავენ. ჩემი თეთრი თავი ნადიკვარზე ყველას ყურადღებას იპყრობს.

ო, როგორ გვიყვარდა ძია ლეოსთან ერთად რამის დათვალიერება, სულერთია რის! ძია ლეო მიდის თელავის ძველ უბნებში სახლების სანახავად, ჩვენც მივყვებით. ძია ლეო ერთ-ერთ უბანში კლდესთან ჩერდება. ამ კლდეზე მართლა მერცხლის ბუდესავითაა მიშენებული პატარა ორსართულიანი სახლი, ასეთივე პატარა კარ-მიდამოთი. ძია ლეო იწყებს რაღაცების აზომვას, ჩაწერას. სანტიმეტრის ერთი ბოლო რომელიღაც ჩვენგანს უჭირავს, თან გაუთავებლივ ლაპარაკობს — „ჯერ ერთი ეს კაცი ბუნებით დაჯილდოებული ყოფილა არაჩვეულებრივი არქიტექტურული ალღოთი და ამიტომ ასე კარგად, მაქსიმალურადაა გამოყენებული მთელი რელიეფი. აი, ხომ ხედავთ, რა პატარა ადგილია — კლდე, ქვემოთ ფერდობი; ამ ფერდობზე, კლდის პირზე დგას, აი, ეს სახლი. ჩემი აზრით, ეს კაცი ხელოსანი იყო. ალბათ, საკუთარი აბრა ჰქონდა, რომელიც შეეძლო ჭიშკრის თავზე გამოეკრა, რაც ქალაქის ბევრი ადგილიდან გამოჩნდებოდა თავისი მდებარეობის გამო. აი, შემოვიდა დამკვეთი, მუშტარი. ის თავდაპირველად მოხვდებოდა პატარა ეზოში. აი, ხედავთ ამ დიდ ცაცხვის ხეს! აქ, ალბათ, ბაღის სკამი იდგა. აქვე მეორე მხარეს ონკანიცაა. აქ შემთხვევითი არაფერი არაა. შემოსულს შეეძლო დაესვენა ჩრდილში ამ აღმართის ამოვლის შემდეგ, თან წყალიც დაელია და თან ხედითაც დამტკბარიყო. შეიძლება ეს ადგილი ერთადერთიც კი იყო ამ სიმაღლეზე, სადაც წყალი მოდიოდა. შემდეგ მას შეეძლო შესულიყო ხელოსანთან, რომელიც აქვე, პირველ სართულზე იჯდა. შეიძლება ეს ხელოსანი მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაღე იყო. ყოველ შემთხვევაში ოთახის აგებულების მიხედვით ჩანს, რომ პირველი სართული იყო სახელოსნო, რომელსაც მიდგმული ჰქონდა სამზარეულო და სასადილო. ატყობთ, როგორ არის დადგმული ოთახი, აქედან ზევით საძინებელში ვიწრო კიბე ადის; ადგილი რომ არ დაიკარგოს, ის კლდეს იყენებს კიბედ". ყვებოდა ძია ლეო და ჩვენც ვუსმენდით და ვფიქრობდით და ვეძებდით ახალ-ახალ საბუთებს, რომ უფრო კარგად წარმოგვედგინა ის კეთილშობილი, მშრომელი კაცი, რომელიც აქ თავის ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა ოდესღაც, მგონი მე-19 საუკუნეში. ამ კაცის თავისებურებაზე, პიროვნებაზე მეტყველებდა ყველა დეტალი.

მერე სხვა სახლში მივდიოდით. ძია ლეო გვაჩვენებდა ქართულ დარბაზს, მერე რომელიღაცა ეკლესიაში გვიხსნიდა, რომ ქართული ეკლესიის თავისებურება ქართული დარბაზის არსებობამ განაპირობა. მერე შორიდან გვაჩვენებდა თეთრად შეღებილ ლამაზ სვეტებს, რომლებიც შიგადაშიგ გამოკრთოდნენ ხისაივნიან კახურ სახლებს შორის და რაღაც უცხო იერს აძლევდნენ ქალაქს.

ცოტა ხანში ყველანი ერთად მივდიოდით რჩეულიშვილებთან ვაზისუბანში. ...ძია მირიანი ამბობს: „ვახვახიშვილებს ისეთი კარგი გოგოები ჰყავთ, სულ მელიებსა გვანან". „კუდებიცა აქვთ?" — ვეკითხები მე იმიტომ, რომ შემდეგ ყოველ წელიწადს, ყველა ჩასვლაზე, განსაკუთრებული სიყვარულით, ეშხიანი ღიმილით სავსე თვალებით, ძია მირიანმა მომხვიოს ხელი, მაკოცოს და უეცრად მოვარდნილ, თავშეუკავებელ სიცილის ნაკადში, ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაიმეოროს ჩემი სიტყვები. მერე ციცინო წვავს ტაბაკებს, გადმოდგმის წინ ტაფაზევე ასხამს ნიორწყალს და ხუფავს. მერე რაღაცა ქვაბში ერთმანეთზე აწყობს, ისრიმის საწებელას ცალკე ასხამს ქილაში და ყველა ერთად ავდივართ ზევით, ტყეში. ძია ლეოს თეთრი ჩალის შლიაპა ახურავს, აცვია აბრეშუმის ჩალისფერი პერანგი დიდი ჯიბეებით და ღამაზად აქეთ-იქით გადაშლილი თეთრი საყელოთი; ასეთი მამასაცა აქვს. დედა ასეთ პერანგებს, „აპაშას" ეძახის. ვსხდებით სადღაც ტყის ჩრდილებში. ძია ლეო კუნძზე ჯდება და, ფიქრებში წასული, რაღაცას ამბობს ვაჩნაძიანთ ყველაწმიდაზე, რომელიც აქვეა. უკვე დიდობაში, როდესაც ძია ლეო ვაზისუბანში კიდევ ერთხელ იტყვის „ვაჩნაძიანი" და ჩვენ კიდევ ერთხელ გადავდებთ ვაჩნაძიანში წასვლას სამომავლოდ, მოულოდნელად მეუფლება უსაფუძვლო შეგრძნება, რომ რაღაც არის ძია ლეოსთვის უცნაური, გაუგებარი ამ ძეგლში, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი... და ჩემში ბუნდოვანი, გაურკვეველი ფიქრები მიემართება ძია ლეოს ბუნდოვანი, გაურკვეველი ფიქრებისკენ და იქ დაუნაწევრებელ, უსიტყვო შეგრძნებებში იხლართება.

ეკლესია ეკლესიასა ჰგავს. ცოტა ისე, ცოტა ასე. ხელოვნების ყველაზე განზოგადებული ფორმა, რომელშიც შემქმნელი მთლიანადაა ჩაკარგული სრულ ამოუცნობლობამდე, არარსებობამდე. ახლა ვხვდები, რა ხდებოდა ძაშინ, როდესაც ძია ლეოსთან ერთად ვუახლოვდებოდით სრულ ზოგადობას, სიდიადეს, არავის შექმნილს. მოულოდნელად ირკვეოდა, რომ არსებობდა ადამიანი, რომელმაც აირჩია სწორედ ეს ადგილი და არა სხვა, თუნდაც, აი, ის მთა, რომელიც შეიძლება უფრო ლამაზიცაა; აირჩია რიყის ქვა და არა აგური; აი, ეს ფორმა და არა ის, როგორიც კვეტერასა აქვს. ნაწილ-ნაწილ ცოცხლდებოდა ძეგლი, სრული ზოგადობა კონკრეტული ადამიანის სულიერი ენერგიით ივსებოდა ჩვენს თვალწინ იმიტომ, რომ შემდეგ ეს პიროვნება მოულოდნელად ჩაკარგულიყო კახელი თუ იმერელი ხუროთმოძღვრის ცნებაში. მერე ქართულ, უფრო ზოგად ხასიათში, მერე ეპოქაში. იკარგებოდა ჩვენს თვალწინ გაცოცხლებული პიროვნება კახურ ხუროთმოძღვრებაში, მის სიდიადე-სისადავეში, მის სითეთრეში, მის მაღალ გუმბათებში, რომელიც მთელ ეკლესიას ცისკენ მისწრაფულ

ფორმას აძლევს.

— წავიდეთ ალავერდში, — ამბობს მამა, როგორც კი ჩამოდის მთათუშეთიდან. ჩვენ მაშინვე ვსხდებით რაღაც დანჯღრეულ მანქანაში და მივქრივართ ალავერდის სანახავად. თელავის მერე ვარდისუბანია, მერე ძალიან მალე ორად იყოფა გზა, — ერთი შუამთისკენ მიდის, მეორე — ალავერდისაკენ. „აი, აი, ალავერდი", — ამბობს ერთ-ერთი ჩვენგანი; სხვები ვერ ხედავენ. უკვე დაიკარგა. „არა უჭირს, კიდევ გამოჩნდება ერთ-ხელ", — გვამშვიდებს მამა. თვალს არ ვაცილებთ. აი, ისევ გაიელვა რაღაცამ ძალიან შორს ალავერდივით და მაშინვე გაქრა. „დავინახე, დავინახე", — ვყვირივარ მე. „არაფერიც არ დაგინახავს", — მეუბნება გურამი—„მოგეჩვენა". „აი, ზევით — იყალთოს აკადემიაა" — ამბობს მამა. ჩვენ ძლივს ვიხედებით. ჩვენი გზა პირდაპირ ალავერდისაკენ მიქრის. ვუხვევთ მარჯვნივ მტვრიან შარაზე. მანქანა ხტუნაობით აგრძელებს გზას მტვრის ბუღში. მე ოდნავ მეხვევა ბრუ, დედაც ცხვირსახოცს იფარებს ცხვირზე და თავზე თავსაფარს მაკრავს. გზაზე არც ერთი მანქანა არა გვხვდება. „აი, ვენახები", — ამბობს მამა. „აქ ძალიან კარგი მიწებია, კარგი ყურძენი იცის". მანქანა კაკლების ხეივანში შედის, რომლის აქეთ-იქითაც ჩანს საოცარი რიგი უკაცრიელი, ჩუმი ვენახებისა... თოკებზე ასული, დაბმული, დაკლაკნილი, მოქნილი ყურძნის ტოტები, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილები, მწვანე, წვრილი მტევნებით. „წელს კარგი მოსავალი იქნება", — ამბობს მამა, — „თუ სეტყვას გადაურჩა". ჩვენ ყველას, მერე, თბილისშიც გვეშინია სეტყვის, რომელსაც შეუძლია ერთ წამში ბრძოლის ველს დაამსგავსოს მთელი ეს აწყობილი ყურძნების რიგი. უეცრად გზა იწმინდება და იშლება. აღარც სოფლებია და აღარც ვენახები. მიწას მწვანე ბალახი ერევა შიგადაშიგ. დიდი ხანია, რაც ჰორიზონტზე გამოჩნდა ალავერდი, რომელსაც ნელ-ნელა ვუახლოვდებით და უეცრად დგება წამი, როდესაც ჩვენი მანქანა რაღაც წერტილად იქცევა და ჩერდება. ალაყაფის კართან ნელ-ნელა გადმოვდივარ მანქანიდან. „აი, ალავერდიც", — ამბობს მამა. გურამი გარბის, მამა მიდის წინ, მე და დედა თავბრუდახვეულები ნელ-ნელა მივდივართ. მამა და გურამი უკვე ალაყაფის კარის იქით არიან; ცოტა ხანი და ჩვენც შევდივართ უზარმაზარი ეზოს მწვანე, ნესტიან, ჩუმ სიგრილეში და ცოტა მოშორებით კარიდან ქვებზე ვსხდებით გალავნის ჩრდილში. შორს ჩანს, გურამი როგორ ძვრება გალავანზე, მერე როგორ ჩამორბის და ეკლესიის მეორე მხრიდან მორბის ჩვენკენ. ნელ-ნელა შევდივართ უზარმაზარი ტაძრის სიგრილეში. გურამი კიბეზე არბის. ის კიბე მალე მთავრდება და ალავერდის აივნიდან გვეძახის. ვიხედებით ზევით. „აი, ხელი, ნახე, მარინე", — მეუბნება მამა და ყველა ჩასვლაზე მაჩვენებს ტაძრის ძირზე, ქვაზე ამოკვეთილ ხელის ფორმას. „ამბობენ, ამ ტაძრის ამშენებელი აივნიდან გადმოვარდა ძირს, დაცემისას ხელით დაეყრდნო ჯერ კიდევ რბილ ნიადაგს და ასე დარჩა სამუდამოდ მისი ხელის ფორმა ალავერდის ტაძარში". გურამი მალევე ჩამორბის და ახლა ბნელ, ვიწრო კიბეში უჩინარდება. „მიხედე, მიშა" — ეუბნება დედა, რომელიც მანქანას ვერ იტანს და გაბრუებული ნელ-ნელა იკრებს ძალას... „არაფერია საშიში, მალე ჩამოვა", — ამშვიდებს მამა. მერე მკიდებს ხელს და მეც ავყავარ ზევით. მამა წელში იხრება და ისე მიდის მიხვეულ კიბეებში. ზევიდან უკვე მოქრის გურამი. მე და მამა უკან ვბრუნდებით. და ასეა ყოველთვის. მხოლოდ ერთხელ, დიდობისას ვცადე, ავყოლოდი ალავერდის კიბეს და გამეყო თავი გუმბათის სარკმელში, საიდანაც გახურებული, გაკაშკაშებული მეტალის გარდა ვერაფერი დავინახე.

მამა ეუბნება გურამს, რომ ცოტა ხანში ძალიან ატკივდება ფეხები. გარეთ დედა ანაფორაში ჩაცმულ მღვდელს ელაპარაკება. გურამი ისევ სადღაც გარბის, ჩვენ ალაყაფის კარისკენ მივდივართ. ვუძახით გურამს. გურამი მორ-

ბის. ჩვენი მანქანა ისევ მტვერში უჩინარდება. ცოტა ხანში უკვე ნადიკვარზე ვართ. მეორე დღეს მამა ლაგოდეხში მიდის, ან შირვანში, ან შორს სვანეთში.

მახსოვს ძია ლეოს გამომეტყველება, დგომა, აურა, როდესაც ის ძველ შუამთაში, ტაძრის გვერდით, მდგომი, ტაძართან ერთად მდგომი, მწვანეში ჩაფლულ გარემოში, პატარა სერზე გვიყვებოდა და გვიყვებოდა რაღაცას იმ ადამიანის შესახებ, რომელმაც ააგო ეს მონასტერი; გვიყვებოდა იმ ხალხზე, რომელიც მაშინ ამ ეკლესიაში დადიოდა, იმ ტყეზე, რომელიც გარს ერტყა; გიორგი ჩუბინაშვილზე, რომელსაც შეეძლო, ასე საოცრად ეკლესიის სტილის ანალიზით აღედგინა ის საუკუნე, რომელშიც ესა თუ ის ძეგლი შეიქმნა... და ძია ლეო ალავერდში, როდესაც ტაძრის ძირში იდგა და თითქოს შეცბუნებული, თითქოს სიტყვაშემშრალი, გაჩუმებული ზომავდა რაღაცას, მერე გადიოდა განზე, უყურებდა, უახლოვდებოდა და ისევ ზომავდა... და ასე დაუსრულებლად, ყოველთვის, ყველა ჩასვლაზე... და ჩვენ ჩვენს ნებაზე მიშვებულები შევდიოდით და გამოვდიოდით ტაძრიდან, რომელსაც ძია ლეო უანგარიშოდ უახლოვდებოდა და შორდებოდა, და სრულ სიჩუმეში ვბრუნდებოდით უკან, სადაც დიდი ხანია უკვე გველოდა ბებოჩემის მზრუნველი ხელით გაშლილი სუფრა.

ხანდახან დილით ვიღვიძებთ და ვხედავთ: მამა ლოგინში წევს და ძინავს. აქეთ-იქიდან გავრბივართ მე და გურამი და ვახტებით მამას. დედა გვიჯავრდება. მამა არ გვაგდებს, სწორდება, გურამი მამას გვერდით ბალიშზე დებს თავს. მამა ერთ ხელს შლის და მამას მკლავზე მოხერხებულად მოკალათებული ვინაბები, იწყება გაუთავებელი რიგი ზღაპრებისა, რომლის დამთავრების უფლებას მამას არ ვაძლევთ. მამაც ყვება და ყვება, წყნარი, მშვიდი, თანაბარი ხმით. რაღაცა უცნაური ინტონაციით, რომელიც ძალიან ჰგავს ბებოსას.

მამას გრძელ ზღაპრებში საოცრება ხდება. ზღაპრები, თავთავიანთი სათაურების ქვეშ მყუდროდ მოკალათებულები, საიმედოდ ჩაკეტილი სამყაროებიდან, რომლებიც დედას და ბებოს გაუთავებელი კითხვის წყალობით თითქმის ზეპირად ვიცით — საოცარ მეტამორფოზას განიცდიან. წიქარა ნაცარქექიაში გადადის, ნაცარქექია მზეთუნახავის ზღაპარში უკვდავების წყლის მოსატანად მიდის; ბეწვის ხიდზე, რომელზეც გავლა მხოლოდ სიმართლის მთქმელს შეუძლია, მელია გადის; მელიას კუდი ხუთკუნჭულაში ეყინება და ასე დაუსრულებლად. და თანაც ყოველთვის სხვადასხვანაირად. ეს არის ჯადოსნური, დაუსრულებელი ზღაპარი, სადაც მართლა შეიძლება ყველაფერი მოხდეს. მამა — მზეზე გარუჯული სახითა და კისრით, იდაყვებამდე გაყავისფრებული ხელებით, — იყურება სადღაც ზევით და გვიყვება და გვიყვება; მერე შემოდის დედა. სადღაც შუა გზაში წყდება ზღაპარი, რომელიც ისედაც ყოველთვის შუა გზაშია და იწყება მოუსვენარი დღე.

მერე ერთ მშვენიერ დღეს მოდის მამა და დედას ეუბნება: „მარო, მოემზადეთ, ბახსოლიანებთან მივდივართ გრემში“, ვსხდებით ისევ იმ დანჯღრეულ მანქანაში და მივქრივართ გრემისკენ ყვარლის გზით. ყვარლის ლარივით სწორი გზა... მამა ამბობს, რომ ასეთი გზა მთელს საქართველოში არსად არ არის. კაკლების ხეივანში მანქანა დაუსრულებლად მიდის და მიდის. წინ კავკასიონი სულ უფრო და უფრო დიდი ხდება, იშლება, ფართოვდება, და უეცრად თითქოს იკარგება. „აი, ვაშლოვანი“ — ამბობს მამა და ჩვენს გვერდით მთის კალთაზე შეფენილ სოფელს გვაჩვენებს. „იავნანამ რა ქმნა“-ს ვაშლოვანია?“ ვეკითხები მე და პასუხს ყურს აღარ ვუგდებ. აქეთ-იქით ისევ მიჯრით მიწყობილი ვენახებია. მერე გზა შიშვლდება. კაკლების ხეივნიდან გავდივართ. გზის მარჯვენა მხარეს განმარტოებით მდგარი მაღალი მთის რელიეფი უცნაურად მიიწევს ზევით, აშკარად ზევით, ცისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და... ფართო, გაშლილ, მშრალ რიყეზე ყოველთვის პირველად და მოულოდნელად აღმოვაჩენთ, რომ ეს უცნაური რელიეფი — გრემის ტაძარია. მუსიკასავით მესმის მამას წყნარი, მშვიდი, ამაყი ხმა, რომელიც რაღაცას გვიყვება საქართველოს ისტორიიდან. ჩემამდე მხოლოდ ერთი და იგივე ინფორმაცია აღწევს: „გრემი სატახტო ქალაქი იყო... ქვევით ნაქალაქარია... ტაძრის ეზოდან გრემ-ქალაქამდე გვირაბი იყო გამოყვანილი, წყალი...“ მანქანა რიყეს გვერდს უვლის და გრემის აღმართს ებრძვის. ჯურაბი და მამა ფეხით ადიან. ჩვენ ისევ იავბრუდახვეულები გადმოვდივართ მანქანიდან. და ისევ იქვე შესასვლელში ვსხდებით. გურამი ისევ გარშემო ურბენს ეკლესიას, ძვრება გალავანზე, დედა ნერვიულობს, მამა აწყნარებს. მერე ჩვენც შევდივართ ეზოს სიღრმეში. ეკლესიაში შესვლა მეზარება. „უკვე ვიყავი“, — ვეუბნები გურამს. მერე ისევ ვსხდებით მანქანაში. დაღმართზე მანქანა ადვილად ეშვება და ცოტა ხანში ბახსოლიანების კარ-მიდამოში ამოვყოფთ თავს. საოცარი სიხარული იგრძნობა ჩვენი დანახვისას. გიორგი ბახსოლიანი, — მაღალი, ცისფერთვალება, კეთილი, გაშლილ-სახიანი, მზეზე გარუჯული, ახალგაზრდა, ლამაზი, — და მისი მეუღლე თიკო მაშინვე იწყებენ ფუსფუსს. „გიორგი, ჩვენ არაფერი არ გვინდა“, — ეუბნება მამა. „მოდი, ცოტა ხანს დავსხდეთ და ვილაპარაკოთ“. კაცები ერთად გადიან ღვინის გასასინჯად. ქალები ერთად — სუფრის მოსამზადებლად. გიორგი და თიკო დედას და მამას მეგობრები არიან, თბილისელები. ისინი კარგა ხანია, რაც გრემში გადმოვიდნენ საცხოვრებლად საგვარეულო სახლში, სადაც მხოლოდ თიკოს მოხუცი მამა ფრანცი ცხოვრობდა. გააჩაღეს მეურნეობა, ჩაყარეს ვაზი, მოაშენეს ხეხილი. ვენახში მივყავართ. გურამი დაბმულ ცხენს უშვებს და ორღობეში ნელ-ნელა მიჰყავს. მერე ბრუნდება და მე მისვამს უკან. ცხენი მაჯანჯღარებს, ფეხები მოუბერხებლად შიწყვია ცხენის ზურგზე. მორბის დედა და გურამს ეუბნება, რომ მე თავი გამანებოს, რომ მე ჯერ პატარა ვარ. საშინლად მიხარია და, ვითომ უკმაყოფილო, ადვილად ვემორჩილები დედის სურვილს. კაკლის ჩრდილში ვჯდები ფრანცის მოპირდაპირე მხარეს; ფრანცი ნახევრად ბრმაა და მზეს უყურებს პირდაპირ თვალებში. „ეს გიორგის კაბინეტია“, — ამბობს თიკო და შევყავართ წიგნებით სავსე დიდფანჯრიან ოთახში. „რაზე მუშაობ, გიორგი, ახლა?“ — ეკითხება მამა. გიორგი უხერხულად იშმუშნება და რაღაცას პასუხობს. გვიან ღამით ვბრუნდებით სახლში, ჩვენს ქათქათა ლოგინებში, ჩვენს აივანზე, რომელიც მთელ ალაზნის ხეობას გადაჰყურებს. ძალიან დიდი ხნის მერე, როდესაც მე და გურამი ცალ-ცალკე ვკითხულობთ „ანა კარენინას“ და რაღაცა მომენტში კიტისა და ლევინზე ლაპარაკს ვიწყებთ, ერთდროულად გვახსენდება ბახსოლიანები და ერთმანეთს ვეუბნებით, რომ კიტი და ლევინი ძალიან გვანან ბახსოლიანებს, ყველაფრით.

ერთ დღეს ძია ლეოსთან თბილისიდან ჩამოდიან რენე შმერლინგი, ვახტანგ ბერიძე, თინა ვირსალაძე და სხვები. ჩამოსულები უკვე საბარგო მანქანაში სხედან, როდესაც რომელიღაცა ამბობს: „მოდი, ბავშვებიც წავიყვანოთ“. ჩვენ აქეთ-იქიდან ვძვრებით საბარგო მანქანაზე, სახლში შეუსვლელად. დედა წინააღმდეგია. ძია ლეო ამშვიდებს, ეუბნება, რომ მალე დავბრუნდებით. უფროსები ისევ ზომავენ რაღაცებს. ისევ უკვირთ და აღფრთოვანებას ვერ მალავენ. ლაპარაკობენ ისევ რაღაცის სისადავეზე, რაღაცის რაღაცასთან შერწყმაზე. მერე ისევ საბარგო მანქანაზე ვძვრებით ყველანი და თელავში მივქრივართ.

და ასე დაუსრულებლად. ხან აღმა მივყვებით კახეთის გზებს, ხან დაღმა; ხან მივქრივართ ალავერდის სანახავად, ხან გრემის, ხან ახალი შუამთის და ხან ძველი შუამთის. ხან წინანდლის ინგლისურ ყაიდაზე გაშენებულ პარკში ვბორიალობთ უზარმაზარ ნაძვებსა და ჭადრებში და უფროსების რჩევით ჩუმად ვითვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით, რამდენნაირი მწვანე ფერი არსებობს ამ ქვეყანაზე.

საოცარია კახეთის გზები, რომლებითაც ნელ-ნელა ვუახლოვდებით თელავს, თუ გრძელი გზით მივდივართ, ნინოწმინდის გავლით.

„დაიწყო გარე კახეთი" ამბობს მამა და წინ იხედება. გზის გადაღმა ნინოწმინდაა, ვიცით, მაგრამ არასოდეს არა ვჩერდებით. ქვემოთ იორია, დიდი ქვის ლოდებით. მამა ამბობს, რომ აქ ახლოს ქურდიანები ცხოვრობენ, რომ საგარეჯოს ზევით ძალიან კარგი სანადირო ადგილებია. გზა გზას მიყვება და მივდივართ მოუთმენლად სულ წინ. მამა შიგადაშიგ მძღოლს ეუბნება: „რა გემართება, კაცო, მიუშვი მანქანა". დედა ბრაზობს. მამამ იცის, რომელი სოფელი იქნება შემდეგ, იცის ყველა ადგილის სახელი, იცის, სად როგორი ღვინო იწურება და გვეუბნება, რომ ღვინის გემო და სიმაგრე ნიადაგზეა დამოკიდებული, ჰაერზე... მოგვიანებით, როდესაც საქართველოს გზებს ალმა-დალმა დავუყევით მთელი ოჯახი მამასთან ერთად, აღმოვაჩინეთ, რომ მამამ, თურმე, საქართველოს ყველაზე უმნიშვნელო ადგილის სახელიც კი იცის ზეპირად, თავისი მისახვევ-მოსახვევებით, თავისი მოკლეებით და გრძელი გზებით იმიტომ, რომ ცხენით და ფეხით აქვს შემოვლილი საქართველოში ყველა ბილიკი.

ვიცი, რომ მალე დაიწყება ალმართი და გზა დაბალტყიან მთებში შევა. „ეს ჩალაუბანია", იტყვის მამა. „აქ ვცხოვრობდით ბავშვობისას. მამას რკინიგზა გაყავდა, ყველაზე ძნელი უბანი იყო სამუშაოდ, როგორც ამბობდნენ: მეწყრები, მთები..." ჩვენ ვიხედებით მარჯვნივ, მთებზე შეფენილ მწვანე ტყეებში არაფერი არა ჩანს ხეების გარდა — არც სახლები, არც რკინიგზა. ჩალაუბანში, ხეებში ჩაფლულ ეზოში ხისაივნიან სახლში ბებოჩემი ზის აივნის მოაჯირთან წიგნით ხელში. წელში გამართული, კეთილი, რბილი ნაკვთებით, თაფლისფერი, ფიქრიანი თვალებით, მაღლა აწეული, დაგრეხილი სქელი თმით, როგორც ერთ-ერთ მაგარყდიან ძველებურ სურათზეა. ბიჭები — მიშა, ლეო და ვახტანგი ეზოში დაბმულ ორ ცხვარს უტრიალებენ. ეს ის ცხვრებია, რომლებიც ერთხელ თუში მწყემსების ფარას შეერივნენ და ფარიდან, მწყემსებისათვის მოულოდნელად, მხოლოდ ოთხი წლის მამამ გამოარჩია. მერე ბიჭები ტყეში უჩინარდებიან. ბებო რაღაც ახალგამოცემულ ფრანგულ რომანს კითხულობს და მალიმალ გასცქერის გზას, ეტყობა, პაპას ელოდება. ისმის საბარგო მანქანის ხმა. ცოტა ხანში ეზოს ბილიკზე მოდის დაღლილი პაპა, ჩექმებში ჩატანებული შარვლით, ბოლომდე შეკრული ხაკისფერი კიტელით, როგორც ერზერუმში ყოფნისას გადაღებულ სურათზეა. ბებოს სახე უნათდება პაპას დანახვისას. „ტიტო, რა მოხდა, რატომ დაიგვიანე?", ეკითხება ბებო. „ძნელი დღე მქონდა, შურა", პასუხობს პაპა და სწრაფად, ახალგაზრდულად ამოდის აივანზე.

უცნაურია, მაგრამ არასოდეს არ შეგვიხვევია ჩალაუბანში. ბებო რომ ყოველთვის გვიანობამდე პაპას ელოდება გაშლილი სუფრით, ეს დედაჩემისაგან ვიცი. ბევრჯერა მაქვს მოსმენილი ისიც, რომ ერთხელ თურმე ბებო, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ძალიან დასუსტებული, პაპას მოლოდინში გვიანობამდე მჯდარა ჩამქრალ ბუხართან. პაპა საბარგო მანქანით შეშის ჩამოსატანად ყოფილა წასული სხვა სოფელში. გვიან ღამით მანქანის ხმაც გაისმა ნადიკვართან, ყურის ძირში. ბებო მაშინვე წამოდგა და დასუსტებულმა კერძი ნავთქურაზე შედგა გასაცხელებლად. მერე მანქანა, როგორც ჩანს, ალაყაფის კართან გაჩერდა. სინათლესავით გაიელვა რაღაცამ ჩვენს აივანზე, ბებო აფუსფუსდა: აი, საცაა პაპა უნდა შემოვიდეს, აი, ალბათ, უკვე ამოდის ალმართზე ჩვენს ორღობეში. მანქანას აუცილებლად გამოასწრებს იმიტომ, რომ მანქანას მხოლოდ ძალიან ნელა შეუძლია გაიკვლიოს გზა ვიწრო ორღობეში. აი, ალბათ, უკვე აივნის კიბესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის. დასუსტებული ბებო კარებთანაც კი მიდის ტიტოს შესაგებებლად. ცოტაც და ტიტო შემოაღებს კარებს... მაგრამ რატომღაც ფეხის ხმა არ ისმის, მერე რაღაც არეული ნაბიჯების ხმა მოდის შორიდან. ცოტა ხანში ღამის სიჩუმეში იძირება ყველაფერი. ტიტო, როგორცა ჩანს, არ ჩამოვიდა. ეტყობა, ეს სხვა მანქანამ ჩაიარა ნადიკვართან, ბებოს თავის მოუთმენლობაზე ეღიმება და ნავთქურას აქრობს. მხოლოდ მეორე დილით გაიგო ბებომ, რომ მაშინ გულმა სწორად უგრძნო, რომ სწორედ ტიტოს მანქანა გაჩერდა ნადიკვრის ძირში, რის შემდეგაც დინჯი, აუჩქარებელი პაპა, როგორც ყოველთვის, ძალიან სწრაფად გადმოხტა მანქანიდან ალაყაფის კარის გასაღებად... საიდანღაც დაუბერა ძლიერმა ქარმა და ერთ წუთში მოხდა ის, რაც ათასში ერთხელ ხდება და რისიც ყველას ეშინია — პაპას საფეთქელში მოხვდა მანქანის გაღებული კარი და იმწამსვე სული განუტევა. ხშირად, სულ თავიდან და თავიდან უკვე მერამდენჯერ ვიგონებთ, როგორ ელოდებოდა ბებო ყოველთვის პაპას; როგორ დაასწრო პაპამ იმ ღამეს მძღოლს ალაყაფის კარის გასაღებად მანქანიდან გადმოსვლა თავისი სწრაფი ხასიათის გამო, როგორი უცნაური და საშიში ადგილია საფეთქელი, რომელიც გარეგნულად არაფრით არ განსხვავდება სხეულის სხვა ადგილებიდან და, ბოლოს, — „რა მნიშვნელოვანია წუთი", — ამბობს დედა, „ერთ წუთში ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს".

ეს მოგონებაა, გზიდან გადახვევა. ჩვენი მანქანა კი მიქრის უკვე შიდა კახეთის გზებზე. უკვე დიდი ხანია გასცდა ჩალაუბანს და ახლა მტვრიანი ქალაქის ქუჩებს ჭრის თელავისკენ მიმავალ გზაზე. „გურჯაანიც გავიარეთ," — ამბობს მამა, „მალე ვაზისუბანი გამოჩნდება და მერე რაღა დარჩა, ოც წუთში სახლში ვართ". მე მალიმალ ვეკითხები საათს, მამა აუღელვებლად, დაუზარებლად მპასუხობს, რამდენი გავიარეთ, რამდენი დაგვრჩა, რომელი სოფლებია კიდევ გასავლელი. აი, ვაზისუბანიც [illegible] ჩნდება; მარჯვნივ ჩავუქროლებთ ეულად მდგარ აგურის ორსართულიან, უცნაურ, კოშკისმაგვარ სახლს, დამტვრეული აივნით. „ამ სახლში ვცხოვრობდით ბავშვობისას", — იტყვის მამა და კიდეც გამოჩნდება სოფლის მოედანივით რაღაც ჩვენს წინ, ბევრი ხალხით, პატარა მაღაზიებით. მარცხნივ ვიწრო გზა ადის. „ავიდეთ?" გვეკითხება მამა. „მერე ჩამოვიდეთ", — პასუხობს დედა. „ბავშვები დაიღალნენ. ისე კი მეც მომენატრნენ. რამდენი ხანია მირიანი არ გვინახავს. ან ციცინო და ბავშვები როგორ არიან, ნეტავ". ჩვენი მანქანა დაუსრულებლად მიქრის წინ, სულ წინ, გზის ორივე მხარეს მჭიდროდ მიწყობილ სახლებს შორის. სოფელსა და სოფელს შუა ზღვარს მხოლოდ საგზაო ნიშანი თუ მიგახვედრებს. შიგადაშიგ ბატების აუჩქარებელი, მობაჯბაჯე მწყობრი რიგი თუ შეანელებს ჩვენ სვლას ან დედაღორი თავისი მრავალრიცხოვანი გოჭებით, რომლებიც მანქანის ხმაზე ერთი მიმართულებით მიშვერილი დინგებით სწრაფად იფანტებიან. მე და დედა მანქანას ვერ ვიტანთ და შეღონებულებივით ვიხედებით წინ.

აი, მარცხნივ გამოჩნდა მაღალი მწვანე ნაძვნარი, მერე უფრო ხშირი „აი, წინანდალიც", — ამბობს მამა. მე ცოტათი ვფხიზლდები; იმედი მეძლევა, რომ ამ გზას ბოლო ექნება და ყოველ წელს, ყოველთვის, მთელი ცხოვრება, უეცრად წყდება მიჯრით მიწყობილი სახლების რიგი და იშლება გზა. ჩვენ კისისხევის რიყეზე გადავდივართ. ჩვენს ქვემოთ სხვადასხვა ზომის საოცრად მშრალი ქვები ყრია, რიყის ქვები, რომლებიც ადრე გაზაფხულზე ჩამოაქვს საიდანღაც უცებ მოვარდნილ ნიაღვარს ცივ-ცივ-ბორის მთებიდან და აქ, ამ გაშლილ ადგილას სამუდამოდ ტოვებს, თვითონ კი, ალაზანში შევარდნილი უკვალოდ ქრება. უკან ვიხედებით და შორს, მარცხნივ, ნაძვის ხეებს ვავლებთ თვალს. ამ ხეების უკან წინანდლის პარკია. მანქანა რიყეზეც გადავიდა და სწორი ასფ[illegible]ოგრა-

ნი გზა უკვე ალაზნის ჭალებში მიგვა-ქროლებს. „რატომ ქვია ამ ადგილს გრძელი მინდვრები?“ ვეკითხები მამას და როგორც სხვა დროს პასუხს აღარ ველოდები. ველი ჩვენს მარცხნივ დაუსრულებლად იშლება და იშლება, გრძლად იშლება მდინარის ორივე მხარეს, და დაუზარებლად მიყვება ალაზანს, რომელიც, ვიცი, რომ სადღაც ამ ველის სიღრმეში მდორედ მიედინება: „აიხედეთ მარცხნივ, ზევით. აი, ხედავთ სამ გორას, რომელზეც თელავია გაშენებული. ხედავთ, ერთ-ერთ გორაზე მარცხნივ და ოდნავ ქვემოთ ჩვენს სახლს?“ მე ზეპირად ვიცი ის ადგილი ცივ-გომბორის მთების ქვედა კალთებზე, საითკენაც მამა გვახედებს, ოღონდ დავინახე მხოლოდ ახლა, როდესაც ჩემი შვილები გავახედე იმ მიმართულებით. მეორე მხარეს გრძელი მინდვრები მშვიდი, მყარი, ძლიერი მთებითაა შემოსაზღვრული. „ეს კავკასიონია“, — ამბობს მამა. ერთხელაც გავიხედე მარჯვნივ, ბუნდოვანმა შეგრძნებებმა სიტყვების რიგში გაიკვლია გზა და მივხვდი, რომ თითქმის შეუძლებელია ამ მთების დანახვა ისე, რომ ჯერ ალაზნის ჭალების „უმანძილო მინდვრებს“ არ გაჰყვეს თვალი. და მართლაც... უეცრად გაშლილი გზა, ველი, ჭალები... უეცრად მჭიდროდ დასახლებული ადგილებიდან განთავისუფლებული გონება... რომელიც გავარდება ამ დაუსრულებელ ჭალებში... და მაშინ, როდესაც თითქმის უმართავი ხდება თავისი მოულოდნელად შეგრძნობილი თავისუფლებით..... მაშინ როდესაც უკვე გგონია, რომ საშველი აღარაა და უნაპირო, უგზო ქაოსში ამოყავი თავი..... ეჯახები უზარმაზარ მთას, მთის კალთებს, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით, მთელი სიმკვრივით, დინჯად, თანდათანობით ადის ზევით ამ ჭალებიდან და მაღალი მთები კი არ გხუთავს, კი არ გრთგუნავს, ქვეშ კი არ გიქცევს, არამედ, პირიქით, შენც აყავხარ ზევით, სიმაღლეზე, მაღლა გიტაცებს. თითქოს შენგან დამოუკიდებლად წაიყოლიებს შენ გონებასაც ზევით, ზევით, მთის მწვერვალებისაკენ, რომელზეც თბილი, თითქმის თოვლი დევს, და კიდევ უფრო ზევით, ღრუბლებისაკენ, რომლებშიც ეს მწვერვალები უჩინარდება. ბავშვობიდან ვერ ამოვწურე განცდა, რომელიც მეუფლება ამ ველის და მთების ერთმანეთში გადასვლის განსაკუთრებულობის შეგრძნებისას. საოცარი ჰარმონიის განცდა მაქვს ყოველთვის აქ, აი, ზუსტად ამ ადგილას, როდესაც მანქანა ალაზნის ჭალებში მიქრის ორივე მხრიდან შემოსაზღვრული ამ მაღალი მთებით. აი აქ, სწორედ ამ ადგილას, მაქვს ხოლმე კახეთის შეგრძნება, შიდა კახეთის, მისი არსის, რომელიც დედამიწის შუაგულად მეჩვენება. უეცრად გზა, ამ მთების კალთების მარცხნივ, აქამდე ალაზნის გაურკვეველ ჭალებს რომ მიყვებოდა, იცვლება უზარმაზარი, ცარიელა მინდვრით, რომელზეც შიგადაშიგ მაღალ ფეხებზე შემდგარი პროპელერებიანი, მწვანე „ვერტმფრენები“ დგანან უზარმაზარი კალიებივით. „ეს სამხედრო აეროდრომია“, — ამბობს მამა და დიდობისას ყოველ ჩავლისას მეუფლება ერთი და იგივე შეგრძნება, რაღაცა გაურკვეველი რომანის, გაურკვეველი სიუჟეტის, რომლის მოქმედების ადგილია კახეთი, შიდა კახეთი და რომლის სიუჟეტური მოძრაობა იწყება სრულიად ბუნებრივად, როგორც ძალიან ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბავი, როგორც დოკუმენტური, საქმიანი პროზა:

„კახეთი თავისი მდებარეობით, თავისი კლიმატური პირობებით არის ის ადგილი, სადაც ადამიანს შეუძლია ისწავლოს ფრენა. ამის საფუძველს იძლევა ზომიერი, მშრალი სიცხე, გამჭვირვალე ჰაერი და თავისებური, ნოყიერი ნიადაგი, თავისებური შეფარდება გაშლილი ჭალებისა და მაღლა ავარდნილი მთების. ამიტომ ამა და ამ ადგილას(ამ ადგილად ყოველთვის წარმოვიდგენდი ხოლმე სამხედრო აეროდრომს) მსურველთათვის გახსნილია ფრენის კურსები“. აქ ყოველთვის ეშმაკურად ვიღიმები ჩემთვის და ამით მთავრდება მთელი სიუჟეტი. ჩემი ფანტაზია უფრო შორს ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასოდეს ვერ მიდის და ამიტომ გაუთავებლივ ვიმეორებ და ვხვეწავ ერთიდაიგივეს უკვე სახლში, ერთიდაიგივე ამბავს, რაღაცა სიუჟეტის ნაწილს, რომელიც მსურველებს მხოლოდ მიანიშნებს ასეთი ადგილის არსებობას და -აშით მთავრდება ყველაფერი.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, გურამის არქივზე დიდი ხანია ვმუშაობ. მაქვს სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერები, რომელთა გადაკითხვას, შეერთებას და დახარისხებას ვაპირებდი. ველოდი შესაფერის დროს. მერე სრულიად ჭავანებე თავი და ისევ აკადემიურ გამოცემაზე დავიწყე ფიქრი.

აი, ეს ჭიდილი — მონოგრაფიასა და აკადემიურ გამოცემას შორის — თუ რომელია უფრო სასწრაფო, რომელი რომელს უნდა უსწრებდეს — აქეთ-იქით მახეთქებდა დროის სხვადასხვა მონაკვეთებში.

დიდი დრო გავიდა და ახლა, თვალს რომ ვავლებ უკვე გაკეთებულს, მეჩვენება, რომ ორივე მომზადება ჩემი ძმის ნაწარმოებების აკადემიური გამოცემის და ჩემი ძმის ცხოვრება-შემოქმედების ინტერპრეტაცია — ერთდროულად მიდიოდა წინ გარკვეული რიტმით. რაღაც მომენტში უეცრად ვიგრძენი, რომ საერთოდ უნდა გავანებო თავი ყოველგვარ ინტერპრეტაციას, რომ ამას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, რომ უნდა დავაღწიო თავი სურვილს, ჩავწვდე ჩემი ძმის მიერ დაწერილ თითოეულ სიტყვას, ნიუანსს, რაც ასე ახანგრძლივებს, აგრძელებს საქმეს და საერთოდ გავანებო თავი „არქივის კვლევის დროს აღძრული ფიქრების“ ჩაწერას (ასეთი სათაურით წარმოვიდგენდი ხოლმე მომავალ მონოგაფიას) და მთლიანად გადავერთო ჩემი ძმის შემოქმედების აკადემიური გამოცემის მომზადებაზე. ორივეზე ერთდროული მუშაობა ჩემი ოჯახური პირობების გამო შეუძლებელი აღმოჩნდა. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ ნამდვილი მიზეზი უფრო სიღრმეში იდო და არ იყო დამოკიდებული მხოლოდ იმაზე, რომ მე ჩემი დროის პატრონი არ ვიყავი. მართლაც, დავიწყე უშუალოდ გამოცემაზე ზრუნვა. გავაგრძელე პასპორტების შედგენა, ხელახლა დავუბრუნდი უკვე დადგენილი ტექსტების დაზუსტებას, გადათვალიერებას. ისევ შეიცვალა რაღაც ქრონოლოგიაში, ისევ გამეხსნა რაღაც ნიუანსი ჩემი ძმის სულიერ ბიოგრაფიაში, ისევ შეიცვალა ტექსტის ფარგლები... უკვე მერამდენედ შეშოვუარე ავტოგრაფებს. მომავლისთვის ვინიშნავდი ახალ საკითხებს; ვხედავდი დროს, როდესაც უკან ჩამოვიტოვებდი ბევრ სხვა საქმეს და მშვიდად მივეცემოდი უკვე ნიუანსებს ტექსტოლოგიური კვლევისას, რომელიც ჩემი ძმის სულიერი ცხოვრების ახალ სიღრმეებში შემიყვანდა. ვხედავდი ამ სიღრმეების უკან სხვა სიღრმეებს და უკვე ვიცოდი, რომ ეს სამუშაო იყო ჩემი ძმის საჩუქარი, რომელიც მისი წყალობით დამეკისრა: „სისხლი მუდმივია. ჩემი ერთგული ბოლომდე შეიძლება იყოს მხოლოდ ჩემი და“, — უთხრა გურამმა ერთხელ ჩემი მეგობრის დას, მაშინ, როდესაც გარე სიუჟეტურ ხაზში ჩვენი ხანმოკლე, მჭიდრო კონტაქტის რღვევა უკვე დაწყებული იყო. ჩემი ძმის საჩუქარი ბევრი რამისგან მიცავს მე ცხოვრებაში, თუნდაც სტიქიური უბედურებისაგან — მიწის ძვრისა და წყალდიდობისაგან, სიკვდილის შიშისაგან, სასოწარკვეთილებისაგან, ამაოების განცდისაგან, ამპარტავნებისა და შურისძიების გრძნობისაგან, განკითხვისაგან, მაგრძნობინებს გულისთქმის რეალობას და ბევრ კიდევ სხვა რამეს.

და აი, უეცრად რაღაცა ძალამ ისევ მიმატოვებინა ავტოგრაფებზე მუშაობა, მართალია, მას შემდეგ, რაც პრაქტიკულად მოთხრობების ორივე კრებული თითქმის უკვე მზადაა და მაშინ, როდესაც ისევ თავიდან დავიწყე პასპორტებისა და კომენტარების დახვეწა და გადასინჯვა. უეცრად ამ ძალამ დამაწერინა ის სათაური, რომელიც ამ მონოგრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიასა აქვს და სულ რამდენიმე დღეში დავწერე ყველაფერი, რაც აი, უშუალოდ ამ სიტყვებს უძღვის წინ. ჩემთვისვე მოულოდნელად, ჩემი ძველი ნამუშევრების გადახედვა-გადმოხედვის გარეშე, დახარისხება-შეჯამების გარეშე, საიდანღაც დაიძრა სიტყვა დაუბრკოლებლად და უეცრად, სულ რაღაც ორ დღეში გამახსენდა ერთი წერილი, რომელიც ჩემ ძმას მივწერე ერთ ძალიან ცხელ ზაფხულის დღეს. ეს უნდა ყოფილიყო გურამის გზის დასაწყისი, ჩვენი ურთიერთობების ნიუანსების მიხედვით. მე ვიჯექი ბაბუ-აჩემთან გმირთა მოედნის მაღალი სახლის მე-5 სართულზე, პიანინოს მაღალ სატრიალებელ სკამზე და ვმეცადინეობდი მუსიკას. გურამი სამხედრო ბანაკში იყო. საშინლად მეზარებოდა დაკვრა, ვწრიალებდი, ვწვალობდი, რატომღაც სრულიად მოულოდნელად გადავწყვიტე, მიმეწერა გურამისათვის წერილი. ეს მოულოდნელი იყო ჩემთვის, რადგან, საერთოდ, იმდენად არ მიყვარდა წერა, იმდენად არ შემეძლო წერა, რომ ეს „არსიყვარული“ და „არშეძლება“ წერილის წერაზედაც კი ვრცელდებოდა, რადგან ჩემს მიერ დაწერილი სიტყვა მაშინვე კარგავდა თავის მნიშვნელობას, იმ აზრს, რისთვისაც ის იწერებოდა და ხდებოდა უხამსი, არაგულწრფელი, სხვათა შორის, ჩემს მიერ აღებული ყველა ბგერაც ბრკოლდებოდა ჩემი ხელების გამო, რომლებიც დაბორკილებივით მოძრაობდნენ კლავიშებზე. ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მე კონსერვატორიაში სწავლა აღარ გავაგრძელე. ყველაფერი ეს შეტყველებდა ჩემი გადმოცემის სრულ უუნარობაზე, სწორედ ამ უნიჭობის ბრალი იყო, რომ გურამს მოსკოვში ძალიან იშვიათად ვწერდი წერილებს (ეს ეტყობა ჩვენ მიმოწერასაც). თითქოს ყველანაირად ვცდილობდი, თავი დამეძვრინა წერილის მიწერიდან, რასაც გურამი ძალიანა მსაყვედურობდა, რადგან მისთვის ძვირფასი იყო ყველა სიტყვა თბილისიდან მიწერილი, უბრალო ჭორიც კი თავის მოსკოვურ სიმარტოვეში. ჩემ გრძნობა-აზრსა და სიტყვას შორის იმდენად გაუკვალავად ბული იყო კავშირი, გამრუდებული, რომ ხალისი მეკარგებოდა წერის; სადღაც იკარგებოდა სათქმელი.

და აი, ასეთი თვისებების მქონეს უეცრად მომინდა, წერილი მიმეწერა გურამისთვის. ჩემდა გასაკვირად, ძალიან უშუალოდ, ბუნებრივად დავწერე ორი-სამი გვერდი, მაგრამ სულ ცოტა ხანში ისევე მოულოდნელად შევწყვიტე წერა, როგორც დავიწყე, და გავნაგრძე წრიალი პიანინოსა და ფანჯარას შორის.

მე უკვე დავიწყებულივით მქონდა ამ წერილის არსებობა და თითქოს გამიკეირდა კიდეც, როდესაც გურამმა ჩამოსვლისთანავე მითხრა: „კარგი წერილი მომწერე, ჩიკოს (გურამ გეგეშიძეს) ძალიან მოეწონა“. გურამის სიტყვებზე უეცრად გამახსენდა ამ წერილიდან ერთი წინადადება: „...გურამ, ჩემი აზრით, ყველა ადამიანში არის ყველაფერი, მაგრამ ჩაძირულია და შენჯღრევას მოითხოვს, რომ დაიძრეს იქიდან. შენ უკვე შენჯღრეული ხარ...“ რატომღაც გავიფიქრე, გურამს, ალბათ, ამ წინადადებების გამო მოეწონა-მეთქი წერილი, თუმცა თვითონ მეტი არაფერი უთქვამს. 30 წლის შემდეგ, არქივის დამუშავების დროს გადავაწყდი ფანქრით დაწერილ ოთხად დაკეცილ წერილს, რომელიც ისე იყო გაცრეცილი, რომ სიტყვების უმეტესობის ამოკითხვა შეუძლებელი აღმოჩნდა. სწორედ ამ ორი წინადადების გამო გამახსენდა ახლაც ის, რადგან ამჟამად, სრულიად მოულოდნელად, დამეუფლა იგივე შეგრძნება, რაც მაშინ სულ 10-15 წუთი თუ გაგრძელდა; შეგრძნება ახსნილი ბორკილებისა, თავდაყირა დაყენებული სიტყვის გასწორების, გამართვისა. გავიფიქრე, გავიაზრე ეს შეუსვენებელი, წინ მიმავალი სიტყვის წერის დროს და უეცრად შევჩერდი. თელავში წასვლა შაბათ-კვირას, რამაც ფიზიკურად ამომაგდო მუშაობის რიტმიდან, ცხადია მხოლოდ საბაბი იყო. სამართლიანად მითხრა ჩემმა შვილმა ჩემი წუწუნის პასუხად — ალბათ, ასე იყო საჭირო, სხვანაირად არც წახვიდოდიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეგნულად, ფიზიკურ პლანში, მართლაც იძულებით წავედი თელავში, ჩემი სურვილის გარეშე, ჩემი ნების გარეშე. მთელი კვირა, ჩამოსვლის შემდეგ, ისევ მივუბრუნდი აკადემიურ გამოცემაზე ზრუნვას და საქმეების ჩვეულ რიგს, რომელიც განუწყვეტელი ნაკადით ცვლის ერთმანეთს ჩემს ცხოვრებაში, ვიფიქრე კიდეც, რომ ეს წერა ჩემთვის ფუფუნებაა და რომ წერის უფლება მე არა მაქვს და როდესაც ბოლოს და ბოლოს ცოტა ხნის დაწყებული საქმის მაქსიმალურ უარყოფამდე მივედი, და საბოლოოდ დასაგმობად, უარსაყოფად ხელში ავიღე ძველი, ერთი კვირის წინანდელი ჩანაწერები და მექანიკურად, ბოლო გვერდის ჩათვლით, გადავიკითხე, უეცრად მივხვდი, რომ მე უბრალოდ კიდევ ერთხელ გავჩერდი, ჩემი საყვარელი სიუჟეტის ფაქტიურად დასაწყისშივე, რომლის გასაგრძელებლად არასოდეს არა მყოფნიდა ფანტაზია, უფრო სწორად, ის საფუძველი, რაც ამ სიუჟეტს წინ წაწევდა. და მივხვდი, რომ თითქოს სულ სხვა ამბის მოყოლის დროს, სულ სხვა სიტუაციაში, სრულიად მოულოდნელად ჩემთვის, ჩემივე თავში გადავაწყდი იმ ჩემს დაუწერელ ნაწარმოებს, რომლის სიუჟეტური მოძრაობა მთავრდებოდა იქვე, სადაც იწყებოდა, და მივხვდი, რომ ეს სიუჟეტი, რომელიც წლების განმავლობაში ამეკვიატა, იყო ერთი იმ უცნაურ ამბავთაგანი, რომელიც ძალიან ხშირად წინ უსწრებს ხოლმე მოვლენების რეალურ განვითარებას. ასეთი ამბები ხდება სწორედ, ჩემი აზრით, მისტიკური განცდის საფუძველი, ასეთი ამბები გვაგრძნობინებენ ხოლმე სწორედ, უხილავის რეალობას.

და უეცრად ვიგრძენი, რომ ეს უკაცრიელი კუნძული, ჩემი სიუჟეტი, გარემოსგან მთლიანად მოწყვეტილი, რომლისკენაც არც ერთი გზა არც მიდიოდა და არც მოდიოდა, სრულიად მოულოდნელად რაღაცა წყალქვეშა დინებებით იწყებდა შევსებას, რაღაცა გაურკვეველი ბილიკებით ისერებოდა მის გარშემო გარემო, ცოცხლდებოდა, ის ხდებოდა რაღაც ჯერაც ბუნდოვანი, ოღონდ რეალური, ცხოვრებისეული სიუჟეტის ნაწილი.

მაგრამ აი, კიდევ ერთხელ დავიწყე და გავჩერდი, როგორც ყოველთვის; თითქოს ისევ ამოვწურე სათქმელი, ვთქვი რაღაცა ისეთი მნიშვნელოვანი, რისი თქმაც უკვე დიდი ხანია მინდოდა; ისეთი რაღაც, რაც თავისთავად სრულიად საკმარისია ყველა დანარჩენის გარეშე. დავწერე და გავჩერდი. ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს გაჩერება? დამეუფლა კითხვა ერთი კვირის შემდეგ, როდესაც მოულოდნელად დავუბრუნდი ჩემ ჩანაწერებს და მივხვდი, რომ გაჩერება არ შეიძლება ნიშნავდეს იმაზე მეტს, რაც გაჩერებაა! გაჩერება მაშინ, როდესაც ყველაფერი წინაა, როდესაც მხოლოდ შევიგრძენი ის ნოტიო ამ გამომშრალ ჰავაში, რაც მიანიშნებდა, რომ დედამიწის უკუნ სიღრმეში ჩაფლული წყალქვეშა დინებები იმდენად ამოიწია, რომ გარეთ იწყებდა გამოჟონვას. გაჩერება მაშინ, როდესაც უკაცრიელი კუნძული რეალური სიუჟეტის ნაწილი ხდებოდა. და მივხვდი, რომ ჯერ მხოლოდ დახასიათებულია ჰავა, ნიადაგი, კლიმატური პირობები, ნოყიერი საფუძველი, იმ შემთხვევაში თუკი შეეძელი ამ სინოყივრის განცდა გადმომეცა. გაჩერება მაშინ, როდესაც იცი, რომ ამ ჰავამ, ამ ნიადაგმა, ამ კლიმატურმა პირობებმა ჭეშმარიტად გამოიღო ნაყოფი, რადგან ჩემი ძმა იყო ის ადამიანი, რომელმაც ისწავლა ფრენა, რომლის აღმატებული რეალურად აჭყვა კავკასიონის მწვერვალებს და უსასრულობას შეერწყა. „ღმერთი რომ იყო, უნდა ახვიდე ცაში და ამ ასვლის შესახებ ამცნო სხვებსაც... ამიტომ ის იწყებს წერას, იღებს ამ უზარმაზარ მსხვერპლს, რომ სხვებსაც აგრძნობინოს, რა კარგია უხორცოდ, უბოროტოდ ცხოვრება“, — დაწერს ჩემი ძმა ერლომ ახვლედიანის შესახებ თავის ერთ-ერთ დღიურში დაბადებიდან 24-ე წელიწადს. ზერე ერთ-ერთ გაცვეთილ რვეულის ფურცელზე ჩახატავს კიბეს სხვადასხვა ზომის საფეხურებით, რომელსაც არც დასაწყისი აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არც დასასრული, მხოლოდ მიმართულება — ზევით, ფურცლის ზევითა კიდისკენ და ქვეშ მიაწერს: «Ступени без начала и конца разных размеров».

გაჩერება მაშინ, როდესაც უკვე ვიცი, რომ ეს გზა, ეს კიბე თავისი გაჩერებებით, ჩავარდნებით, ხელახალი შემართებებით და ახალ-ახალი საფეხურების დაძლევით უკვე ავლილია, უკვე რეალობაა, უკვე ხილული, ცხოვრებისეული სიუჟეტია, ფაქტია.

ამიტომ წინ! მოვუწოდებ ჩემ თავს, დე, გურამის შეძახილი, რომლითაც ის 12 ძმა ხორჯოლანს ამხნევებს, ჩემთვის შეძახილად იქცეს: „არ შეანელოთ თქვენი სვლა, ძმებო!“ დე, ერთი ჩემი ცხოვრებისეული განცდა აივსოს საიდუმლო შინაარსით, იქცეს ერთ-ერთ ისეთ ამბად რომელშიც, როგორც სხვა შემთხვევებში, წინდაწინ გამოვლინდა მომავალი.

ერთხელ, გაბნეულმა ათად, ათასად, ცხოვრების წრიალში თავდაკარგულმა, დაქსაქსულმა, უეცრად ვიგრძენი რაღაცა შესაძლებლობების არსებობა ჩემში, რომელიც ამაოდ, ყოველგვარი საყრდენისა და მიზნის გარეშე შვრებოდა, მარტო, უსაგნობით ჰაერში გამოკიდებული იგრიხებოდა. მოულოდნელად, თითქოს ამ მოწოლილი გრძნობის სიჭარბისგან ამოვიღე ხმა და ეს ჩემი განცდა, ჩემთვისვე გასაკვირად, ჩემს ამხანაგთან საუბარში ასეთი სიტყვებით გამოვხატე:

„მე ვგრძნობ ჩემ თავში რაღაცა უნარის არსებობას, რომელსაც შეუძლია აყვეს მოწამებრივი ცხოვრების მქონე ადამიანს გვერდით, ცხოვრების გზაზე, და არა თვითონ იყო ეს მოწამე“. ეს იყო დიდი ხნის წინ, ესეც კუნძული იყო, მთლიანად მოწყვეტილი გარემოს, რადგან მაშინ, სრულ ქაოსში მყოფმა, არაფერი ვიცოდი იმ ადამიანის შესახებ, რომლის გვერდითაც ვცხოვრობდი 22 წელიწადი და რომლის გზის მიდევნაც მე მეკისრებოდა თურმე მომავალში.

და აი, ახლა, ხოცარი დამთხვევებით იმედმოცემულმა უნდა განვაგრძო წერა, უნდა გადავლახო ის ირონია, „მრავალმნიშვნელოვანი“ ღიმილი, რომელიც დიდი სიხარულით ამასხარავებს ხოლმე თავის ყველაზე სიღრმისეულ გრძნობებსაც კი, და გავყვე იმ ადამიანის გზას, რომელმაც ისწავლა ფრენა, რომელმაც ისე გამოაწრთო სხეული ოთხი წლის განმავლობაში, რომ შესძლო, რეალურად მიჰყოლოდა სულის აღმაფრენას.

წინ! ეს არის მნიშვნელოვანი სიტყვა ჩემი ძმისთვის, რომლის კონცენტრაცია (თუ აკუმულაცია) გაგრაში დაწერილ ერთ-ერთ თითქმის ბოლო ლექსში მოხდა — „წინ სულელო მეზღვაურო“. ამიტომ ყველა გაჩერებისას, დე, ნუ მომაკლდება ეს „წინ“. დე, ნუ მომაკლდება შეგრძნება, რომ ეს გაჩერებაა მხოლოდ და არა დასასრული. დე, ნუ მომაკლდება შეგრძნება გზისა, სხვადასხვა სიდიდის საფეხურებისა... და ისევ ვიმეორებ — დე, გურამის შეძახილი, რითაც ის მთისკენ მიმავალ ხორჯოლანებს ამხნევებს, ჩემთვის შეძახილად იქცეს.

მაშ ასე, წინ! წინ შეუსვენებლივ! ჩემი ძმის ცხოვრება-შემოქმედების, სულიერი ბიოგრაფიის გზაზე.

ჩვენ უკვე ცოტათი გავიზარდეთ. ჩვენს შორის განსხვავება, რა თქმა უნდა, ყოველთვის ოთხი წელი რჩებოდა (ისევ ის ოთხი!). ჩემი ძმა მიდიოდა „წინ“; ლახავდა წლებს, როგორც ზღაპრებშია. აი, ახლა, რატომღაც, დამეუფლა უცნაური შეგრძნება, თითქოს თავისთავად კი არ იზრდებოდა გურამი, როგორც, ვთქვათ, მე, არამედ თითქოს თვითონვე გაივლიდა ერთ წელს და გადავიდოდა მომდევნო წელში, შემდეგ გაივლიდა მეორე წელს და ა. შ. თუ ამ ჩემ შეგრძნებას რაიმე საფუძველი მაინცა აქვს, მაშინ გასაგები უნდა იყოს ერთი ფრაზა გურამის დღიურიდან: „მე ვარ ყველაფერში დამნაშავე როგორც ყოველთვის — ასე მწამს, სხვა ვერაფერს დამიშავებს, ვერც ძასიამოვნებს, თუ მე არ მინდა.“ მაშინ გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ იყო ასეთი მნიშვნელოვანი მისთვის თავისი დაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების დღე — 4 ივლისი, რომელიც, როგორცა ჩანს, მას მიანიშნებდა ახალი გასავლელი წლის დასაწყისს: „ამ თარიღს გულგრილად ვერ ვუყურებ, რადგან ძალიან ბევრს ნიშნავს ის ფაქტი ჩემთვის, რომ გავჩნდი, მისია ამ ამბისა მდგომარეობს იმაში, რომ სხვებისათვისაც იმდენივეს ნიშნავდეს „ეს ფაქტი" (ერლომ ახვლედიანთან მიწერილი გაუგზავნელი წერილიდან).

ჩვენ შორის განსხვავება ოთხი წელი იყო. და უკვე ვგრძნობდი, რომ, თუ ღვთის წყალობა იქნება, ჩემ მეხსიერებაში ძალიან მალე უნდა ამოტივტივდეს მთელი სხეული ჩემი ძმის, მისი რეალური სიტყვა, რეალური სიტუაცია, მაგრამ იქამდე, რატომლაც მენანება ის გაურკვეველი კონტურები, ის ბუნდოვანი შეგრძნებები, რბილ, ფაფუკ გამჭვირვალე ნისლში ამოძრავებული ჩვენი ბავშვობა, და, მომიტევოს მკითხველმა, თუ ჯერჯერობით ისევ თელავისაკენ მიმავალ, ახლა უკვე, მოკლე გზას გაჰყვება ჩემი ფიქრები; მითუმეტეს, რომ გრძელი გზისკენ ჩვენ მხოლოდ ომის დამთავრებიდან დიდი, დიდი ხნის შემდეგ გადავინაცვლეთ, რადგან გომბორიდან გადასასვლელი მთლიანად დაიმეწყრა, ჩაიკეტა და პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა იქიდან მგზავრობა. თორემ ისე მამაჩემი, როგორც ყველა ჭეშმარიტი თელაველი, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე დღესაც კი გომბორის მოკლე გზას ირჩევს ხოლმე, როგორი დანგრეულიც უნდა იყოს ის, როგორც უნდა გვაბურთავებდეს მანქანა ზევით-ქვევით, როგორი გულწასულებიც უნდა გადმოვიდოდეთ მანქანიდან და როგორც უნდა თქვას იმ წუთში თვითონ „როგორ დანგრეულა ეს გზა, აქედან წამოსელა აღარა ღირს".

აი, დიდი ხანი არაა, რაც გაიჭრა გომბორის გადასახვევიდან ახალი, ლარივით გზა. ეს უკვე მას შემდეგ მოხდა, რაც მანქანაში ვსხედვართ ბებო, პაპა (ე. ი. დედაჩემი და მამაჩემი), გეიდარი, ია, ნინო, გურამი და მე. თუმცა გზა კი გაიჭრა, მაგრამ ასფალტი დაიგო მას შემდეგ, რაც ჩვენ ამ გზაზე უკვე გეიდარის პატარა მწვანე რაფით მივდივართ ხოლმე ‘გაზრდილი შემადგენლობით: ბებო, პაპა, გეიდარი, ია, გურამი, ხათუნა, მარიამი. ტასიკო, ლომერი და პატარა ალექსანდრე, რომელიც ახლახან გაჩნდა, ჯერ არ შედგომიან ამ გზას, ჯერ არ ჩაუვლიათ უჯარმის ციხისთვის და არავის უთქვამს მათთვის, რომ უჯარმა ამა და ამ საუკუნეში სატახტო ქალაქი იყო. ჯერ არ გაჩერებულან მთელ გზაზე გამოფენილ ხილითა და სოკოებით სავსე კალათებთან, ხევსურულ წინდებსა და ფარდაგებთან. ჯერ არავის დაუნახვევია მათთვის ძალიან მაღალი, აწოწილი, ნახევრად ჩამონგრეული მთა თუ კლდე, გეიდარის ნიშნული, რომლის ქვეშაც მიქრის მანქანა და რომელიც სულ ცოტა ხანში, ჩვენს ქვემოთ საცოდავად მიწაზე გართხმული, ხეობაში უჩინარდება. ჯერ არ იციან, რომ გომბორის აღმართს ნელ-ნელა უნდა შეუყვე; რომ სოფელ გომბორს გასცდები თუ არა, გზა უკვე პირდაპირ ის ფერდობებზე მიიკლაკნება ხეებში, ალპური ზონის გრძელყლორტება, მსუყე ყვავილებში, მეწყერებში, სახელდახელოდ შეღობილ დახეთქილ მიწებში, რომლებიც უკანა გზაზე თავისი მცენარეული საფარით უკვე ხევში იქნება დაყირავებული. ჯერ მათ არ იციან, რომ გაზაფხულზე აქ უნდა დაკრიფო რაღაცა უცნაური ფერის და ჯიშის უნაზესი ყვავილები, ზაფხულში კი შეგიძლია ერთ წამში მთელი კალათა აავსო კესანეების, ჯიშიანი გვირილებისა და შროშანების თაიგულებით. არ იციან, რომ შემოდგომაზე დასაზამთრებლად სახლში უნდა წამოიღო მუხისა, ჭადრებისა და წიფელას ათასფერა ტოტები. შეგიძლია, თუ ეკლებს არ შეუშინდები, მოტეხო გეიდარის აღმოჩენილი მაღალი, გამხმარი ეკლის ყვავილები, ჩააწყო დაღესტნურ სურებში, როგორც საზამთროდ ჩაკეტილ, გამთბარ, მყუდრო სახლებში ცივ-გომბორის მოების მოგონება. ჯერ არ გაუსინჯავთ მათ გომბორის გადასასვლელის

ყველაზე მაღალ ადგილას ცივი წყლის გემო, თუმცა სიმართლე რომ ითქვას, ამ წყლის გემოს ჩვენც არა ვსინჯავთ ხოლმე. უბრალოდ, ყოველთვის აღვნიშნავთ, რომ აქ განსაკუთრებით გემრიელი წყალი და განსაკუთრებით სუფთა ჰაერია. მანქანიდან ყოველთვის ვხედავთ გაჩერებულ მგზავრებს, რომლებიც წყალს სვამენ, ზოგი პურმარილობს კიდეც. ჩვენ? არასოდეს. რადგან ჩვენ ყოველთვის გვეჩქარება ან თელავისკენ, ან თბილისისკენ. ყოველთვის, თუნდაც წამი შეყოვნების, ხდება საოცრად გადამწყვეტი რაღაცისათვის, რაც მთელ გეგმებს თავდაყირა გვიყენებს. წამი განცხრომის! როდესაც არსად არ გეჩქარება! თითქმის წარმოუდგენელი, მკრეხელური ოცნებაა — ტკბობა მომენტით! კმაყოფილება რაღაცა გარკვეული ადგილით და დროით, როდესაც შეიძლება დაგეუფლოს შეგრძნება ამ მომენტის ერთადერთობის, სრულყოფილების — გამორიცხულია! ამიტომ სწრაფად ჩავუქროლებთ, მხოლოდ შევავლებთ ხოლმე თვალს წყაროს და დარწმუნებული ვარ, რომ იმ დროისთვის, როდესაც ალექსანდრე, ტასიკო და ლომერი დაეშვებიან გომბორის დაღმართზე, ისევ ისე იდგება კობაძის შესასვლელში, მაღალ გორაზე, მაღალი ხეების ძირში რაღაცა სკამის მაგვარი. ნეტა ეს ბავშვები მაინც თუ ავლენ იმ მაღალ მთაზე, რომელიც გზის პირზეა, ნეტა ისინი მაინც თუ დასხდებიან იმ რაღაც სკამის მაგვარზე ამ მაღალი ხეების ჩრდილში და ნეტა ისინი მაინც თუ გადმოხედავენ იქიდან ცივ-გომბორის რბილკონტურებიან, ნაზ, მწვანე ბალახით შემოსილ ტალღოვან მთებს. შეიძლება ჩემს გარდა ჩვენი ოჯახის სხვა რომელიმე წევრსაც უოცნებია გამოზამთრება ამ ღარიბულ სოფელში, რომელსაც ხევსურების წყალობით არ შეუცვლია იერსახე, არ გადაქცეულა ქვად და ქვითკირად, რომელშიც დარჩა იმდენი სივრცე, რომ გაბნეული სახლების დანახვა მხოლოდ გახარებს და სიამოვნებით ეძებ, ხომ არ გამოგრჩა რომელიმე ამ ერთმანეთში რბილად გადასულ მთის კალთებში. შეიძლება მაშინ მაინც გააჩეროს ვინმემ მანქანა და აუჩქარებლად გადაიყვანოს ბავშვები შუამთის წყაროსთან, დაალევინოს გემრიელი წყალი, შესვას მთის ფერდზე, დაათვალიერებინოს გასაყიდად გამოტანილი დოქები, რომლებიც თითქოს უმუშტროდა დგანან მთელი დღის განმავლობაში. შეიძლება სურათიც კი გადაიღონ იმ მოხუც ფოტოგრაფთან, რომლის დაფაზე ძველისძველი გაცრეცილი ფოტოებიდან უცნაურად არაბუნებრივად იერიჭებიან ადამიანები. შოთებს ვარდისუბანში ჩვენც ვყიდულობთ, გზიდან ალავერდისკენ ჩვენც ვიხედებით, აღმართს თელავის რიყესთან ბაზრის გადასახვევში ჩვენც შევუყვებით ხოლმე, მერე ავივლით მოედანს, მერე თელავის ძველ თეატრს, რომელიც, სუროებსა და დიდ ჭადრებში ჩაფლული, ჩემთვის ყოველთვის უნცობ-ნაცნობი საიდუმლოებით იყო სავსე. თეატრის შემდეგ, ძველად, მილიციის შენობიდან პირდაპირ ნადიკვრისაკენ ვჭრიდით გზას, მერე — თეთრიანის გადასახვევის გავლით, რომელსაც ახლა გურამ რჩეულიშვილის სახელი ჰქვია, მერე კი რუსული სკოლის გვერდის ავლით ხეებში, მწვანეში ჩაფლული ვიწრო ორღობეში უჩინარდებოდა ჩვენი მანქანა.

ჩვენი ოჯახი ახლა ცამეტი კაცისაგან შედგება, მეცამეტე ჩვენი სიძეა, არჩილ ახვლედიანი, პატარა ტასიკოსა და ლომერის მამა, რომელიც უმეტესად, ალბათ, თავისი მანქანით ჩავა ხოლმე თელავში და თავისებურად გამოატარებს თავის შვილებს თელავისკენ მიმავალ გზასაც (ამ სიტყვების დაწერის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ თოთხმეტნი გავხდით, მეთოთხმეტე ახლა უკვე ჩვენი ახალი სიძეა — ვახტანგ ბუღაძე, პატარა ნინოს მეუღლე.).

ჩვენ კი მაშინ, დედა, მამა, გურამი და მე გზიდან გადმოვუხვევდით თუ არა, მოკლეებზე მივხტოდით, ოღროჩოღრო გზებზე. ეს შეგრძნება გზის მოჭრის, მთავარი გზიდან გადახვევის, რაღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის გაუკვალავი გზის გაყოლის, მერე კი უკვე მოჭრილი გზის მხოლოდ თვალის შევლების, ახალი მოკლეების მოლოდინში, თითქმის მთელი ცხოვრება დაგვყვა თან. და საერთოდ, გზა თელავისკენ, მთელი თავისი კილომეტრებით, წყაროებით, დროის შეგრძნებით, პეიზაჟებით, სავსე ისტორიით თუ აწმყოთი, გინდ მოკლე, გინდა გრძელი, გადაიქცა ჩემთვის გზის ეტალონად, მოდელად. ამიტომ მახსოვს, როდესაც ანაპიდან მე და ჩემი მეუღლე თითქმის ახლად ჯვარდაწერილები მანქანით ვბრუნდებოდით, ყველაში იუმორნარევ გაკვირვებას იწვევდა ჩემთვის სრულიად ბუნებრივი კომენტარები, რომელიც დატვირთული იყო სიტყვებით — ჯომბორივით, უჯარმასავით, ალავერდივით, იორივით...

ამ გზაზე დავდივართ ახლაც, მთელი ცხოვრება, ამიტომ ჩემთვის ძნელია გამოვყო ბავშვობისეული აღქმა უკვე მოზრდილი ასაკის ან თუნდაც დღევანდელი შთაბეჭდილებებიდან. ბუნდოვნად მახსოვს ზოგიერთი რამ, რაც მხოლოდ ბავშვობას შეეხება. მაგალითად, „პიანინო" გომბორზე, ახლა რომ ვფიქრობ, საცოდავი, პატარა ხიდი, რომელიც რაღაც ღელეზე იყო გადებული. მაშინდელი აღქმით კი უზარმაზარი ფიცრები, რომლებიც მანქანის ზედ გავლისას პიანინოს კლავიშებივით რიგრიგობით იწეოდნენ ზევით. მახსოვს კიდევ, როგორ დაუკრა ჩემი მამიდაშვილის ცოლმა „პიანინოზე" პიანინო, რომელიც საბარგო მანქანით მოქონდათ თბილისიდან. მახსოვს, როგორ ყვებოდა ამის შესახებ მამიდა ნატაშა და თან დააყოლებდა ხოლმე დემნა რას არ გამოიგონებსო. მახსოვს ისიც, რომ ვერ გამეგო, აქებდა თუ საყვედურობდა მამიდა თავის შვილს, როდესაც ამას ამბობდა. მატარებლის გზის გახსენებას კი არაფერი ეფარება წინ. მაშინ მატარებელი თქლავამდე 8-10 საათი მიდიოდა მგონი. იმდენად ტაატით, რომ, როგორც ამბობდნენ, ადამიანს თავისუფლად შეეძლო სირბილით დასწეოდა და გაესწრო კიდეც. ჩვენ ერთ კუპეს ვიკავებდით, ხშირად — ღია პლაცკარტშიც, მაგრამ სადაც უნდა ყოფილიყო, ის ადგილი მაშინვე იქცეოდა ხოლმე ოაზისად მთელ მატარებელში — თეთრი ხელსაწმენდებით, პატარა, თავსახურიანი ჭიქებით და პატარა პირსახოცებით. მიდიოდა მატარებელი და საგარეჯოდან იწყებოდა: კოკებით ცივი წყალი, რომელსაც ყველა ჩამოვლაზე ვსვამდით; მრგვლად მოხარშული დედლები ნივრით; ჯოხებზე ასხმული ბალი; გემრიელი კიტრი და პამიდორი. სად იყო მაშინ, რომ წყლის დალევა საშიშია; რა იცი, სად აავსეს; ან კოკა იყო თუ არა სუფთა; ან დედალი როგორ ქვაბში მოხარშეს. გამყიდველი გლეხი ისევე იყო მოწადინებული, მგზავრისათვის სუფთა, საღი, გემრიელი წყალი თუ ხილი მიეწოდებინა, როგორც მყიდველი. ყველაფერი იყო სოფლურად ჯანმრთელი. გლეხი ისევე არ ჭამდა სირცხვილს ცუდი საქონლის გამოტანით, როგორც მყიდველი — ეჭვის შეტანით. ამ გრძელ გზას საოცრად ამოკლებდა ეს გაუთავებელი რიტუალი კახელი გოგო-ბიჭებისა, რომლებიც მზეზე გარუჯულები, თუშურქუდიანები, კახური პირდაპირობით, ლაღად, გულწრფელად, ყოველგვარი ეჭვის გარეშე გვთავაზობდნენ საქონელს. თელავის სადგურზე კი გველოდებოდა ფარდაგგადაფარებული „ლინეიკა", რომელსაც აქეთ-იქით შემოვუსხდებოდით დედა და მე. გურამი, ჩვეულებრივ, კოფოზე თავსდებოდა „მელინეიკის" გვერდით და „ლინეიკების" რიგი, რომელიც ხვდებოდა თბილისის მატარებელს, შეუდგებოდა ხოლმე. საერთო ერიამულსა და ცხენების ხვიხვინში, ქალაქისაკენ მიმავალ აღმართს. ნადიკვარზე ამ დროს უკვე დაირხეოდა ხმა, მატარებელი ჩამოვიდაო. ბებო მაგიდას ფუსფუსით გადააფარებდა თავის ქათქათა, საგულდაგულოდ დარეცხილებულ სუფრას, ნავთქურაზე, ნელ ცეცხლზე შემოდგამდა სადილს გასაცხელებლად და მამიდაჩემთან ერთად, სიყვარულით სავსე, გადმოდგებოდა აივანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს მოლოდინში. მამიდაჩემს განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა მამაჩემი და დედაჩემი. მახსოვს მამიდაჩემის კაკლის მურაბა, რომელსაც ჩუმ-ჩუმად სათითაოდ გვასინჯებდა ყველას, ჯერ კიდევ დაზამთრებამდე; გემრიელი, ფუშფუშა კატლეტები და, საერთოდ, ყველაფერი საუკეთესო, უშურველად რომ გვინაწილებდა. კეთილი, ჩუმი მამიდა ნატაშა, მოწაფეების საყვარელი ისტორიის მასწავლებელი, დაუღალავი, რომელიც დღე და ღამე შრომით ზრდიდა უმამოდ დარჩენილ ბიჭებს — ედისა და დემნას.

ომის დამთავრების შემდეგ თელავში ვატარებდით ზაფხულის არდადეგებს ხან მთლიანად, ხან რაღაცა ნაწილს მაინც, ზამთრის არდადეგებს კი — ქუთაისში. ხან კახურად ვუქცევდით „არ გესმიის“ და ღანძილსა და მრგვალად მოხარშულ დედლებს ხირხიტოს ვაყოლებდით, ხან იმერულად კომშს ბიას ვეძახდით, ალუბალს — ქვიშნას და კეცებზე შემწვარ წიწილებს ბებოს დამზადებულ შვინდის საწებელაში ვაწებდით.

ქუთაისის სახლი გოგებაშვილის შესახვევში. ბელეტაჟი: არც მაღალი, არც დაბალი, ზომიერი. ორი დიდი, ერთმანეთისაგან ჰარმონიულად დაშორებული ფანჯრითა და ძველებური, მასიური სადარბაზო კარით. ამ სახლის შემდეგ ვერც ერთ სხვა სახლში ვერ აღმოვაჩინე ის შესაშური, ჩემთვის კანონად გამხდარი სიმეტრია, კარ-ფანჯრების სიდიდისა და ერთმანეთისაგან დაშორების პროპორციები, ამიტომ ყოველთვის მეჩვენება, რომ ზოგიერთ სახლს ძალიან ახლოსა აქვს ერთმანეთისაგან ფანჯრები, ზოგს ძალიან შორს; ზოგი ფანჯარა ზედმეტად დიდია სადარბაზო კართან შედარებით, ზოგი ძალიან ვიწრო და ზაღალი და ასე დაუსრულებლად. იყო რაღაც ისეთი ქუთაისის ჩვენს ბელეტაჟში, რაც გაგრძნობინებდა სიმყარეს, სიმშვიდეს. ეს ძველებური, ქართული აგურით ნაშენი მყარი შენობა, რომელიც მთლიანად განსხვავდება თანამედროვე, ოჩოფეხებზე შემდგარი, აწოწილი, მექანიკურად სიმაღლეზე ერთმანეთზე დაწყობილი ოთახების გროვისაგან, სრული ქაოსისაგან, როგორ მილიონჯერაც უნდა იყოს ის გამოთვლილი ასეთივე ოჩოფეხებზე შემდგარ საპროექტოში მილიონი ადამიანის მიერ, წაბოყუდებული, უსიამოვნო კუბიკების გროვა, რომელშიც გაფითრებული ხალხი შერბის იმიტომ, რომ თავი შეაფაროს წვიმას, მზეს, ავდარს, ღამეს. ნაწილი — ყოვლისმომცველი ნევროზული, ავადმყოფური ფორიაქის, სისწრაფის, წარმავლობის, ამაოების განცდისა და ქუთაისის სახლი, ძველებური ბელეტაჟი, აგებული იმიტომ, რომ იცხოვრო შიგნით, იაზროვნო, იფიქრო, განიცადო; საცხოვრებელი სახლი, სადაც იხვეწება და ფაქიზდება გრძნობები ყოველდღიურ შეხლა-შემოხლებში, უაზრო გაღიზიანებებში; სადაც უთქმელ სიტყვას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, ისეთივე ანგარიშგასაწევია, როგორც ნათქვამი. სახლი, რომელიც რეალობად აქცევს გულისთქმის მნიშვნელოვნებას. სახლი — თავისი ყოველდღიური აღსარებებითა და სინანულებით, რომლის ფართო და პატარა, მზიანი და უმზეო ოთახების შეუმჩნევლად, ძალდაუტანებლად ზევით მიმართული კედლები სამშვიდეს გვრიან ადამიანს, აწყნარებენ, მუდმივობის განცდისათვის განაწყობენ; საიდანაც გარეთ გასვლა არ გეჩქარება. ქუთაისის სახლი, სახლის სიმბოლო, პატარა ეკლესია...

მახსოვს, ერთხელ ჩემ-ში და მე ამ სახლის დიდ ოთახში ვსხედვართ. გარეთ კარგი ამინდია, ჩვენ მაინც სახლში ვართ. გურამი სხვადასხვა თამაშობებს მასწავლის ქაღალდით. სწრაფად ვიგებ, გურამი მაქებს, მერე ერთად ვთამაშობთ, უკვე როგორც პარტნიორები: ჯერ „დურაჩკას“, „მერე „კონჩინას“, მერე, „თერთმეტობიას“. დეიდაჩემის პატარა, კოხტა, ქაღალდების დასტას, რომელშიც 52 ქაღალდია, დამთავრებისას მაგარ, ყვავილებიან ყდაში ვდებთ და დეიდაჩემის კუთხეში ვინახავთ. რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღაც თავისუფლების განცდა გვეუფლება. თბილისის სახლში ქაღალდით თამაში კატეგორიულად აკრძალულია, როგორც აზარტულის; ისევე, როგორც ნარდის; ამიტომ არც ერთი არა გვაქვს. ბებო აივნის ბოლოს, კუთხეში ფუსფუსებს, იქ, სადაც ბუხარია და, ალბათ, ჭადებსა სვამს კეცებში სადილისათვის, რომელიც მალე უნდა იყოს. ბებო ფუსფუსებს, როგორც ყოველთვის, ძალიან წყნარად, აუჩქარებლად, რაღაც ღირსეულად. ბაბუა ეზოში რაღაცებს რწყავს და რგავს ჩვენთვის. დეიდაჩემი სამსახურშია: ჩვენ ზედამხედველების გარეშე ვართ დარჩენილები. მე ხვეული თმა უკანა მაქვს გადავარცხნილი, შუაზე გაყოფილი და ორ პატარა ნაწნავად რბილად ჩაწნული. მაცვია დეიდაჩემის გრძელი კაბა და პატარაქუსლიანი ფეხსაცმელი, მახსოვს რაღაც ახლად შეძენილი ღირსება იმ კაბასა და პატარაქუსლებიან ფეხსაცმელებში. გურამიც თითქოს პატივისცემით მელაპარაკება. არსად არ გარბის. არც მე გავრბივარ ჩემი ამხანაგების სანახავად. ჩვენ ვსხედვართ „ზალაში" და გაუთავებლივ ვთამაშობთ ქაღალდს, მერე გურამი ნარდს მასწავლის და იცინის, როდესაც სათითაოდ ვითვლი ყველა კარს. ჩვენ ვთამაშობთ ერთად, ჩვენ-ჩვენ ფიქრებში გართული და შეიძლება ჩვენი ფიქრების სიშორეში, ერთმანეთის გვერდზე მსხდომნი, ორივე ერთდროულად და მოულოდნელად აღმოვაჩენთ, შეიძლება პირველადაც კი, რომ მე გოგო ვარ და გურამი ბიჭი. მე ეზივარ გრძელი კაბით, პატარაქუსლიანი ფეხსაცმლით და ვგრძნობ, რომ გურამს მოვწონვარ. მერე მთელი ცხოვრება გამყვება ეს — თუ გურამს შევნიშნავ თვალებში მოწონებას — ე. ი. ყველაფერი რიგზეა და უფრო ლამაზი ვხდები, ამაყი, თუ არ მოვწონვარ — ულამაზო, თუ გურამს მოსწონს რამე ან ვინმე — ის კარგია. თუ გურამს ვინმე ან რამე არ მოსწონს, ის უცებ ქრება ჩემი თვალიდან, ფიტულად იქცევა, ეგეგონება, არც არსებობდა არასდროს. ერთ-ერთი ძლიერი შეგრძნება გურამის შემდეგ იყო: რა არის კარგი? რა არის ცული? რა არის მართალი? რა არის ყალბი? მუდმივი? წარმავალი? ყველაზე ძნელი იყო იმის შეგრძნება, რომ თითქოს გამოგეცალა საყრდენი. შეიძლება იმ დღეს ჩაეყარა საფუძველი იმ სიტყვებსაც, რომლებიც გურამმა 1958 წელს მომწერა მოსკოვიდან: „ვერ მოვიშორე ეს თვისება, ყველა ქალს შენი თვალით შევხედო. პირველ რიგში იმას ვფიქრობ, შენ მოგეწონება თუ არა".

მაშინ გურამი ქუთაისში ჩემი ხათრით წამოვიდა, ასე თქვა დედამ. როდესაც ჩვენ „ზალაში" ვისხედით და გაუთავებლივ ვთამაშობდით ქაღალდს, გურამი შიგადაშიგ ქოქავდა პატეფონს და ჩვენ რაღაცას ვცეკვავდით ერთად. მერე ბაბუას ახლად დაკრეფილი იმერული, მსუქანი, წყლიანი ბალი შემოჰქონდა, რომელსაც ვაშლივით ვკბეჩდით, საიდანაც ისხმებოდა ტკაპუნით ტკბილი წვენი. გურამს ჩემთან ყოფნა აინტერესებდა. მე უკვე გავიზარდე.

ქუთაისის სახლი თავისი სრულყოფილებით უფრო ბუნებისგან შექმნილს გავდა, ვიდრე ადამიანის ხელით აშენებულს. დიდი სადარბაზო კარით შედიოდი დიდ ჰოლში, საიდანაც ფართო, ვაშლილი მარმარილოს კიბით ადიოდი ზევით, ჩვენ კარებამდე. ამ კიბის ორივე მხარეს სხვადასხვა ზომის პალმები იდგა ხის უზარმაზარ ქოთნებში. ქუთაისელები შეკითხვას, რამდენი ოთახი გაქვს, ასე პასუხობენ: ორი ოთახი და „ზალა". ქუთაისში ჩვენ გვქონდა მგონი სამი ოთახი და უზარმაზარი „ზალა" რბილი, განიერი ტახტით, რბილი სავარძლებით, დიდი ფანჯრებით, ამ ფანჯრებს მოადგა თურმე ერთხელ ჩემი ძმა, რომელმაც ძლივს დაითანხმა დედ-მამა ქუთაისში მარტო წასვლაზე. ბაბუა ფაეტონით დახვედრია მატარებელს. გურამი აცდა ბაბუას, შეძლება იმიტომაც, რომ „ტაჩკით" ამოსულიყო სახლში და გაეკვირვებინა მის მოლოდინში ფანჯარაზე გადმოხრილი ბებო. ბაბუა დიდხანს

ეხუმრებოდა მერე, ეს თავადიშვილი კაცი „ტაჩკაზე“ რამ დაგსვაო.

კადრებივით ცოცხლდება თვალწინ რაღაც ბუნდოვანი სურათები, რომლებიც აქამდე, სულ ცალ-ცალკე ჩარჩოებში ჩასმულნი, როგორც ერთმანეთზე დაწყობილი დიაპოზიტივის ლენტები, როგორც რაღაცა გაურკვეველი გროვა, ისე არსებობდა ჩემს გონებაში. ხან ერთს შევხედავდი და მაშინ საერთოდ არ მახსენდებოდა მეორის არსებობა, ხან მეორეს. ხან საერთოდ მავიწყდებოდა ყველაფერი ერთად. და აი, ახლა, როდესაც ჩემთვის საოცარი მნიშვნელობა შეიძინა ყოველმა კადრმა, როდესაც სულ პატარა, უმნიშვნელო, რეალურ თუ წარმოსახვით სურათზე აღბეჭდილი ხელიც კი რაღაცა დიდი მთელის ნაწილად იქცა, რაღაცა შემაკავშირებელ რგოლად, საოცრად მინდა ამ თითოეული გაფერმკრთალებული კადრის გამნიშვნელოვნება, განზოგადება, სიცოცხლის წვენით ავსება და ასე გაჩერება მუდმივობისთვის. რა სიღრმეებშია ეს კადრები ჩაძირული, როგორ მოულოდნელად გამოდიან ისინი დღის სინათლეზე, რა მოულოდნელ ურთიერთობებში ებმებიან მაშინვე. ო! როგორ მეშინია არ დამეკარგოს, არ გამებნეს არც ერთი...

აი, ქუთაისის „ზალაში“, რომელშიც მე და გურამი ქაღალდს ვთამაშობთ, შემოდის ბებო, წინსაფარი უკვე მოხსნილი აქვს. მას აცვია გრძელი, შავი აბრეშუმის ქვედა კაბა, ყავისფერი აბრეშუმის გრძელი, ქამრიანი „ბლუზკა“, პატარა-ქუსლიანი ფეხსაცმელები. ის მხოლოდ შეგვავლებს თვალს ყოველგვარი შენიშვნების გარეშე, მერე მშვიდად ასწევს ზევით ორივე ხელს და დაიდებს თავზე, შემდეგ ფრთხილად მიჰყვება ხელის რბილი მოძრაობით შუაში გაყოფილ თმას ყურების მიმართულებით და ნაზად ისწორებს კეფაზე გადაგრეხილ თხელ თმაში გარჭობილ სამაგრს, შემდეგ ხელის ოდნავი შეხებით სწორ მიმართულებას აძლევს ანუყრელ თეთრ საყელოს, მერე ქამარს; მერე მშვიდად მიდის ფანჯარასთან, ჩემი რომელიღაც წინაპრის მიერ უნაზესი მულინეებით ამოქარგულ პატარა, მკვრივ, თხელ ბალიშს დაეყრდნობა სუსტი ხელებით და გადაიხედავს ფანჯრიდან ოდნავ შესამჩნევად, მერე დაჯდება და გაიხედავს სადღაც შორს, გაურკვეველი მიმართულებით, ბებოს შეუძლია ასე იჯდეს იქამდე, სანამ შორიდან გოგებაშვილის ქუჩის სიმყუდროვეში არ გაისმება სამი ფეხის ხმა: ერთი ფეხი, მეორე ფეხი, და მერე ჯოხი. მერე ისევ: ჯერ ერთი ფეხი, მერე მეორე ფეხი და ისევ ჯოხი, ეს ბაბუა ბრუნდება ბაზრიდან. პატარა ბიჭი კალათით ხელში მოსდევს უკან. ხან წინ უსწრებს, ეს ბიჭი ბაბუას ბაზარში შესვლისთანავე გაჩნდება მასთან და კალათას ჩამოართმევს. ბაბუა თვალებს აქეთ-იქით დააკვესებს, არჩევს, შემდეგ შეჩერდება ხილის გროვასთან, ამაყად ამოიღებს საფულეს ჯიბიდან, ღირსეულად გადაუხდის გამყიდველს ფულს, მერე ბიჭს ჩაუწყობს კალათაში ნავაჭრს, ამ დროს ჯოხი მკლავზე აქვს მოხდენილად ჩამოკიდებული. ხანდახან ამ პატარა, რომელიღაცა უცნობ ბიჭს მისამართს ჩაუდებს კალათაში და სახლისკენ უშვებს, თვითონ კი ქალაქის სხვა მხარეს მიდის, სულ სხვა საქმეზე. აი, ამ „ზალაში“ ერთხელ. გვიან საღამოთი, როდესაც პირველი სტუმრები შემოვიდნენ, ბებომ დიდი, ძველებური ჭაღი ააჩახჩახა და დაინახა ამ ჭაღის ქვეშ, ოთახის შუაში, „გოგოს“ ჭუჭყიანი, ბაბუას გამონაცვალი უზარმაზარი ფეხსაცმელები. ეს გოგო ბებოს ეხმარება სახლის საქმეში. ფეხსაცმელები კი აქ იმიტომ დააწყო, რომ დღისით, როდესაც „გოგო“ საქმეს მორჩა და თავისი ფეხსაცმელები უადგილო ადგილას მიატოვა, ბებომ უთხრა: „ვენერა, ეს ფეხსაცმელები აქ კი არა, დიდ ოთახში უნდა დაღო, ჭაღის ქვეშ“.

ერთხელ, ძალიან პატარა, როდესაც დედაჩემისთვის ასე საყვარელი ლოკონები მქონდა მხრებზე დაყრილი, სამსახურიდან მოსულმა ბიძაჩემმა ჩამისვა კალთაში და მითხრა: „ჩემო მარიკუნაო!“ მეც თურმე ვუპასუხე: „ჩემო შაკუკუნაო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ეს ჩვენს საიდუმლოდ და საყვარელ გართობად იქცა, რასაც დიდობაშიც ვიმეორებდით ხოლმე მე და დედაჩემის უფროსი ძმა, ჩემი საყვარელი ძია შალიკო, ძია შალიკო შეშინებული იხსენებდა იმასაც, რომ ერთხელ გულში ჩამიხუტა და ხმამაღლა ინატრა: „ოხ! ღმერთო ჩემო, ნეტა სულ ასეთი იყოს ჩემი მარიკუნა, არ გაიზრდებოდეს“, აი, კიდეე ერთი სურათი... ბებო თავის საძინებელში ღამე, ძილის წინ ზის საწოლზე და მშვიდად ივარცხნის თმას, მერე ნელი მოძრაობით თითებს უყრის თმაში და ორად იყოფს. შემდეგ რბილად ჩაიწნის ორ გათხელებულ ნაწნავად, ბოლოებს ბაფთით იკრავს. მერე დგება საოცრად ახალგაზრდა მოხუცი ბებო ქათქათა ვარდისფერი ბატისტის ღამის პერანგით, აქეთ-იქით ჩაწნული ორი თხელი ნაწნავით და უჯრიდან წამალს იღებს. პატარა ბავშვივით პირს ოდნავ ალებს, წამალს პირში იდებს და სქელი წამლის ჭიქიდან აყოლებს წყალს, რომელიც ყოველთვის მის ღამის მაგიდაზე დევს, გადაიწერს პირჯვარს, მერე გადაშლის უკვე გამზადებულ ლოგინს, კოხტად გადაიხურავს საოცრად ახალ ძველ საბანს, თავს დადებს უზარმაზარ ბალიშზე დადებულ პატარა ყურთბალიშზე, გადაბრუნდება ერთ მხარეს, მოიკეცება პატარა გოგოსავით, თავქვეშ ამოიდებს ორივე ხელს და მაშინვე ძილის სამყაროში გაუჩინარდება.

გუშინ ჩემი მეუღლის დეიდის ნათელა ვაჩნაძის დაკრძალვის შემდეგ, მოსაგონარ სუფრაზე ერთად შეკრებილი ხალხი მოგონებების ბურუსში გახვეული, ბინდიანი, მბრწყინავი თვალებით, ამაყი ღიმილით, გაუთავებლად იხსენებდა და იხსენებდა — ვინ, როგორ, როდის, რატომ — ვის, როგორ, რატომ უთხრა, კარი გაუღო, სადილი მიართვა, დაუძახა, გაუღიმა, იხსენებდა ლალის თვალებში ნათელას თვალებს, დევიკოს სიტყვებში მამამისის სიტყვებს. ლაპარაკობდა ყველა ერთნაირი ჟინით შეპყრობილი, ნისლის ერთ ბადეში გახვეული და ადამიანთა გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვა გაქრობამდე გამჭვირვალესა ხდიდა დროისა და სივრცის ზღვარს, მათ შორის უხილავ კავშირებს რეალობად აქცევდა და ხილულს კი ილუზიად, მოჩვენებად. საოცრად მოჩანდა ამ სხვადასხვა მოგონებების ერთად ასხმა, მათი გულიდან ამოსული ერთიანი სიტყვის უკვდავსაყოფად, და მათთვისვე დაბრუნება. მათი მოგონებების აწმყო, რომელიც ასე საოცრად გავდა ჩემ ნათესაობაში ჩაკეტილ ჩემს „ვის, როგორ, რატომ“-ს და ვიფიქრე: ნეტა მართალია, რომ ამერიკაში ყველა თავისთვის ცხოვრობს; რომ თურმე 16 წლის შვილი მიდის სახლიდან უკანმოუხედავად და შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაში სულ რამდენჯერმე შეხვდეს თავის წინაპარს, თავის სისხლით ნათესავს. ნეტა თუ მართლა გაწყვიტეს ჯაჭვი, რომელიც ასე საოცრად დამოკიდებულს ხდის ერთ ადამიანს მეორისაგან, იმდენად, რომ ერთი თითქმის არც არსებობს მეორის გარეშე. თუ ამერიკაში წინწასულები არიან იმ მხრივ, რომ ნათესაური შეგრძნება იქ ცილდება სისხლს და აკავშირებს ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერთან, პირველივე შემხვედრთან, ვინც გვერდით გიდგას...

„ზალას“ ქუთაისის სახლში მოსდევდა ნაკლებ მზიანი სახადილო, რომლის ფანჯრები მეორე ეზოს სიმაღლეზე იყო და მეორე ეზოს კოინდარი პირდაპირ შემოვიდოდა ჩვენი ოთახის ფანჯრებში. თუ არა ვიწრო ღია კორიდორი, რომელიც ამ ორ ეზოს ერომანეთისაგან ყოფდა. ამ კორიდორის ბოლოს ბაბუას ჰქონდა ცივი წყლის შხაპი, რომელიც ზაფხულობით მზის სხივებით თბებოდა. ბაბუა ბაღში მუშაობის შემდეგ იღებდა შხაპს და ისე ამოდიოდა სადილზე, ახლად შხაპმიღებული, ულვაშებაწკეპილი, კოხტად თმაგადავარცხნილი დაჯდებოდა ხოლმე სუფრის თავში. ჩვენ უფროს-უმცროსობით ვიკავებდით. ჩვენს ადგილს სუფრის გარშემო, ბებო თავს დაგვტრიალებდა, „გოგო“ შუშაბანდის კარებიდან ჩუმ-ჩუმად იყურებოდა. ხანდახან ბებო რაღაცას ანიშნებდა მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალით და „გოგოს“ იმწამსვე, უთქმელად მოქონდა ის, რაც საჭირო იყო... ჩვენ მივირთმევდით თავდაპირველად წვნიანს სრულ სიჩუმეში. მხოლოდ ერთხელ დასჭირდა ბაბუას თქმა: „ძაღლს პირში ლუკმა რომა აქვს, ისიც კი ხმას არ იღებს“, ერთხელ კი ბაბუამ, როდესაც მისი შენიშვნის შემდეგ მაინც გავაგრძელე ლიმონათის წრუპწრუპით და ბუყბუყით დალევა დააკვესა თვალები და თქვა: „ამ ბავშვს ცალკე გაუშალეთ სუფთა დღეის ამას იქით, სანამ სუფრაზე მოქცევას არ ისწავლის“. მახსოვს, როგორ ჩასჩურჩულა ყურში ბებიამ: სიმონ, არ ღირს, ბავშვი ახალი ჩამოსულიაო და ჩემი დასჯაც მომავალ დანაშაულამდე გადაიდო.

ქუთაისის სახლი თითქოს საიდუმლოებით იყო მოცული. ახლა ეჩვდები, რომ ამ განცდის საფუძველი იყო მისი სიდიდე, რადგან, ჩემი სიპატარავის გამო, უამრავი ადგილი მრჩებოდა აღუქმელი და აუთვისებელი, გინდ გარეთ და გინდ სახლში.

ო! რა სისუფთავეში და სიმწვანეში ეშვებოდი აივნიდან ჩასვლისთანავე... უზარმაზარი მწვანე ეზო, ბაბუას მიერ ჩვენთვის დაგებული კოინდრით, რომელშიც დახუჭობანას თამაშის დროს ვიმალებოდით. ორი უზარმაზარი ტოტებაყრილი მარადმწვანე დაფნის ხე ერთმანეთთან შეერთებული მსხვილღეროიანი ხვიარა მცენარით... ამ ხვიარა, სქელღერიან მცენარეზე შეგიძლია ჩამოჯდე კიდეც, მერე ფეხით ოდნავ უბიძგო და, როგორც საქანელაზე, აქეთ-იქით გაქანდ-გამოქანდე. შეგიძლია წამოწვე კიდეც, ვითომ იძინებ, ამ ხვიარებში დგას ბაღის გრძელი სკამიც. ეს არის ბაბუას მიერ საგანგებოდ შექმნილი დასასვენებელი კუთხე თავისი ოჯახისათვის. ეს მწვანეში ჩაფლული ადგილი მაღალ, გატოტილ დაფნის ხეებს შორის, უკვდავყოფილია ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან ორ სურათზე, რომლებიც არქივში ინახება. ჩემი ახლანდელი დამოკიდებულებით ყველაფრის მიმართ, მეჩვენება, რომ ისინიც სიმბოლიკითაა სავსე. მეჩვენება, რომ ამ სურათებში, რომლებზეც აღბეჭდილია ჩემი ახლად ფეხადგმული ძმა, დიდი ხნით ადრე გამოვლინდა გურამის მეგობრებისა თუ უბრალო ნაცნობების საიდუმლო, იმ წალხის საიდუმლო, რომელსაც თავის ცხოვრებას ორ ნაწილად ყოფენ — გურამამდე და გურამის შემდეგ. ამ ორ პატარა, მოყვარული ფოტოგრაფის მიერ გადაღებულ ფოტოსურათს თავისი სიმბოლიკით გავიხსენებ მხოლოდ მაშინ, თუ, ღვთის წყალობით, უკან მოვიტოვებ მთელ სათქმელს.

ამ ლიანების უკან იწყებოდა უზარმაზარი ბაღი, რომლის ბოლოშიც, „ფროსების თქმით, იდგა ძალიან დიდი, მე მგონი, გადაბერებული მსხლის ხე. ეს ბაღი პატარა ბილიკით ორად იყო გაყოფილი. ერთ მხარეს ჩვენი ბაღი იყო, ნიჟარაძეების, მეორე მხარეს კი ჩვენი სკარის მეზობლების, გეგელაშვილების.

„აბა, გადმოაბიჯე ჩემ მხარეს“, მეუბნება მანანა, რომელიც ჩემსავით ბებოსთანაა საზაფხულოდ ჩამოსული და რომლის სახლშიაც ასევე მარმარილოს კიბის ავლით შევდიოდით სადარბაზოდან. მე ფეხს ვადგამ ბილიკის მეორე მხარეს, მანანა ბრაზობს, მეუბნება, რომ აღარ მეთამაშება არასოდეს და რაღაცა მოძრაობებს აკეთებს ხელებით, და თან ტუჩებით რაღაცებს ბუტბუტებს, რაც სამუდამო გაბუტვას უძღვის ხოლმე წინ. მერე ჩვენ-ჩვენ მხარეებში ვუჩინარდებით; უფრო ხშირად. მივრბივარ დიდყვავილებიან ბუჩქთან, რომელიც მანდარინების პლანტაციებში ეულად დგას. მანანას მხარეს ამ ბუჩქს არაბუნებრივად ცისფერი ყვავილები აქვს, ჩვენკენ კი ვარდისფერი. მე ჩუმად ვაპარებ თვალს და საშინლად მწყდება გული, რომ ჩვენს ყვავილებს ასეთი ჩვეულებრივი ფერი აქვთ, მანანასები კი ისეთი ლამაზები არიან, როგორც შეღებილები. მერე უეცრად რაღაც სიხარულის ნაპერწკალი მიელვებს გულში, რომ ჩვენი ყვავილები შეღებილებს არა გვანან და გაამაყებული, ღიღინ-ღიღინით ჩავრბივარ ეზოში და ლიანებზე მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათებული ნელ-ნელა ქანაობას ვიწყებ; მერე მორბის მანანა, ჩემს გვერდით ჯდება და მეუბნება, რომ ნუ ვაქანავებ, მე გულში ვბრაზობ და მშვიდად ვეუბნები. „შეგიძლია ადგე“ , და ქანაობას განვაგრძობ. ცოტა ხანში ორივე ერთდროულად ეზოში დაგდებული თოჯინისაკენ გავრბივართ. მერე მოწყენილები შესარიგებლად ვეძებთ რაღაც მიზეზს, ცოტა ხანში „სამუდამოდ“ ვიბუტებით ისევ, მომავალ შერიგებამდე. მერე საღამოთი დეიდაჩემ ბაბულიას აქეთ-იქიდან ვუყრით ხელმკლავს და მივდივართ დეიდაჩემის მკერავთან გორაზე, რომელიც პატარა „რუშებიან“ კაბებს გვიკერავს, დეიდაჩემი ძალიან კოხტა, ლამაზი, სიმშვიდით ბებოჩემსა გავს; მე ვეჭვიანობ, მინდა, რომ მანანაზე მეტად ვუყვარდე. იმ ჩემთვის მნიშვნელოვან სურათებზე მანანას ბებოცაა აღბეჭდილი, მანანას პაპაც, დედაც, ბიძაც. ქუჩის გაღმა-გადმოღმა, ბროწეულების ღობის იქით, ჩემი და მანანას ამხანაგები ცხოვრობენ. ჩვენი ამხანაგი იმ ეზოშიც ცხოვრობს, რომლის კოინდარი ლამის ჩვენს ფანჯრებში შემოდის. საღამოთი, თითქმის ყოველდღე, საერთო ეზოამულში ქვებზე ბორძიკ-ბორძიკით მოიკვლევს გზას თეთრხალათიანი და თეთრქუდიანი მენაყინე, ნაყინის ურიკით. სწრაფად ავრბივართ ჩვენ-ჩვენ სახლებში ფულის ჩამოსატანად. მენაყინე აღებს ურიკის სახურავს, ურიკაში ორი მაღალი მრგვალი ქვაბი დგას. ხდის სახურავს, იღებს ნაყინის ფორმას, შემდეგ, გვერდითა მუყაოს ყუთიდან — თხელ ვაფლებს. ერთს ჩააგდებს ნაყინის ფორმაში, მერე მრგვალი კოვზით ამოიღებს ნაყინს და ტენის შიგნით, მერე უსწორმასწორო მასას ზევიდან ადებს მრგვალ, სიფრიფანა ვაფლს, მერე კეტავს, აწვება ფორმას ქვევიდან და ამოაგდებს ულამაზეს, კოხტა, მრგვალ, ვარდისფერ ნაყინს, რომელსაც აქეთ-იქიდან ნელ-ნელა ვლოკავთ.

მთელი ქუთაისი სავსეა დედას და მამას ქორწილის მოგონებებით, რომელსაც ვერ აუფერულებს იგივე სახლში გამართული ბიძაჩემის ქორწილი. მე უკვე დიდი ვარ და მინდა, უფროსების ყურადღება გადავიტანო ბიძაჩემის ქორწილზე, რომელმაც ჩემს თვალწინ ჩაიარა ჩვენს მწვანე ეზოში და რომელსაც ხეზე მოკალათებული ვაფაციცებით ვადევნებდი თვალ-ყურს, რათა ბიძაჩემის ქორწილში როგორღაც დედას და მამას ქორწილის მნიშვნელოვნება ამომეკითხა. ბიძაჩემის ქორწილის თამადაც ძია ალექსანდრე იყო. მხოლოდ ეს ფაქტი მახვედრებს ახლა, რომ ჩემი მშობლებისა და ბიძაჩემის ქორწილს შორის, რომელიც მაშინ სხვადასხვა საუკუნეებში, სხვადასხვა სამყაროებში მომხდარ ამბებად მეჩვენებოდა, და ბუნებრივიცაა— ერთი იყო ჩემს დაბადებამდე და მეორე კი — ჩემი დაბადების შემდეგ — ალბათ, სულ ათიოდე წელი თუ იქნებოდა გასული.

აი, ეს დროის მსვლელობა, რომელიც უკან იტოვებს წარსულს და ქმნის მომავლის შეგრძნებას, დროის მსვლელობა, რომლის მოჩვენებითობაში, ილუზორულობაში ასე კარგად გავერკვიე მას შემდეგ, რაც 1960 წლიდან მოყოლებული თითო მომატებულ წელს უკან მივყავარ, ჩემი ძმისკენ, და ველოდები იმ დღეს, როდესაც ჩემი აწმყო მთლიანად დაემთხვევა ჩემს წარსულს, რაც, ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, მომავალში უნდა იყოს!

ბაბუას ხანდახან ბაზარში მეც დავყავდი. სახლში დაბრუნებისას ყოველთვის შევივლიდი ხოლმე ბიძია ალექსანდრესთან, „ბიჭი“ კი კალათით ხელში აგრძელებდა გზას, სანოვაგით დატვირთული მირბოდა ბებოჩემთან გოგებაშვილის შესახვევში. ბაბუა და ბიძია ალექსანდრე უზარმაზარი პალმის ჩრდილში, განიერ აივანზე, რომელიც რაღაც ხღვის პირა ვილის ვერანდას მაგონებდა — აგრძელებდნენ ნარდის თამაშს; ანგარიში უკვე სადღაც ასს ზევით იყო ასული. ნარდის დაწყებამდე ბიძია ალექსანდრე „აიღებდა“ ხოლმე ჩემს თაეს თავისი ფართო, თბილი ხელებით, აქეთ-იქით მიატრიალ-მოატრიალებდა, მერე ოდნავ, ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომ დიდი ძალით, მომიჭერდა ხელებს ორივე მხრიდან, მერე თავს მომიტანდა ახლო და ის იყო გავიფიქრებდი, უნდა მაკოცოს-მეთქი, რომ უეცრად ჩუმად ყურში ჩამჩურჩულებდა: „აჰ, მკუხეა, ბატონო, ნამდვილად მკუხე". მე სიცილს ვიწყებდი ყოველთვის მოტყუებული. ან კიდევ, დანახვისას უცებ მეტყოდა: „რამხელა გაზრდილხარ, მარინე, ბოშო, რავა დამშვენებულხარ, მართალი ყოფილა წუხელ შენზე რო მითხრა..." „ვინ?" ენა მისწრებდა ყოველთვის და მაშინვე ვნანობდი, რადგან უკვე ვიცოდი პასუხი: „ვინ და წაკუაშვილი", მომიჭრიდა უცებ ეშმაკური ღიმილით და უკვე ჩემ თავზე გაბრაზებული იძულებით ვიცინოდი. ბიძია ალექსანდრეს დედა უხუთიდან იყო. მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი ხმელ-ხმელ, შავებში ჩაცმულ ქალს, რომელიც მორიდებულად იდგა აივნის ბოლოს. ეს მოხუცებული ქალი, რომლის არც ხმა გამეგონა და არც სიტყვა, სამუდამოდ დამამახსოვრდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ მთელი ცხოვრება დედაჩემის ქადაგებების ერთ-ერთი აქტიური პერსონაჟი იყო. დედა იწყებდა ასე: „აი, თუნდაც მაკრინე, ბიძიას დედა. თორმეტი შვილი ჰყავდა. არც განათლება მიუღია, უბრალო წერა-კითხვაც კი არ იცოდა. მაგრამ კულტურა მარტო უმაღლესების დამთავრებაში არ არის, მარტო წიგნის კითხვით არ მიიღება. ეს უსწავლელი ქალი იმდენად მდიდარი ბუნებისა იყო, რომ მას შემდეგ, რაც თავისი შვილები დაათხოვა თუ დააქორწინა, მთელი სულით და გულით გადაეშვა იმერეთის სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ჯალაბის ერთმანეთთან დაკავშირებაში, ცდილობდა, ყველას ყვარებოდა ერთმანეთი, ამას ის მხოლოდ და მხოლოდ ტკბილი, კეთილი სიტყვით ახერხებდა. ყველგან კარგი ამბავი მიჰქონდა. პელაგიას არწმუნებდა, რომ უფროს რძალს ის განსაკუთრებით უყვარდა, უმცროს ვაჟიშვილს კი ეუბნებოდა, რომ შუათანა ძმა ძალიან აფასებდა მის საქმიანობას და ა. შ. მისგან არავის გაეგო ცუდი, გაღიზიანებული სიტყვა. ამიტომ ყველას უყვარდა მაკრინეს ხანმოკლე სტუმრობა, რომლის დროსაც სახლში მხოლოდ სიმშვიდე და სიწყნარე ისადგურებდა".

ქუთაისთან არის დაკავშირებული ჩემი პირველი ტყუილიც. ჩემი უუნარობა ამ ტყუილის აღიარებისა, ისევე როგორც ჩემი მეორე თვისებაც, მთელი ცხოვრების განმავლობაში ამ ტყუილის არდავიწყებისა...

ერთხელ ბაბუა ღობის ძირში რაღაცა პატარა ყვავილებს რწყავდა, ბებო კი აივანზე წამლების ყუთს ალაგებდა და უვარგის შუშებს და ყუთებს იქვე მაგიდაზე აწყობდა. მე ვტაცე ხელი ერთ პატარა წამლის შუშას, წყლით ავავსე და ბაბუასთან გავიქეცი ყვავილების მოსარწყავად. ის იყო გადმოვაპირქვავე ბოთლი, რომ ბაბუამ შემომხედა და მკითხა: „მარინე, წამლის შუშა ხომ არ გიჭირავს ხელში?" ახლაც არ გაუვლია იმ საოცარ შიშს, რაც მაშინ ვიგრძენი, რადგან უეცრად თავში გამიელვა, რომ მოვწამლე ის ყვავილები, რომელთაც ბაბუა ასე სათუთად უვლიდა. „არა, ბაბუა", — სწრაფად ვუპასუხე და სახლში ავვარდი.

ის დღე იყო და ის დღე: ჩემი ტყუილი გადამექცა ტანჯვად. სულ მეჩვენებოდა, რომ ყვავილები იწყებენ გახმობას, მაგრამ ყველაზე ძალიან, ცხადია, მეშინოდა არა მათი გახმობის, არამედ იმისი, რომ გაირკვეოდა ჩემი ტყუილი. მთლიანად მომიცვა შიშმა; წარმოვიდგენდი ჩამომხმარფოთლიან ყვავილებს, მახსენდებოდა, რომ წამლის შუშას წყალიც კი არ გამოვავლე. უანგარიშოდ ვიმეორებდი ბაბუას კითხვას, ჩემს პასუხს, გულში ვპასუხობდი სხვანაირადაც — უშიშრად, თამამად. ბაღში საერთოდ აღარ ჩავდიოდი. მოუთმენლად მოველოდი იმ დღეს, როდესაც თბილისში წამიყვანდნენ, ხოლო თბილისში წამოსული შიშით ველოდი წერილს, რომელშიც ეწერებოდა, რომ ღობის ძირში დარგული ყვავილები „რატომღაც" გახმა. წარმოვიდგენდი, როგორ ეძებენ ამ ყვავილების გახმობის მიზეზს. გულში ვითვლიდი, იყო თუ არა რაიმე შესაძლებლობა იმის გაგებისა, რომ ისინი მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვწამლე იმ წამლის შუშით, რომელიც შორს, ბაღის კუნჭულში მოვისროლე. საოცარი შიში მიპყრობდა ჩემი ტყუილის გამო, რომლის გამოსწორება შესაძლებლად აღარ მიმაჩნდა. თითქმის მთელი წელიწადი გარძელდა ეს ყველაფერი მეტ-ნაკლები ინტენსივობით, იქამდე, ვიდრე ბაბუამ გვიან გაზაფხულზე არ ჩამოგვიტანა იმ ყვავილების თაიგული, რომლებიც ღობის ძირში იზრდებოდა. სრულიად ნათელია, რომ მაშინ, ბაბუას ჩემს გამო შეეშინდა, წამლის შუშა არა მჭეროდა ხელში და არა ყვავილების გამო. მაგრამ ამას რატომღაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, პირიქითაც კია. კონკრეტული ამბის უმნიშვნელობა, უაზრობა, თავისი ზემოქმედების სიძლიერით, საოცრად რეალურსა ხდის ამ ცნების, „ტყუილის“ ზოგად მნიშვნელობას. მახსოვს, დიღობაში ჩემს ძმასაც მოვუყევი ამის შესახებ. მერეც ბევრჯერ გამხსენებია ხან ბუნდოვნად, ხან მკვეთრად, მაგრამ, შესაძლოა, მხოლოდ ახლა გავიაზრე, რომ ეს ამბავი მარტო ბავშვობის გულუბრყვილო მოგონებებს არ ეხებოდა. ეს არ იყო მხოლოდ „სასაცილო“, „გულუბრყვილო“, „სულელური“, „საყვარელი“ ბავშვობის კუთვნილება, რადგან ახლაც არ მეშვება იმ ტყუილის შეგრძნება, რომლის აღიარების ძალა მაშინ მე არ მეყო.

მამაჩემი თავისი საქმიანობის გამო ხან ჯავახეთის ზეგანზე ატარებდა ზაფხულს, ხან თრიალეთის ქედზე, ხან, არ ვიცი, სად, ალბათ, ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა ცხვარს დაედო ბინა. რადგან, როგორც ადრევე ვთქვი, მამას საქმიანობა უშუალოდ ცხოველებთან, განსაკუთრებით კი ცხვართან იყო დაკავშირებული. ჩვენც თან დავყავდით. მახსოვს, გვქონდა ერთი ძალიან დიდი, ჭრელი, ბებოს დაკემსილი მაფრაშა, რომელიც ფარდაგივით იყო მოქსოვილი. ამ მაფრაშას სიმრგვალეს აძლევდა გარეშემო გაყრილი სქელი თოკი. თავდაპირველად გაშლილ მაფრაშაზე იდებოდა ლეიზები მთელი სიგრძე-სიგანით, მერ საბნები, ბალიშები, შიგადაშიგ მსხვრევადი ჭურჭელი, შემდეგ მამა ყველაფერს ერთად თანდათანობით ახვევდა მუხლების დაჭერით ერთ მთლიან, უზარმაზარ ჭრელ ბურთად. მერე ნელ-ნელა იწყებდა თოკის ქაჩვას. მაფრაშა იწყებდა ნელ-ნელა, უფრო და უფრო დამრგვალებას იქამდე სანამ ერთ წერტილში არ მოიყრიდა თავს მოქაჩული თოკი. მერე მამა ზედ შეადგებოდა მუხლით, მოქაჩავდა თოკს ერთხელ და თავდაპირველად სუსტ ნასკვს დაადებდა, მერე დაადებდა თითს ან ჩვენ გვადებინებდა ზედ ხელებს და კიდევ ერთხელ ქაჩავდა და აკეთებდა ყულფს. მერე დარჩენილ თოკს უყრიდა შიგნით, ისევ ქაჩავდა, ისევ ნასკვავდა და გაისმოდა დედას აფორიაქებული ხმაც: — „მიშა, შენ გავიწყდება, რომ უნდა გავხსნათ“, — „მოიცადე, მარუსია, ნუ ცელქობ“, — პასუხობდა აზარტში შესული მამა, ატრიალებდა უკვე დამრგვალებულ მაფრაშას და განაგრძობდა სხვადასხვა ადგილას ნასკვების დადებას. „მე ისე ვკრავ, რომ ამის გახსნას არაფერი უნდა“, — ამბობდა მამა თავის შეკრულზე, რომელსაც შემდეგ გაჭრის გარეშე ვერასოდეს ვერა ვხსნიდით.

ბარგის სხვა ნაწილი უყრო კომპაქტურად იდებოდა სხვა პატარა მაფრაშაში, რომელსაც მერე მამა აღვირისგან უკეთებდა სახელურს, როგორც ჩემოდანს აქვს ხოლმე. ჩვენი, ბავშვების ბარგი-ბარხანა კი ლაგდებოდა ტყავის უზარმაზარ ძველებურ, გაცვეთილ ჩემოდანში, რომელიც აკორდეონივით იშლებოდა და ბოლოს პატარა ტყავის კარადას ემსგავსებოდა. თუ სადმე მატარებლით მივდიოდით, გურამს ევალებოდა ბარგის დათვლა და თვალყურის დევნება. მე სადგურზე ბარგთან ერთად მაჩერებდნენ და გურამი ბარგს მეც მიმათვლიდა ხოლმე, რაც ორივეს ძალიან გვიხაროდა. თუ საბარგო მანქანით მივდიოდით. მე სადღაც შუაში მსვამდნენ მაფრაშებზე და ნჯღრევა-ნჯღრევაში მალევე ვიძინებდი. გურამი მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა ფეხზე იდგა, დედა მთელი გზა გურამს აფრთხილებდა. მამა მთელი გზა აწყნარებდა დედას და ა. შ. უფროსები ამბობდნენ, მთელი ჯავახეთის ზეგანი მოვიარეთო. ამ მოგზაურობებიდან მახსოვს მხოლოდ ორი ზაფხული: ერთი — განძაში სომხებთან გატარებული. მეორე — გარელოვკაში, დუხობორებთან.

მახსოვს განძის გზებზე, რომელიღაც მიხვეულ-მოხვეულ ტყეებში, როგორ გადმოვედით დედა და მე მანქანიდან თაებრუდახვეულები და უარს ვამბობდით გზის გაგრძელებაზე. მახსოვს, ერთხელ როგორ მოხერხებულად დააწყეს საბარგო მანქანაზე ალექსიძეების სკები, რომლებიც ჩვენთან ერთად მოდიოდნენ საზაფხულო აგარაკზე; როგორ მოხერხებულად მოვკალათდით ამ სკებზე, როგორც სკამებზე; შუაღამისას როგორ გამოძვრნენ ამ სკებიდან ფუტკრები, როგორ დამკბინეს, როგორ ვყვიროდი, როგორ შეეშინდა გურამს, როგორ გადმოიღეს მანქანიდან ფიცრები, როგორ დააგეს ზედ ნაბდები და როგორ სიხარულით გვეძინა დილამდე ამ არაჩვეულებრივ საძინებელში და როგორ გაირკვა განთიადისას, რომ თურმე შუა ტალახებში გვქონდა ლოგინი გაშლილი. მახსოვს სისხამი დილა საზაფხულო აგარაკებისაკენ მიმავალ გზაზე, ერთ-ერთ უზარმაზარ, ჩუმ, გაჩერებულ, ნაცრისფერ ტბასთან, მახსოვს იმ დილის ნესტიანი სიცივე, ჩვენი აბურძგნილი სახეები, მერე უზარმაზარ-რბილ-თევზიანი დილის საუზმე მეთევზეების თბილ ქოხში; გუშინდელივით მახსოვს ქაჩალ-გორა, სადაც ერთ-ერთი აგარაკიდან წავედით სტუმრად ბაძოშვილებთან. მახსოვს, როგორ გადმოვედით უზარმაზარ დამრეც ტრიალ მინდორზე, სადაც საშინელი ქარი სისინებდა; მახსოვს, როგორ თქვა მამამ: „აქ ყოველთვის ასეთი ქარი იცის“. როგორ მივიკვლევდით გზას შორს რაღაცა სახლებისაკენ ამ სისინა ქარში და მინდვრის ყვავილების ჭრელ ხალიჩაში; როგორ ირხეოდნენ მინდვრის ეს ათასფერი ყვავილები და ნაზი, მაღალი ბალახები, როგორ კალთაზე შიკრული მივდევდი დედას, შეშინებული; შორს როგორ მირბოდა გურამი, როგორ შევედით ბაძოშვილებთან და როგორ შემოდიოდა ქარი ღრიჭოებიდან ოთახებში; როგორ მოახვიეს ქალებმა თავი გემრიელ ხინკალს, როგორ დავკრიფეთ მინდვრის ყვავილები და როგორ შევეჩვიეთ წამოსვლისას ამ ქარის სისინსაც და ბერვასაც.

გურამი და მე ვიხსენებდით ხოლმე დიდობაში ჩვენ ბავშვობას და მეამაყებოდა, როდესაც გურამი მეტყოდა: „ყოჩაღ, მარინე, საიდან გახსოვს, შენ ხომ მაგ დროს ძალიან პატარა იყავი“. მაშინ არ ვიცოდი და ეს ყველაფერი ჩემი დამსახურება მეგონა.

დამამახსოვრდა, რადგან, როგორცა ჩანს, საჭიროა, ამ პატარ-პატარა, წვრილ-წვრილი ამბებისაგან იმ პალიტრის აღდგენა, რომლითაც გურამის ცხოვრება მოიქსოვა; რადგან ეს ამბები არ მახსოვს მხოლოდ მე — ახსოვს დედას, მამას, ახსოვდა გურამს. ამ წვრილ-წვრილ, საყოფაცხოვრებო, უმნიშვნელო მოძრაობებსა ღა გადაადგილებებში მიდიოდა გურამის ცხოვრება ჩვენთან ერთად. იკრებდა ძალას მისი სული, ძლიერდებოდა მისი სხეული ჯავახეთის ზეგანზე, ალაზნის ჭალებსა და ცივ-ბომბორიდან მონაბერ ნიავში, ქაჩალ-გორის სისინა ქარებში, ჯავახეთის მთის მდინარეებში.

...ან ჩვენი ოჯახისათვის გაუთავებლად მოსაგონარ ყველა ამ ამბავს აქვს რაღაცა მნიშვნელობა, ან არაფერს არა აქვს მნიშვნელობა საერთოდ და ამაოა ახლა ჩემი შრომა, ფუჭი. მაგრამ გურამის სიტყვებით, იმედმოცეული — „არაფრისთვის არაფერი არ ხდება“ (დღიურებიდან) — ვაგრძელებ წვრილ-წვრილი მძივების ამოკრეფას და მახსენდება ის ადგილი, რომელსაც იმ ჩუმი, ნაცრისფერი ტბის, როგორც ახლა გავიგე, ტბაფარავნის შემდეგ მივადექით. ჩვენი მანქანა ნელ-ნელა მიიწევდა ზევით. ჯერ ტყეებს ავცდით, მერე ბუჩქებს, მერ მამამ თქვა, რომ დაიწყო ალპუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ზონა და ჩვენც მთის მაღალი ყვავილების გარდა ველარაფერს ვხედავ. ამ დროს, მერე თითქოს ყვავილებიც გაქრა. რაღაც მაღალ, ხრიოკ, ტერასებით დაფარულ მთაზე ავედით და უეცრად გავიჩერდით. მამამ სათითაოდ ჩამოგვსვა საბარგო მანქანიდან და ძალიან ამაყად თქვა: „აი, ჩვენი საგარაკო ადგილი“. არ ვიცი, უფროსების ლაპარაკიდან მახსოვს, თუ ჩემი შთაბეჭდილება იყო ასეთი, რომ დედას გული გაუსკდა. მთელი ამ ჩვენი მაფრაშებით და სკებით, ჩვენთვის უძნელესი გზის გამოვლის შემდეგ, აღმოვჩნდით ისეთ ადგილას, სადაც არ ჩანდა რაიმე სახლის მაგვარიც კი, — არც ხე, არც ბუჩქი. ანათებდა მხოლოდ დილის, მთის, მცხუნვარე, სუფთა, გამჭოლავი მზე და ამ მზით აბრწყინებულ სიკაშკაშეში გამოიკვეთა უცნაური ფიგურები, რომლებიც თხუნელებივით მიწიდან ამოდიოდნენ: ქალები, ბავშვები, ძროხები — რიგრიგობით, ჩვენ ახლოსაც შეინძრა ტერასა და გამოჩნდა მოღიმარი, შავი ქალი; მამამ დაგვამშვიდა, ეს ბანიანი, მიწური სახლებია, ძალიან მოსახერხებელი ასეთ ადგილებში საცხოვრებლად, სადაც იცის ხშირი ქარები, მკაცრი ზამთარი და საკმაოდ ძნელი ზაფხულიც, რადგან არ არის არც ერთი ხე, რომელსაც ცხარე მზის დროს შეგიძლია თავი შეაფაროო. მერე მამა ოდნავ მოიხარა და ერთ-ერთ მიწურში გაუჩინარდა. ჩვენმა მძღოლმა ძია დათომ და მისმა დამხმარემ ბარგის ჩამოლაგება დაიწყეს. ჩვენ მამას ჩავყევით ქვემოთ დედასთან ერთად და აღმოვჩნდით ერთ დიდ უფანჯრო მიწისიატაკიან ოთახში, რომლის შუაშიც რაღაც თონისმაგვარი იდგა. კედელთან ეყარა საკმაოდ საეჭვო ფერის საბნებისა და ლეიბებისმაგვარი რაღაცების გროვა. იქვე გვერდითა მიწურ, უფანჯრო ოთახში საქონელი ცოხნიდა დაყრილ თივას. მამამ კმაყოფილებით მიიხედ-მოიხედა და სომხის ქალი, ჩვენი მომავალი დიასახლისი, გაგვაცნო, რომელიც, მართალია, კეთილად გვიღიმოდა, მაგრამ ქართულად არც ერთი სიტყვა არ ესმოდა ისე, როგორც ჩვენ სომხურად. ჩამოგვიტანეს ბარგი. ძლივს შემრეტია ჩვენი უზარმაზარი მაფრაშა მიწურში. მერე მამამ თქვა, ორ-სამ დღეშიკამოგაკითხავთო, სასწრაფოდ ჩაჯდა მანქანაში და, ალბათ, გაქანდა რომელიღაც ცხვრის ბინისაკენ, სადაც მის ჩასვლას მოუთმენლად ელოდნენ. გამოგვიყვეს ბოსლის გვერდით რაღაც ოთახისმაგვარი, რომლის ოაზისად გადასაქცევად დედამ სასწრაფოდ დაიწყო ინტენსიური მუშაობა.

ეს იყო ომისშემდგომი საოცარი სიღარიბის წლები, როდესაც მშობლები ამბობდნენ, რომ არ უყვარდათ ტკბილი ჩაი, ხილი, ქათმის ხორცი, არ უყვარდათ თითქმის არაფერი, ხმელა ჩაის გარდა, რადგან მთავარი საზრუნავი იყო ბავშვების კვება, ბავშვების ჰაერი, ბავშვების ჯანმრთელობა. როგორც ჩანს, ეს მიწური ამ მიზნისათვის მართლაც შესაშური იყო. მამას სიამაყე სწორედ იმ ბარაქიდან მოდიოდა, რომლის გარანტიასაც ძროხის დატენილი ჯიქანი იძლეოდა. დილით ინთებოდა „თანდილა“, სომხური თონე, გარკვეული დროით, ამ დროში დედა ასწრებდა მთელი დღის საჭმლის გაკეთებას, ნამცხვრისასაც კი, რასაც შემდეგ იქვე თონესთან დაგებულ ნაბადში ხვევდა და მერე ნელ-ნელა გამოჰქონდა იქიდან სხვადასხვა საუზმე-სადილებისათვის. თითქოს ახლაც ეგრძნობ ერბოსა და თაფლში გადაზელილი, „თანდილში“ გამომცხვარი ქადის გემოს, თხის მაწვნის შოშაკავ სიგრილეს. დედამ ჩვენი მიწურის ბანზე კარავი გაშალა, რაც, გვიანობამდე ოთახის მაგივრობას გვიწევდა, გვიფარავდა ცხელი მზის სხივებისაგან, ქარისა და წვიმისაგან. დილის საუზმემდე ხტუნვა-ხტუნვით ჩავდიოდით სამიენი ქვემოთ ,ხეობაში, კლდეებს შორის, სადაც მთის, მდინარის სისწრაფით მოედინებოდა ქაფიანი წყალი. ჩვენი ადგილიდან ჩანდა მდინარეში ზანტად ჩამდგარი საქონელი. დედა მთლიანად აშიშვლებდა გურამს, შეჰყავდა მდინარეში და მთელ სხეულს უზილავდა ამ ცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი წყლით. ცოტა ხნის ჭყუმპალაობის მერე ამოჰყავდა წყლიდან, პირსახოცით მაგრად უმშრალებდა ტანს გაწითლებამდე და მერე ჩემკენ ინაცვლებდა.

ასეთმა ზაფხულებმა ჩაუყარა საფუძველი გურამის საოცარ ფიზიკურ ჯანმრთელობას, გამძლეობას, ღონეს, გურამის ფიზიკური შესაძლებლობები სალაპარაკოდაც კი იყო გამხდარი. ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ ძლიერი, მოქნილი, ამტანი სხეული ბრძოლებისათვის იყო შექმნილი. მის მოყვანილ მხარ-ბეჭსა და ძლიერ, „ცხენოსანივით", როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, ოდნავ გაღუნულ ფეხებზე ლამაზად იკვეთებოდა მოგრძო კუნთები. მახსოვს, მოქანდაკე ამხანაგები აკადემიიდან სთხოვდნენ, ცოტა ხანს მაინც დამდგარიყო ნატურად. ალბათ, ასეთი ფიზიკური მონაცემების ბრალი იყო გურამის საოცრად ხალისიანი ჩხუბებიც. ახლაც გატაცებით ყვებიან ამხანაგები, რომ გურამის ჩხუბების დროს იგრძნობოდა, რა საოცრად ორგანული იყო მისი სხეულისათვის ეს მოძრაობები, ეს სხვადასხვა ილეთები, ეს განზე გახტომები, ეს შეტევები; იგრძნობოდა, რომ მას არაჩვეულებრივ სიამოვნებას ანიჭებდა ჩხუბი ჩხუბის გამო და არა ჩხუბი მოწინააღმდეგის სიძულვილის ან მისი დაჩაგვრის სურვილით გამოწვეული. „ბრძოლა ბრძოლის გულისათვის", „მოძრაობა მოძრაობის გულისათვის", როგორც ერლომთან გაუგზავნელ წერილში წერს გურამი ლექსი „ვეფხისა და მოყმის" ინტერპრეტაციისას. როგორც მახსოვს, ჯუნა შიქატაძის ახალგაზრდა ბიჭის ქანდაკება, რომელიც სპორტის სასახლის წინა ღგას, გურამის სხეულის მოტივებზეა შექმნილი (არაფერთან არაა კავშირში, მაგრამ რატომღაც არ მინდა დაიკარგოს გურამის არც ერთი სიტყვა, რომელიც ამოტივტივდება მეხსიერებაში: „მარინე, დააკვირდი ჯუნას ბიჭს! ფეხები უფრო განვითარებული აქვს, ვიდრე ტანი. ჯუნამა იქვა, ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდაა და ბევრს დადისო", — მითხრა გურამმა ერთხელ, მე მგონი იმიტომ, რომ მოეწონა ჯუნას სიტყვები). მახსოვს როგორ სიამაყით ყვებოდა დედა გურამის ამხანაგების მონათხრობს: ექიმი, რომელიც გურამს სუნთქვას უსინჯავდა ალპიურ ბანაკში წასვლის წინ, როდესაც ოთახში ერთი საათის შემდეგ შევიდა, განცვიფრებული დარჩა — გურამი, რომელიც მას საერთოდ დააევწყდა, თურმე ისევ ისე აუღელვებლად, აუჩქარებლად, სუნთქვაშეუცვლელად და ხალისით განაგრძობდა ხტუნვას, როგორც დაიწყო. დედა სამართლიანად ამაყობდა, რადგანაც გურამის ბუნებრივი მონაცემების განვითარებას, ალბათ სწორმა ფიზიკურმა აღზრდამაც შეუწყო ხელი.

მაშინ, როდესაც გურამი მთის მდინარეში დილაადრიან შიშველი ბანაობდა, მე შეფუთნილი ნაპირზე ვიჯექი. მერე დედა მდინარის წყლით ფრთხილად მბანდა პირს, ხელებს, მივარცხნიდა ჩახვეულ თმებს და ძალიან მალე, კლდის ბილიკების ავლის შემდეგ, ჩვენს ბანზე, კარვის გვერდით, დილის გრილ მზეს მიფიცხებულები, შევექცეოდით თანდილიდან ახლად ამოღებულ თბილ საუზმეს.

მე სწრაფად გავიცანი სომხის გოგობიჭები. ვისწავლე სომხური სიტყვებიც და ხშირად დედაჩემსა და სომხის ქალებს შორის თარჯიმნობასაც კი ვწევდი. ჩემი ძმა სად დარბოდა, არ მახსოვს. მაშინ მე ჯერ სკოლაში არ დავდიოდი და დედას და გურამს ეცინებოდათ ჩემს სომხურზე, და იმაზე, რომ ასე სწრაფად შემოვიკრიბე ჩემს გარშემო გოგობიჭები. მე მგონი ცოტათი მაქებებდნენ კიდეც. ხანდახან დედას მივყავდით სუფსარქისის სანახავად, და ინტერესით ვათვალიერებდით ძალიან მაღალ, ოვალურ ქვას, სხვის სალოცავს, სომხების კერპს, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა ქვის დაბალი ღობე. მახსოვს ღობის ძირში როგორ იდო ცოცხი, აქანდაზი, მაღალ ქვასთან კი ახლად დაკრეფილი ყვავილები. რაღაც საჭმელი, ხილი. ერთი სუფსარქისი მაღალი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წვრილი, მეორე კი უფრო დაბალი და განიერი; ერთი ახლოს იყო ჩვენი სახლიდან, მეორე კი ძალიან შორს. მახსოვს, მამასაც და სომხებსაც ძალიან გაუკვირდათ, როდესაც გაიგეს, რომ ჩვენ მეორე სუფსარქისიც ვნახეთ. შაბათ-კვირას ღამისთევით ჩამოდიოდა მამა. საბარგო მანქანა სავსე იყო საზამთროებით, სხვადასხვა ხილით, კიტრითა და პამიდვრით. მახსოვს, საღამოს როგორ ვეხვეოდით დიდ ნაბდებში, როგორ ვწვებოდით კლდის პირზე მზის ჩასვლის მოლოდინში, მერე — მთვარის ამოსვლისა, და ხანდახან როგორ ერთდროულად ჩანდა ცის სხვადასხვა მხარეს ჩამავალი მზე და ამომავალი მთვარე. მერე მოჭედილ ცაზე ვეძებდით ჯერ დიდი დათვის თანავარსკვლავედს, მერე პატარა დათვისას, მერე მარსს, რომელიც თურმე იმიტომ არა ციმციმებდა, რომ ყველაზე ახლო იყო დედამიწასთან. ნაბდებში გახვეულებს გვესმოდა ყინულიანი წყლის ხმაური ხეობიდან, რომელიც, ვიცოდით, რომ ხტუნვით მოჩქეფდა უზარმაზარ ქვებზე. მახსოვს, როგორ ვუსმენდით ნაბადში გახვეულები ძია დათას შერლოკ ჰოლმსის თავგადასავლებს და „ბიძია თომას ქოხის“ მამაჩემისეულ ვარიანტს. მე დილით ჩვენს მიწურში მელვიძებოდა მაშინ, როდესაც უკვე ისმოდა მანქანის დაქოქვის ხმა და როდესაც იწყებოდა ახალი ძველი თავგადასავლებით სავსე დღე, თავისი მდინარეში ბანაობებით, ქადებით, სხვისი სალოცავებით, ახალ-ახალი წიგნებით, რომელიც დედაჩემს ყოველთვის უხვადა ჰქონდა მომარაგებული.

ეს იყო განძა. მეორე წელიწადი კი გარელოვკაში გავატარეთ. იქვე იყო ბოგდანოვკაც. უცნაური დასახელების სოფლები, სადაც ასევე უცნაური, ჩვენთვის უცნობი გარეგნობის და ჩაცმულობის ხალხი ცხოვრობდა, უცნობი ენის და წეს-ჩვეულებების. ამ ხალხს დუხობორებს ეძახდნენ.

აი, ჩვენი დიდფანჯრებიანი სახლი გარელოვკაში. ოთახში პირდაპირ ეზოდან შევდივართ, კიბის ავლა-ჩავლის გარეშე. დიდი ოთახი, კედელთან მიდგმული საწოლებით; ნაპირას წევს გურამი, მერე დედა, მერე მე. კედელთან საწოლები, ბებოს დაკემსილი ღია მომწვანო გადასაფარებლებით, რომლებზეც აძრომა არ შეიძლება. ფანჯარასთან ჩვენი განუყრელი ჭრელსუფრიანი მაგიდა... ახალი ოაზისი სადღაც გორელოვკის მივარდნილ ქუჩაზე. მე და გურამი, ამ ხანაგების გარეშე დარჩენილები, მთელი დღე ვიცინით და თავდაყირა ვდგავართ. დედა გვიჯავრდება, ჩვენ არ ვისვენებთ. ერთმანეთს ბალიშებს ვესვრით და რაღაცებს ვამსხვრევთ. დაღლილი დედა ერთ წუთს მიწვება დასაძინებლად, სადღაც ვიჭერთ ბუზს და დედას ყურში ვუშვებთ ხელს, დედა წამოხტება, მერე, როდესაც ჩვენი გაჩერება უნდა, გვეუბნება, რომ ის ბუზი ყურში შეუფრინდა და ჯობია ახლა გავჩუმდეთ, თორემ ძალიან ავად გახდება. მერე დედას დიდი დრო სჭირდება, რომ გადაგვარწმუნოს, ბუზი ყურში ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეფრინდებოდა.

ერთხელ, იღება კარი და შემოდის მამას ამხანაგი ალიოშა ჭეიშვილი, მწერალი. დედა ეგებება. მე და გურამი ერთმანეთს ვუყურებთ, მერე სტუმარს და ვიწყებთ თავშეუკავებელ სიცილს. დედა გვიბრაზდება, მერე სტუმარს უყურებს და იწყებს ჩვენი სიცილის მიზეზის ახსნას. ამ ახსნას ახალი, კიდევ უფრო ძლიერი სიცილის ნაკადი მოჰყვება. ალიოშა დგას კართან და ღიმილით გვიყურებს. დედა ცდილობს, უფრო კარგი მიზეზი მოიგონოს და უეცრად სიტყვები სლუკუნში გადადის, ვეღარ ამთავრებს, და ისიც სიცილს იწყებს. ცოტა ხანში ჩვენ ოთხივეს გადაგვირბენს სიცილის ტალღა და უეცრად ჩამოწოლილ სიჩუმეში უფროსები იწყებენ სიტყვების ძებნას, რადგან მოულოდნელად ირკვევა, რომ ყველა სიტყვა უაზროა ამ გულის სიღრმიდან ამოხეთქილ ხმასთან შედარებით, რომელმაც რაღაც წამში ერთ ადამიანად გვაქცია ოთხივე.

ისევ გარელოვკაში ვართ... მე, დედა და გურამი ტბიდან ვბრუნდებით. გურა-

მი წინ მირბის მალაყებით. დედა რაღაც ყვავილებსა კრეფს და მეუბნება, რომ ამას კესანე ქვია. მე ვიხრები და ვწყვეტ კესანეებს კესანეების მინდორში. მერე დედა მხრებზე მხვევს ხელს და დაბალი ხმით იწყებს: „ჩონ-გურს სი-მე-ბი ბაა-ვუ-ბი...“ მანიშნებს, რომ ავყვე. მეც ვმღერივარ. ყველაზე ძალიან მიყვარს დედას სიმღერებიდან: „მახსოვს პირველად სასწავლებელში...“ იწყებს ხრიალ. მე დედა ამ სიმღერას და მე მაშინვე წარმოვიდგენ ჩემს თავს იმ პატარა ბიჭის, თუ გოგოს ადგილას, რომელიც სასწავლებლად შორს სოფელში ან ქალაქში გაგზავნეს, სადაც არ იყო დედა. გულში ტირილს ვიწყებ. ვცდილობ, არ შეამჩნეს; მალიმალ ვიხრები და კესანეებს ღია მოცისფრო-მოიისფრო მინდორში, კესანეების სუსტ ყვავილებს ვწყვეტ. გურამი ჩვენზე ადრე შერბის სახლში. ჩვენ ნელა შევდივართ სიმღერის ბგრუსიდან და პატარა იისფერ თაიგულს თიხის ქოთანში ვდებთ. მერე ვიბანთ ხელებს, ვუსხდებით ჩვენს ჭრელ სუფრას სასაუზმოდ. ვიცი, თუმცა ჩვენი ოთახის ფანჯრებიდან არა ჩანს, რომ დუხობორები, მაღალი, წოწოლა ქუდებით, გრძელი, განიერი კაბებით თოჯინებივით დასრიალებენ იქვე გრძელ, უმანქანო, ჩუმ ქუჩაზე, რომელიც ჩვენი სახლის წინა მხარეს გადის.

გურამის სურათების ალბომში ერთი ერთი სურათი, რომელზეც აღბეჭდილი ვართ: ბებო ანეტა, დედა, მამა, გურამი და მე. დედა და ბებო ანეტა სხედან. ბებო — თავისი განუყრელი ყავისფერი აბრეშუმის კოსტიუმით და თეთრი საყელოთი, შუაზე გაყოფილი გადავარცხნილი თმით, კოხტა, გადასაბნევიანი ფეხსაცმლით პატარა ქუსლებზე, მოხუც მხრებზე კოხტად მორგებული ზაფხულის პალტოსმაგვარი მოსასხამით, ერთმანეთზე დაწყობილი გრილი ხელებით, — სადღაც მოხუცებულობის ზღვაში იყურება. დედას აცვია შავ ფონზე აქეთ-იქით მიყრილ-მოყრილი, წვრილი, წითელ-ყვითელი ყვავილებით მოჩითული ქიშმირის კაბა, რომელიც ამ სურათზე თეთრად გამოიყურება. დედას კიდევა აქვს თბილისში ზუსტად ასეთი ტიპის, ოდნავ ღია ფერის ერთი საკბილ. იმას მე მინახავს მერვე კლასში იმ ნაჭრიდან მიკერავს „ბლუზკას“, რომლითაც კონცერტებზე დავდივარ ხოლმე კონსერვატორიაში. ეს ნაჭრები ძია შალიკომ ჩამოგვიტანა ომის დამთავრების შემდეგ. ახლა კი მამაჩემის წინა ვდგავარ ამაყი სახით, იმიტომ, რომ მაცვია რბილი ნაჭრისაგან შეკერილი ახალი პიჟამა. ეტყობა, დედასაც ძალიან მოვწონვარ ამ პიჟამაში, იმიტომ, რომ მე შემომცქერის, მე მგონი კმაყოფილი სახით. მამაჩემი, გურამი და მე კი პირდაპირ აპარატში ვიყურებით. გურამს აცვია ეტუალისგან შეკერილი მუქი ლურჯი ჯიბეებიანი კიტელი და შარვალი. ეტუალი — უხეში შალის ქსოვილი, ჩვენი საოჯახო ნაჭერია. ამ ნაჭრისგან, რომელიც სხვადასხვანაირი ფერისა არსებობს, დედა გვიკერავს ყველაფერს, ღამის პერანგის გარდა. გურამს სურათზე საკინძე ბოლომდე აქვს შეკრული, როგორც დედას უყვარს. გურამმა ან თვითონვე შეიკრა დედის ხათრით, ან დედამ შეუკრა სურათის გადაღების წინ და უხეშ ქსოვილზე ზევიდან „აპაშის“ თვთრი საყელო ამოუწია. გურამს ერთი ხელი ფრთხილად უდევს ბებოს მხრებზე, მეორეთი ხეს ეყრდნობა და აპარატში იყურება სიყვარულით სავსე თვალებით. ეს ეპითეტი, „სიყვარულით სავსე თვალები“, შეიძლება გამოდგეს გურამის ყველა ფოტოსურათის დასახასიათებლად. აი, მე ამ სურათიდან ვიყურები ოდნავ ამაყი, კმაყოფილი სახით, მამა — დაკვირვებული. ჭკვიანი თვალებით, გურამი კი სიყვარულით სავსე თვალებით. სხვა სიტყვის მოძებნა ძნელია, შეიძლება ახლაც იყოს გასაგები, რატომ მახსენდება გურამის სიტყვები ერთ-ერთი დღიურიდან: „ვუყურებ იმ ბიჭს და ვფიქრობ — საწყალი ის ბიჭი, საწყალი მე“.

მაგიდაზე მიდევს ჩემი ძმის ფოტოალბომი და ნელ-ნელა ვათვალიერებ. ეს ალბომი მაშინვე შეიქმნა, იმ დღეებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. ძია შალიკომ წაიღო ყველა ფოტოსურათი, რომელზეც გურამი იყო აღბეჭდილი და თავისი ამხანაგის დახმარებით ამ ალბომში ჩააკრა გურამის ასაკის მიხედვით. ვათვალიერებ ზედიზედ, მიყოლებით ჩემი ძმის სურათებს პატარაობიდან დიდობამდე, ვუყურებ გურამის თვალებს ყველა ფოტოსურათზე და უეცრად ელდასავით, შთაგონებასავით მეხსნება სრულიად ბუნებრივი აზრი, — ის, რაც თავისთავად იგულისხმება, რომლის ვაგებას არავითარი შთაგონება არა სჭირდება, რომელიც შეიძლება უკვე ვთქვი კიდეც; გურამის მოქმედებაში, სიტყვაში, ცხოვრების სიუჟეტში გამოვლინდა ის ხმა, რომლითაც ის დაიბადა, რომელიც მასში, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დაბადებამდე შევიდა. ამ ხმამ გაიარა სხვადასხვა ეტაპები და ერთ მშვენიერ დღეს სიჭარბისგან იწყო გადმოღვრა, როგორც ანთებულმა ცეცხლმა.

იმ ფოტოსურათს, რომელზეც ბებო, ანეტა, მამა, დედა, გურამი და მე ვართ აღბეჭდილი, აწერია Бакуриани, 1948 I. VIII. ეს ნიშნავს, რომ დედა 37 წლისაა, მამა 39, ბებო, ალბათ, 60, მე 9 წლის, ხოლო გურამი — 13-ის. იმ ზაფხულს ჩვენ ბაკურიანში ვისვენებდით, მამას მეგობარ რაზმაძეების ოჯახთან ერთად, რომელთაც ჩვენსავით ორი შვილი ჰყავთ, ოღონდ ორივე ბიჭები. აი, კიდევ მეორე სურათი, რომელსაც იგივე თარიღი და ადგილი აწერია. მე და გურამს ისევე გვაცვია, როგორც წინა სურათზე. ამ სურათზე მხოლოდ ბავშვები ვართ. გრძელი მაღალი ნიკუშა და ჩემი ძმა სხედან, შუაში სტეფანე მენთეშაშვილის პატარა ქალიშვილია ჩაჭეჭყილი. მენთეშაშვილებიც ჩვენს ახლოს ისვენებდნენ მაშინ. უკანა რიგში აქეთ-იქით ხეებს ვეყრდნობით მე და რაზმაძეების ნათესავი მერიკო. შუაში მერაბი დგას, ძია ირაკლის და დეიდა ქეთოს უმცროსი ვაჟიშვილი. ეტყობა, დედაჩემი არ გვიყურებს, იმიტომ რომ ხელები არხეინად მიწყვია პიჟამის ჯიბეებში და უდარდელი სახით ვიყურები აპარატში. ბაკურიანში გურამი რომელიღაცა ექსპედიციიდან ჩამოვიდა მამასთან ერთად. შეიძლება, ეს სწორედ ის დღე იყო, როდესაც მამამ პიჟამა ჩამომიტანა და ყველა ერთად წავედით სურათის გადასაღებად. მახსენდება ერთი ამბავი ბუკარიანში, რომელიც, ალბათ, მაშინვე მოხდა კიდეც, როდესაც სურათის გადაღება დავამთავრეთ. იმიტომ რომ, ერთხელ, ბაკურიანის ტყეში, როდესაც ზუსტად ისე ვიყავით ჩაცმულები, როგორც სურათზეა, გურამი უეცრად გაქრა. ცოტა ხანში შორს ტყეში თვალი მოვკარით მხედარს, რომელიც ხეებს შორის ჭენებით მოიკვლევდა გზას ჩვენკენ. მოახლოებისას ეს მხედარი გურამი აღმოჩნდა. მახსოვს, ყველას შეეშინდა, მერე მამამ გურამს უთხრა: „ტყეში ჭენება არ შეიძლება, სულ ადვილად შეიძლება დაფრთხეს ცხენი და ხეს დაეჯახოს“.

გურამის ჩამოსვლის შემდეგ ბაკურიანში დავდგით პიესა „პეტრიკელას ოინები“, ვისი თაოსნობით იყო ეს, არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, რომ მე ქალბატონის როლს ვთამაშობდი, გურამი — ბატონის, ნიკუშა რაზმაძე კი — ჩვენი მოჯამაგირე პეტრიკელასი. მახსოვს ისიც, რომ ჩვენი გრძელი აივანა ვიღაცის პლედებით ორად გავყავით. ერთ მხარეს სცენა იყო, მეორე მხარეს კი — მაყურებელი. სცენაზე იდგა მრგვალი მაგიდა, რომელსაც მე ვუჯექი სავარცხლით ხელში, დედაჩემის დიდმხრებიან წითელ-ყვითელყვავილებიან ქიშმირის კაბაში გამოწყობილი და მაგიდაზე დადგმულ სარკეში ვიყურებოდი. იქვე ჩემი ძმა იდგა. ჩექმებში ჩატანებული შარვლით, პირში ვიღაცის ჩიბუხით, სახეზე ღიმილით და ვითომ სერიოზულად ოთახში ბოლთასა სცემდა. შემოვიდა მაღალი, გამხდარი ნიკუშა და ვითომ საწყლად გაჩერდა ჩემი ძმის წინ. გურამმა რაღაც უბრძანა და მერე პანლური ამოარტყა, როგორც უხეშ ბატონს შეეფერებოდა; მაგრამ პანლურის ძალა ვერ მოზომა და მაღალი და გრძელი ნიკუშა ჩაერჭო მაყურებლის კალთაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ძლივს გაიმართა, მივარდა მაგიდას, გადმოათრია თავისი ოთახიდან გამოტანილი სუფრა. სარკე ხმაურით დაეცა აივნის ხის იატაკზე. ნიკუშამ შეიკეტა თავისი ოთახის კარი და აყვირდა: „ასეც ვიცოდი, გურამთან არაფრის თამაში არ შეიძლება სერიოზულად“. გურამი ჩუმად იღიმებოდა ჩიბუხს უკნიდან. დედაჩემს და დეიდა ქეთოს სულ სხვადასხვა რაღაცების ეუხერხულებოდათ და ლაპარაკობდნენ სულ სხვა რაღაცებს, ვიდრე ფიქრობდნენ; სხვები იცინოდნენ. მე უფროსების ემოციებს ვიყავი შეფარებული და თითქმის არც მაინტერესებდა, რა ხდებოდა.

სხვათა შორის, ახლა გამახსენდა, რომ საოჯახო სპექტაკლები ყოველთვის იშლებოდა. რომელიღაცა „მსახიობს“ უეცრად ბეზრდებოდა სახელდახელოდ შექმნილი სცენის პირობითობა და ყველაფერი თავდაყირა დგებოდა. მახსოვს, ერთხელ თბილისში, ფიცხელაურების სახლში, რომლებიც ჩვენს პირდაპირ ცხოვრობდნენ, ვდგამდით „იავნანამ რა ქმნას“. სპექტაკლი მთელი სერიოზულობით მოამზადეს უფროსმა ბავშვებმა, მგონი, ჩვენი შეზობელი მწიგნობარი და სერიოზული ბიჭის ზურიკოს ხელმძღვანელობით. მე ქეთოს ვთამაშობდი, ჩემი ამხანაგი თინიკო ფიცხელაური — მაგდანას, ზურიკო — მამაჩემს. ზურიკომ სცენის მოსაწყობად სახლიდან გადმოზიდა ფარდაგები,, რაღაცა ვაზები. მეორე უფროსმა გოგონამ, რომელიც ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდა სპექტაკლის დადგმაში, თქვა: „საოცრად კეთილი ბიჭია ზურიკო, სერიოზული“, და თვალები ლამაზად და უცნაურად აათამაშა. რეპეტიციებიც გვქონდა. აი, დაინიშნა სპექტაკლის დღეც. აივან-სცენაზე დიდი ლამტვრეული ტოტებისაგან გაშენდა ტყე., არა გვყავდა მხოლოდ ჯაჩაღი, რომელიც ყოველგვარი რეპლიკის გარეშე უნდა მდგარიყო სცენაზე ტოტების უკან, რათა მაყურებელი მიმხვდარიყო, რომ ტყე სავსე იყო ყაჩაღებით. ამ დროს საიდანღაც სტვენა-სტვენით გამოჩნდა „პატარა გურამი“ (გურამ აზმაიფარაშვილი, რომელსაც პატარას ეძახდნენ, იმიტომ რომ ჩემ ძმაზე სამი წლით უმცროსი იყო), რომელმაც თურმე სადღაც მოკრა ყური, რომ ჩვენ სპექტაკლსა ვდგამდით. მან სიამოვნებით იკისრა ყაჩაღის როლი და ფარდის აწევისას უკვე მოღიმარი სახით ამაყად იდგა ტოტების უკან. გამოვიდა ზურიკო, რაღაც ნაბდისმაგვარი მოსასხამით, მიწებებული წვერით, დარდიანად გაჩერდა შუა სცენაზე და სერიოზულად თქვა: „10 წელია ქეთო არ მინახავს“. ამის თქმა იყო და, უეცრად გამოხტა სცენის უკნიდან პატარა გურამი, ეცა ზურიკოს წვერს, ჩამოქაჩა და მხიარულად განაცხადა: „უკაცრავად, ზურიკო, თხუთმეტი“. ატყდა ალიაქოთი. ზურიკომ ჩამოგლიჯა ფარდაგი, რომელიც მეორე მოქმედებისათვის იყო გამზადებული, ამოიდო იღლიაში, აიღო ხელში ვაზა და უსიტყვოდ გავარდა. ნათელა გამხდარ მხრებს წევდა ზევით, თვალებს აფახუნებდა და თან ამბობდა: „რა უხერხულია ზურიკოსთან, რამდენი რამე გადმოიტანა, რამდენი იწვალა“ და თან ჩუმად, ისე რომ გურამს არ გაეგო, ამატებდა: „საიდან გაჩნდა აქ ეს გურამი, რა მაგის საქმე იყო სპექტაკლში თამაში! ოხ! რა უხერხულია ზურიკოსთან, ახლა ყველაფერი გაფუჭდა“.

მართლაც და, რა გურამის საქმე იყო ამ პატარა აივანზე გამართულ სპექტაკლში თამაში! პატარა გურამის, რომელიც მთელი დღე თავდაყირა იდგა შემოუსაზღვრელ სცენაზე! პატარა გურამი საოცარი სმენითა და მუსიკალური ნიჭით იყო დაჯილდოებული. ის შეიძლება მომავალში კარგი მევიოლინეც დამდგარიყო, თუ არა გაუმართლებელი ცხოვრება, გადასახლებული მამა. გურამი ცხოვრობდა ჩვენი ეზოს გადაღმა ბელეტაჟში, უშუალოდ მისი გზის შემყურე დედასა და დეიდასთან ერთად. მისი უცნაური გარეგნობა მხოლოდ მაშინ აღვიქვით როგორც მიმზიდველი, როდესაც ედი ბარტლეტმა (კინო-ფილმიდან „ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“) თავისი სევდანარევი იუმორით, ზუსტად ასეთი მძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ ჩამოწეული ქუთუთოებიდან გადმოიხედა ეკრანიდან. ხოლო მისი სიყვარულით სავსე გული და დიდი სევდა, (რომლის მიზეზი მის აწმყოშიც ბევრი იყო, ისე როგორც შემდეგ მის მომავალშიც აღმოჩნდა), გაუთავებელი ხუმრობების და ღლიცინების უკან დამალული, ჩემთვის გასაგები გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩემი ძმის პიესა „იულონი" წავიკითხე და პატარა გურამში, „იულონის" გმირში, ჩვენი გურამ აზმაიფარაშვილი შევიცანი.

1948 წლის ზაფხულს ბუკარიანიდან ვარძიაში წავედით. ქციას ავუარეთ გვერდი, ცხრაწყაროს გადასახვევთან დედამ მარცხნივ გაგვახედა და ხელახლა მოგვიყვა ცხრაწყაროზე მზის ამოსვლის ამბავი. მახსოვს, მაშინ, ჩავუარეთ თმოგვის ციხეს, ხერთვისს, შემდეგ მანქანა მიდიოდა ჭანჭურების ხეივანში, ტერასებზე ხილით დახუნძლულ ხეებს შორის, ადამიანების გარეშე დატოვებულ სახლებს შორის. ამ სახლების სანახევროდ ღია კარებიდან არც გამოდიოდა არავინ და არც შედიოდა. მამამ ჩუმად უთხრა დედას, რომ ეს სწორედ ის ადგილებია, საიდანაც ერთ ღამეს გადაასახლეს ხალხი და უპატრონოდ დატოვეს მთელი სოფლები თავისი დოვლათით. მაშინ გურამი და მე კიდევ ერთხელ ვეზიარეთ მესხეთ-ჯავახეთის სრულიად განსხვავებულ პეიზაჟებს, კლდეში გამოკვეთილი ქალაქის განუმეორებლობას, ამ კლდის ტალანებში ამოსული წყლის გემოს, პატარ-პატარა ხიდების სიმშვენიერეს, საიდანაც თურმე თამარ მეფე ქვევით შეკრებილ, საბრძოლველად მიმავალ ლაშქარს გზას ულოცავდა.

დღევანდელი დღიდან აღარაფერი მეჩვენება შემთხვევითი. არც ეს დაუსრულებელი სიარულები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ ტაძრებსა თუ მონასტრებში, არც ადრეულ ბავშვობაში მესხეთ-ჯავახეთის დალაშქვრა, არც ჩვენი განთიადი მაშინ ტბაფარავანზე, ამ წმინდა ადგილას.

1960 წლის აგვისტოში 26 წლის გურამმა მამასთან ერთად კიდევ ერთხელ გაიარა ჩვენი ბავშვობის დრეტნდელი მარშრუტი: ბაკურიანიდან ცხრაწყაროს გავლით ქციაზე, ქციიდან ტბაფარავანზე, ტბაფარავნიდან ქაჩალ-გორაზე. თუმცა, როგორც ახლა გაირკვა, პატარა განსხვავებაც იყო: ტბაფარავნის მისადგომებთან მათ მესაზღვრეები გადაეღობნენ და, რადგან საშვი არც ერთს არ აღმოაჩნდა, გზის გაგრძელების უფლება არ მისცეს. გურამი ისე აღელდა, რომ წალაპარაკებაც კი მოუვიდა მესაზღვრეებთანო, მითხრა მამამ. თუმცა ქაჩალ-გორაზე მაინც წავიდნენ, ოღონდ ამჯერად შორიდან მოვლა დასჭირდათ, გაუკვალავი გზების გადალახვა. იქ მათ მასპინძლობა გაუწია ირაკლი მარგველაშვილმა, მამას ამხანაგმა, რომელიც ელდარის მეურნეობის ცხვარს წამოჰყოლოდა საზაფხულო საძოვარზე ზოოტექნიკოსად. გვიან ღამემდე გაგრძელდა თურმე წვეულება. მძღოლი საკმაოდ შეთვრა და ამიტომ უკანა გზაზე საბარგო მანქანა მოჰყავდა გურამს. „მახსოვს, ის ღამე უმთვარო იყო და მცირე კავკასიონის ტყე-დრეებში სიარული სინამდვილეში უფსკრულის პირას სიარულს უდრიდა". — თქვა მამამ. გურამი ქციაზე მამასა და მის თანამშრომლებთან ერთად მთელი თვე აპირებდა დარჩენას. ქციიდან 10-15 კილომეტრში, ტაბაწყურზე, ბინაც კი დაქირავა სამუშაოდ, მაგრამ უეცრად, ყველასათვის მოულოდნელად, შეიძლება თავისი თავისთვისაც კი, გადაწყვეტილება შეეცვალა და რამდენიმე დღეში დაბრუნდა თბილისში, საიდანაც ისევ რამდენიმე დღეში წავიდა გაგრაში. ეს იყო, ალბათ, უკვე, აგვისტოს შუა რიცხვები.

ჩვენი ბავშვობის 'დამთავრებასთან ერთად დამთავრდა ჩვენი საოჯახო, თავგადასავლებით სავსე ზაფხულებიც; მაგრამ ეს ზაფხულები სინამდვილეში დამთავრდა მხოლოდ ჩემთვის. გურამმა კი კვლავ გააგრძელა მოგზაურობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ოღონდ ახლა უკვე ოჯახისაგან დამოუკიდებლად.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახა ტიგინაშვილი

სიმღერები მწუხრის ჟამს

●

შენ გაგრიყეს ისე უცებ –
მისანი გახდი,
შენთვის ღამე ნიაღვრად იქცა...
და დალანდულს
ზეზეულად გამოჭმულ გვერდში
პეპლები აგიფარფატდნენ

●

ოდეს დაცხრები
ყელს არ დაძაბავ,
შენი სიმღერა ქვეყნის ხმაურს
მაშინ დაფარავს
ანგელოზები გეწვევიან
ოდეს არავის
არსაიდან დაელოდები...

●

...განშორებისას მე ვიდექი ისე უძრავად,
რომ შენეულ თმის ნიავმაც კი ვერ
გამიტაცა
დაწანწალებდნენ მხოლოდ სადღაც
ჩემი თვალები
დაისებით გართულები
და ლანდების გადასახლებით

●

გაშრისფერ თმის მივატოვე მყუდრო
საკანე,
სიყვარულის მივატოვე ფარჩა-კარვები...

როდესაც ჩემი საგანძური
ფსკერზე დაეშვა
ზღვის ქაფივით
ლაჟვარდ ჰაერს გამოვეკიდე.

თავდავიწყება

ვიდრე ჩემს ხელს
შენი ნაზი ხელი უჭირავს
და წალკოტში მიაქანებს თავდავიწყებით
ვიდრე ღამე ანკარაა და უძირო
ამ თვალების ცეცხლი უნდა ნახო.

ვიდრე ჩვენი სამეფოა მშვიდი მინდორი
ტრაგედიებმა არ იფეთქეს მკივან
ვარდებად
ვიდრე ტანჯვით დაეთხრება
ლირსაც თვალები
ამ თვალების ცეცხლი უნდა ნახო

მასხარა

ჩამოხეული აფიშები მიგვითითებენ
დღესასწაულზე და მსოფლიო
ფეირვერკზე
რომელიც მოხდა საყოველთაო
სიხარულზე
დაფა-ზურნაზე და მასკარადზე
ყველაფერი შეიწირა ქრონოსის ხახამ
ყრუ სიჩუმემ დაისადგურა...
დარჩა მასხარა მარტოდმარტო
დედამიწის
ჩამქრალ ბურთზე მოსიარულე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲝᲛᲭᲠᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ

სადაც უნდა გეძებონ,
მაინც დაკარგული ხარ.
ხეობებში იცქირე,
მოარული სული ხარ.

ჭენება ვარდის ფურცელი
(ქუთუთოებს ვადარებ),
დაიკიდე ფეხებზე
და ეკლები ატარე.

ᲐᲠᲢᲝᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ჩემი სიყვარული
ვერ ჰგუობს ჯებირს,
ჩემი სილუეტი
ეძებს გზა-ჯვარედინს,
ჩემი პირმშოა
სევდა და მთვარის ხელისგულიდან
გადმოსული ჭიამაია.

ᲥᲠᲝᲜᲝᲡᲘ

მარადისობას შეუდგა წყალი
ჰარმონია დაიბზარა ცივ ნანგრევებად
შენ იდექი მილოსელის დაჩეხილ
ტორსთან
და ამჩნევდი როგორ დიოდა
დრო ულმობელი
ღრო დიდებული
შავი კატის ზანტი ნახტომი
სამოთხესავით ნათელ ბაღში.

●

ფანტასტიკური შვეულმფრენივით
გადაგიფრენს ცხოვრება
დარჩები მარტო
ზურგჩანთაში პურს და ღვინოს
თუ აღმოაჩენ
იხეტიალებ
ღამ-ღაძობით
შენს ნატერფალში
ცეცხლის ენები იჩურჩულებენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი ჯავახაძე

მოთხრობები

ბიჯუნა

შვიდი წლისა იყო, წიგნს რომ გვერდით მიაგდებდა, შეშინებული ნაბიჯით მივიდოდა ფანჯარასთან და დიდი, ლურჯი თვალებით ეცნობოდა გარესამყაროს. მუსიკისა და ინგლისურის გაკვეთილებიდან ბებიას მიჰყავდა ხოლმე შინ და არც მაშინ კარგავდა ძვირფას დროს, ყველას და ყველაფრის დათვალიერებას ასწრებდა. მერე კი, ღამით, დიდ ძველებურ საწოლში იწვა და გათენებამდე ფიქრობდა. ფიქრობდა იმაზე, რისი ნახვაც დღე მოასწრო. ფიქრობდა იმაზე, რაც ამ კედლებს გარეთ ხდებოდა და რაც ძალზე შორს იყო მისგან. და, რადგანაც ასე შორს იყო, თანდათანობით უფრო მიუწვდომელი და სანატრელი ხდებოდა. კარგად იცოდა, ძილის წინ წიგნი რომ უნდა ეკითხა, მერე აივნის ფანჯარა მიეხურა, სინათლე ჩაექრო და საბნის ქვეშ შეცურებულიყო, მაგრამ ასე მოქცევა უჭირდა, რადგან ისიც იცოდა, თუ იქ მივიდოდა, აივნის კართან, ისევ იმას ნახავდა, რაც გუშინ და გუშინწინ ნახა; და თუმცა, ეშინოდა კიდეც, მაინც იქით ექაჩებოდა რაღაც ძალა. გადაშლილ წიგნს ლოგინზე ტოვებდა და ფეხაკრეფით მიიპარებოდა აივნისაკენ. შიში თანდათან ძლიერდებოდა. შიში იმისა, რომ ისევ ისე იქნებოდა ყველაფერი, რომ მოპირდაპირე აივანზე მეზობლის ქალი ისევ იდგებოდა სიგარეტით ხელში და ისევ მხოლოდ გამჭვირვალე ღამის პერანგი ეცმეოდა. ქალი იდგა რაღაცაზე ჩაფიქრებული, სიგარეტს ეწეოდა, მკლავები აივნის მოაჯირზე ეწყო, ტანი წინ გადმოეზნიქა და სავსე მკერდი მოუჩანდა. ბიჭს ეშინოდა. ალბათ, იმიტომ, რომ არ იცოდა, აქ რომ არაფერი იყო საშიში. არ იცოდა, რას ნიშნავდა ასე ჩაფიქრებული ქალი ღა მისი ლამაზი მკერდი. არც ის იცოდა, აივნიდან ჩუმად თვალთვალზე მეტი სიახლოვეც თუ შეიძლებოდა ამ ქალთან. არც სჭირდებოდა ამის ცოდნა; იდგა და იყო ასე, თავისთვის. სხვა დროსაც იყურებოდა ხოლმე აქედან, მაგრამ მაშინ შიშს დაბნეულობისა და გაკვირვების გრძნობა ცვლიდა. ქუჩაში მოთამაშე თანატოლებს უცქერდა და თავის შესაძლებლობებში დაეჭვებული უბრუნდებოდა წიგნებს.

მერე კი, ორმოცს რომ გადააბიჯა, მკერდსავსე ქალების ალერსიც რომ მოსწყინდა და მეგობრებთან ქეიფიც, სანთლის დანთება შეუყვარდა. დადიოდა ეკლესიებში და სანთლებს ანთებდა. დიდი მორწმუნე და რელიგიური რიტუალების კაცი არასოდეს გამხდარა, მაგრამ სანთლის დანთება იზიდავდა რატომღაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარნასი

ახალგაზრდა კაცი მოთხრობებს წერს. ის ათიოდე პატარა მოთხრობა, რომელთა ავტორიც იგი გახლავთ, ოთხი-ხუთი წლის განუწყვეტელი ფიქრის შედეგია. დრო გადის და წერა უფრო და უფრო უძნელდება. არც უფროსი კოლეგების საუბრებში ყურმოკრული რეცეპტი შველის, წერის პერიოდში წითელი ღვინის წრუპვა მამხნევებსო, და არც თავზესაყრელი თავისუფალი დრო. საათობით დაჰყურებს თაბახის ფურცლებს, მერე წიგნების თაროსთან მიდის და ქვემოთ ჩამოთვლილ შვიდ წიგნთაგან რომელიმე გადმოაქვს:

1. გურამ დოჩანაშვილი. სამოსელი პირველი.
2. გურამ დოჩანაშვილი. მოთხრობები.
3. რევაზ ინანიშვილი. ალერსი შიშიანობის დროს.
4. Хорхе Луис Борхес. Проза родных лет.
5. Габриэль Гарсиа Маркес. Сто лет одиночества; повести и рассказы.
6. Михаил Булгаков. Мастер и Маргарита; Рассказы.
7. ანა კალანდაძე. ლექსები.

მაჯალო

კინომოთხრობა

მე და ლაშა სადგურის სასადილოში ვისხედით, ჩანთები ფეხებთან გვეწყო და ლუდს ვსვამდით. სოჭის მატარებლის გასვლას ნახევარი საათი აკლდა.

— დავლიოთ თითო-თითოც? — ფეხზე წამოდგა ლაშა.

მე თავი დავუქნიე.

ლაშა დახლთან მივიდა, მებუფეტეს ორი კათხა შეავსებინა და ლუდი მაგიდასთან მოიტანა.

— ჩვენს მტრებს გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს, — ვთქვი მე.

ლუდი, როგორც ყველა სასადილოში, თბილი და უგემური იყო. ნახევრამდეც არ დაგვიცლია კათხები, ისე მივწიეთ მაგიდის შუისკენ და ერთდროულად წამოვდექით.

— ე, ე, საით? — გამოგვძახა მებუფეტემ.

— გაგრაში, გენაცვალე, — მისკენ არც გაუხედავს ლაშას.

მე თუმნიანი ამოვიღე ჯიბიდან და დახლისკენ წავედი.

— ცხრა მანეთია თქვენზე, — თქვა მებუფეტემ.

— კაი, კაცო, არ გამაგიჟო, — ორივე ჩანთა მხარზე მოეკიდებინა ლაშას და მაგიდასთან იდგა, — მე მეგონა, ფულს არ აიღებდი.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს, — მანეთიანი დამიბრუნა მებუფეტემ.

ლაშამ ჩანთები მაგიდაზე დააწყო და ჩვენსკენ წამოვიდა:

— რა ეგეთები?

მებუფეტე შეცბა.

— რა უნდა? — წამჩურჩულა მე.

ლაშა, ნელი და მტკიცე ნაბიჯებით მოდიოდა და მზერა ერთ წერტილში ჰქონდა გაყინული. დახლს რომ მოადგა, მებუფეტემ უკან დაიხია.

— შენ, ჩვენ ვინ გგონივართ, ჰა? — მკაცრად იკითხა ლაშამ.

მებუფეტე ხმას ვერ იღებდა. მე ვიდექი და ვიღიმებოდი.

— შენ გეგონა, გავიპარებოდით?

მებუფეტე პასუხის გამცემს არ ჰგავდა, უკან-უკან იხევდა, სანამ დახლის სკამს არ მიადგა და, ჩამოჯდა კიდეც.

— აი, ძმაო, — უცბად შეიცვალა ლაშა, გაიღიმა და ჯიბიდან ხუთთუმნიანი ამოიღო, — ეგერ, კუთხეში რომ სამი რუსი ზის, იმათსასაც მე ვიხდი. აჰა, აიღე, — და, ხუთთუმნიანი დახლზე დაგდო.

ჩვენ რომ სასადილოდან გამოვდიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით, მებუფეტე ისევ სკამზე იჯდა და დახლზე დაგდებულ ფულს დაჰყურებდა.

ბაქანი ცარიელი იყო. სოჭის მატარებელი პირველ ლიანდაგზე იდგა. ჩვენს ვაგონს დავუწყეთ ძებნა და სანამ ვიპოვიდით, ხმა არ გაგვიცია ერთმანეთისთვის.

ვაგონში საშინლად ცხელოდა. ჩანთები საწოლებზე დავყარეთ და ფანჯარა ჩამოვწიეთ.

— არ უნდა მექნა, არა? — მკითხა ლაშამ.

— არა, — ვუპასუხე მე, ჩანთა გავხსენი და სიგარეტი ამოვიღე.

ლაშას ხმა არ ამოუღია.

— წამო, გავიდეთ, მოვწიოთ, — წამოვდექი მე.

— დაჯექი ერთი წუთით, რაღაც გითხრა, — ხელი წამავლო მკლავში.

მე დავჯექი.

— ბიჭო, მე სკოლაში მიყვიროდნენ, სახლში მიყვიროდნენ, ალბათ, საბავშვო ბაღშიც მიყვიროდნენ და ეხლა, მაგ იდიოტის ყვირილი მინდა კიდევ?

გამეღიმა.

— რას იცინი? მიპასუხე ერთი, შეიძლება, ყველა იდიოტმა გიყვიროს?

— რა იცი, რომ იდიოტია? — ღიმილით ვკითხე მე.

— არა ბიჭო, გენიოსია, — გაეცინა ლაშასაც, — მაგრა კი შეეშინდა, ხომ იცი. ის ხუთთუმნიანი მაინც რამ დამატოვებინა, ხუთი დღის შემდეგ კაპიკი ფული არ გვექნება და ბიჭებს უნდა გამოვაგზავნინოთ თბილისიდან. თანაც, ნაღდად ვიცი, იმ რუსებს მაინც გამოართმევს ფულს.

— გამოართმევს — ვუპასუხე მე, — იმათ გამოართმევს და ჩვენი ხუთი თუმანი შერჩება ხახვივით. ეხლა მითხარი, ვინ არის იდიოტი, ის თუ შენ?

ლაშამ ხელი ჩაიქნია.

— ფული თუ შემოგვაკლდა, მამაჩემს დავურეკავთ და გამოგვიგზავნის, — ვთქვი და სიგარეტს მოვუკიდე.

— მამაშენი კი, გამოგვიგზავნის. მამაჩემი არაა არაფრის მომცემი. წამო, აქ ნუ ეწევი, გავიდეთ.

წამოვდექით და გასვლას ვაპირებდით, რომ ჩვენს კუპეში ორმოციოდე წლის ჩასუქებული მამაკაცი შემოვიდა.

— აბა, აქ ნუ ეწევით, ბიჭებო.

— უკაცრავად, — ჩავილაპარაკე მე და გამოვედით.

ცოტა ხანში მატარებელი დაიძრა.

— თფუ, ეს რა მაზალო კლიენტთან უნდა ვიმგზავროთ, — მითხრა ლაშამ და სიგარეტი ფანჯრიდან გადააგდო, — შევიდეთ კუპეში.

„მაზალი კლიენტი“ საწოლებს შორის იდგა და ფანჯრიდან იყურებოდა. ჩვენ რომ შევედით, მოტრიალდა და საკმაოდ უხეშად გვითხრა:

— აქ რას დაგიყრიათ ჩანთები, ეს ადგილი ჩემია, — და, მარჯვენა საწოლისკენ გაიშვირა ხელი.

ლაშამ ჩანთა აიღო და თაროზე შეადგდო. ჩვენ მარცხნივ დავსხედით, ჩვენი მეზობელი მარჯვენა საწოლზე მოკალათდა.

მატარებელი თანდათან უმატებდა სიჩქარეს. ლაშამ ჯიბიდან დანა ამოიღო, გახსნა, ისევ დაკეცა და მაგიდაზე დაადგდო. „მაზალო კლიენტი“ თვალს არ აშორებდა დანას. მერე სიგარეტი ამოიღო და ასანთს დაუწყო ძებნა ჯიბეში.

— შეინახე დანა, — ჩუმად ვუთხარი.

ლაშამ გაიღიმა, დანა ჯიბეში ჩაიდო. ასანთი ამოიღო და ჩასუქებულ მამაკაცს გაუწოდა.

— ოო, მადლობთ, — სიგარეტს მოუკიდა კაცმა.

ლაშა წამოდგა და კარები გამოაღო:

— მიბრძანდით, თუ შეიძლება.

..? — ვერ მიუხვდა კაცი.

— აქ მოწევა არ შეიძლებაო, თქვენ არ ბრძანეთ?

— არა უშავს, — გაიღიმა ჩვენმა მეზობელმა, — მოწიეთ თუ გინდათ, — და, სიგარეტი მოგვაწოდა.

— არავითარ შემთხვევაში, — მკაცრად თქვა ლაშამ, — კუპეში მოწევა აკრძალულია.

— ლაშა, რა გემართება, — წამოვხტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხზე, — ბრძანდებოდეთ, ბატონო, მოწიეთ აქ, ერთად მოვწიოთ.

სიგარეტი ამოვიღე ჩანთიდან და მოვუკიდე.

— გახვალთ გარეთ, თუ პრავადნიკი მოვიყვანო, ჰა? — იკითხა ლაშამ.

იმდენად სერიოზულად გამოუვიდა, რომ მე სიცილი ამიტყდა. „მაზალო კლიენტი“ მიხვდა, რომ ლაშასაც გადაუარა გაბრაზებამ და გაიღიმა. ლაშამ ხელი ჩაიქნია და ჩამოჯდა.

— ამის მეტს ნუ მოვწევთ, თორემ სასტიკად გაიბოლება აქაურობა და ღამე შეგვაწუხებს, — თქვა ჩვენმა მეზობელმა.

— რა დროს ღამეა, ხუთი საათია, — გაიკვირვა ლაშამ.

— შენ, იცი რას გეტყვი, — წამოწითლდა „მაზალო“, — ხან მიშლი სიგარეტის მოწევას, ხანაც...

— რა ხანაც? — მშვიდად იკითხა ლაშამ.

— შენხელა შვილი უნდა მყავდეს მე, არ გინდა ეხლა ეგეთები.

— ეგ ჩემი ბრალი არ არის, — ისევ მშვიდად ლაპარაკობდა ჩემი მეგობარი.

— რა? — დაიბნა კაცი.

— რა და, შენ რომ ჩემხელა შვილი არ გყავს.

— ლაშა, გეყოფა, — ფეხზე წამოვდექი მე.

— კი, ბატონო, მეყოფა, მაგრამ, ამიხსნას, რა უნდა. ხან სიგარეტის მოწევას ვუშლი და ხანაც რა?

— არაფერი, გენაცვალე, არაფერი. მართალი ხარ. თავი დამანებე, — წამოდგა ჩასუქებული მამაკაცი და კუპედან გავიდა.

— დაიწყე ძველებურად? — საკმაოდ უხეშად ვთქვი მე.

ლაშას პასუხი არ გაუცია.

— მამის ტოლი კაცია, რას ერჩი?

— ერთი მაგისიც და მამაჩემისაც, — ჩაილაპარაკა ლაშამ, — ახვარია, ვერ ატყობ?

— დანა რამ წამოგაღებინა, — თანდათან ვცხარდებოდი, — ხომ დამპირდი, არ წამოვიღებო.

— გაგრაში ათი დღე უდანოდ ვერ გავძლებ მე. ათ კაცს არ ვიცნობ იქ და რამდენი ასეთი ტიპი შეგხვდება, კაცმა არ იცის.

— მერე, დანა რად გინდა, ყველა ასეთ ტიპს თავი უნდა მოაჭრა?

ლაშას გაეღიმა.

— რას იცინი? ამოიღე ეგ დანა და გადააგდე.

— კარგი ეხლა, მამაჩემივით ნუ მელაპარაკები. მექნება ჯიბეში და ერთხელაც არ ამოვიღებ, სიტყვას გაძლევ.

— აბა, რაში გჭირდება? — ეხლა მე გამეცინა.

— მიჩვეული ვარ. კაცურ სიტყვას გაძლევ, არცერთხელ არ ამოვიღებ ჯიბიდან... მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში.

— შენ თუ ენას კბილს დააჭერ, არავითარი გამოუვალი მდგომარეობა არ იქნება.

მატარებელმა ნელ-ნელა უკლო სიჩქარეს და რომელიღაც სადგურში გაჩერდა. ბაქანზე უამრავი ხალხი ირეოდა. მე ფანჯარასთან ვიჯექი და ბაქანს ვათვალიერებდი, სადღაც ამდენ ხალხში თოთხმეტიოდე წლის ბიჭუნა გამოვარჩიე. მას მეტისმეტად წითელი თმა და დიდი ყურები ჰქონდა. ხელში უზარმაზარი კალათა ეჭირა და მატარებლის გასწვრივ დარბოდა.

— სიმინდი, მოხარშული სიმინდი, — გაჰკიოდა ბიჭუნა მთელი ხმით.

ვიღაცები ყიდულობდნენ სიმინდს, ფანჯრიდან ფულს აწვდიდნენ ბიჭს, იგი კალათიდან იღებდა ტაროებს და მგზავრებს აძლევდა. ამ დროს კუპეში ჩვენი მეზობელი შემოვიდა და ფანჯარასთან მივიდა. მე ჩამოვიწიე, ადგილი დავუთმე. ის დაჯდა და ფანჯარაში ცქერა გაგრძელა. ლაშა გაზეთს კითხულობდა და ბაქნისკენ არც გაუხედავს. წითელთმიანმა ბიჭუნამ ჩვენს ფანჯარასთან მოირბინა.

— რა ღირს შენი სიმინდი? — ფეხზე წამოდგა „მაზალო კლიენტი“.

— ათი შაური, — სოფლური კილოთი

უპასუხა ბიჭმა. თანაც ისე, თითქოს მასწავლებელს პასუხობდა.

— მოიტა სამი ცალი, — ხელი გაუშვირა ჩვენმა მეზობელმა და ბიჭმაც დაუფიქრებლად მიაწოდა.

კაცმა ტაროები მაგიდაზე დააწყო და ბიჭს გადასძახა:

— მანეთს მოგცემ, თუ გინდა.

მე ლაშას შევხედე. მან გაზეთის კითხვას თავი დაანება.

— მანეთნახევარი, — გაიღიმა ბიჭუნამ.

— არაა შვილო ეს, მანეთნახევრის. მანეთი და ერთი აბაზი გეყოფა, — საფულე ამოიღო ჯიბიდან კაცმა.

ამოღებით კი ამოიღო, მაგრამ ფულის მიცემას აჭიანურებდა რატომღაც. მატარებელი დაიძრა. ბიჭუნა მატარებელს აედევნა.

— მანეთი მეყოფა, ბიძია, — დაიყვირა მან.

კაცი საფულეში იქექებოდა და ფანჯრისკენ არც გაუხედავს. მატარებელმა თანდათან მოუმატა სისწრაფეს. ბიჭუნა ვეღარ გვეწეოდა და სასოწარკვეთილი ხმით დაიკივლა:

— ფული მომეცით, ბიძია, ერთი მანეთიც მეყოფა.

კაცმა საფულე ჯიბეში ჩაიბრუნა. ბიჭი აღარ ჩანდა ჩვენი ფანჯრიდან.

— ვერ მოვასწარი, — რაღაც არაბუნებრივად გაიღიმა ჩასუქებულმა, — ჭამეთ ბიჭებო, — ჭყინტია, — და, ერთ-ერთ ტაროს დასწვდა.

— ნახე, რა იკისრა ამ ახვარმა? — თვალებში უყურებდა ლაშა ჩვენს მეზობელს, მერე ჩემზე გადმოიტანა მზერა, — შენ კიდევ ეჭვი გეპარება ამის ახვრობაში?

კაცი გაშრა. მაგიდაზე დააბრუნა სიმინდი და მე შემომხედა.

— რატომ არ მიეცით ფული? — რაც შემეძლო მკაცრად ვკითხე მე.

— ვერ მოვასწარი, — საზიზღრად დაიღრიჯა კაცი, თითქოს გაღიმებას ცდილობსო, — ხომ დაინახეთ, ვერ მოვასწარი.

— არ გეკადრებათ, ჩვენ სიგარეტის მოწევას გვიშლით კუპეში და თქვენ პატარა ბიჭებს ატყუებთ.

— არა, კაცო, გაბზარული ხმით ლაპარაკობდა კაცი, — უბრალოდ, ვერ მოვასწარი.

ეგ არაფერი, შემდეგ სადგურზე ჩავალთ, უკან დავბრუნდებით და იმ ბიჭს ხუთ თუმანს მისცემს, — ძალზე თვითდაჯერებული ტონით თქვა ლაშამ.

ცოტა ხანს სიჩუმე იდგა. მე სერიოზულად არ მიმიღია და ყურადღება არ გამიმახვილებია ლაშას ნათქვამზე, მაგრამ ჩვენმა მეზობელმა ვერაფრით ვერ მოისვენა:

— რას ჰქვია, ხუთი თუმანი?!

— რას და, მწვანე ფულს, ლენინის თავი რომ ახატია ზედ, — მშვიდად უპასუხა ლაშამ.

კაცი წამოდგა, თავის ჩანთას დაავლო ხელი და კარებისკენ წავიდა.

— მე წავედი, კარგად იყავით.

— წახვედი, თორემ, შენც დინოზავრის ნაკვალევი არ დატოვო, — ისევ მშვიდად ლაპარაკობდა ლაშა, — შემდეგ გაჩერებაზე ერთად ჩავალთ.

კაცმა რაღაც ჩაილაპარაკა და გავიდა.

— შენ ხომ არ გაგიჟდი? — წამოვხტი მე, — ეხლა რომ მატარებლიდან ჩავიდეთ, რითი აპირებ გაგრაში ჩასვლას?

— ჩამოიელის რამე, — მეც იმავე ტონით მიპასუხა, როგორითაც „მაზალო კლიენტს" ელაპარაკებოდა.

— რომ არ ჩამოიარეს?

— მაშინ, ხვალ ჩამოივლის.

მე მივხვდი, რომ ლაშას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი ჩანაფიქრის განხორციელება, მაგრამ არ შევეპუე. დიდხანს ვიკამათეთ. მე ვცხარობდი, გაბრაზებული ვლაპარაკობდი, ვყვიროდი კიდეც. ლაშა ძალზე მშვიდად მპასუხობდა, რაც კიდეკ უფრო მაღიზიანებდა.

რამდენიმე წუთში მატარებელმა სვლა შეანელა და სადგურიც გამოჩნდა. ლაშა კუპედან გავიდა. მე არ გავნძრეულვარ. ორიოდე წუთში დაბრუნდა „მაზალო კლიენტთან" ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად იპოვე? — გამეღიმა მე.

— პრავადნიკთან იჯდა, — თავის ჩანთას დასწვდა ლაშა, — ჩავედით.

— არსადაც არ მოვდივარ, — უსუსური ხმით განაცხადა კაცმა.

— ისე წამოხვალ, როგორც დაგიბარებია, — მკლავში ხელი გამოსდო ლაშამ და ვაგონის გასასვლელისკენ წაიყვანა.

მეც ავიღე ჩანთა და იმათ გამოვედევნე. ბაქანზე რომ გამოვედით და ჩვენს მეზობელს დავაკვირდი, მივხვდი, ეს კაცი ყველაფერს დაუჯერებდა ლაშას, და, არა იმიტომ, რომ ეშინოდა მისი, არამედ, საკუთარ შეცდომაში დარწმუნდა და ამ შეცდომის გამოსასწორებლად აღარაფერს მოერიდებოდა.

— სად მიგყავართ, სად? — იკითხა მან განწირული ხმით.

— სურათი უნდა გადავიღო შენთან ერთად, — მკაცრად ელაპარაკებოდა ლაშა, — სხვა დროს სად შევხვდები შენნაირ კაცს.

მე ოდნავ მოშორებით მივყვებოდი მათ, მეღიმებოდა და რატომღაც, აღარ მაბრაზებდა ჩემი მეგობრის საქციელი.

— იცით რა, თქვენ წაიღეთ ის ხუთი თუმანი და თავი დამანებეთ, დედაჩემთან მივდივარ ლიძავაში, ხვალ დილით იქ უნდა ვიყო, — შეჩერდა ჩვენი მეზობელი.

— ცოტაა, — თქვა ლაშამ.

— ასი იყოს, მეტი არ მაქვს, — სიხარულის ნაპერწკალმა გაიელვა კაცის ხმაში.

— ორასი, — ისევ მკაცრი ხმით უთხრა ლაშამ.

— შენ ხომ არ გაგიჟებულხარ? — იყვირა კაცმა, — სამ სიმინდში ორას მანეთს მახდევინებ? შენ გგონია, ყველაფერი გაგივა? ეხლავე შემეშვი, თორემ მილიციას დავუძახებ.

— ას მანეთს ხომ იხდიდი, ჰა? ასი მანეთი რა, არაა ძვირი სამ სიმინდში? მიდი, ჰო, დაუძახე მილიციას და ერთად მოვუყვეთ მაგ სიმინდის ამბავი, მიდი, — ხმას აუწია ლაშამ.

— დედა მყავს ავად, უნდა ჩავიღე ხვალ, — ცოტაც და ატირდებოდა ჩვენი მეზობელი.

მე საშინლად შემრცხვა და ხელი წავავლე ლაშას:

— კარგი, ჰო, გეყოფა, დაანებე თავი.

— ამოიღე ფული, — უთხრა ლაშამ კაცს.

კაცმა საფულე ამოიღო ჯიბიდან და ასმანეთიანი ამოაძვრინა.

— მე რას მაძლევ, — ხელი აუქნია ლაშამ, — წადი და ეგერ, მათხოვარს ხომ ხედავ, იმას მიეცი. ოღონდ, მაგდენი არ უნდა, სამი თუმანი ეყოფა.

კაცმა ასმანეთიანი საფულეში ჩააბრუნა, თუმნიანები ამოიღო და სადგურის შენობის კუთხესთან ჩამომჯდარი მათხოვრისკენ გაიქცა.

— წამო, ავბრუნდეთ მატარებელში, — ვუთხარი ლაშას.

— მოიცა, ერთი წუთით.

ჩვენი მეზობელი მათხოვართან მივიდა, ფული მიაჩეჩა ხელში და ისევ ჩვენთან დაბრუნდა:

— ორმოცი მანეთი მივეცი.

— ვაა, — გაიკვირვა ლაშამ, — რა კეთილი ყოფილხარ. ეხლა მომისმინე, ჩვენს კუპეში არ დაგინახო შემოსული, გაიგე?

— კი, — უხაროდა კაცს.

— და, ისა..., — ხმა დაურბილდა ლაშას, რაღაცის თქმა უნდოდა და აშკარად უჭირდა, — დედა თუ გყავდა ავად, არ ვიცოდით. გვაპატიე.

— არა უშავს, ეგ არაფერი, — ასეთი გახარებული კაცის მნახველი იშვიათად ვყოფილვარ.

— წადი ეხლა და სხვა ვაგონში ადი, — ისევ მკაცრად უთხრა ლაშამ.

კაცი გაიქცა.

— შევხედავ თუ არა ადამიანს, ეგრევე ვატყობ რაც არის, — მითხრა ჩემმა მეგობარმა და მატარებლისკენ წავედით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრო ბუაჩიძე

მოედანზე

ძველ მოედანზე მშრალ აუზთან ჰყვავის ტირიფი,
მზიან ამინდში კარგი დახლი უდგათ მაკლერებს,
მეც მოედანზე დავეყუდე გამტყდარ სტვირივით
და მაკლერები ჰგვანან ქრისტეს ჯვარზე გამკვრელებს.

რეკავს სამების ეკლესიის წირვის ზარები,
გაზაფხულია მოცახცახე.ამ ქვეყანაზე,
საღამო წვეთავს ქვაფენილზე დაუზარელი
და შინ მიუწევთ გული უკვე მოხუც ხარაზებს.

კეტავენ კარებს და ტოვებენ სავსე ფარდულებს,
ფეხსაცმელებზე გადატყდება სხივი ფაქიზი,
და სხივებიან ტანსაცმელში გამოკვართული
ირიბად წვება შეღამება, როგორც ნარგიზი.

ირიბად წვება ხეებზე და ქალის მკლავებზე,
ბავშვის ტირილზე, მსმელის მიერ გაწვდილ ჭიქაზე,
ჩემს კუშტ სახეზე, დროის სვლას რომ აღარ დაეძებს
და ჩემს ხელებზე, გულისჯიბეს რომ იჩხრიკავენ.

და შეიძლება მზის სხივები ჩაქრეს უეცრად
და შეიძლება ყველაფერი გადასხვაფერდეს,
მე შეიძლება დავემსგავსო ტლუს და უმეცარს,
მე შეიძლება მზის სხივებში უცბად დავბერდე.

დაბალ სარკესთან უსარგებლო ფიქრით დაღლილი,
ანთია ქალი დაფერილი მზის ათინათით,
ყელზე ასაკი ეტმასნება, როგორც აღვირი
და შეუძლია ასე იჯდეს ალბათ დილამდე.

შუქი კი ნელა იკრუნჩხება ყვითელ პარკეტზე
და დრო ლივლივებს უშურველად შუქის წიაღში,
მერე კი ამსხვრევს საწოლებზე დახრილ კანკელებს,
ბოლო კანკელსაც სარკის ძგიდეს ნაზად მიაფშვნის.

ძველ მოედანზე მშრალ აუზთან ჰყვავის ტირიფი,
მზიან ამინდში კარგი დახლი უდგათ მაკლერებს,
მეც მოედანზე დავეყუდე გამტყდარ სტვირივით
და მაკლერები ჰგვანან ქრისტეს ჯვარზე გამკვრელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეიძლება მზის სხივები ჩაქრეს უეცრად
და შეიძლება ყველაფერი გადასხვაფერდეს,
მე შეიძლება დავემსგავსო ტლუს და უმეცარს
და მზის სხივებში საღამოთი სწრაფად დავბერდე.

ფეშენებელურ რესტორანში დღის 11 საათზე

ლოთი, ვთქვათ სახელად ანაპოდისტე, იწმახნის თვალებს
და მაინც არ იმჩნევს, წარბსაც არ იტოკებს,
ისე ჯდება დღის 11 საათზე რესტორნის ბზრიალა სკამში.
ეს ის ლოთია, სუფთასაყელოიან პერანგს რომ ეძებდა
ვნების ქსელში გახვეული თვითმკვლელობის წინ,
მაგრამ თავს არასდროს იკლავდა რევოლვერით
და არც მრავალსართულიდან უსკუპია,
აკი თვითონვე ამტკიცებდა, მოქმედება უნდა ხდებოდეს
ტვინის ხვეულებში და არა რეალობაშიო....
უბიწო დილა იცრიცება ფარდებში,
რესტორანში ფეხაკრეფით დადიან მეძავები
ნამძინარევი, გადაბლეტილი თვალები აქვთ
და მათი ზანტი მოძრაობები,
წააგავს ზღვისპირეთში ქარისაგან შებერილ პალმების რხევებს.
ისინი დადიან უჩუმრად ფეშენებელურ დარბაზში
და მაგიდიდან მაგიდამდე დააქვთ მაღალყელიანი ჭიქები
ისინი უჩუმრად დადიან სიამის ჭრელი კატებივით,
რადგან აქ ყველგან ხალიჩებია დაგებული.
ეს არის ადგილი, სადაც ღამეები პატარავდება
და დღეები უსაშველოდ ჭრელდება.
ეს არის სამყარო აღსავსე კაზუსებით.
ვთქვათ, მთვრალი ეჯახება პორტიეს,
პორტიეც ნასვამია და ბილწი სიტყვებით ეპასუხება.
და ფეშენებელურ სამყაროში, სადაც ხალიჩები
უხმოდ დააცურებენ რესპექტაბელურ ოფიციანტებს
და ლამაზფეხებიან მეძავებს
მაღალყელიანი ჭიქები იმსხვრევა და
აქეთ-იქით იყრება ბილწი სიტყვები.
ბილწსიტყვაობით და ჭიქების ნამსხვრევებით
იფინება თხელი, ზოლიანი ხალიჩები.
საკმაოდ თავმოყვარე გამოდგა პორტიე, თუმცა
არც მთვრალმა მამაკაცმა არ მისცა საშველი.
ეს ყველაფერი მოხდა დარბაზის კუთხეში
ვესტიბიულში გასასვლელ მაღალმინიან კართან.
იქ, სადაც დგას რატომღაც მოზრდილი კაკტუსი,
ალბათ შინაურული ეგზოტიკის მანიშნებლად.
ლოთი გაღიზიანდა და გახედა თითქმის ცარიელ დარბაზს
და მოენატრა თეთრი, სუფთა პერანგი ჰალსტუხიანად
თვითმკვლელობის წინ.
„მოქმედება უნდა ხდებოდეს ადამიანის ტვინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვეულებში და არა რეალობაში“ — გაიფიქრა ცინიკურად.
მეძავები ჩუმად ისხდნენ, მათ შეეშინდათ სისხლის,
რომელიც შეიძლებოდა დაღვრილიყო ხალიჩებზე
მზით სავსე რესტორნის ცარიელ დარბაზში,
„ფეშენებელურ“ ატმოსფეროში შეიძლებოდა მომხდარიყო მკვლელობა,
როგორც ძალიან ძველი, პირველყოფილი აქტი.
და მეძავებმა იგრძნეს ინსტინქტით სიძველის ყადრი,
ეს არის სამყარო, სადაც იკვანძება უსინდისო ინტრიგები,
ძვირადღირებული კონიაკით სავსე ჭიქების თანხლებით
და გვირგვინდებოდა მრუშობით უფრო მაღალ სართულებში,
სადაც თეთრი პირსახოცებია, უსინათლო კაცის წვრილი
ძარღვებით დაქსელილ თვალის გუგებზე უფრო თეთრი
სასტუმროს ბათქაშით შეფეთქილ კედლებზე უფრო თეთრი,
და ტუალეტის სარკესთან სასაპნეში დევს საპონი
როგორც სასოწარკვეთების პაწია ნაგლეჯი,
რითაც ღამის ნარჩენებს იცილებენ, იშორებენ,
სხეულზე დარჩენილ ნაკვალევს, ნაჭდობებს, ნაწიბურებს,
ერთმანეთის თმებს, ანაწებებს,
და დღის 11 საათზე წყვილები ჩადიან ხალიჩებიან რესტორანში,
ესალმებიან პორტიეს. პორტიე დინჯად დგას კაკტუსთან.
ლოთი კი, ვთქვათ სახელად ანაპოდისტე,
უკვე ღრმად ჩამჯდარა ბზრიალა სავარძელში,
და ტკბება რესტორნის დარბაზში ჩაღვრილი სითეთრით,
ხალიჩებზე კი სიგარეტით ხელში დადიან მეძავები
და მათი ზანტი მოძრაობები
ჰგავს ზღვისპირეთში ქარისაგან შებერილ პალმების რხევებს.
ანაპოდისტე ფიქრობს. „მოქმედება უნდა ხდებოდეს
ადამიანის ტვინის ხვეულებში და არა
ყოველდღიურ რეალობაში“.

ასე დამთავრდა მთვარის შუქზე ბანქოს თამაში

ბიჭი, წადი სახლში,
რას დაწანწალებ ამ ექოებით სავსე კვარტალებში,
სადაც დადიან მოწყენილი სუტინიორები,
ჯიბეებში ხელჩაყოფილნი და უსტვენენ ძველ მელოდიებს.
ბიჭი, წადი სახლში, ძალიან გთხოვ,
გუშინწინ აქ მოკლეს კაცი და მოისროლეს
თითქოს იქ დააბრუნესო, საიდანაც იშვა.
ასე დამთავრდა მთვარის შუქზე ბანქოს თამაში
და ბანქოს ფურცლები ქარმა წაიღო
როგორც სინანული მოკლულის გამო...
ბიჭი, წადი სახლში,
თუ გაქვს სახლი, რა თქმა უნდა,
ხოლო თუ არ გაქვს
და მთლიანად ეს ქვეყანაა შენი აღგილი,
მაშინ რას იზამ,

ლიკსები ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩერდი ხიდზე, მტკვარს გადახედე
უძღებ შვილთა ძვლებით გავსებულს.
დააკვირდი რა ნელა შლის თავის გრძელ ტალღებს
ხიდქვეშ მდინარე.
რას გიქადის? დამარხვას თუ ბედნიერებას?
ესეც იფიქრე.
ბიჭი, წადი სახლში,
შენ იქ დაგხვდება სიღარიბის უმწეო სუნი
და მშობლების პატიოსნება.
მათი დუხჭირი თვალებიდან გამოხედე ქვეყნიერებას
და დაინახავ შუაღამის მკვდარ ქვაფენილზე
როგორ შრიალებს შენივე ლანჩა,
ზამთრის ყინვაში ან ზაფხულის მომლოდინე მდუმარებაში,
აყურადებენ — ჩუ, შვილი მოდის,
დანისპირზე ღამე ტრიალებს, აბრა კანკალებს,
ვიტრინები თრთიან ხეებში,
ღამის ბორკილი ადევს ყველაფერს —
გასტრონომებს და სადალაქოებს.
ბიჭი წადი...
უკვე დამთავრდა აქ დღის სპექტაკლი —
მაღაზიიდან გამოძვრა ვირთხა
და შეიძურწა მამაკაცთა სადალაქოში,
გაიარა უშველებელ თმების ზვინებში,
ზონზროხა ტანი გააქროლა მოკლე ფეხებით
და უკანა ოთახში შეძვრა,
იქ ამძუნვებულ დალაქს ქალ-ვაჟს გადაეყარა
და ეცნო სქესთა უცნაურობა.
წადი, ბიჭი სახლში, წადი,
ღამე სასტიკია, პირჯვრის წერით დადიან ადამიანები.
ჰაერი თითქოს კედელი იყოს, ისე ენდნენ
და ეყრდნობიან დღის ტანჯვისაგან დაქანცულნი.
მანქანები კი არ უჩერებენ.
საით მიქრიან შუაღამეს მანქანები?
— სინათლისაკენ.
საით მიქრიან შუაღამეს მანქანები?
— წყვდიადისაკენ.
საით მიქრიან შუაღამეს მანქანები
და მანქანების შავი, შავი, შავი მძღოლები?
— არაფრისაკენ.
წადი ბიჭი სახლში, წადი
და თუ არც სახლი გაქვს და არც
მშობლები გყავს, —
შუაღამისას შენს ფეხისხმას რომ მოელიან, —
ამ გარეუბანს მაინც ერიდე.

ᲒᲠᲘᲒᲘᲔᲠ ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲕᲐ

ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ხელოვნების საუფლოდან ჯვარცმული, შეურაცხყოფილი, ტანჯვა-ტკივილთან წილნაყარი, კმაყოფილებას განრიდებული, მაგრამ მუდამ იმედით ანთებული, შემართული ადამიანები შემოგვცქერიან. უკვე ძველი აღთქმის გმირთა მიზანსწრაფვა დ ძალისხმევა არის აღბეჭდილი ტანჯვისა და მსხვერპლად მისვლის პათოსით. ამ წიგნებში ტკივილის განცდა კი არ არის იდიალიზირებული (სხვა რელიგიურ მიმდინარეობებს თუ სექტებს რომ ახასიათებდა), არამედ განდიდებულია მკურნალი (ისო ზირ., 38. 1-15), ხსნის მესიანისტური ერა მოაზრებულია როგორც ჟამი განკურნებისა (ის., 33. 24). ძველ აღთქმაში არ არის ნებაყოფლობითი ტანჯვის იმგვარი გაგება, პავლე მოციქული რომ შემოიტანს. მაგრამ უკვე იობის წიგნში და სოლომონის იგავებშია მოსწავებული, რომ ტანჯვას აქვს პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა (იგავ., 3. 11-12); იგი ისევე გვწმენდს ჩვენ ბიწისაგან, როგორც მეტალს წიდისაგან- ცეცხლი (იერ., 9. 7). ებრაელთა სახელგანთქმული მეფე იტყვის: „განმცადენ ჩუენ, ღმერთო, და გამომაკურვენ ჩუენ ვითარცა გამოიკურვის ვერცხლი. შემიყვანენ ჩუენ საბრკესა. დაჰკრიბე ჭირი ბეჭთა ჩუენთა“ (ფსალ., 65. 10-11). ეს ღაღადისი იმას მიუძართება, ვისი წყრომაც მამისაგან შვილის დასჯა-აღზრდას გულისხმობს, შვილის შინაგანი გულისყურის გამახვილებას ემსახურება. ასე ესმის თავისი განსაცდელის არსი ძმათაგან გაყიდულ იოსებს (დაბ., 50. 20). არაადამიანური სატანჯველნი, რომელნიც მძიმე წყლულებით დაღავენ იობის სხეულსა და სულს, კათარზისად იქცევიან იმავე სულისათვის: სატანის ცილისწამებათა საპირისპიროდ უანგარო რწმენისა და უანგარო ერთგულების ადამიანურმა უნარმა დაიცვა-დაამკვიდრა თავისი თავი. იკვეთება აზრი, რომ ტანჯვა უნდა მივიჩნიოთ არა იმდენად იურიდიული შინაარსის ნაცვალგებად, რამდენადაც საკურნებელ და განმწმენდ საშუალებად, რომელთა დახმარებითაც ღმერთი უწამლებს ადამიანის სულის ფარულ წყლულებს, ამახვილებს ადამიანის შინაგან გულისხმიერებას, მის „სმენას“[1]. საკუთარ თავს რომ ვისჯიდეთ, განმარტავს მაქსიმე აღმსარებელი, არ დავისჯებოდით. „დასჯილები კი უფლისაგან აღვიზრდებით, რათა სამყაროსთან ერთად არ დავისაჯოთ“[2].

ტანჯვა უნდა გავიგოთ, როგორც გამოცდა, კეთილი განზრახვით რომ მოუვლენს უფალი ადამიანს მისივე რწმენისა და კეთილსინდისიერების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის (იაკ., 1. 2-4; 1 პ., 1. 6-7). ასეთი განზრახვით, კეთილგანწყობით შეამთხვევს უფალი განსაცდელს აბრაამს (შესაქ. 22), იობს (1. 11; 2. 5), ტობს (12. 13). შეჭირვებათა გა-

მოტარების გზით წვრთნის უფალი მათ სულებს კეთილმოქმედების, მადლის გზაზე; მწუხარება-ტკივილის განცდა მიგვმართავს ჩვენ გულმოწყალებისაკენ, გვიკაჟებს ნებელობას.

ძველი აღთქმის სამყაროში ტანჯვა-განსაცდელი ასეთი ღრმა აზრით შეემთხვევათ არა მხოლოდ ღვთის წყალობით გამორჩეულ ადამიანებს, არამედ ხალხებსაც. ძველ ისრაელში ყოველი ახალი ისტორიული უბედურება აღიქმებოდა იაჰვესაგან მოვლენილ სასჯელად, ღვთისაგან რჩეულ ხალხში ცოდვათა აღზევების პასუხად. „უფრო მეტიც, ეს კატასტროფები, შეიძლება ითქვას, **უცილობელი იყო,** რათა ებრაელი ხალხი არ წასულიყო საკუთარი ბედის საწინააღმდეგოდ, არ განსდგომოდა მოსესგან ნაანდერძევ რელიგიურ მემკვიდრეობას. და მართლაც, ყოველთვის, როცა **ისტორია** მათ ამის ნებას აძლევდა, ყოველთვის, როცა მათ მშვიდობისა და ეკონომიური **აყვავების** შედარებით უკეთესი პერიოდი უდგებოდათ, ებრაელები შორდებოდნენ იაჰვეს და უახლოვდებოდნენ თავიანთი მეზობლების ბაალსა და ასტარტეს. და მხოლოდ ისტორიული კატასტროფები აბრუნებდა მათ ჭეშმარიტების გზაზე“ [3].

არის კიდევ ერთი მოტივი, ყველაზე ღრმად ადამიანური, რაც ტანჯვა-სიკვდილის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აფუძნებს უკვე ძველი აღთქმისავე მსოფლმხედველობრივ სამყაროში. ეს არის მოტივი თავდებობისა და გამოხსნისა, გამოსყიდვისა. ამ მოტივით შთაგონებული მოსეს თავგამოდება და შეჭირვება მძიმე განსაცდელთაგან იფარავს ისრაელს (გამოსლ., 17. 11-16; რიცხ., 11. 11-34). ხოლო, როცა ისრაელი ისე მძიმედ შესცოდებს, რომ უფალმა უნდა „აღკოცნოს იგინი“, მოსე შესთხოვს შემოქმედს, მისი სიცოცხლე მიიღოს მსხვერპლად, რათა განქარდეს და გამოსყიდულ იქნას ისრაელის დანაშაული (გამოსლ., 32. 8-10; 30-33).

ხოლო თავდებობა-გამოსყიდვის მოტივით შთაგონებული ტანჯვა-სიკვდილი ჭეშმარიტად საკრალურ მნიშვნელობას იძენს ისაია წინასწარმეტყველის წიგნში, როცა იაჰვეს განზრახულობათა, — ცოდვათაგან გამოიხსნას ადამიანები, — აღმსრულებლად გამოდის მისივე ყრმა, „ყრმა უფლისა“. იგი უდრტვინველად მიჰყვება ღვთის ნებას, — იტვირთოს „ცოდვანი მრავალთა“. მან გაიღო „სიკუდიდ სული მისი... ვითარცა ცხოვარი, კლვად მიმართ მიიყვანა და, ვითარცა კრავი, წინაშე მრისველისა თჳსისა უჴმოჲ, ეგრეთ არა აღაღებს პირსა თჳსსა! (53. 11, 7). „ყრმა უფლისა“ ეწამება ისე საშინლად, რომ მისი ხილვა თანაგრძნობას კი არ აღძრავს, შიშსა და ზიზღს იწვევს (52. 14 და შემდგომ; 53. 3). ხოლო უფალი წინასწარმეტყველის პირით განმარტავს, რომ ამ მსხვერპლშეწირვას გამოსყიდვისა და გამოხსნის ძალა აქვს: „იგი იწყლა ცოდვათა ჩუენთათჳს და გუემულ არს უსჯულოებათა ჩუენთათჳს, წურთა მშჳდობისა ჩუენისა მის ზედა, წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნენითა“ (53. 5). უცოდველმა იტვირთა ყველას ცოდვა, უდრტვინველად წაიღო ეს ჯაპანი, რითაც ყველას მოუპოვა მშვიდობა და განკურნება. **სალვთო საქმე აღესრულება და ძალისმიერი ხდება კაცის უსაზღვრო ტანჯვის კვალობაზე, იმ კაცისა, რომელიც ადამიანებმა მიატოვეს**[4] (ხაზი ჩვენია. გ. ფ.).

ახალი აღთქმის სამყაროში შეისხამს ხორცს ისაიას წინასწარმეტყველება უფლის ყრმაზე. აღსრულდება იგი ქრისტეს მესიანისტური ტანჯვისა და სიკვდილის საფასურად. ამ მისიის აღმსრულებელი კი განახლებული კაცობრიობის მამამთავარი ხდება.

ძველ აღთქმაში წვდომილი გამოცხადების ძირითადი შინაარსი ახალ აღთქმაში სწორედ ქრისტეს სიკვდილის აქტთან იყრის თავს. ერთ კონკრეტულ ეპიზოდსა და კონკრეტულ დროში აქ გაცხადდება სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული დრამა. სრულიად ახალი შინაარსით იტვირთება არსი სიკვდილისა და არსი სიცოცხლისა. ამ ფერისცვალებას კი ტრანსცენდენტური არსების ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსოფიურ-თეოლოგიურ გააზრებაში შეტანილი სიახლე განაპირობებდა. კლასიკური ანტიკური ფილოსოფიის მიხედვით, ღვთაებრივ საწყისს პრინციპული მნიშვნელობის საერთო არაფერი აქვს ნამდვილ ხორციელებასთან. ამის შესაბამისად ვნება-ტკივილი ვერ შეეხება მას. ანტიკური კულტურის ეთიკურ წარმოდგენებში ამ „უვნებლობას" შეესატყვისება „ათარაქსია" ანუ სტოიკოსების „უშფოთველობა". „ქრისტიანობა იღებს ელინური იდეალიზმისაგან ამ კონცეფციას; მაგრამ მისთვის ღვთაებრივი „მოუწყვლელობა" წარმოდგება „შეურევნელად და განუყოფლად" ჯვარცმული ქრისტეს ტანჯვასთან. ქრისტეს ღვთაებრივი დიდება მისი ადამიანურობის დამცრობის მიღმა კი არ წარმოიდგინება რეალიზებულად, არამედ დამცრობის შიგნით... უფრო მეტიც, ადამიანურ სამყაროში ღმერთის ჩამოსვლის თვალსაზრისი იმდენად ღრმავდება, რომ უზენაესი თვით საკუთარი სულის შიგნითაც გადამწყვეტ წუთს მოკლებულია თავისი თავის დამცველ სტოიკურ უშფოთველობას და წილად ხვდება ფიცხელი „ღუაწლი" (ლუკ., 22. 44) სიკვდილის შიშსა და მარტოდშთენილობის ნაღველთან"[5].

იესო მოდის ქვეყნად, რათა უძლურყოს სიკვდილი (ებრ., 2. 14-15), რათა ეს შეიძლოს, სიკვდილის (ერთიანად რომ აღმოგვფხვრის, აღგვგვის) მეუფებისაგან გვიხსნას, იგი თვით იტვირთავს ჩვენს მოკვდავ ბუნებას. უცოდველი კაცთა მოდგმის შეცოდებათა განმაქარვებელ მსხვერპლად მოავლინა უზენაესმა (2 კორ., 5. 21; გალ. 3. 13), ხოლო ქრისტე იქმნა მორჩილ, ვიდრე სიკვდიმდე და სიკვდილითა მით ჯუარისაჲთა" (ფილიპ., 2. 8). მისი სიკვდილი, დასჯის იერი რომ ჰქონდა, სინამდვილეში იყო მსხვერპლი გულის მოლბობისა (ებრ., 9. 12-14, 22, 28; ისაია, გვ. 10). იესო „არა მივიდა რაჲთამცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თჳსი საჴსრად მრავალთათჳს" (მათე, 20, 28). „ქრისტე მოკუდა ცოდვათა ჩუენთათჳს" (1 კორ., 15. 3) და ამ სიკვდილის მეშვეობით შეგვარიგა ღმერთთან (რომ., 5. 10), ნამდვილი სიკვდილი განაქარვა, ნამდვილი სიცოცხლის კარი გაგვიღო. სხვათა შეცოდების თავს დების, მოყვასის გამოხსნისათვის მსხვერპლად მისვლის ეს მოტივი, სულის ცხოვრების ისტორიის პირველი თვალშეუდგამი გამონათება, იოანე ოქროპირს ასე აქვს დახასიათებული: „ჩვენს იარაღს არ შესხურებია სისხლი, არ ვმდგარვართ მწკრივში, არ დავჭრილვართ, არ გვინახავს ომი, ხოლო გამარჯვება გვერგო; გმირობა — უფლისა, ხოლო გვირგვინი — ჩვენი"[6].

სიკვდილით სიცოცხლის დამკვიდრების ეს დიალექტიკა განკაცებული უფლის არსებობას თავისებურ დიპტიხად წარმოგვიდგენს, სადაც ერთმანეთს მსჭვალავს თვითდამდაბლება და სიდიადე. მოვიხმოთ ამგვარი დიპტიხის ერთი ნიმუში, ბიზანტიური მწერლობიდან შემოსული ქართულში: „დაადგეს თავსა მისსა ეკლისა გჳრგჳნი მას, რომელმან გჳრგჳნოსან ყუნა თავნი ჩუენნი გჳრგჳნითა დიდებისაჲთა მიუწდომელითა. და სხუანი ურცხჳნოდ და წარმდედებით განსძარცუვიდეს მას, რომელმან განძარცუნა ჩუენ ჰატიჟნი იგი; პირსა სცემდეს მას, სავსესა წყალობითა და კაცთ-მოყვარებისა მომცემელსა... და კიცხვით შეჰმოსეს მას ქალამინდი მეწამული, რომელმან — იგი განმძარცუა სამოსელი იგი ენებისა და სიკუდილისა და შეგუმოსა სამოსელი ნათლისაჲ დიდებული... განსხირპეს ჯუარსა მას ზედა ძელისასა იგი, რომელმან ზეცად აღმიყვანნა... დაჰმჭუალნეს ჴელნი და ფერჴნი მისნი მუსმრითა მით რკინისაჲთა, რომელმან განჰჴსნნა ჩუენგან საკრველნი სიკუდილისანი. ასუმიდეს ძმარსა და ნაღველსა მას, რომელმან დაატკბნნა ყოველნი პირნი ნათესავისა ჩუენისანი, რომელნი — იგი ეშმაკსა განემწარნეს. ლახურითა უგმირეს გუერდსა მისსა, რომელმან — იგი აღიღო ლახუარი იგი მცველი ედემისაჲ და განვჳღო ჩუენ კარი, რაჲთა შევი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეთ და დავიმკჳდროთ, და შემუსრა ცოდვისა ჩუენისა კლიტენი"[7].

უკვე მაშინ, როცა ქრისტე ჩვენი ცოდვილი ხორციელების ერთარსი სხეულით იმოსებოდა, ჩვენი გამოხსნის აზრი მოქმედებდა. ქრისტეს ადამიანურობა მაქსიმალურია, კაცთა მოდგმის პოტენციალს იესო მთლიანად მოიცავს თავის თავში. ამიტომ იგი უფრო მეტადაა შესისხლხორცებული · თითოეულ ადამიანთან, ვიდრე ძმა თუ უახლოესი მეგობარი, იქცევა თვით ამ ადამიანად. ამის კვალობაზე, ჯვარზე სიკვდილით იგი კლავს და ამ სიკვდილით თავის ადამიანურ სხეულში განწმენდს კაცური ბუნების ყველა ქვედამზიდველ სურვილს. ნებაყოფლობითი და უდანაშაულო, მაგრამ სამარცხვინო და უმკაცრესი სიკვდილი ჯვარცმულისა იქცევა ადამიანური ბუნების ყველა ხორციელი სწრაფვის დაცხრომად, დაკმაყოფილებად, განწმენდად[8]. ასე იქცევა მაცხოვრის სიკვდილი ცოდვის სიკვდილად (რომ., 6. 10). ამიტომ კაცთა მოდგმის ამ უსაზარლესი მტრის დამარცხება ანიჭებს იესოს თავგანწირვას ადამიანის გამოხსნა-გამოსყიდვის მნიშვნელობას. უსაშინელესი სატანჯველიდან გამობრწყინდება დიდება, დგება ზეიმი. „ვნებითა მით სიკვდილისაჲთა დიდებითა და პატივითა გჳრგჳნოსან" იქმნა (ებრ., 2. 9). ქრისტიანობის, მოხსნილი დუალიზმის რელიგიის, სპეციფიკა გამოვლინდა ადამიანის აღსასრულის ინტერპრეტაციაში. სიკვდილი ქრისტიანისათვის არყოფნისაკენ, „მარადიული ბნელისაკენ" მიქცევა არ არის, პირიქით, თავისებურად ამთავრებს რა ადამიანური არსებობის მოსამზადებელ ეტაპს, იგი უხსნის მას გზას თავისუფლებისაკენ, „მარადისობაში შობას" მოასწავებს. სიკვდილი ყოფიერების უარყოფა კი არაა, ყოფიერების განსაკუთრებული ფორმაა; ის, რაც ადამიანში წარმავალია, ჭკნება, როგორც ყვავილი მსხმოიარე ხეზე, ნაყოფს რომ უთმობს ადგილს[9].

მახარებელი „უცნობელთ" და „გულმძიმეებს" უწოდებს იმათ, ვისაც ვერ გაუგია, რომ იმ სიმაღლისათვის, ჯვარცმით რომ იქნა მიღწეული, სხვა გზა არ არსებობს, სიკვდილის გარდა: „არა ესრეთ ჯერ-იყო ვნებად ქრისტესა და შესლვად დიდებასა თჳსსა?" (ლუკა, 24. 26). XV ს. დიდი მოაზროვნე, ნიკოლოზ კუზანელი, ამის თაობაზე ამბობს: „მოკვდავი როგორ შეიძლებოდა შემოსილიყო უკვდავებით, თავის მოკვდავობას თუ არ მოიცილებდა? ხოლო იგი მას როგორ მოიცილებდა, ჯერისაებრ თუ არ მიუზღავდა სიკვდილს?.. და, რაკი ადამიანური ბუნება სიკვდილზე გამარჯვების გარეშე არ შეიძლებოდა უკვდავების ზეიმამდე მისულიყო, ქრისტემ ირგუნა სიკვდილი, რათა მასთან ერთად მარადიული ცხოვრებისათვის აღმდგარიყო ადამიანური ბუნება და ცხოველური მოკვდავი სხეული ქცეულიყო სულიერად და უხრწნელად. ნამდვილი ადამიანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მოკვდავი, და მას შეეძლო მოკვდავი ბუნება უკვდავებამდე აემაღლებინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სიკვდილმა აღგავა მისი მოკვდავობა"[10].

ნეტარი ავგუსტინეს თვალსაზრისით, მაცხოვარი იმიტომ ეცვა ჯვარს, რომ არ არსებობს უფრო უკეთესი საშუალება კაცთა წყლულების მკურნალობისათვის. ამ აზრის გაღრმავებაა გრიგოლ ღვთისმეტყველის შეხედულება: იმისათვის, რათა ეჩვენებინა, რა დიდია თანაგრძნობის მადლი, მაცხოვარმა ჩვენი ინტერესებისათვის მოინება ქცეულიყო იმად, რაგვარი ხვედრისათვისაც დავენანეთ ჩვენ.

ყოველივე ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ქრისტიანობა ფანატიკურად ესწრაფვის ტანჯვას და განადიდებს სიკვდილს, ცოდვად გვითვლის ბუნებრივ ცხოვრებას. რწმენა არ ნიშნავს არც უგრძნობლობას და არც ავადმყოფურ ეგზალტაციას. ქრისტიანობის ერთი ბურჯთაგანი განმარტავს: „ერთის მხრივ, არასოდეს არ უნდა ვესწრაფოდეთ ჩვენივე ნებით სიკვდილს, მაშინაც კი, როცა გვტანჯავენ მრავალრიცხოვანი უბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურებანი; ხოლო, მეორეს მხრივ, — არ უნდა განვუდგეთ და უარვყოთ იგი, როცა სასიკვდილოდ მივყავართ საღვთო საქმეებისათვის და გაბედულად წავიდეთ სიკვდილის შესახვედრად[11]".

ამგვარად, კაცთა მოდგმის გამოხსნის უფლისეული ჩანაფიქრი მისი განკაცებული ძის ტანჯვისა და სიკვდილის გზით აღსრულდება (მათე 16. 21; 26. 54, 56; ლუკა 17. 25; 22. 37). ქრისტეს ცხოვრების გზა ჭეშმარიტი ცხოვრების ხატი და პარადიგმაა მორწმუნისათვის. ამ ხატიდან კი ის აზრი ამუქებს, რომ სიკეთის ხვედრი მიწაზე ტანჯვაა. ამის კვალობაზე ტანჯვის „ფასი და საზრისი აწეულია ახლა მიუწვდომელ სიმაღლემდე: სათნოების ტანჯვა-წამება არის ტანჯვა სიმართლისათვის; იგი არ არის მწარე, გაუგებარი, არასაჭირო შემთხვევითობა; არა: ტანჯვა — დიდი ზნეობრივი გმირობაა, სიკეთის გვირგვინი და დიდებაა; სიკეთე — მოწამებრივი გმირობაა. სიკეთე არის ჯვარი"[12]. მამამთავრის ჯვარზე სიკვდილით იწყება ახალი კაცობრიობის ცხოვრება, ყალიბდება ფასეულობათა ახალი სისტემა. „სპირიტუალისტური ასკეზისა და ნეოპლატონური მისტიკის ადგილს იკავებს ჯვრის მისტიკა და ასკეზი"[13].

აქედან მოყოლებული მართლმორწმუნე ქრისტიანის შინაგან სმენას („შინაგანსა კაცსა", — ეფეს. 3. 16) ჩაესმის და აფხიზლებს მაცხოვრის სიტყვები: „რომელსა უნდეს შემოდგომად ჩემდა, უარყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და მომდევდინ მე" (ლუკა, 9, 23); ჩაესმის და აკვალიანებს მოციქულის სიტყვები: „ვხედვიდეთ სარწმუნოებისა ჩუენისა წინამძღუარსა და სრულებისა მოქმედსა იესოს, რომელმან იგი წინა-გამზადებულისა მის წილ სიხარულისა დაითმინა ჯუარი" (ებრ. 12. 2), რაგვარი სიყვარული და ერთგულებაც განკაცებულმა ღმერთმა გამოავლინა ადამიანისათვის, იმგვარივე სიყვარული და ერთგულებაც კაცს მართებს უზენაესისადმი. ღვთაებრივი საუფლოს მიღმა მდგომი ადამიანს მიზნად დაესახება ამაღლდეს ღმერთამდე, გაემიჯნოს სასრულობას, ჩამოიცილოს არარაობა და „თავისი უწმუალო სინამდვილის მოკვდინებით შეიქნეს იმად, რაც ღმერთმა, მოგვევლინა რა კაცის სახით, აქცია ობიექტურ, ჭეშმარიტ სინამდვილედ". ასეთი იდეალის დამკვიდრებას თან ახლავს „ტკივილი, სიკვდილი, მწუხარე განცდა არარაობისა, სხეულისა და სულის ტკივილები". სრულიად გამოკვეთილი სუბიექტურობის მსხვერპლად შეწირვის ეს სიმძიმილი მეტად თუ ნაკლებად გამორიცხული იყო ანტიკური ადამიანის ცნობიერებიდან, „კლასიკური ხელოვნების განსახიერების სფეროდან ან თავს იჩენდა მხოლოდ ფიზიკური ტანჯვის სახით"[14].

უკვე ითქვა, რომ კაცთა მოდგმის პოტენციალს იესო მთლიანად მოიცავს თავის თავში და ამიტომ უახლოეს ნათესავზე უფროა შესისხლხორცებული თითოეულ ჩვენგანთან, იქცევა ჩვენს უმაღლეს „მედ". ჯვარცმით ამ პოტენციალური ენერგიის დამამცრობელი ძალა განქარდება, უმდაბლესი „მე" კვდება, ჭეშმარიტი სიცოცხლე — ქრისტე შემოდის კაცში, იქცევა მასში ყველაფრად. „სიკვდილი აუქმებს არარაობას და ამით ხელს უწყობს სულის განთავისუფლებას სასრულობისა და გაორებისაგან, ისევე როგორც — სუბიექტის შერიგებას აბსოლუტთან". ამგვარი სიკვდილი უარყოფაა, მაგრამ რთული, „უარყოფის უარყოფა"[15], რის საშუალებითაც ღმერთი და კაცი შეერწყმიან ერთმანეთს; შეერწყმიან სიკვდილშივე, რათა გაერთიანდნენ სიცოცხლით. „კვდებოდა რა ჯვარზე, მან ჩვენ ყველანი მოგვიცვა თავის თავში. ამიტომ მის სიკვდილში, გარკვეული სახით, ყოველნივე მოწყდეს" (2 კორ., 5. 14). ოღონდ უცილობელია, რომ ეს სიკვდილი მოქმედ რეალობად იქცეს თითოეულისათვის. ამაშია ნათლისღების მნიშვნელობა: მისი, როგორც საიდუმლოს, ქმედითობა-ჩვენ ჯვარცმულ ქრისტესთან გვაერთებს; „რომელთა-ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესოს მიერ, სიკვდილისა მისისა მიმართ ნათელვიღეთ. და თანა-დავეფლენით მას ნათლის-ღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითა მით სიკუდილსა მისსა", „თანანერგ ვექმნენით. მსგავსებასა მას სიკუდილსა მისსა" (რომ, 6. 3-5)... ამგვარად, ჩვენ ვკვდებით ყოველივე იმისათვის, რის გზითაც ამ სოფლად შემოვიდა სიკვდილის მეუფება. ჩვენ ვკვდებით ცოდვისათვის (რომ., 6. 11), ძველი კაცისათვის (6. 6), ხორცისათვის (გალ. 5. 24)... ეს სიკვდილი ქრისტესთან ერთად, ამისდაკვალად, არის სიკვდილის სიკვდილი"[16]. ამგვარი ტანჯვა-შეპირვებით მიიკვალება გზა არარაობიდან ჭეშმარიტებამდე, კაცობიდან განღმრთობისაკენ. ეს გზა გოლგოთაზე გადის. ამ გზაზე შემდგარი კაცის სულიერი განცდაა გამოხატული ღაღადისით: „ცხოველ არა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე" (გალატ. 2. 20). ეს სიტყვები, რომლებშიც უღრმესი სიბრძნე და უანკარესი პოეზია ერთმანეთს ძსჭვალავს, იმ მოციქულს ეკუთვნის, ქრისტიანობის მდევნელობიდან რომ მივიდა ქრისტიანობამდე, ბორკილებისა და საპატიმროების გამოვლით — მოციქულობამდე. განკაცებული უფლის და ღმერთშემოსილი კაცის ამ მთლიანობას განმარტავს კარლ იასპერსი: „იესოს წამება და სიკვდილი, მისი ჯვარცმა და მკვდრეთით აღდგომა, ცად ამაღლება და ღვთის სასუფევლად ასვლა ამავე დროს არის ცხოვრება, რომლითაც მორწმუნე ცხოვრობს. ჩვენ მადლობა უნდა ვთქვათ, რომ არათუ ქრისტიანები გავხდით, არამედ ქრისტეც, რადგან თუ ის თავია, ჩვენ ასოწევრები ვართ; ამრიგად არის იგი, ეს მთელი ადამიანი, — ქრისტე, — ის და ჩვენ"[17].

ამრიგად, სამყარო, რომელსაც ქრისტიანული რელიგია ამკვიდრებს, მხოლოდ ერთის შეხედვით, შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს საუფლოდ მშვიდობისა და ნეტარებისა. თუმცა ღვთაებრივი ქმედების საზრისი მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებაა, მაგრამ ეს ეამი გრძელ და ძნელ ომში გამარჯვების შემდეგ დგება. განკაცებული უფალი განუმარტავს მოწაფეებს: „არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვლისა" (მათე, 10. 34). არც მაღალ მცნებათა საქადაგებლად მოვლენილა იგი, არამედ მაღალ მცნებათა შესატყვისი საქმეების აღსასრულებლად, რაც უცილობლად გულისხმობს სატანურ ძალებთან შეუდრეკელ ბრძოლას. იმავე მახარებელთან ნათქვამია: „სასუფეველი ცათაჲ იძულების, და რომელნი აიძულებდნენ, მათ მიიტაცონ იგი" (მათე, 11. 12). ძალმოსილთაგან და მხოლოდ დიდი ძალისხმევით მიიწვდომება „სასუფეველი ცათაჲ". ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა უნებისყოფოთა და ჯაბანთა სავალი არაა; „არცა ჩუენთა... სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ" (1 კორ. 6. 9), — შეახსენებს „აბო ტფილელის მარტვილობის" მთავარი გმირი თავის თავს. სულიერი გაუტეხელობის, მეომრობის თვისება ღვთისკენ მიმსწრაფი კაცის უპირველეს ღირსებად ძველ აღთქმაშივე, უპირველესად, იობის წიგნსა და ისო ზირაქის თხზულებაშია დასახული: „ვაჲ გულმხდალთ და ჯელძაბუნთ, და ცოდვილთ ორი გზით მავალთ! ვაჲ, გულს დაძაბუნებულს... ვაჲ, თქუენ, მოთმინების დამკარგავნო! (ზირ., 2. 12-14).

ჭეშმარიტი რწმენა ჭეშმარიტ ზნეობრივ რიგორიზს ნიშნავს. რა თქმა უნდა, კარგია, როცა პატიოსნად ცხოვრობ, მაგრამ იდეალად კერძო ცხოვრების ვიწრო ნაჭუჭში დამყარებული სამართლიანობა ვერ ჩაითვლება. ქრისტეს მოძღვრების თანახმად, ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა გარდაუვალად ნიშნავს პიროვნული არსებობის სამანთა გარდასვლას, შეურიგებლობას — უსამართლობასთან, გვეხება თუ არა იგი ჩვენ, — სატკივართან, გვაწუხებს თუ არა იგი ჩვენ. ამიტომ, ვინც აიღო თავისი ჯვარი და ქრისტეს შეუდგა, „სძულს სოფელს", ვითარცა „არა სოფლისაგანი" (იოანე, 15. 18-20) ამის გამო ღვთისმოსავი მუდამ მხედრულად შემართულია, სულ ომში, „წმინდა ომშია" ჩაბმული. ეს არ არის ომი, როცა დაპირისპირებულთ პიროვნული თუ ეროვნული შუღლი ამოძრავებთ. ნ რაიმე აქვთ გასაყოფ-მოსაპოვებელი: „არა არს ბრძოლაჲ ჩუენი სისხლთა მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართ და ჯორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ჯელმწიფებათა, სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთროჲსათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქუეშე“ (ეფეს. 6. 12). ეს არის კოსმიური მნიშვნელობის ომი ქრისტეს ბანაკისა ანტიქრისტეს ბანაკთან. ამ ბრძოლის მხედართმთავარი, რა თქმა უნდა, ის არის, ვინც იგი წამოიწყო და ჯვარზე ამაღლებით და აღდგომით (მიწიერის ძლევით) უეჭველი გახადა, რომ გამარჯვებამდე მიიყვანს თავის მხედრობას. ჭეშმარიტ ღვთისმოსავთ კი, ვითარცა მხედრებს, ევალებათ, ისეთივე ერთგულებით იომონ ამ ბრძოლაში, როგორი ერთგულებითაც მხედართმთავარი იბრძოდა და იტანჯებოდა მათთვის. პავლე მოციქულის, ორიგენის, ტერტულიანეს, კლიმენტი ალექსანდრიელის და ა. ჰარნაკის ნაწერებზე დაყრდნობით ს. ავერინცევი აჩვენებს „წმინდა ომის“, მხედართმთავრისა და მხედრის ურთიერთმიმართებათა, შინაარსს: ქრისტიანულ სამყაროში ჯვრის ნიშნით „მეომრობა“ მიღებული იყო, როგორც ზოგადადამიანური ხვედრის პარადიგმა. საქმე შეეხებოდა უკვე არა „გარეგნულს“, არამედ „შინაგანს“ მეომრულ ღირსებას. საჭიროველი სჭირდება ჩვეულებრივი ომის მონაწილეს, სჭირდება ისინი „შინაგან კაცსაც“ (ეფეს., 3. 16). ვინც თავისი „შინაგანი კაცის“ მიხედვით ომობს, ღვთისეულ აბჯარს იცვამს და შეიძლებს კიდეც წინ აღუდგეს დევის გამოხდომებს. ამ სისტემაში გაუქმებულია „სამყაროს“ და „ომის“ ურთიერთდაპირისპირებულობა. როგორც ქრისტიანი მორალისტი თავისიანებისადმი მიმართვაში ამბობს, „თქვენი სამყარო არის ომი დევთან“. ამ ომის ყველაზე მძიმე ნაწილია — ბრძოლა საკუთარ თავთან[18]. კლიმენტი ალექსანდრიელისა და მაქსიმე აღმსარებლის, მოძღვრებით, ჩვენსავე შიგნით მოკალათებულ მტერთან ბრძოლა სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება.

ს. ავერინცევი აჩვენებს, რომ წარმართული ღმერთები არ აწარმოებენ თავთავის ომებს და საამისოდ არ გადაიბირებენ ხოლმე ადამიანებს. ბიბლიური ტრადიციის ერთ-ერთ არქაულ თხზულებას კი („დებორას სიმღერები“, XII ს. ქრისტემდე) უკვე უდევს საფუძვლად იდეა „აღთქმიაა“ თუ „კავშირისა“ ღმერთსა და მის „ერთგულთა“ შორის. ამ იდეის კონტექსტში ყველა საკრალური ნიშანი არის სწორედ „აღთქმის ნიშანი“ — აღთქმა და დადასტურება მხედართმთავარ-ღმერთის და რაზმელის-კაცის ურთიერთი სადმი მხედრული ერთგულებისა. აქედან მივყავართ ისტორიულ გზას მხედრობის ახალი აღთქმისეულ სიმბოლიკასთან“[19]. ყოველივე ამის კვალობაზე, ეკლესია გვევლინება მებრძოლ ძალად, რომელიც აგრძელებს ქრისტესგან წამოწყებულ ომს. მისი მეშვეობით მაცხოვარი მშვიდობით შეანაწევრებს ადამიანებს ღმერთთან და ერთმანეთთან (ლუკა, 2. 14; იოანე, 14. 27; 16. 33). მაგრამ ეს მშვიდობა ყოფით-მიწიერი შინაარსისა არ არის, ვინაიდან უკეთურებასთან განუწყვეტელ ბრძოლას გულისხმობს. ბუნებრივია, ასეთი მეომარი სძულს სოფელს (იოანე, 15.18-21). ღვთის მეუფება ძალმოსილთა ძალისხმევით მყარდება (მათე, 11. 12). ამ თვალსაზრისით, ქრისტე მშვიდობის კი არა, მახვილის „მიფენად“ მოდის (მათე, 10. 34).

ღვთის მხედრიონი წმინდა ომს იმ იარაღით აწარმოებს, რომლის საიმედოობა უკვე გამოცდილია მხედართმთავრისაგან — ქრისტიანული სათნოებანი. თვით მოციქული განმარტავს: „საჭიროველი ჩუენისა მის მჯედრობისაჲ არა ჯორცის არს, არამედ ძლიერ ღმრთისა მიერ დასარღუეველად ძნელოვანთა: გულის სიტყუათა დავარღუევთ“ (2 კორ. 10. 4). თანამედროვე მკვლევარი განმარტავს: „ქრისტიანი გმირი თვინიერია და გარეგნულად პასიური. იგი, როგორც ძველი სამყაროს გმირი, მხედარია. მაგრამ ქრისტეს მხედარი... ხმალი, შუბი და მეომრული თვისებები კი არ არის მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარაღი, არამედ მოთმინება, გულგრილობა ტანჯვისადმი, სიყვარული თავის მტრებისა და მაწამებელთადმი... ადრეულმა ქრისტიანობამ მოგვცა იმ დრომდე უცნობი სახე „ქრისტეს მხედრისა", მხედარ-მოწამისა, მხედარ-აღმსარებლისა, რომელიც თავის მოწინააღმდეგეთა ცეცხლსა და ხმალს ებრძვის მოთმინების, ამტანობის, თავმდაბლობის სიმამაცით, მადლისა და სიმართლის სიტყვით. ეს სახე დაიკავებს მთავარ ადგილს შემდგომი საუკუნეების ქრისტიანულ ლიტერატურაში"[20]. ეს არის სახე მოწამისა, ჰაგიოგრაფიულ „მარტვილობათა" მთავარი პერსონაჟისა, რომელსაც მერე „ცხორებათა" გმირი შეენაცვლება. წამება-ტანჯვის, მხედრობა-მეომრობის პათოსითაა მოცული ადრექრისტიანული ეპოქის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება პალესტინიდან ინდოეთამდე, ხმელთაშუა ზღვის ნაპირებიდან ბრიტანეთამდე. ნეტარებისა და ამაღლებულობის გზად ისახება სწორედ ის ვიწრო ბილიკი, რომლითაც ვიდოდა ქრისტეზოგიერთი ქრისტიანული სექტა (მაგალითად, მონტანისტებისა) ნამდვილი მორწმუნის ღირსეულ აღსასრულად მხოლოდ მოწამებრივ სიკვდილს მიიჩნევდა. ფუფუნებისა და ხორციელი კმაყოფილების იმ საუფლოში, სადაც ანტიკურობის დასასრულს იქცა რომის იმპერია, საზოგადოების საუკეთესო შვილების თვალში იდეალურობის იერით ნაფერები და აღზევებული ხორციელების სწორედ შეჭირვება და მოკვდინება იმოსებოდა. ამგვარ სულიერ ძიებას საკრალურობის შარავანდედით აგვირგვინებდა გოლგოთიდან გადმომზირალი ხატება კაცისა. ტანჯვა-სიკვდილით რომ მივიდა ღმერთამდე. ამგვარი სულიერი ძიების უშინაგანესი ღაღადისია ეს: „საუფლო-მიჩს უძლურებათა შინა, გინებათა, ჭირთა, დევნულებათა და იწროებათა" (2 კორ. 12, 10). ყალიბდება გმირობისა და ღირსების ახალი გაგება, უშუალოდ ამოზრდილი ტანჯვის პათოსზე, რაც განსაკუთრებული ინტენსიობით ქრისტიანობის დამკვიდრების ნახის აპოლოგეტთა ნაწერებში დაჩნდება.

ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხმოთ ტერტულიანეს თხზულებები: „მოთმინებისათვის", „ეპისტოლე მოწამეთადმი" და „სკორპიაკი". მათი ავტორის მიხედვით, ადამიანის ყოველი ცოდვა წარმოდგა მოუთმენლობისაგან, ხოლო მის ამაღლებას ყველაზე მეტად ეხმარება რწმენასთან შენივთებული მოთმინება. მხოლოდ იგი შეგვაძლებინებს ავიტანოთ ტანჯვა, არაფერს არ ვეპოტინებოდეთ მიწაზე, რაკი ერთ დღეს ყველაფერს მისეულს უნდა გამოვეთხოვოთ. გამუდმებით უნდა ვიწვრთნებოდეთ მოთმინებაში, რათა შევიძლოთ ტანჯვა, — წამალი რომ არის ჩვენი განწმენდისა[21].

საპატიმრო სენაკის, ბორკილებისა და წამების ნამდვილი აპოლოგიაა „ეპისტოლე მოწამეთადმი". თქვენ, მიმართავს ტერტულიანე მოწამეთ, საპატიმრო სენაკში არ იქნებოდით, თქვენთან ერთად იქ სულიწმინდა რომ არ შემოსულიყო. დევი გერკინებათ იქ გამუდმებით თქვენ, „შეიარაღებულთ სიყვარულის საჭურველით. სამყარო თქვენი მისთვის წარმოადგენს ასპარეზს ძნელი ომისა". „ბნელია თქვენი საკანი? ქვეყანა უფრო მეტადაა დაფარული სქელი ნისლით, გონებას რომ აბნელებს. ბორკილებში ხართ ჩაჭედილი? ქვეყანა კიდევ უფრო მძიმედაა შეჯაჭვული სულის დამაუძლურებელი ჯაჭვით. დამასნებოვანებელია თქვენი ბინა? ქვეყანა ავსებულია მავნებელი ანაორთქლით, შეუდარებლად აუტანელით... უბადრუკია თქვენი ბინა, მაგრამ თვით თქვენ ნათელი ხართ მაცოცხლებელი. თქვენ შებოჭილი ხართ ბორკილებით, მაგრამ უფლის წინაშე თქვენ თავისუფალი ხართ. თქვენ დამასნებოვანებელი ჰაერით სუნთქავთ, მაგრამ უფლის წინაშე თქვენ ხართ სურნელი კეთილი... სხეული ბორკილების სიმძიმეს ვერ გრძნობს, როცა სული ზეცად მკვიდრდება"[22]. ტანჯვის ამ აპოლოგიის ძველთუძველეს მსოფლმხედველობრივ საფუძველს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ტერტულიანე გვითვალისწინებს: მადლი ღვაწლით განმტკიცდება, ხოლო მცონარობით სუსტდება. მოწამენი ამგვარი მადლით ცხებული მხედრები არიან[23].

დიდების შარავანდედით მოსილად წარმოუდგება მარტვილობის გზა კართაგენის ეპისკოპოსს კვიპრიანეს (III ს.), რომელმაც თვით დაასრულა სიცოცხლე მოწამებრივი სიკვდილით. კვიპრიანეს მიხედვით, ტანჯვასთან ზიარება უცილობელიც კია ადამიანისათვის, რათა სიმტკიცე გამოიმუშაოს და ღირსების გრძნობა გააღვიძოს: მძიმე სატანჯველნი და წამების საშინელი იარაღები იმისთვის მზადდება, „რათა შეგვძინოს ჩვენ შეუპოვრობა ყველაფრის გადასატანად"[24]. წარმავალ წამებათა დათმენით, წარუვალ სატანჯველთაგან დავიხსნებით. თუ წმინდა ხარ და ღმერთი გწამს, რატომ გეშინია სისხლი დაღვარო იმისათვის, ვინც მრავალგზის იტანჯა შენთვის: „ისაია სახით გაჭრილი იქნა (გაიხერხა) შუაზე. აბელის სახით მოკლულ იქნა, ისაკის სახით მსხვერპლად იქნა მიტანილი, იოსების სახით გაიყიდა, საერთოდ, ვითარცა კაცი, ჯვარს ეცვა... თითქოს ქრისტეს სისხლით იკაზმება იგი, ვინც თავისი აღმსარებლობით განდიდდება". კვიპრიანე გონების თვალით ჭვრეტს, როგორ წარდგება წამებულთა კრებული — „ქრისტეს მამაცი მხედრიონი" უზენაესის წინაშე და მიიღებს მეუფებას[25].

იოანე ოქროპირი მიიჩნევს, რომ ჩვეულებრივი ომის მონაწილეთა ამოცანებზე უფრო მძიმეა წმინდა ომის ასპარეზზე გამოსული კაცის მისია: „აქაც ორი ლაშქარია, ერთი — მოწამეთა, მეორე — მწამებელთა; მაგრამ მწამებელნი შეიარაღებულნი არიან, ხოლო მოწამენი შიშველი სხეულით იბრძვიან, ხოლო გამარჯვება რჩებათ შიშველთა და არა შეიარაღებულთ. ვინ არ გაოცდება, რომ გვემული ამარცხებს მგვემელს, შებოჭილი — შემბოჭველს, ცეცხლში ჩაგდებული — ცეცხლში ჩამგდებელს, მომაკვდავი — მომაკვდინებელს"[26].

იოანე ოქროპირი ამბობს: „ვინც შთაგონებულია და უფლის სრულიად იწვის, მან იცის ბორკილთა ძალა: იგი ქრისტესათვის ტუსაღობას არჩევს. ვიდრე მკვიდრობდეს ზეცად. ეს, თუ გნებავთ, უფრო სასახელოცაა.. ჩემთვის რომ ვინმეს შემოეთავაზებინა მთელი ზეცა ან ის ჯაჭვი, რომლითაც პავლეს ხელები იყო შეკრული, მე უკანასკნელს ვირჩევდი; მე რომ მაყენებდნენ ანგელოზების ან შეჯაჭვული პავლეს გვერდით, მე სატუსაღოს ავირჩევდი..."[27].

მაქსიმე აღმსარებლის მიხედვით, იმიტომ შეიძლება ვირჩევდეთ განსაცდელს და მოთმინებით ვიტანდეთ სატანჯველს, რომ სწორედ ტანჯვა განაქარვებს ვნებებს და მოგვიტანს ცოდვათა მიტევებას. „თითქმის ყველა ცოდვა ტკბობისაგან წარმოიშობა. მისი განადგურება კი ტანჯვით შეიძლება[28]. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ავტორი მოგვითხრობს ერთი დედაკაცის შესახებ, რომელსაც „ესხნეს შვილნი და აქუნდა ფრიად მონაგები და სიხარულსა იყო ცხორებაჲ მათი". დიდი ქონებისა და სიხარულის კკალობაზე რომ ამ „კეთილად-მორწმუნე" ქალის სული არ დაზიანებულიყო, უფალმა მას სატკივარი შეამთხვია: „ხოლო დედაკაცსა მას უმჯობესსა მისათჳს უძლურებაჲ შეემთხჳა. რაჲთა მართლისა მის კაცისა ჯელითა ქრისტემან განკურნოს და მჯდომი სიცოცხჳლეული განაქიქოს"[29].

ამგვარი მსოფლშეგრძნების გარემოში „მოთმინება და თავმდაბლობა აიყვანებოდა გმირობის რანგში. ტანჯვა იქცეოდა ღვთის განსადიდებლად გამოვლილ გამოცდად და, ამისდაკვალად, ექსპლუატაცია, სიღატაკე და უუფლებობა აღიქმებოდა საპირისპირო ნიშნით. იღებდა თავისებურ ღვთაებრივ სანქციას, მეორეს მხრივ — წარმოჩნდებოდა ღირსება პატარა ადამიანისა და განდიდდებოდა მისდამი თანაგრძნობა, ხორციელდებოდა გმირის თავისებური დეჰეროიზაცია"[30]. თვალისმომჭრელი ბრწყინვალებით აღარ ელავენ შუბოსან, ხმლოსან და მუზარადიან, „მკლავით მოქადულ" გმირთა სახელები. ანტიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ხანის ფასეულობათაგან საკმაოდ შორს წასულ ამ საზოგადოებას სხვათათვის ტანჯულ-ჯვარცმული ღმერთკაცი ჰყავს გმირთა-გმირად და ხატად. მისი დროშის ქვეშ მხედრული შემართებით დგებიან ქრისტიან ერთა ურჩეულესი შვილები, სულიერ სათნოებათა საჭურველით შეჭურვილნი. წმინდა ომის მონაწილე ეს მხედრები წმინდა მხედრები არიან. ერთ ასეთ რაზმს (ორმოც სებასტიელ მოწამეს) რომ მოავლებს გონების თვალს, იმდროინდელი მწერალი აღფრთოვანებით იტყვის: „ეჰა კრებული წმიდათაჲ! ეჰა წმიდა რაზმეული! ეჰა შეურყეველი ლაშქარი! ადამიანთა მოდგმის საერთო მფარველნი...“[31].

მწერლის პირით აქ ეპოქის მსოფლშეგრძნება ღაღადებს, გმირობით აღტაცების გრძნობა გამოითქმება. ეს იმგვარი აღტაცებაა, რაგვარსაც, მაგალითად, გვიმეტლავნებს აბო ტფილელის მოწამებრივი თავგანწირვით შთაგონებული იოანე საბანისძე, როცა თავისი თხზულების ბოლო (მეოთხე) თავს მთლიანად ამ გრძნობას უძღვნის: „შენთჳს ფრიად დამიკჳრდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ ჳამსა ამას ოდენ მეფობისა ისმაიტელთა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლჱ ქრისტჱსთჳს აღირჩიე და მახჳლითა ჰყრობილი იგი შჯული განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე... შენ ნათესავთა შენთა უცხო და განგდებულ გყვეს, ხოლო ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგარჩია... ქრისტჱს მორწმუნენი ჰნატრიან შენსა მას დიდებულებასა, შენსა მას მოლუაწებასა, შენსა მას სიმჯნესა, შენსა მას მარტჳლობასა, შენსა მას გჳრგჳნოსნებასა!“[32].

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიამაყის გრძნობას ახლა უკვე ის მოასწავებს, ჰყავს თუ არა, ან რამდენი ჰყავს ქვეყანას კაცთმოყვარეობის ზოგადადამიანური ქრისტიანული იდეალებისათვის თავშეწირული გმირი. ამ სიამაყის ხმამაღალი წარმოჩინებაა იოანე საბანისძისვე სიტყვები: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი-ძოიპოვეს, არამედ ჩუენცა... აჰა ესერა ქართლისაცა აკჳდრთა აქუს სარწმუნოებაჲ **და წოდებულ არს დედად წმიდათა**, რომელთამე თჳთ აქა მკჳდრთა და რომელთამე უცხოთა და სხჳთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად, **მოწამედ** გამოჩინებითა ქრისტე იესუის მიერ, უფლისა ჩუენისა“[33]. ამას დღევანდელი მწერალი ასე იტყოდა: ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ იდეალებს არა მხოლოდ ბერძნები ემსახურებიან, არამედ ჩვენც. საქართველოც გმირების მშობელია...

სანამ ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით განხილვას შევუდგებოდეთ, იოანე საბანისძის მსჯელობის ბოლოს ხაზგასმულ სიტყვას, „მოწამეს“ მივაჰყროთ ყურადღება. რა თქმა უნდა, „მოწამე“ იგივე „მარტვილია“. ხოლო ბერძნული სიტყვა „მარტუს“ ქართულად ნიშნავს დამმოწმებელს, დამადასტურებელს. უპირველეს ყოვლისა, ქრისტეა ყველაზე დიდი მოწამე, დამადასტურებელი: „ამისთჳს მოვიჳლინე სოფლად, რაჲთა ვწამო ჭეშმარიტი“ (იოანე, 18. 37). იესო „წამებს“ იმის შესახებ, რაც მან იხილა და ისმინა მამისაგან (იოანე, 3.11, 32 და ა. შ.). რათა ადამიანებამდე მიიტანონ სახარებაში აღბეჭდილი „წამება“, ჯერ მოციქულები გადაეცემიან ქრისტეს მოწამეებად (საქმე, 1. 8; 1. 22; 2. 32), შემდგომ სხვა ღრმა მორწმუნეები გამოდიან ქრისტეს, მოძღვრების მოწამეებად სასამართლოსა ან ხელისუფლების წინაშე, რასაც ხშირად მათი ტანჯვა და სიკვდილი მოსდევს. ასევე სტეფანემ აღბეჭდა თავისი სისხლით თავისი მოწამეობა (საქმე, 22. 20). შემდგომ ამ გზას სხვებიც დაადგებიან და ქრისტიანულ მსოფლიოში ფუძდება ინსტიტუტი მარტვილობისა, გმირობისა, სისხლისა და სიცოცხლის საფასურად რომ დაადასტურეს ჭეშმარიტება, არსი და ფასი მისი.

ასეთია „მოწამე“ — „წამების“ უპირველესი მნიშვნელობა ძველ ქართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექსტებში. ამგვარი შინაარსის პოპულარობის გამო ამ სიტყვამ მერე ადვილად შეირწყა საზოგადოდ „ტანჯვის“ აზრი.

* * *

ახლა, როცა კულტურულ-მსოფლმხედველობრივი წანამძღვრები წარმოჩენილია, შეგვიძლია საგანგებოდ ვიმსჯელოთ ტანჯვისა და სულიერი მხედველობის ფენომენი ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში.

დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ მსოფლმხედველობრივი „კლიმატი“, რომელშიც ცხოვრობენ ქართული ჰაგიოგრაფიის პერსონაჟები, ტანჯვის საკრალური პათოსითაა გაჯერებული. ამ ადამიანებს ცხადად აქვთ გაცნობიერებული, რომ უფლის კეთილი განზრახვით მოევლინება მათ ტანჯვა, ვითარცა საკურნებელი საშუალება ბიწისაგან გასათავისუფლებლად. კოსტანტი ქართველი ეუბნება ბუღა თურქს, რომ უფლის ურჩობისათვის და უფლისგანვე მიეცა იგი ხელში მტარვალთ, „რამეთუ მრავალგზის ისრაჴლიცა მისცის უფალმან ჯელთა უცხოთესლთა, რაჟამს არა ვიდოდიან იგინი გზათა მისთა. ხოლო ჩემდა კეთილ არს, რამეთუ დამამდაბლა მე უფალმან, რაჲთა დავიმარხნე მცნებანი მისნი“[34]. წმინდა მოწამენი, დავითი და კონსტანტინე, ასე უპასუხებენ მურვანყრუს ქადილს: „არა ღირსებისა შენისათჳს იქმნა ძლევაჲ შენი ჩუენ ზედა, არამედ ცოდვათა ჩუენთათჳს... იქმნა ფლობაჲ თქუენი ჩუენ ზედა, რაჲთა გუწუართნეს ღმერთმან ჯელითა თქუენ უსჯულოთა და უღმრთოთაჲთა“[35].

იესოს ვნებათა ლუკა მახარებლისეულ მონათხრობში საგანგებოდ წარმოჩნდება ის შტრიხები, რომლებიც მერე პარადიგმის მნიშვნელობას შეიძენენ ქრისტიან ხალხთა მარტიროლოგიურ თხზულებებში: დუმილი, უდრტვინველობა, მოთმინება ბრალდებათა და შეურაცხყოფათა წინაშე (23. 9); საკუთარ ტანჯვა-ტკივილთა დავიწყება (23. 28); უდანაშაულობა, სხვებიც რომ აღიარებენ (23. 4, 14, 20, 22); გულმოწყალება მონანიე ავაზაკისადმი (23. 43); მიტევება შეცოდებულისა და თვით მდევნელისა (22, 51; 23, 34); ღვთის მოწყალების გადმოსვლა და შეჭირვებაში განმტკიცება (22. 43).

როგორ ხვდებიან განსაცდელის საოთხეს, თვით ტანჯვასა და სიკვდილს ქართულ მარტიროლოგიურ თხზულებათა გმირები?

მარტვილნი განსაცდელის საფრთხესვე ხვდებიან შეუპოვრად. როცა სასახლიდან წასულ შუშანიკს იაკობ ხუცესი ქრისაგან მოსალოდნელ სატანჯველთ უთვალისწინებს, ქალი ამბობს: „ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ“. ან: „უმჯობჴს არს ჩემდა ჯელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ“[36]. ამასვე უმეორებს მარტვილი მერე ეპისკოპოსს, ჯოჯიკსა და მის ცოლს.

ხოლო, როცა ევსტათი მცხეთელს ციხისთავი იხმობს თავისთან, „წმიდაჲ ევსტათი მცირედ შებრკოლდა და უნდა მორიდებაჲ“. მერე მან ეს კრთომა მალევე ჩაიხშო, „დაიწერა ჯუარი შუბლსა და გულსა თქუა: უფალი ჩემ თანა“. უსტამ ციხისთავი დიდი სატანჯველით ემუქრება თანამემამულეს. წმინდანი უპასუხებს: „არა ხოლო თუ ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტჴს სიყვარულისათჳს, არამედ სიკუდიდცა თავი ჩემი არა მეწყალის“. ევსტათისა და სტეფანეს მეორედ შესაპყრობად კაცებს გზავნის მარზაპანი. ისინი მშვიდად მიუგებენ მოელინებულთ: „მოვალთ თქუენ თანა, არას ვიურვით, არცა გუეშინის“[37].

აბო ტფილელი ქრისტიანობისათვის თბილისის ამირასთან დაობებულ. კეთილისმყოფელებმა შეატყობინეს აბოს, რომ მას ეძებენ „ტანჯვად და ცემად“. აბო ამბობს: „მე არა ხოლო ტანჯვად გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზადებულ, ვარ ქრისტესთვს, არამედ სიკუდიდცა". და გამოვიდა იგი სიხარულით და იქცეოდის შორის უბანთა განცხადებულად"[38].

არც არაბთაგან შეპყრობილი კოსტანტი ქართველი („ცხორებაჲ და წამებაჲ კოსტანტი ქართველისაჲ", IX ს.) შემდრკალა: „იგი ყოვლადვე არა შეშინდა, არცა შეძრწუნდა, არამედ სიხარულით შეიწყნარა მოწევნული იგი მის ზედა და ჰმადლობდა იგი უფალსა"[39].

ჩვენ უკვე მოგვეხსენება, რომ ამგვარ შეუპოვრობასა და სიხარულს რეალური მსოფლშეგრძნება ასაზრდოებს სულის უკვდავების რწმენის სრულიად რეალურსავე სამყაროში. როდესაც მარტვილნი შეუპოვრად უხვდებიან განსაცდელს, უშიშრად ემზადებიან სიკვდილისათვის, მათ, თუმცა ეს პარადოქსად ჩანს, შიში აგულადებთ, შიში ღვთისა. ქმრის გამაზდეანების ამბავი რომ გაიგო და „ცრემლითა მწარითა" გამოიტირა მისი დაცემა, შუშანიკმა უძნელესი, მისი მიწიერი არსებობის დამამხობელი ნაბიჯი გადადგა: ქმარი და სასახლე მიატოვა: „და აღდგა და დაუტევა ტაძარი თჳსი და **ღმერთის მოშიშებით** ეკლესიად შევიდა"[40]. არაბებმა რომ გობრონი შეიპყრეს (913 წ.), ქრისტეს გმობა და მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვეს. „ხოლო ნეტარსა გობრონს **შეემსჭუალნეს ჯორცნი თჳსნი შიშსა ღმრთისასა** და განუმზადა თავი თჳსი ქრისტჱსთჳს სატანჯველად და სიკუდილსა დათმენად"[41]. როგორც ვხედავთ, ორსავე შემთხვევაში ძნელად წარმოსადგენი უშიშრობა აღმოცენდება ცხადად წარმოსადგენ ნიშზე. ლაქტანციუსს ამის თაობაზე უთქვამს: „შიში შეუპოვრობის მწვერვალია". ლაქტანციუსი ანტიკური ხანის ფილოსოფოსებს ედავება, რომელთაც შიში გამბედაობის საპირისპირო თვისებად და ცოდვად დასახეს. ქრისტიანობა გმობს შიშს ძლიერის წინაშე, ტანჯვის და სიკვდილის წინაშე, სიღარიბის გამოწვეულ შიშს და სცნობს შიშს მხოლოდ უზენაესისა. ვისაც არ ეშინია „სიღატაკისა, გადასახლებისა, ციხისა, მოწამებრივი სიკვდილისა, იგი, რა თქმა უნდა, ითვლება უშიშრად და გაბედულად; მაგრამ ამგვარი გაბედულებისაკენ მივყავართ სწორედ ღვთის შიშს. ქრისტიან მოწამეთა გაბედულება მხოლოდ ამ შიშს ეფუძნებოდა"[42]. ეფრემ ასური განმარტავდა: „რომელსა თანა არს შიში ღმრთისაჲ, მწრაფლ შემძლებელ არს წინაალმდგომად ყოველთა გულის-სიტყუათა მტრისათა"[43].

ამგვარი შიშით შობილი უშიშრობა ვლინდება ტანჯვის მთელ მანძილზე და სიკვდილის ჟამს. შუშანიკი პირველადვე ისე გვემა ვარსქენმა, რომ ქალი „ვითარცა მკუდარი იდვა ქუეყანასა ზედა", თუმცა უხმოდ და უცრემლოდ კი დაითმინა პირველივე განსაცდელი. კიდევ უფრო მძიმე იყო ქმრისაგან ცოლის მეორე ტანჯვა: „და ეგრეთ წმიდაჲ შუშანიკ თრევით მოითრია თიჯათა შიგან და ეკალთა ზედა... და ადგილ-ადგილდ ქუე ძეძჳ დაეფინა. და თჳთ ფერჯნი დაიდგნის ძეძუსა მას ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და ჯორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას. და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად. და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ცემაჲ; ბოროტებდა და იტყოდა: „აჰა ეგერა არა გერგო შენ ეკლესიაჲ შენი და არცა ზურგსი ეგე შენნი ქრისტიანენი და უფალი იგი მათი". **და ვითარცა სცეს კუერთხითა სამას ოდენ, არარაჲ აღმოჴდა პირსა მისსა ვაებაჲ,** არცა კუნესაჲ. მაშინ-ღა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ ურჩულოსა ვარსქენს: „უბადოო, შენ-ღა თავი თჳსი არა შეიწყალე და განსდეგ ღმრთისაგან, შენ მემცა შემიწყალეა?"[44] აქ ტანჯვასთან თვალის გასწორების თითქმის ის სიმაღლეა მიღწეული, რასაც „ყრმა უფლისა" შეიძლებს ძველი აღთქმის (ისაია, 53. 11, 7) მიხედვით. „თითქმისო" იმიტომ ვამბობთ, რომ მოწამე ოდნავ მაინც აღღვევს დუმილს, ძლივს შესამჩნევი დრტვინვა მაინც გაკრთება მის ფრაზაში. სურათის საერთო განწყობილებიდან ოდნავ გამორჩეულ ამ შუქ-ჩრდილს მწერ-

ლის კომენტარიც შეგვამჩნევინებს: „მაშინ-ღა ჰრქუა...“.

უკვე აბო ტფილელი წვრთნის თავის ნებელობას პატიმრობის ცხრა დღის მანძილზე, რათა არ გატყდეს ყველაზე დიდი გამოცდის ჟამს. იგი ამ დღეების ყოველ წუთს მაცხოვართან ინტიმური შინაგნი თანაყოფნით („...ჩემ თანა დადგრომილ ხარ და მე შენ თანა...“) შეავსებს. და, როცა აბო თავის მოსაკვეთად გამოჰყავთ, განკაცებული ღმერთი და განღმრთობის გზაზე შემდგარი კაცი უკვე ერთმანეთთან „არიან დადგრომილი“. თავის თავის ამარა მიტოვებული მარტოკაცი ვერ შეძლებდა ამას: „და განჰკსნეს იგი ჴელით და ფერჴით საკრეველთა მათგან რკინისათა. ხოლო ნეტარმან მან თავით თჳსით მსწრაფლ განხეთქა სამოსელი იგი, რომელ ემოსა, და განშიშულებულმან დაიბეჭდა ჯუარითა პირი და გუამი თჳსი და თქუა: „გმადლობ და გაკურთხევ შენ, სამებაო წმიდო, რამეთუ ღირს მყავ მე მიმთხუევად ღუაწლსა მას წმიდათა მოწამეთა შენთასა!“ და ესე რაჲ თქუა, უკუნ ისხნა ჴელნი თჳსნი ჯუარის სახედ ზედა ზურგსა თჳსსა და მხიარულითა პირითა და კადნიერითა სულითა ღაღად-ყო ქრისტჱს მიმართ და მოუდრიკა ქედი თჳსი მახჯლსა. და სცეს მას მახჯლითა სამგზის, რამეთუ ჰგონებდეს, ვითარმედ შიშითა სიკუდილისაჲთა განაშორონ იგი ქრისტესა. ხოლო წმიდაჲ იგი მარტჳლი **მჴნედ მიითუალვიდა მახჯლსა,** ვიდრემდის შეჰვედრა სული თჳსი უფალსა“[45].

ხოლო კოსტანტი ქართველი შთაგონებულ გალობას ეუბნება უფალს და ასე ეგებება სიკვდილს, არაბები „სცემდეს პირსა მისსა და მრავლითა ტანჯვითა სტანჯვიდეს მას, არამედ ენაჲ მისი ვერ დააბრკოლეს გალობაჲ“[46]. ტანჯვით „ვერ დააბრკოლეს“ მარტვილის სულის ზეაღსვლა, გალობის ექსტაზში განხორციელებული. უგალობს და მადლობას უხდის მოწამე უზენაესს, რაკი მიანიჭა „ძალი წინაალდგომად უკეთურისა“.

იოანე ათონელის შესახებ მისი „ცხორების“ აღმწერი გვაუწყებს: და შემდგომად მცირედისა ჟამისა, ნიკრისისა სენსა შთავარდა და მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა დავრდომილი მდებარე უყო და ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა. და **მარადის ჰმადლობდა ღმერთსა და ესრეთ მხიარულ იყო სენსა მას ზედა სასტიკსა,** ვითარცა საფასესა ზედა დიდძალსა და ვითარცა პატივსა და ნიჭსა სამეუფოსა“[47].

ტანჯვა და გალობა, ტკივილი, სიხარული და მადლობა, — საპირისპირო განცდათა ამგვარ რთულ ფსიქოლოგიურ ნაზავად წარმოდგება ხოლმე მარტვილის ცხოვრება. რაც უფრო მეტად ეწამება იგი, რაც უფრო თვითკმარი ხდება მისი შინაგანი ცხოვრება, მით უფრო ირღვევა ასეთი ცნობიერებისათვის საგანთა და მოვლენათა ურთიერთმიმართების ემპირიული ლოგიკა. გზას იკაფავს მიმართებათა უფრო თავისუფალი, სუბიექტური შინაარსი და ფორმა. მარტიროლოგიურ თხზულებათა ფინალურ სცენებში, წამების გზის დასასრულს, იჩენს ხოლმე თავს ასეთი მსოფლშეგრძნება. ყველაზე სრულად ამბივალენტურ გრძნობათა ეს რთული გამა გაჩნდება „შუშანიკის წამების“ მეორე ნახევარში, ვინაიდან მარტვილობის ასეთ გრძელ გზას (6 წელი) სხვა „წამებათა“ გმირები არ გაივლიან. ტანჯვით მიღწეულ ამ ბედნიერებაზე, ტკივილში შობილ ამ ინტიმზე, შუშანიკის გზის დასასრულისაკენ უფრო და უფრო რომ ხდება საგრძნობი, ჩვენ საგანგებოდ ვილაპარაკებთ ქვემოთ. აი, დედოფლის მიცვალების სცენაც: „და ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშვიდობით მას ზედა დავწევ და დავიძინე“. და შეჰვედრა სული თჳსი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა[48].

სიხარულისა და მადლობის გრძნობას ამჟღავნებს გობრონიც, როცა მის სხეულს მახვილით სერავენ მტანჯველები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაშინ წარუპყრეს ქედი მისი და სცეს მახჯლითა ორგზის... და გამოიძრო ხელი ნეტარმან მან კრულებისა მისგან და სისხლი იგი გამოიწერა ჯუარის სახედ შუბლსა თჳსსა და თქუა: „გმადლობ შენ, უფალო იესუ ქრისტე, რომელმან ღირს მყავ მე უღირსი ესე და ცოდვილი და უკანაჲსკნელი ყოველთა **ნაწილსა ამას მკჳდრობისასა და მოწამეებისასა**, უფალო, სრულ ყავ მოწყალებაჲ შენი და სიტკბოებაჲ ჩემდამო, და ნურა დამაბრკოლებენ მიზეზი რაჲვე, მანქანებაჲ და მძლავრებაჲ უსჯოლოჲსა ამის“[49]. შუბლზე სისხლის ჯვარგამოსახული გობრონი მადლობას და სიხარულს უმეღავნებს უფალს, რომ ქრისტეს „ნაწილი დაიმკვიდრა“, მასთან წილნაყარი გახდა; „ღირსი“ შეიქნა „მოწამეებისა“. სისხლი უკვე „ადასტურებს“, „ამოწმებს“ საღვთო მადლის მასზე გადმოსვლას და მარტვილი ითხოვს, რაიმე „მანქანებით“ არ დაეკარგოს ეს „მოწყალება“ და „სიტკბოება“.

ჩვენ ვიცით, როგორ უჭირდა გობრონს ხორციელების დათმობა, როგორ ემუდარება იგი თბილისის ამირას სიცოცხლის შენარჩუნებას. ტკივილის ასეთი დაუოკებლობის, სისუსტის მტრის წინაშე ასე დაუფარავი დემონსტრაციის მსგავსი შემთხვევა არ არის ქართულ ჰაგიოგრაფიაში, თავის ღმერთთან, სულთან და ტკივილთან პირისპირ დარჩენის შემდგომ. წამების გზაზე სიარულის მერე გობრონი სძლევს თავის სისუსტეს და თვალშეუდგამ სიმაღლეს აღწევს. ასეთი ფერისცვალება უცხო არ არის ქრისტიანული მსოფლშეგრძნებისათვის. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება სახარებისეული მოთხრობა ქრისტესგან პეტრეს ზედიზედ სამგზის განდგომის შესახებ. ეპიზოდი ბრწყინვალედაა გაანალიზებული ევროპული ლიტერატურათმცოდნეობის კლასიკად მონათლულ წიგნში აუერბახისა — „მიმესისი“. აი, რას ამბობს პეტრეს დაცემა — აღდგომის შესახებ ე. აუერბახი: მას შეეთმხვა ყველაზე საშინელი რამ, რაც შთაგონებულ მოციქულს შეიძლება ხვდეს წილად, — იგი კანკალებს თავისი საცოდავი სიცოცხლის გამო. და სრულიად გასაგებია, რომ თვითშეგნების სწორედ ამ საშინელმა გამოცდილებამ ქანქარის ახალი ხახევა გამოიწვია — იგი სხვა მიმართულებით გაქანდა, და კიდევ უფრო მეტი ენერგიით“. სასოწარკვეთილების ჟამს მომხდარი დაცემით გამოწვეული სასოწარკვეთილებიდან, სინანულიდან იშვა მზადყოფნა, აღქმულიყო ქრისტეს მოვლინებისა და ტანჯვის საზრისი. პეტრე არის ტრაგიკული ფიგურა, „გმირი სუსტი, რომლის უზარმაზარი ძალმოსილება იბადება თვით ამ სისუსტისაგან“. დაცემა და ამაღლება ბიბლიურ სამყაროში განუყოფელია ერთმანეთისაგან[50].

შეიძლება გავიმეოროთ, რომ გობრონიც „კანკალებდა თავისი საცოდავი სიცოცხლის გამო“ და „თვითშეგნების სწორედ ამ საშინელმა გამოცდილებამ“ ბიძგი მისცა მას საპირისპირო მიმართულებით აღმასვლისათვის. მით უფრო დიდია გობრონის სიხარული, რომ მასზე საღვთო მადლი გადმოვიდა, მით უფრო გასაგებია მისი შიში, რაიმე „მანქანებით“ არ დაეკარგოს ეს „მოწყალება“. ამ შიშში ყონავს „თვითშეგნების საშინელი გამოცდილება“. გობრონმა ყველაზე საშიშ მოწინააღმდეგეს, „შინაგან მტერს“ (კლიმენტი ალექსანდრიელი) სძლია და იგი, ბუნებრივია, ისევე ხარობს ამ გამარჯვებით, როგორც შუშანიკი, აბო, კოსტანტინ.. მათი სამადლობელიც ასევე, ბუნებრივია, იმას მიემართება, ვისი უზენაესი შემწეობაც ახლავთ. სულის ამ მდგომარეობას გვითვალისწინებს იოანე სინელი: „თვისისა ბუნებისა ძლევა შეუძლებელთა საქმეთაგანი არს. სადა ძლევა ბუნებისა იქმნა, მუნ უეჭველად ბუნებისა იგი უზესთაესი დაემკვიდრა... ხოლო მოღვაწისათვის სიხარულ-არს ჟამი ბრძოლისა და ძლევისა მტერთასა“[51].

დავაკვირდეთ, გობრონმა უფლის მარჯვენის შეხება, მასთან წილნაყარობა იგრძნო მაშინვე, როგორც კი სისხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით შეიღება. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ გამოხსნის მესიანისტური იდეა ორგანულადაა დაკავშირებული გოლგოთაზე დაღვრილ სისხლთან. ის სისხლი (ცხოველისა), რომელსაც ძველი აღთქმის იუდაისტური ტრადიციის მიხედვით, მღვდელი მოასხურებდა სამსხვერპლოზე (ლევ. 1. 5, 11; 9. 12), იცვლება იესოს „უბრალო" სისხლით; ახლა უკვე მღვდელთმოძღვარი კი არ შედის სამსხვერპლო სისხლით კარავში, „რომელსა ერქუა წმიდა წმიდათა" (ებრ., 9, 3), არამედ ქრისტე „თჳსითა სისხლითა შევიდა ერთ გზის სიწმიდესა მას და საუკუნოჲ გამოჴსნაჲ პოვა" (9. 12) ჩვენთვის. ამ სისხლით ჩვენ გამოსყიდულნი და გამართლებულნი ვართ (რომ., 5. 9; ეფ. 1. 7). გოლგოთაზე, სისხლის დაღვრა მოიაზრება, ვითარცა მსხვერპლშეწირვა, რომლის კვალობაზე უქმდება ძველი აღთქმა და ძალაში შედის ახალი: „ახალი სჯული სისხლისა ჩემისაჲ თქუენთჳს დათხეული" (ლუკა, 22. 20).

ახალი სჯულის მიხეოვით, გამწმენდი ძალა აქვს წმინდანთაგან დაღვრილ სისხლსაც და ღმერთი შურს იძიებს მოწამეთათვის (გამოცხ. 16. 3. 7). ერთი ცნობილი მარტვილის სიტყვით, „ჩვენი სისხლის წინაშე იხსნება კარი ზეცისა, სისხლის წინაშე უქმდება გაპენია, ყოველგვარ დიდებასა და გვირგვინს შორის სისხლის საბუთი ყველაზე მაღალია და უმშვენიერესი"[52]. ამიტომაა, რომ ჰაგიოგრაფთა მზერა არ სცილდება მარტვილის სხეულზე ჩამოღვრილ სისხლს. სტეფანე მტბევარის უკვე მოხმობილი ეპიზოდის გაგრძელებაში სისხლი რამდენჯერმე ფიგურირებს: „და კუალად მოჰყვანდა იგი წინაშე ამირისა მის და **ბრწყინვიდა პირი მისი და შუბლი მისი ელვარედ**, და რომელნიმე ქრისტიანეთაგანნი მახლობელ იყვნეს, იხილეს იგი თუალითა სარწმუნოებისაჲთა, **ვითარცა გჳრგჳნი ზეგარდმო**, ღ. ᲥᲠᲬᲔᲜᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲝᲑᲐᲲ ᲛᲘᲡᲘ, და **ესრეთ უშუენოდა იგი სისხლისა მის გამოწერითა შუბლსა მისსა**, ვითარცა იგი, რაჟამს უფალი ჩუენი ცხოვრებისასა მას ვნებასა აღასრულებდა"[53]. ნაცემ-ნაგვემი გობრონის პირი და შუბლი „ბრწყინავს ელვარედ", მახვილით დანაჩეხი და ნატანჯი კაცი იხილვება, „ვითარცა გჳრგჳნი ზეგარდმო": სისხლით მოთხვრილი შუბლი „უშუენის". ჩვენს წინაშეა სრულიად ცხადი დაშორიშორება სახის აზრსა და ამ სახის ემპირიულ იერს შორის. ამგვარ ხედვას გულისხმობს მკვლევარი, როცა განმარტავს: „უსახური, უღირსი, შეუხედავი გვევლინება მათა ესთეტიკაში (ქრისტიანობის აპოლოგეტთა ესთეტიკაში. — გ. ფ.) განსაკუთრებული კატეგორიის სახით, რომელიც არ უპირისპირდება მშვენიერს, მაგრამ აქვს საგანგებო მიმანიშნებელი ფუნქცია და ერთ რიგში დგას ისეთ კატეგორიებთან, როგორიცაა სიმბოლო და ნიშანი. ქრისტეს გარეგნული სახის შეუხედაობის იდეამ ბიძგი მისცა უსახურის პრობლემის დამუშავებასა და გააზრებას ქრისტიანობაში... მოწამენი თითქოს თვით ქრისტეს სისხლით იკაზმებიან"[54]. იოანე ოქროპირის მიხედვით, როგორც ამომავალი მზის სხივებით კაშკაშდება ცის თაღი, ასევე ბრწყინდება მეწამულისფრად მარტვილის სხეული, როცა მისი ჭრილობებიდან სისხლი იღვენთება[55].

სისხლით ყველაზე თვალხილულად, ყველაზე ცხადად „წამებს" წმინდანი თავის მოწამეობას, ადასტურებს ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ. აი, რატომ ეუბნება შუშანიკი უარს იაკობს იმ სისხლის მობანაზე, ვარსქენისაგან ნაგვემს პირისახეზე რომ შეშრობია: „ხუცეს, მაგს ნუ იტყჳ, რამეთუ სისხლი ესე განმწმედელ არს ცოდვათა ჩემთაჲ"[56]. მარტვილს სურს ატაროს სულიერი ვაჟკაცობის და სიწმინდის ეს უტყუარი ნიშანი, ყველამ დაინახოს იგი. მაგრამ ამ ნათქვამს დაზუსტება სჭირდება. შუშანიკის განზრახვა არ შეიცავს თავმოწონების წყურვილს შემხმარი სისხლის სახეზე ტარებითაც აღსრულდება მხედრული საქმე სიკეთისა და ბოროტების კოსმიურ ომში, რომლის მხედართმთავარსაც აი აქ, ქვემო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლში, გამართულ ბატალიებში ეს ქალი უდგას გვერდში, სისხლით მოსვრილი მისი სახე საკრალური ნიშნის აზრს იძენს; იგი უნდა დაინახებოდეს, ახსოვდეთ და სულ აღმართული იყოს როგორც მეგობრების, ისე მტრების ცნობიერებაში, შთაგონებისათვის პირველთა და გაფთრებისათვის მეორეთა[57].

„აბო ტფილელის წამების“ სახისმეტყველებაშიც მნიშვნელოვანია სისხლის სიმბოლიკა. ტუსაღობის მეათე დღეს, ნათლისღების განთიადისას, წარმოთქმულ ღაღადისში „სისხლი“ სამგზის მოიხსენება. ამგზობის ჩვენთვის უფრო საინტერესოა მონოლოგის ეს მონაკვეთი: „ჯერ-არს ჩემდაცა დღესა ამას, რაჲთა განვიძარცო შიში ჯორცთა ამათ ჩემთაჲ, რომელ სამოსელ არიან სულისა ჩემისა და შთავჴდე, ვითარცა სიღრმესა ზღუასა, შორის ქალაქსა ამას და **ნათელ-ვიღო სისხლითა ჩემითა** და ცეცხლითა და სულითა, ვითარცა ქადაგა წინამორბედმან იოვანე, და მერმე კუალად შთავჴდე წყალთაცა და კუალად განვნათლდე, რამეთუ დღეს გარდმოსვლაჲ არს სულისა წმიდისაჲ ყოველთა ზედა წყალთა...“[58] აბოს ამ სიტყვებში რელიგიური და პოეტური აზრია ერთმანეთთან თავისებურად შეზავებული. იოანე ნათელს-სცემს სულითა და წყლით, მაგრამ აუწყებს, რომ „შემდგომად მისა“ მომავალი „უძლიერესი“ ნათელსსცემს „სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (მათე, 3. 11). აბოს სიტყვებშიც იოანეს ეს თქმაა დამოწმებული (ეს „ცეცხლი“ გულისხმობს სასჯელს, ქრისტეს მოსვლით რომ აღსრულდება. — იოანე, 3. 18, 21; 5. 22-25). მაგრამ აბოსგან მოხსენიებულ „ცეცხლში“ რელიგიური აზრი სულ მალე მოსახდენი ფაქტის პოეტური წარმოდგენითაა შეფერილი: აბოს გვამს ცეცხლში დასწვავენ. რელიგიური და პოეტური აზრის ნაზავია შემდგომი თქმაც: „კუალად შთავჴდე წყალთაცა და კუალად განვნათლდე“; აბოს ფერფლსა და ძვლებს (ცხვრის ტყავეულს) მტკვარში ჩაყრიან. რაც მთავარია, რას ნიშნავს: „ნათელ-ვიღო სისხლითა ჩემითა“. „სისხლის“ ამგვარი პოეტურ-მისტიკური გააზრება პირველად ტერტულიანეს ნაწერებში გვხვდება. იგი ლაპარაკობ მოწამეებზე, ვითარცა მხედრებზე: „როდესაც ბრძოლის ველზე უნდა გამოხ ადე, რათა ტირანთა წინააღმდეგ წარმატებით გამოსცადო თავისი ძალები, **როცა მეორე ნათლისღებით, სისხლით ნათლისღებით** უნდა განიბანო, უცბად რომ მიწიდან ზეცად გადაგვიყვანს მაშინ არაფერი ისე არ გვეხმარება, როგორც სხეულებრივი მოთმინება“[59]. ხოლო იოანე ოქროპირი საკუთრივ წამებას ეძახის „სისხლით ნათლისღებას“: წამებისას ამოიშანთება ცოდვები, განიწმინდება სული“... და როგორც ნათელღებულნი — წყლით, ისე წამების დამთმენნი განიბანებიან საკუთარი სისხლით“[60].

ძირისძირით „სისხლის“ ამგვარი სიმბოლიკა მაინც ახალი აღთქმის წიგნებს ებჯინება. მახარებლების მიხედვით იორდანეში იესოს ნათლისღება სიკვდილის აქტში მის ნათლისღებას მოასწავებს და ამზადებს (ლუკა, 12. 50, მარკ. 10. 38). იოანე ღვთისმეტყველი კი ამტკიცებს, რომ „სული და წყალი და სისხლი... სამნივე ერთისა მიმართ არიან“ (იოანე, 5.

უკვე ვთქვით იმის შესახებ, რომ მახვილით დანაჩეხ, ნაგვემ და სისხლით მოთხვრილ კაც, ქრისტიანული ესთეტიკური თვალთახედვის მიხედვით, არც ბრწყინვალება აკლია და არც მშვენება. აზრი, რომლის გამოსაკვეთადაც მხატვრული სახე „მუშაობს“, და ამ სახის გარეგნული სამოსელი სრულიად არ გვანან ერთმანეთს. კულტურა, რომლისთვისაც უმაღლეს ღირებულებებთან მისასვლელი გზა ტანჯვასა და სიკვდილზე გადის, თავის იდეალებს სილამაზის ტრადიციულ შინაარსსა და ფორმაზე ვერ დაამყარებდა. ქრისტიანული ხელოვნება არ „გვეფერება“ ჩვენ; მას სურს უმაღლეს ეთიკურ ღირებულებათა მად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მოახვედროს ჩვენს გულს და, ეს-ამ მადლს გააღვიძებს. იგი ლამაზიცაა და მშვენიერიც. ბრწყინვალეც. „თვალად ნასიც“ რომ იყოს. მხატვრულმა სახემ აქ ღმერთისაკენ უნდა წგვიყვანოს და ამ საქმეს კარგად ემსახურებაკონტრასტის პრინციპი, როცა უკეთურება მიწიერებისა შთამბეჭდავად ღიადებს ტრანსცენდენტური სინამდვილის სრულქმნილებაზე. ქრისტიანულ ესთეტიკურ თვალთახედვას ამგვარად ფსევდო-დიონისე არეოპაგელი დააკვალინებს, როცა ტრაქტატში „ალმართთა სახელთათჳს“ საგანგებოდ განმარტავს, რომ პრინციპულ სხვაობას ნიშანსა და ალსანიშნს (იდეა) შორის შთამბეჭდავად შეგვამეცნებინებს პრინციპული შეუსაბამობა აზრის ღირსეულობისა ხატის უსახურობასთან[61]. მოვიტანოთ კიდევ ერთი მაგალითი „ანტიესთეტიკური“ ესთეტიკისა იაკობ ხუცესის თხზულებიდან. შუშანიკი ციხეში ჩაამწყვდია ვარსქენმა, ქედზე ჯაჭვი და ფეხებზე ბორკილები დაადო. მარტვილის სანახავად მოდის მოძღვარი: „და ვითარ შემიყვანა მცველმან მან, **და ვიხილე ტარიგი იგი ქრისტჱსი შუენიერად, ვითარცა სძალი, შემკული საკრველთა მათგან,** და მე, ვითარ ვერ დამითმო გულმან, ვტირიდე ფრიად“[62]. ნაცემ-ნაგვემი, ბორკილებში ჩაჭედილი და შეჯაჭვული ქალი წარმოგვიდგება „შუენიერად, ვითარცა სძალი“, ხოლო ჯაჭვი და ბორკილი საქორწილო სამკაულებად აღიქმება. უსახური და საზარელი (ტანჯვა, ბორკილი, ჯაჭვი...), რაკი ისინი შთამბეჭდავად ემსახურებიან და მიგვაახლებენ ამაღლებულს, რელიგიურ-ესთეტიკური ხედვით ტრანსფორმირდებიან, ღირსეულისა და მშვენიერის იერს იძენენ. იაკობ ხუცესი აქ ღვთისა და ღვთისმოსავის ერთმანეთისადმი თავგამოდებული სიყვარულის ბიბლიურ სახე-სიმბოლოებს ემყარება, როცა ეს გრძნობა „სიძისა“ და „სძლის“ ხატითა წარმოჩენილი[63] (მათე, 9. 15; ეფეს. 5. 23-27; 2 კორ. 11. 2; მათე, 25. 1-13). ანტიესთეტიკურის ესთეტიზაციის ნიმუშია „შუშანიკის მარტვილობის“ ეს ეპიზოდიც, რომელიც სულერი გაუტეხლობის დასტური. ექვსი წელი გალია ციხეში ქალმა. „და წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს და მატლიცა დასხმულ იყო წყლულთა მათ. რომელი იგი აღილო ჴელითა თჳსითა და მიჩუენებდა მე და ჰმადლობდა ღმერთსა“[34]. მატლების ხილვით ცრემლმორეულ იაკობს თვით მოწამე აწყნარებს, საყვედურობს კიდეც („მრქუა მე რისხვით...“), რაკი მას სასიხარულო და სასახელო ფაქტის მარტო წარმავალი გარეგნობა შეუმჩნევია. საზიჩრობა, სისხლი და მატლი „ამშვენებთ“, ბრწყინვალების გამოსახვებად აჩნიათ ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის გმირებსაც. მაგალითად, სვიმეონ მესვეტეს[65].

ამგვარივე რელიგიურ-ესთეტიკური აღქმითაა ტრანსფორმირებული ემპირიული რეალობა გრიგორ ხანძთელის იმ ხატშიც, როგორც იგი ჯავახეთის კრებაზე თავმოყრილთ წარმოუდგა: „და მეყსეულად იხილეს წმიდაჲ იგი მომავალი კარაულითა შორის კრებულსა მას მამათასა საკჳრველად ხილვითა, რამეთუ **სამოსელი იგი შეურაცხი.** რომელ ემოსა მოხუცებულსა მას. **ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაჲ.** ხოლო თავსა მისსა **კუკული იხილვებოდა, ვითარცა გჳრგჳნი სამეუფოი** პატიოსანთა თუალთა და მარგალიტოვანთ ფასდაუდებელთა აღმკული“[66]. მწერლისა და მკითხველის ხორციელი თვალი აქ მოჭუტულია. შინაგანი ხედვა კი გაბედულად არღვევს შესაბამისობის და ლოგიკურობის ცხოვრებისეულ ლოგიკას.

მარტვილი მხედარია და მისი ეს ამპლუა უცილობლად უკავშირდება მხედრული ღირსების გრძნობაა. ღირსების განცდა, როცა იგი ზომიერების ფარგლებს არ გადადის, საძრახისად არ ეთვლება ქრისტიანს[67]. ხოლო საღვთო მხედრობასთან დაკავშირებული ღირსება, რა თქმა უნდა, ამკობს მას. მარტვილთა მხედრული ღირსება მეღავნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა იმ ეპიზოდში, რომლებიც აქამდე წარმოვაჩინეთ. მეღავნდება იგი მტანჯველთან სიტყვიერ დაპირისპირებაშიც. მარტვილს ლანძღავენ, აგინებენ, ემუქრებიან, აშინებენ, ეპირფერებიან, აღუთქვამენ, საცდურს უმზადებენ... მოწამე ან დუმს ან, როცა ეს გარდაუვალია, მიუგებს ლაკონურად, დამაჯერებლად, კატეგორიულად, შეუვალი გადაწყვეტილების ტონით, როცა პარტნიორისათვის ცხადი ხდება მარტვილის უკომპრომისობა და თავისი მცდელობის უპერსპექტივობა. უხეში ფიზიკური ზემოქმედების ასპარეზზე დამარცხებული მტერი იდეურ თუ ფასეულობითს სიბრტყეზეც გაწბილებული რჩება. მოვიტანთ მხოლოდ ორიოდე ნიმუშს.

კოსტანტი ქართველი მიუგებს არაბთა მეფეს: „მეცა უწყი, რამეთუ ჴელმწიფებაჲ გაქუს ჴორცთა ჩემთა ზედა, არამედ არა სულსა... ამისთჳს არამეშინის მახჳლისაგან შენისა, არამედ მისა მეშინის, რომელი-იგი შემძლებელ არს მოწყუედად სულისა და ჴორცთა,“ და კუალად ჴელმწიფებაჲ აქუს განცხოველებად, ვითარცა-იგი მოსიკუდიდ. ამისთჳსცა სიხარულით მოვითმენ სახელისა მისისათჳს...“[68].

დავით და კოსტანტინე უპასუხებენ მურვან-ყრუს მიგზავნილთ: „ვერარამან ჭირმან და არცა დიდებამან ამის საწუთროისამან ვერ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა და სარწმუნოებასა იესო ქრისტესსა, არამედ მზა ვართ სახელისა მისისათჳს შიმშილსა და წყურვილსა, ცეცხლსა და მახჳლსა და წყალსა და ამის ყოვლისა შემდგომად სიკუდილსა სასუფევლისათჳს ცათაჲსა, და რამეთუ ნიჭი და დიდებაჲ, თქუენ მიერ მონიჭებული, საძულელ და საძაგელ არიან წინაშე თუალთა ჩუენთა...“[69].

აბო მიუგებს ამირას:

„ოქროჲ და ვერცხლი შენი შენ თანავე იყავნ წარსაწყმედელად თავისა შენისა, მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქუს მე ნიჭი ქრისტესმიერი, გჳრგჳნი ცხორებისა და უხრწნელებისა და პატივი საუკუნოჲ ცათაჲსა“[70].

შინაგანი რწმენის ძალმოსილებით და ლოგიკური განსჯის შეუვალობით გამორჩეულია აბოს მეორე დიალოგი იმავე ამირასთან სიკვდილით დასჯის წინ[71]. ამ დიალოგებში, უპირატესად ძლიერთა ამა ქვეყნისათა სასახლეებში რომ მიმდინარეობს, გრძელდება სადილეგოებში დაწყებული შეურიგებელი ბრძოლა სიკეთისა და ბოროტებისა. მარტვილნი ამჯერად სიტყვითა და აზრით ებრძვიან მათი სხეულის ჯიჯგნით მოღლილ და გამტყუნებულ მტარვალებს. იბრძვიან გულდაგულ, იბრძვიან იმ გრძნობით, რომ მათ მეომრულ მცდელობას თვალმოუშორებლად დასცქერის და მფარველობს მხედართმთავარი. ამიტომ განიცდიან მახვილის სიმკვეთრედ მარტვილთა სიტყვებს მათი მტანჯველნი. ამას თვით მოწამენიც გრძნობენ, გრძნობენ, რომ ღმერთი ლაპარაკობს მათში. შუშანიკი ეუბნება მისი სიტყვისგებით მოხიბლულ თანამზრახველს: „და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს, რომელმან განუმზადნის სიტყუანი პირსა კაცისასა, რამეთუ იტყჳს უფალი: მე მიუგო სიტყუაჲ თქუენ წილ“[72].

როგორც ვთქვით, წმინდა ისტორიაში გამოვლენილი შტრიხები ტანჯვისა ნიმუშად დაისახეს ჰაგიოგრაფებმა. ასეთია, მაგალითად, საკუთარ ტკივილთა დავიწყება და სხვებზე ზრუნვა, მათი განმტკიცება (ლუკა მახარებელი). „შუშანიკის წამებაში“ რამდენიმე ეპიზოდია ასეთი. პურობაზე ნაგვემ დედოფალს სენაკში იაკობი მოინახულებს. იგი უვება: „ვითარ შეეედ შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული და აღუტევე კმაჲ და ვტიროდე. ხოლო წმიდამან შუშანიკმან მრქუა მე: „ნუ სტირ ჩემთჳს, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამე ესე“[73]. ასეთივე შინაარსისაა ის სცენა, როცა უკვე ციხის სადილეგოში პირველად მოინახულებს შუშანიკს მოძღვარი. ნაცემნათრევი, ბორკილებსა და ჯაჭვში ჩაჭედილი მარტვილი თვით ანუგეშებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ცოდვით ატირებულ სულიერ მამას[74]. ხოლო აბო თბილელი, სატუსაღოში მყოფი, „ჰყოფდა იგი ქველის საქმესა, რამეთუ განყიდა მან ყოველი, რაჲცა აქუნდა მას, და ჰზრდიდა იგი მშიერთა და ნაკლულევანთა მის თან პყრობილთა მათ“[75]. ხოლო თვით უფლისაგან მოწამის გამტკიცების მხოლოდ ერთი მაგალითი გვაქვს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“. თავის მოკვეთის წინ ევსტათი ლოცულობს, რათა მისი გვამი იქ (მცხეთას) დაიმარხოს, სადაც მაცხოვარი „გამოუჩნდა“ და ჰქონდეს „მადლი და კურნებაჲ ძუალთა“ მისთა. „და ესმა კმაჲ, რომელი ეტყოდა ევსტათის და ჰრქუა: „არა უნაკლულჱს იყო შენ პირველთა მათ მადლითა კურნებისაჲთა, რომელთა ვჰრწმენე მე. ხოლო გუამისა შენისათჳს ნუ ჰზრუნავ, ეგრე იყოს, ვითარცა შენ სთქუ ყოფად“[76].

ასე ესმით ტანჯვა და ამგვარად ხვდებიან ბედისწერის განსაცდელს ქართული მარტიროლოგიის გმირები. მიმართება ტანჯვასთან და მისი განცდა სინამდვილესთან დამოკიდებულების უშუალო გამოხატულებაა და პირდაპირ არეკლავს საზოგადოებრივ ცნობიერებაში ჩამოყალიბებულ ფასეულობათა სისტემას. ეს ის ეპოქაა ეროვნული კულტურის ისტორიაში, როცა „ადამიანმა თვით ტანჯვაში სიღამაზე დაინახა. ბედნიერება ტანჯვის გზით, — ასეთია ამ სილამაზის საფუძველი. გაალმერთეს ტანჯული და დამცირებული, ჯვარცმული ღმერთი. იდეალია ტანჯვასთან შერიგება“[77].

ქრისტიანობა პიროვნული ხსნის რელიგიაა და მარტვილის ბედის ტრაგიკული სიმძაფრეც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრულია პიროვნული ინტერესებით. ოღონდ სხვადასხვა ერთა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ეპოქისა და თვით ხალხის ფსიქიკური წყობის კვალობაზე სხვადასხვაგვარად გამოვლინდება პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების ურთიერთმიმართება. კარგა ხნის შენიშნულია და გაზიარებულია ის აზრი, რომ ჯერ მაზდეანურ და მერე „მაჰმადიანურ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ექსპანსიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეჭიდებული ეროვნული ენერგია ქრისტიანული აღსარების იდეით იყო შემოსილი. ამ მოძრაობამ ქართულ აგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში ქართველი მარტვილის ფიგურის სახით წამოაყენა ეროვნული გმირის პრობლემა, რომელიც ლიტერატურული შემოქმედების მთავარ თემად იქცა. მარტვილის მოწამებრივი ღვაწლი ეროვნული თვითშეგნების იმპულსს წარმოადგენდა, რელიგიური და ეროვნული დამოუკიდებლობის სიმბოლოს და სარწმუნოა, რომ არც ერთი მარტვილობა ჩვენი ეკლესიის ისტორიაში მხოლოდ რელიგიური ექსტაზისათვის თავგანწირვა არ იყო“[78].

რელიგიური ცნობიერება კულტურის სხვა ფენომენებთან ერთად ადამიანს თვითგანთავისუფლების პროცესში ეხმარება. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, სადაც სარწმუნოებრივი ფაქტორი ხელოვნების ძალმოსილებასთანაა გაერთიანებული, ამ თვითგანთავისუფლების დრამატულ აქტს განასახიერებს. მისი გმირი მეომარია, თავისივე შინაგანი ცხოვრების განწმენდის ასპარეზზე გამოსული მხედარი. ბრძოლის შინაარსს ანტონიმიურ წყვილთა გრძელი მწკრივი ქმნის: სხეული და სული, ქედმაღლობა და სიმდაბლე, პატივმოყვარეობა და მორჩილება, მრისხანება და თვინიერება, ნაყროვანება და მარხვა, სიძვა და უბიწოება, გულცივობა და სიყვარული, შურისძიება და მიტევება, დანაშაული და სინანული, სულმოკლეობა და მოთმინება, სასოწარკვეთილება და იმედი, ცოდვა და მადლი... ეს არის სფერო „დაძლეული დუალიზმისა“, როგორც იტყვიან.

რათა ამ ბრძოლაში წარმატებას მიაღწიოს, დაძაბულად მუშაობს გმირის თვითშეგნება და თვითმემეცნება. „რომელმან ძალმან თავი თჳსი იცნის, მან უწყის ყოველი“, — გვაუწყებს „ცხორება იოვანე ზედაზნელისა“. ჭეშმარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებისაკენ გზის გაგნებაში ჰაგიოგრაფიის პერსონაჟს ნაკლებად სჭირდება გარემომცველი სინამდვილის რაციონალური ანალიზი. უპირველეს ყოვლისა, იგი საკუთარ სულში ღრმავდება, იქ მოიძიებს ღვთის ხატს, ტანჯვა-სიკვდილის საფასურად აღვიძებს მას და ამ გზით მიეახლება უზენაესს. ჰაგიოგრაფია მოგვითხრობს მიწიერ-წარმავალ სატკივართა თავისუფალი ნებით მტვირთველ ადამიანებზე, რომლებიც ამგვარი ღვწით მეტაფიზიკურ სინამდვილეში განსაცდელ სატანჯველთაგანაც იხსნიდავენ თავს და მოძმეთა შეჭირვებასაც ამსუბუქებენ ამა ქვეყნადვე. „ტანჯვის პათოსი და იდეა წარმოიშვა იმ მკაცრი დროის ისტორიული სინამდვილისაგან; ისინი ადამიანური კულტურის ისტორიაში კანონზომიერი მოვლენაა და ადამიანური სულის მნიშვნელოვანი მიღწევა. საჭირო იყო ესწავლათ უშიშრად სიკვდილი თავისი იდეალებისთავის, თავისი იდეალური სიცოცხლისათვის, რათა შემდგომ, ისტორიული განვითარების ახალ ეტაპზე, კაცობრიობის სასიცოცხლო იდეალებისათვის თავგანწირვის, გმირობის შეგნება დამკვიდრებულიყო“[79].

ჰაგიოგრაფიული გმირის თვითშეგნება იმ საზრუნავითაა მოცული, რომ იგი, დროისა და სივრცის უსაზღვროებაში გადასროლილი, არ ჩაიკარგოს ამ უსაზღვროებაში, მიუსაფრობისაგან თავის დასაღწევად იგი განუდგება ვიწრო საპირადო, ეგოისტურ ინტერესებს, თავს იდებს მოძმეთა სატკივარს და ამ გზით ერთიანდება მათთან, ხმას აწვდენს უზენაესს, ახორციელებს ხსნას. საპატიმრო სენაკებში გამოკეტილი შუშანიკი, აბო თუ გობრონი სწორედ ამ დევნილობის, მოძმეთაგან მოწყვეტილობის დათმენის კვალობაზე უღრმესი აზრით ერთიანდებიან თავ-თავიანთი დროის ქართველ საზოგადოებასთან და, როგორც ჰაგიოგრაფები მოგვითხრობენ, სარწმუნოებრივ-ეროვნული იდეალებისათვის ხალხის შემაკავშირებელ-შთამაგონებელ ძალად იქცევიან. ხოლო გრიგოლ ხანძთელის, სერაპიონ ზარზმელის, იოანე ზედაზნელის და დიდი ათონელის განმარტოება უდაბნოში სინამდვილეში უმაღლეს რელიგიურ-საზოგადოებრივ იდეალთა პირისპირ დგომაა, სხვა ასპარეზზე შრომისაგან განთავისუფლებულ ძალთა ორიგორისტული კონცენტრაციაა, ისევ და ისევ ხალხს რომ უბრუნდება გამაჯანსაღებელ ძალად.

ის, რაც სიკვდილ-სიცოცხლის, ტანჯვა-ტკივილის გააზრებაში ქრისტიანულმა მეტაფიზიკამ ჩადო, არა მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში გამოვლინდება, არამედ ჩვენს დროშიც დაჩნდება. ამ მსოფლშეგრძნების გვიანდელი ანარეკლია ის სიტყვები, რომლებსაც ყაზბეგის გმირი ეუბნება თავის ვაჟს:

„გახსოვდეს ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“.

ვაჟა-ფშაველა კი თავის ზნეობრივ კრედოს ასე წარმოგვიდგენს:

„მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული“.
(„ჩემი ვედრება“).

ან თუნდაც გალაკტიონის ეს სიტყვები მოვიგონოთ:

„სიკვდილის გზა არრა არის,
ვარდისფერ გზის გარდა“.
(„მთაწმინდის მთვარე“).

(მ. იურსენარი კი იტყვის: „უსასრულობას შეერწყმის, ის, ვინც მიიღებს ტკივილს, დარდს, სხვათა და ჩვენს ავადმყოფობას, სხვათა და საკუთარ სიკვდილს და მათ ცხოვრების ბუნებრივ ნაწილად აქცევს“).

ქრისტიანულ-ლიტერატურული ნაკადის ამ ცხოველმყოფელობაში საუკუნეების სიგრძეზე, რა თქმა უნდა, გასაკვირი არაფერია, ეს რელიგია ხომ ერთიანად და ძალიან ფაქიზადაა ორიენტირებული ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე. ქრისტიანული ლიტერატურაც მიჰყვება პრინციპს: ადამიანის, როგორც გონიერი არსების, ჭეშმარიტი ღირებულება და სილამაზე ღვთისკენ მიმსწრაფ სულიერ ცხოვრებაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები

[1] История всемирной литературы, т. I, с. 293—294.

[2] Maximus Confessor. Capita de charitate. PG. 90, 998 BC.

[3] Мирча Элиаде. Космос и история. М. 1987, с. 99 — 100.

განსაცდელის უფლისგან მოვლენილ სასჯელად აღქმის ძველი ებრაული თვალსაზრისი დაუცავს „მოქცევაი ქართლისაჲს“ იმ თავს, „რომელიც მიეწერება აბიათარს, რომელი იყო „პირველი ძღდელი ბაგინსა შინა ჰურიათასა მცხეთას“. მაგ. სხვადასხვა ქვეყანაში მიმოდებნეული თანატომელები სწერენ: „განხეთქა ღმერთმან მეფობაჲ ჰურიათაჲ... განვიბნიენით ჩუენ ყოველსა ქუეყანასა და ჰრომთა დაიპყრეს მეფობით ქუეყანაჲ ჩუენი, **რამეთუ ვცოდეთ ყოვლითურთ და განვარისხეთ შემოქმედი ღმერთი... აღიღო ღმერთმან კელი მისი ჩუენ ზედა**“ (ძეგლები, I, გვ. 144-145).

[4] Словарь библейского богословия. Брюссель, 1974, с. 1253.

[5] История всемирной литературы, т. I, с. 506.

[6] Иоанн Златоуст. Творения, т. I, кн. I. С.-Пб. 1895, с. 435.

[7] მარტვილ მონაზონი. სინანულისათვს და სიმდაბლისა. „მამათა სწავლანი“, გვ. 180.

[8] Николай Кузанский. Сочинения в двух томах, т. I, М., 1979, с. 160—161.

[9] А. П. Каждан. Византийская культура, с. 133.

[10] Н. Кузанский. Сочин., т. I, с. 162.

[11] Иоан Златоуст. Творения, т. VIII, кн. II, С.-П. 1902, с. 573—576.

[12] Светлов. Значение креста в деле Христовом. Киев, 1893, с. 364.

[13] Ratzinger J. Der Weg der religiösen Erkentnis nach dem heiligen Augustinus. — In: Kyriakon, Festschrift Johannes Quasten. Münster (Westf.), 1970, Bd. II, s. 559.

[14] Гегель. Эстетика, т. 2, с. 236.

[15] Гегель. Эстетика, т. 2, с. 237.

[16] Словарь библейского богословия, с. 1069—1070.

სიკვდილის შემსგავსებული გაგება დადასტურებულია პლატონის მოძღვრებაშიც: ადამიანის პლატონისეული იდეალია ფილოსოფოსი, ხოლო ფილოსოფოსის დამახასიათებელია, რომ იგი გამუდმებით კვდება პრაქტიკული ცხოვრებისათვის („ფედონი“).

В. С. Соловьев. Чтения о богочеловечестве. Сочинения в двух томах, т. 2, с. 69.

[17] K. Jaspers. Die grosse Philosophen. Erster Band. München—Zürich. 1981, s. 348.

[18] С. Аверинцев. Поэтика ранневизантийской литературы, с. 125.

[19] ს. ავერინცევის დასახელებული წიგნი, გვ. 126;

[20] В. В. Бычков. Эстетика поздней античности, М. 1981, с. 143, 145.

[21] Тертуллиан. Творения, с. 52—79.

[22] Тертуллиан. Творения, с. 194—195.

[23] იქვე, გვ. 198, 197.

[24] Киприан, епископ Карфагенский. Творения (выпуск второй). Киев, 1861, с. 357.

[25] იქვე, გვ. 367, 368.

[26] Иоанн Златоуст. Творения, т. 1,1, кн. II, С.-Пб., 1896, с. 754.

[27] Иоанн Златоуст. Творения, т. XII, кн. II, С.-Пб., 1906, с. 654.

[28] Maximus Confessor. Capita de charitate. PG. 90, 1010 C.

[29] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, 1963, გვ. 295. შემდგომ დავასახელებთ შემოკლებით — ძეგლები...

[30] А. П. Каждан. Византийская культура, с. 171.

[31] Василий Великий. Творения, т. II, Спб., 1911, с. 236.

სინური მრავალთავი (864 წლისა), 1959, გვ. 123.

[32] ძეგლები, I, გვ. 78, 79, 80.

[33] იქვე, გვ. 55.

[34] ძეგლები, I, გვ. 167;

[35] ძეგლები, III, გვ. 253.

[36] ძეგლები, I, გვ. 13-14;

[37] იქვე, გვ. 31-32, 34;

[38] იქვე. გვ. 64.

[39] ძეგლები, I, გვ. 167.

[40] იქვე, გვ. 12-13.

[41] იქვე, გვ. 177.

[42] В. Бычков. Эстетика поздней античности, с. 140.

[43] ეფრემ ასური. შიშისათვს ღმრთისა. „მამათა სწავლანი“, გვ. 234.

[44] ძეგლები, I, გვ. 19-20

[45] ძეგლები, I, გვ. 71.

[46] ძეგლები, I, გვ. 170.

[47] ძეგლები, II, გვ. 55.

[48] ძეგლები, I, გვ. 28.

[49] იქვე. გვ. 182.

[05] Е. Ауербах. Мимесис, с. 62, 39.

[51] კლემაქსი, რომელარს კიბე, ღირსისა მამისა ჩვენისა იოანე სინა მთის მამასახლისისა. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1986, გვ. 331, 325.

[52] Киприан. Творения. Выпуск II, с. 354.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[53] ძეგლები, გვ. 182.

[54] В. Бычков. Эстетика поздней античности, с. 244.

[55] Иоанн Златоуст. Творения, т. II, кн. II, с. 756.

[56] ძეგლები, I, გვ. 18;

[57] С. Аверинцев. Поэтика ранневизантийской литературы, с. 126.

[58] ძეგლები, I, გვ. 68.

[59] Тертуллиан. Творения, ч. II, с. 75.

[60] Иоанн Златоуст. Творения, Т. II, кн. II, с. 565.

[61] პეტრე იბერიელი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი). საღმრთოთა სახელთათჳს. შრომები, გვ. 9-13.

[62] ძეგლები, I, გვ. 22.

[63] ამ სიმბოლიკის შესახებ იხ. აკ. გაწერელია. ვინ არის ავგუსტინესა და გურამიშვილის „სიძე"? „მნათობი", 1985, № 10-11; აგრეთვე: მ. გიგინეიშვილი. იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება". „საუნჯე", 1978, № 5.

[64] ძეგლები, I, გვ. 25.

[65] В. В. Бычков. Важный аспект ранневизантийской эстетики. «Зборник радова Византолошко института», XXVIII, Белград, 1984, с. 39.

[66] ძეგლები, I, გვ. 287.

[67] Василий Великий. Творения, т. II, с. 42.

[68] ძეგლები, I, გვ. 168.

[69] ძეგლები, III, გვ. 257.

[70] ძეგლები, I, გვ. 65.

[71] გ. ფარულავა. მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, გვ. 199-201.

[72] ძეგლები, I, გვ. 24.

[73] ძეგლები, I, გვ. 18.

[74] იქვე, გვ. 22.

[75] იქვე, გვ. 66.

[76] იქვე, გვ. 44-45.

[77] რ. სირაძე. ქართული აგიოგრაფია, 1987, გვ. 7.

[78] გ. იმედაშვილი. ძველი ქართული ენისა და სტილის მიჯნებზე. კრებ. „ძველი ქართული მწერლობის სტილის საკითხები", 1965, გვ. 24.

[79] В. В. Бычков. Эстетика поздней античности, с. 145—146.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ნატროშვილი

ხვედრი ერთი რომანისა

რომანი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ შესაფერი სათაური ვერა და ვერ მოუძებნა. ქაღალდზე ჩამოწერილი ოცდაექვსი (!) სავარაუდო ვარიანტიდან არც ერთი არ აკმაყოფილებდა. ყველაზე მეტად თითქოს ეჭაშნიკებოდა „შეუცნობელი ქვეყანა", მაგრამ საუკეთესოდ და ერთადერთად არც ეს სათაური მიაჩნდა. ორი დღის განმავლობაში იმტვრევდა თავს, ორი დღის განმავლობაში გულდასმით ფურცლავდა ბიბლიას და შექსპირს, რათა მიეგნო ჯერ კიდევ მიუგნებელი რომელიმე აფორიზმისა თუ მოხდენილი გამოთქმისათვის, თავისი რომანის სათაურად რომ გამოადგებოდა. ამაო იყო ძიება. მერე ძველი ინგლისური პროზის ანთოლოგია გადაათვალიერა და უეცრად წააწყდა ჯონ დონის იგავს. განსაკუთრებით მოხიბლა ბოლო ფრაზამ, სადაც ეწერა: ყოველი ადამიანის სიკვდილი მეც მაკლებს სიცოცხლეს, ვინაიდან კაცთა მოდგმას ვეკუთვნი და ამიტომაც არასოდეს გაგზავნო ვინმე ამბის გასაგებად, თუ ვისთვის რეკს ზარი, ის შენთვის რეკს... ანუ შენ დაგტირის, შენზე გლოვობს.

ერნესტ ჰემინგუეიმ რომანს ეპიგრაფად წაუმძღვარა საკმაოდ ვრცელი ციტატა ჯონ დონის იგავიდან და ამით საყოველთაო პოპულარობა მოუზვეჭა. XX საუკუნის ამერიკელმა მწერალმა თითქოს მკვდრეთით აღადგინა მკითხველთა ფართო წრისათვის უცნობი ინგლისელი პოეტი XVII საუკუნისა და მისი უბადლო ნათქვამი თანამედროვე კაცობრიობის ტკივილებს მშვენივრად მიუსადაგა. ხოლო რომანს სათაურად დაერქვა „ვისთვის რეკს ზარი" და ეს სიტყვები შემდგომში მოარულ გამოთქმად გადაიქცა მთელს მსოფლიოში.

ჰემინგუეის რომანი ესპანეთის საშინაოქალაქო ომის თემაზე გამოქვეყნდა 1940 წელს, როგორც იტყვიან, უშუალოდ მომხდარ მოვლენათა ცხელ კვალზე. რესპუბლიკური ესპანეთის ბრძოლა ფრანკისტების წინააღმდეგ თითქმის ზეპირად იცოდნენ საბჭოთა კავშირში. თვალს ადევნებდნენ დაძაბულ შერკინებას და გულის ფანცქალით განიცდიდნენ თითქოსდა აღთქმული გამარჯვების გადაქცევას გამოუსწორებელ, საბოლოო დამარხცებად. იქ, ესპანეთის ცაში იბრძოდნენ რუსი მფრინავები, ხმელეთზე — რუსი ტანკისტები, რესპუბლიკური არმიის შტაბებში ისხდნენ რუსი გენერლები, ეს „მოხალისენი", თავიანთი უცხოური ფსევდონიმების მიუხედავად, ვერ საღდებოდნენ ესპანელებად თუ სხვა ჯურის ხალხად.

იმავე ესპანეთში მძლავრობდნენ მოსკოველი ჩეკისტები, რომლებიც აწესრიგებდნენ რესპუბლიკური ესპანეთის იდეოლოგიურ სისპეტაკეს. იქაც დაეინებით ეძებდნენ და წარმატებით პოულობდნენ „ხალხის მტრებს" და არევ-დარევა შეჰქონდათ ისედაც აფორიაქებულ ქვეყანაში. მაგრამ „ესპანური რომანტიკით" აღფრთოვანებულ საბჭოეთში არავითარი წარმოდგენა არ გააჩნდათ მათს შავბნელ საქმიანობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნო პასარან“ — ამაყი ესპანური შეძახილი ყველას ემშობლიურებოდა და პატარა პიონერებიც ხმამაღლა იმეორებდნენ რესპუბლიკური ესპანეთის დევიზს. ერთი სიტყვით, ესპანეთის სამოქალაქო ომის ჰერიპეტიები ისევე სისხლხორცეული გახდა საბჭოთა ადამიანისათვის, როგორც საკუთარი სიხარული თუ მწუხარება.

ანდრეი სახაროვი თავის მოგონებებში აღნიშნავდა: „საოცარია — განვლო თითქმის ორმოცდახუთმა წელიწადმა, ხოლო მოლოდინი და ნაღველი ესპანეთის ომისა ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩვენს გულებში, როგორც მაშინ, ყმაწვილები რომ ვიყავით. ეს იყო რაღაც მომნუსხველი ძალა, რაღაც ნამდვილი და მართალი — რომანტიკა, ჰეროიზმი, ბრძოლა“.

ეტყობა, ასეთივე განწყობილება სუფევდა ჩვენშიც. სახაროვის თანატოლი მურმან ლებანიძე იგონებს თავის ერთ ლექსში (1958 წ.): „ჰქუხდა ომი გაგანია, იმის შემდეგ რა ხანია — ცხრა წლის ბიჭი ესპანეთში გავრბოდი“, და მერე: „ვივა, ვივა ესპანეთს! — მთელ წელიწადს ვყვიროდით“.

მაგრამ არამარტო ყმაწვილებში იწვევდა ენთუზიაზმს რესპუბლიკური ესპანეთის გმირული ბრძოლა. აგერ, გალაკტიონ ტაბიძის იმდროინდელი ლექსიც გავიხსენოთ: „არ დასცხრება ესპანეთის და მსოფლიოს გულისყური, გაიმარჯვებს ხალხი, ვისაც ჰყავს ასეთი იბარური!“ (დოლორეს იბარური, ანუ ჰასიონარია — რესპუბლიკური ესპანეთის ყველაზე ცნობილი ბელადი იყო). სახელგანთქმულ ესპანელ კომუნისტს ხოტბას უძღვნიდა ტიციან ტაბიძეც: „და დოლორესის ხმას დაუცხრომელს რევოლუცია აძლევს სიმძაფრეს“.

და აი, მთელი ამ ნაცნობობა-გულშემატკივრობის კვალობაზე საკმაოდ უცნაური ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირში დიდად აღიარებული და პოპულარული ერნესტ ჰემინგუეის რომანი „ვისთვის რეკს ზარი“, ესპანეთის სამოქალაქო ომის ეპიზოდებს რომ აღწერდა, რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მხოლოდ 1968 წელს, ანუ ოცდარვა წლის შემდეგ; როდესაც ხსენებული ომი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა და, ალბათ, ისეთსავე ინტერესს იწვევდა როგორსაც, ვთქვათ, ნაპოლეონის უიღბლო ლაშქრობა იმავე ესპანეთში. ახალ თაობებს ძალზე მცირე წარმოდგენა და შესაბამისად — ძალზე მცირე ცნობისმოყვარეობა ექნებოდათ იმ ომის მიმართ, რომელზეც მოგვითხრობს თავის დიდებულ რომანში ჰემინგუეი.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მკითხველმა ეგებ მხრებიც აიჩეჩოს გაკვირვების ნიშნად, მერედა რა მოხდაო, ზოგიერთი უცხოური რომანი, ჰემინგუეის ნაწარმოებს რომ არ ჩამოუვარდება ანდა აღემატება კიდეც, ასევე დიდი დაგვიანებით გამოსცეს მოსკოვში და ქვეყანა ამით არ დანგრეულაო. მართლაც, უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება გაუგონარი ჩამორჩენის საილუსტრაციოდ. როგორც იტყვიან, გაცილებით დიდხანს იდგნენ რიგში ფრანც კაფკა და ჯეიმზ ჯოისი, ჰენრი მილერი და ჯორჯ ორუელი (იმათ ვასახელებ, ვინც სახელდახელოდ გამახსენდა). აგერ, სულ ახლახან გამოქვეყნდა პოლონელი მწერლის რომან ბრატნის ტრილოგია ვარშავის აჯანყებაზე (1944 წ.), რომელიც პოლონეთში ოცდაათი წლის მანძილზე, ვგონებ, ოცდაათჯერ დაიბეჭდა. თუმცა რაღა შორს მივდივართ! ორმოცდაათიანი წლების მიწურულში მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნეს და გამოსცეს ბორის პასტერნაკის რომანი „ექიმი ჟივაგო“, ხოლო მოსკოვში ოცდაათი წლის შემდეგ აღირსეს დღის სინათლეზე გამოსვლა. ღვთის წყალობით, უკვე ვეცნობით გრიგოლ რობაქიძის ნაწერებს, ნაცისტურ გერმანიაში რომ იბეჭდებოდა...

პოლიტიკური კონიუნქტურა თრგუნავდა ლიტერატურას, აქაურსაც და იქაურსაც.

ასე რომ, განა ესოდენ გასაოცარია ჰემინგუეის დასახელებული რომანის ხვედრი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, ჰემინგუეისთანა პოპულარული მწერალი (უცხოელთაგან) ბევრი როდი იყო საბჭოთა კავშირში. მილიონობით ფოტოსურათი, რომელიც ამშვენებდა კომფორტაბელური თუ კომუნალური ბინების კედლებს, მისი წიგნების უზარმაზარი ტირაჟები — თვალნათლივ მეტყველებს მის არცთუ სახარბიელო გარდასახვას „მოდურ“ მწერლად.

საკმარისია ითქვას, რომ ოცდაათიან წლებში ჰემინგუეის სახელი მწერლობის ყველა მოყვარულს პირზე ეკერა. რომანი „ფიესტა“ მოსკოვში გამოსცეს 1935 წელს; „მშვიდობით, იარაღო!“ — 1936 წელს; მოთხრობების მოზრდილი კრებული — 1939 წელს (შესადარებლად ისიც ვთქვათ, რომ ომამდელ წლებში უილიამ ფოლკნერის მხოლოდ ორი მოთხრობა იყო თარგმნილი რუსულად, სკოტ ფიტცჯერალდისა — არაფერი, თომას ვულფისა—ასევე არაფერი. ისინი კი თავად შეერთებულ შტატებში ჰემინგუეიზე არანაკლებ სახელგანთქმულნი იყვნენ).

ჰემინგუეის პოპულარობამ ახალი ძალით იფეთქა ორმოცდაათიან-სამოციანი წლების მიჯნაზე, ხრუშჩოვისეული „დათბობის“ ჟამს, რასაც ფოტოსურათებთან და დიდრონ ტირაჟებთან ერთად ჩინებულად ადასტურებს ერთი გახმაურებული ანეკდოტი: მოსკოვში ყოფნისას გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ჯონ სტაინბეკი ეზიარა რუსეთში გავრცელებულ ჩვეულებას — სამი კაცის დაამფსონებას საერთო სახსრებით არყის შესაძენად. სადარბაზოში გამართული ღრეობის სამივე მონაწილე ისე გამოთვრა, რომ მილიციის განყოფილებაში უკრეს თავი. სტაინბეკს ჰკითხეს: „თქვენ ვინ ხართ?“ მან ენის ბორძიკით ძლივს უპასუხა: „ამერიკელი მწერალი გახლავართ“, და სახეგაბრწყინებულმა მორიგემ მყისვე განუცხადა: „ამხანაგო ჰემინგუეი, შეგიძლიათ შინ წაბრძანდეთ!“

...ზემოთ აღვნიშნე, რომ ჰემინგუეის რომანი „ვისთვის რეკს ზარი“ შეერთებულ შტატებში 1940 წელს გამოქვეყნდა.

იმავე წლის დამლევს საბჭოთა ეროვნულ „ინტერნაციონალნაია ლიტერატურაში“ (№ 11-12) დაიბეჭდა ლინკოლნის სახელობის ინტერბრიგადის ვეტერანთა ღია წერილი ჰემინგუეისადმი, სადაც ვკითხულობთ შემდეგს:

„ჩვენ, ესპანეთის რესპუბლიკური არმიის ინტერბრიგადების წევრნი, დარწმუნებულნი იმ საქმის სიმართლეში, რისთვისაც ვიბრძოდით, ღრმა აღშფოთების გრძნობით ვგმობთ ამ ბრძოლის ასახვას თქვენს წიგნში „ვისთვის რეკს ზარი“... ჩვენ ხელსა ვკრავთ ამ წიგნს, როგორც ესპანეთის ომის ჭეშმარიტი სურათის გაყალბებას... ჩვენ ვასკვნით, რომ რომანი შორსაა ამ ომის „მართალი“ აღწერისაგან, რასაც ესწრაფვის თქვენი გმირი რობერტ ჯორდანი. პირიქით, თქვენი წიგნიდან იხატება იმდენად დამახინჯებული და შერყვნილი სურათი, რომ იგი გადაქცეულა ცილისწამებად იმ საქმეზე, რისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით და რომელმაც მოიპოვა მხარდაჭერა დემოკრატიულად განწყობილ ადამიანთა შორის მთელს მსოფლიოში, თქვენც კეთილშობილურად რომ უჭერდით მხარს თქვენი ნაწერებითა და პირადი მონაწილეობით“.

ესპანეთის სამოქალაქო ომის ამერიკელი ვეტერანები იმასაც საყვედურობდნენ მწერალს, რომ მან ყალბად ასახა სწორედ ამერიკელ მოხალისეთა ცხოვრება და ბრძოლა ესპანეთში, რომ მან ცილი დასწამა საბჭოთა კავშირს, ინტერბრიგადების რიგით წევრებსაც და მეთაურებსაც, აგრეთვე — მთელ ესპანელ ხალხს.

ღია წერილის ხელმომწერთა დასკვნით, ჰემინგუეის რომანი „ვისთვის რეკს ზარი“ წარმოადგენდა მშვიდობის, პროგრესისა და დემოკრატიის წმიდათაწმიდა საქმის წინააღმდეგ გამოხდომას.

ერთი სიტყვით, ეს გახლდათ ჩვეული ასორტიმენტი იდეოლოგიურ ბრალდებათა საწიმუშო კრებულიდან. და მაინც გაოცებას იწვევს ესოდენ ელვისებური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება, ანუ დაუყოვნებლივ თარგმნა რუსულ ენაზე წერილისა, რომელიც ეხებოდა საბჭოთა მკითხველისათვის უცნობ რომანს! ღია წერილის ტერმინოლოგია და სურვილი იმისა, რომ ლიტერატურა იყოს პოლიტიკურ დოგმათა ზედმიწევნით ზუსტი დასურათება, თვალნათლივ მიგვანიშნებს: ეს მართლაც ალმაშფოთებელი და ცილისმწამებლური დოკუმენტი მოსკოვიდან იყო ინსპირირებული.

ნიჭიერსა და პატიოსან მწერალს, უშიშარ მეომარსა და ესპანეთის სამოქალაქო ომის პირუთვნელ რეპორტიორს საჯაროდ გააწნეს სილა იმ ადამიანებმა, ვის საქმესაც ერთგულად ემსახურებოდა თავისი კალმით და მხარში ედგა ყოველი გასაჭირის ჟამს.

მაგრამ ამერიკელ მოხალისეთა ღია წერილს ვიღა ჩივის, როდესაც რომანის გათათხვას ხელი მოჰკიდეს პროფესიონალმა კრიტიკოსებმაც. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ამერიკელი მარქსისტები.

კარლოს ბეიკერი წიგნში „ერნესტ ჰემინგუეი“ ცრცლად იმოწმებს ამონაწერებს იმდროინდელი ამერიკული მემარცხენე გაზეთებიდან. ასე მაგალითად, მაიკლ გოლდის სიტყვით, ჰემინგუეი იყო „შეზღუდული, დამახინჯებული თავისი კლასის ეგოტიზმითა და გონებრივი სიღატაკით“. კრიტიკოსის აზრით, რომანმა დაამტკიცა, რომ უპრინციპო ადამიანმა, რომელსაც არ ესმის დემოკრატია და კომუნიზმი, თავისი პირადი მოტივების გამოისობით შეძლო მიმხრობოდა რესპუბლიკელებს ესპანეთის სამოქალაქო ომში და ერთგულებას იჩენდა წლების მანძილზე, მაგრამ როდესაც დემოკრატია დამარცხდა, მან ამჯობინა დეზერტირობა ისევე, როგორც ფრედერიკ ჰენრიმ მისსავე რომანში „მშვიდობით, იარაღო!“; მყისვე მიატოვა დემოკრატიის ბანაკი და „დატოვა კვალი წუწუნისა და ცილისწამებისა“.

მაიკლ გოლდს ბანს აძლევდა არანაკლებ ცნობილი მარქსისტი ალვა ბესი. იგი აღნიშნავდა, რომ ჰემინგუეიმ შეიღალა ის საქმე, რომლისთვისაც ამდენი გულადი ადამიანი იბრძოდა და დაიღუპა; მან ცილი დასწამა პასიონარიას და ანდრე მარტის; მან გააყალბა საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება რესპუბლიკური ესპანეთისადმი. კრიტიკოსი ყველაზე საშინელ ცოდვად იმას უთვლიდა ჰემინგუეის, რომ მან ვერ მოახერხა ეჩვენებინა თანადროული მსოფლიოსათვის, სადაც კვლავ მძვინვარებდა ფაშიზმი, თუ რაოდენ საჭირო და აუცილებელი იყო ესპანეთის სამოქალაქო ომი.

თუმცა ჰემინგუეი მეტ-ნაკლებად ელოდა ამგვარ რეაქციას, მაინც არ იყო მზად ესოდენ გაბოროტებული თავდასხმების მოსაგერიებლად. სცადა თავის მართლება: თუ მემარცხენეებს ნებავთ, რომ კვლავინდებურად იფიქრონ, თითქოსდა ლოიალისტებს (ე. ი. რესპუბლიკელებს) არავინ მოუკლავთ ესპანეთში, დაე, დატკბნენ თავიანთი ილუზიებით. მე კი ესპანეთში ყოფნისას ვიწამე კომუნისტური დისციპლინა, როგორც ყველაზე საღი და გონივრული ომში გასამარჯვებლად. მაგრამ ახლა ომი დამთავრდა, მწერლობას დავუბრუნდი და არა ვარ, ვთქვათ, კათოლიკე მწერალი ანდა პარტიული მწერალი, ან თუნდაც — ამერიკელი მწერალი. მე, უბრალოდ, მწერალი ვარ და ვცდილობ, მკითხველს ვუამბო სიმართლე, რომელიც დავინახე და შევიცანიო.

ამ საკითხის ირგვლივ ჰემინგუეის ჯერ კიდევ რომანის შექმნამდე, 1938 წელს, ესპანეთში მოუწია კამათი ამერიკელ კომუნისტ მწერალ ჯოზეფ ნორთთან. ჰემინგუეის უთქვამს: „მე მომწონს კომუნისტები, როდესაც ისინი ჯარისკაცები არიან, მაგრამ როდესაც მოძღვარნი ხდებიან, მე მძულს ისინი“.

სხვათა შორის, ამერიკელი მოხალისე რობერტ ჯორდანი, მთავარი გმირი რომანისა „ვისთვის რეკს ზარი“ ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ესპანეთის სამოქალაქო ომში კომუნისტური დისციპლინის თაობაზე და უსიტყვოდ ემორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩილება მისთვის უცხოსა და ძნელად მისაღებ ნორმებს.

იყო კიდევ ერთი ასპექტი ჰემინგუეის გაკრიტიკებისა. ძალზე იშვიათია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მკვიდრნი აღტაცებული დარჩნენ უცხოელი მწერლის ნაწერებით თავიანთი ქვეყნის შესახებ. ესპანელებიც არ წარმოადგენენ გამონაკლისს.

სამოქალაქო ომის მონაწილე ესპანელი კრიტიკოსი არტურო ბარეა ამტკიცებდა, რომ ჰემინგუეის წიგნი „ამახინჯებს სინამდვილეს", რომ ამერიკელი მწერალი ცილსა სწამებს ესპანეთსა და ესპანელებს (აბსურდული ბრალდებაა ესპანეთსა და ესპანელებზე უზომოდ შეყვარებული ჰემინგუეის მისამართით!).

ესპანელი კრიტიკოსის მიხედვით, ჰემინგუეის ძალუძდა დამაჯერებლად აღწერა იმისა, რასაც ხედავდა გარედან, მაგრამ მან მოინდომა მეტი — გამხდარიყო მონაწილე ესპანეთის ომისა, თუმცა არ გაუზიარებია ესპანელთა ცხოვრება, მისწრაფებანი, ტანჯვა და ამიტომაც ასახავდა შესაბამისად იმ ესპანეთს, რომელიც არსებობდა მის წარმოსახვაში.

არტურო ბარეა ასკვნიდა: „ამგვარად, ჰემინგუეის რომანის შინაგანი კრახი — უუნარობა მწერლისა გადმოგვცეს ესპანეთის ომის რეალობა მხატვრულ შემოქმედებაში—წარმოქმნილია, როგორც ვფიქრობ, იმის შედეგად, რომ ჰემინგუეი მაინც მაყურებელი იყო, რომელსაც სურდა გამხდარიყო მსახიობი".

მთელ ამ დავიდარაბაში ყველაზე უცნაური ის გახლდათ, რომ წიგნი გათათხეს მემარცხენეებმაც და დაიწუნეს მემარჯვენეებმაც!

მრავალი ამერიკელი კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევდა ჰემინგუეის რომანს, ისინი ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ეს იყო საუკეთესო ნაწარმოები — მიუხედავად მისი თემისა! კრიტიკოსები, რომელნიც ცუდი თვალით უყურებდნენ რესპუბლიკურ ესპანეთს, წუხდნენ, მოქმედების ადგილი და პერსონაჟები მარცხიანად არის არჩეულია, სინანულს გამოთქვამდნენ მწერლის „პოლიტიკური შეცდომების" გამო, მაგრამ მათ ხიბლავდათ რომანში სიცოცხლისა და სიკვდილის, სიყვარულისა და სიმამაცის მარადიული თემების ასახვა, გულწრფელ აღტაცებას გამოთქვამდნენ მწერლის ოსტატობის თაობაზე.

ასე რომ, მემარჯვენეებს არ ავიწყდებოდათ ესთეტიკური მრწამსი, მიუხედავად შეურიგებელი კონფრონტაციისა მწერლის პოლიტიკურ პოზიციასთან. ისინი უფრო ობიექტურად განიხილავდნენ რომანს, ვიდრე იდეოლოგიური შტამპებით მოწამლული მარქსისტი კრიტიკოსები.

კარლოს ბეიკერი იმოწმებს ჰემინგუეის რომანის დადებით შეფასებებსაც: „ძალზე სრულყოფილი, ღრმა და მართალი წიგნია" (დონალდ ადამსი); „იშვიათი და მშვენიერი წიგნია" (ბობ შერვუდი).

ისიც უნდა ითქვას, რომ „ინტერნაციონალნაია ლიტერატურას" ფურცლებზე დაბეჭდილი ღია წერილი ესპანეთის სამოქალაქო ომის ვეტერანთა საყოველთაო აზრს როდის გამოხატავდა. მე-15 ინტერბრიგადის მეათურმა, გერმანელმა ჰანს კალემ ჰემინგუეის რომანს უწოდა „დიდი და მართალი წიგნი". ფრანგი ინტერბრიგადელი დიურანი, გენერალ ვალტერთან ერთად რომ მონაწილეობდა სეგოვიაზე შეტევაში, რომელიც ასახულია რომანში, ასევე ქებით მოიხსენიებდა ამერიკელ ვეტერანთაგან განჭიქებულ წიგნს. ჩანს, ისინი არ ეკვემდებარებოდნენ მოსკოვის იდეოლოგიურ დირექტივებს.

ჰემინგუეი პოლიტიკოსი არ ყოფილა. ამბობდა კიდეც, მაინცდამაინც ვერ ვერკვევი პოლიტიკაში და არც მიყვარს, მაგრამ რას ნიშნავს ფაშიზმი, მშვენივრად ვიცი. ჰემინგუეი იყო მწერალი, რომელმაც არჩევანი გააკეთა და რესპუბლიკური ესპანეთის მხარეზე დადგა (ამერიკელი მოხალისეები არ იბრძოდნენ ფრანკოს მხარეზე!), მაგრამ არავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძღვრებას დაუბრმავებია მისი გონება. საუცხოოდ ერკვეოდა შექმნილ ვითარებაში, რასაც მეტყველებს თუნდაც მისი კერძო წერილი რუსი მთარგმნელის ივანე კაშკინისადმი, დათარიღებული 1935 წლის 19 აგვისტოთი. ჰემინგუეი წერდა კაშკინს: „ახლა, ყველა ცდილობს დაგაშინოს იმით, რომ თუ არ გახდები კომუნისტი ანდა არ გაიზიარებ მარქსისტულ თვალსაზრისს, მაშინ აღარ გეყოლება მეგობრები და მარტოდმარტო დარჩები. ეტყობა, ფიქრობენ, რომ მარტოობა შემზარავი რამ არის ანდა უმეგობროდ ყოფნა საშიშია. მირჩევნია, ერთი პატიოსანი მტერი მყავდეს, ვიდრე სიმრავლე იმ მეგობართა, რომელთაც ვიცნობდი. მე არ შემიძლია ახლა გავხდე კომუნისტი, ვინაიდან ერთადერთი რამ მწამს — თავისუფლება. ჯერ უნდა მივხედო საკუთარ თავს და ვაკეთო ჩემი საქმე; მერე უნდა ვიზრუნო ჩემს ოჯახზე; მერე უნდა შევეწიო მოყვასს. ოღონდ არაფერი მესაქმება სახელმწიფოსთან, რომელიც ჩემთვის მხოლოდ უსამართლო გადასახადების გამოხატულებაა. მისგან არასოდეს არაფერი მითხოვია. შესაძლოა, თქვენი სახელმწიფო უკეთესია, მაგრამ, ეს რომ დავიჯერო, საკუთარი თვალით უნდა ვნახო. თუმცა მაშინაც კი ცოტას თუ მივხვდები, რადგან რუსული არ ვიცი... რომელ დროშიც უნდა მეცხოვრა, ყოველთვის მოვახერხებდი საკუთარი თავის მოვლას, ცხადია, თუკი არ მომკლავდნენ. მწერალი ბოშასავით არის. თუკი ის კარგი მწერალია, არასოდეს ეტრფის იმ მთავრობას, რომლის ქვეშევრდომიც არის. ის ხმას იმაღლებს მთავრობის წინააღმდეგ, ხოლო მთავრობა თრგუნავს მას... მხოლოდ შეზღუდული ნიჭის მქონე მწერალს აქვს შეგნებული თავისი კლასობრივი კუთვნილება, ხოლო ვისაც საკმარისი ნიჭი მოეპოვება, იგი ყველა კლასს ეკუთვნის... რატომ უნდა ელოდეს მწერალი ჯილდოს ანდა აღიარებას რომელიმე სოციალური ჯგუფისა თუ რომელიმე მთავრობისაგან? ერთადერთი ჯილდო მწერლისა ისაა, რომ კარგად აკეთოს თავისი საქმე. ჩემთვის არ არსებობს იმაზე უკადრისი სანახაობა, ვიდრე ის თუ როგორ ლამობენ მოხვედრას საფრანგეთისა თუ სხვა ნებისმიერ აკადემიაში“.

ჰემინგუეი დასასრულ შენიშნავს, რომ ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები არასოდეს მოკვდება, რომელი პოლიტიკაც უნდა დაედოს საფუძვლად.

ცნობამ, რომ მისი ნაწერები უაღრესად პოპულარულია საბჭოთა კავშირში, ძლიერ გაახარა მწერალი. ის მაქსუელ პერკინს წერდა, რომ რუს მკითხველთა შორის თავისი პოპულარობით უკვე გაასწრო თეოდორ დრაიზერს, ჯონ დოს პასოსს, სინკლერ ლუისს და სხვებს. ჰემინგუეის აზრით, აშკარად მტკიცდებოდა ის ვარაუდი, რომ მკითხველს შეიძლება მოეწონოს მწერლის ნაწერები, მიუხედავად მისი პოლიტიკური მრწამსისა.

ჰემინგუეი დიდ პატივს სცემდა ზემოხსენებულ კაშკინს და ამბობდა: „სასიამოვნოა, რომ არსებობს ადამიანი, რომელსაც ესმის, რასაც წერ“, ხოლო 1939 წელს იგი აღნიშნავდა: „კაშკინმა დაწერა ჩემს წიგნებზე საუკეთესო და ჩემთვის ყველაზე მეტად ყურადსაღები კრიტიკული შეფასებანი იმათთან შედარებით, რომელიც ოდესმე წამიკითხავს. და მან ჩემს წიგნებზე, ალბათ, უფრო მეტი იცის, ვიდრე მე თვითონ“.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ჰემინგუეი, თავმობეზრებული ამერიკელ კრიტიკოსთა, თავდასხმებით, ეპირფერებოდა კაშკინს, როგორც მისი შემოქმედების მეხოტბეს. არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. საკმარისია დავიმოწმოთ ერთი ციტატა კაშკინის ვრცელი სტატიიდან (1934 წ.), ჰემინგუეის შემოქმედებას რომ ეძღვნებოდა (რუსულად არც უთარგმნიათ): „კითხულობთ ჰემინგუეის საყვარელი გმირის უსიხარულო ამბავს, მუდამ ერთი და იგივე რომ არის და ეცვლება მხოლოდ სახელი და თქვენ თანდათან ხვდებით, რომ ის, რაც გეგონათ მწერლის სახე, ყოფილა მხოლოდ ნიღაბი... თქვენ წარმოიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაკაცს, ავადმყოფურად გულჩახვეულს, ყოველთვის თავშეკავებულსა და ფრთხილს, ღრმად ჩაფლულს თავის ფიქრებში, ძალზე დაღლილს, მტკივნეულად რომ ატარებს ცხოვრებისეული ლაბირინთების უმძიმეს ტვირთს და უკიდურესი სასოწარკვეთისაკენ მიექანება". და ბოლოს, სამედიცინო დიაგნოზივით ეღერდა რუსი მთარგმნელისა და კრიტიკოსის შემაჯამებელი ფრაზა ჰემინგუეის შესახებ: „მენს მორბიდა ინ კორპორე სანო" (ქართულად — სნეული სული ჯანსაღ სხეულში).

...დავუბრუნდეთ ჰემინგუეის რომანის რუსული თარგმანის ისტორიას.

მიუხედავად ამერიკელ ვეტერანთა მკაცრი განაჩენისა, როგორც დღეს ირკვევა, მთარგმნელებმა ე. კალაშნიკოვამ და ნ. ვოლჟინამ მაინც მიიღეს შეკვეთა „გოსლიტიზდატისაგან" და 1941 წლის მარტში დაასრულეს თარგმნა რომანისა „ვისთვის რეკს ზარი", მაგრამ გავრცელდა ხმა, რომ თარგმანის ხელნაწერი წაიკითხა სტალინმა და ბრძანა: „საინტერესო წიგნია. დაბეჭდვა არ შეიძლება".

ხელნაწერს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთეულები გაეცნობოდნენ.

„ცივი ომის" წლებში ჰემინგუეის ნაწერები, სხვა უცხოელი „არაპროგრესული" მწერლების დარად, აღარ ქვეყნდებოდა საბჭოთა კავშირში. ბურთი და მოედანი დარჩათ ჯეიმზ ოლდრიჯსა და ჰოვარდ ფასტს.

1946 წელს ჰემინგუეი კერძო წერილში ეკითხებოდა კონსტანტინე სიმონოვს, თარგმნილი იყო თუ არა რუსულ ენაზე „ზარი" (შემოკლებით ასე იხსენიებდნენ რომანს). სიმონოვმა უპასუხა, თარგმანი არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ხელნაწერი ორჯერ მაქვს წაკითხულიო.

ჰემინგუეი იმავე სიმონოვს წერდა: „შეიძლება მისი გამოცემა მცირეოდენი ცვლილებებით ანდა ზოგიერთი გვარის გამოტოვებით" (თითქმის ზუსტად იწინასწარმეტყველა თავისი რომანის ხვედრი ოცი წლით ადრე რუსული თარგმანის გამოცემამდე).

1954 წელს გამოცხადდა ჰემინგუეის რომანი მალე გამოქვეყნდებაო, მაგრამ ესპანელი და ფრანგი კომუნისტების პროტესტის საფუძველზე წიგნი ამოვარდა გამომცემლობის გეგმიდან.

1963 წელს ისევ იყო მცდელობა გამოცემისა, მაგრამ ანაწყობი ბოლო მომენტში დაშალეს. ესპანეთის კომპარტიის ლიდერები დოლორეს იბარური და ენრიკე ლისტერი, თავიანთ თანამოაზრეებთან ერთად, გადაჭრით წინააღმდეგი იყვნენ.

თვით ჰემინგუეიც თავისი გამონათქვამიდან ერთგვარად აფერხებდა „ზარის" რეაბილიტაციას. კერძოდ, 1958 წელს, როდესაც ხრუშჩოვი სამშობლოდან აძევებდა ბორის პასტერნაკს, ჩვენმა მტრებმა ნობელის პრემია რატომ მოგანიჭესო, ჰემინგუეი გამოექომაგა დიდ რუს პოეტს და საჯაროდ განაცხადა: „მე ვაჩუქებ სახლს და ყველაფერს მოვიმოქმედებ, რათა გავუადვილო დასავლურ ცხოვრებასთან შეჩვევა. მინდა შევუქმნა იმგვარი ატმოსფერო, რომელიც აუცილებელია მისი შემოქმედების გასაგრძელებლად. მე ვიცი, რაოდენ ღრმადაა ფესვგადგმული მის გულში რუსეთი. ისეთი გენიოსისათვის, როგორიც არის პასტერნაკი, სამშობლოს მიტოვება ტრაგიკული მოვლენაა. მაგრამ თუკი ის მაინც ჩამოვა ჩვენთან, იმედი არ უნდა გავუცრუოთ. მე ყველაფერს ვიღონებ, რაც ჩემს მოკრძალებულ ძალებს ხელეწიფება, რათა მსოფლიოს შევუნარჩუნო მისი შემოქმედებითი სული. მუდამ დღე ვფიქრობ პასტერნაკზე".

საბჭოთა იდეოლოგიის მესვეურებს, რასაკვირველია, არ გამოეპარებოდათ ამერიკელი მწერლის ესოდენ თამამი განცხადება და ისიც ნათელია, რომ სათანადო დასკვნებს გამოიტანდნენ.

1965 წელს, „ვისთვის რეკს ზარი" დაიბეჭდა რუსულად, ყოველგვარი კუპიურების გარეშე. ეს იყო ე. წ. „დახურული გამოცემა", ყოველი ეგზემპლარი დანომრილი იყო, ინახებოდა სეიფში და მხოლოდ გამორჩეული პირნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახერხებდნენ წაკითხვას, თუკი ინებებდნენ.

და მხოლოდ 1968 წელს ეღირსა რომანს გამოქვეყნება ჰემინგუეის თხზულებათა მესამე ტომში, ამჯერად — გარკვეული კუპიურებით.

სანიმუშოდ დავიმოწმოთ ზოგიერთი მათგანი.

რომანის მთავარი გმირის ამერიკელი მოხალისის რობერტ ჯორდანის შინაგან მონოლოგში ცენზორს ამოუგდია აბზაცი, რომელიც მოჰყვება ფრაზას: „თუკი რაიმე სამართლიანია არსებითად, სიცრუეს არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა". ახალ დავხედოთ რუსულ თარგმანში გაუქმებულ ტექსტს: **„მაგრამ ძალზე ბევრი იყო სიცრუე. თავდაპირველად მას არ აწუხებდა სიცრუე, მხოლოდ სძულდა იგი. მერე კი შეეჩვია. ეს იყო ხარკი იმათ წიაღში ყოფნისათვის, მაგრამ ძალზე გამხრწნელი რამ იყო".**

რუსები ცხოვრობდნენ სასტუმრო „გეილორდში", სადაც ხშირად დაიარებოდა ჰემინგუეი (და შესაბამისად — რობერტ ჯორდანიც). და აი, როგორი კუპიურა მოჰყვა ჯორდანის ფიქრებს: **„თვითონ „გეილორდი" შეუფერებლად მდიდრული და გარყვნილი ეჩვენებოდა. მაგრამ რატომ არ ეკუთვნოდათ წარმომადგენელთ იმ ხელისუფლებისა, რომელიც განაგებდა მსოფლიოს მეექვსედს, ცოტაოდენი კომფორტი? ჰოდა, ჰქონდათ კიდეც და თუმცა რობერტ ჯორდანს თავდაპირველად ეუცხოებოდა იქაურობა, შემდეგ შეეგუა და განცხრომას მიეცა".**

ოტელ „გეილორდში" ჰემინგუეის მარქსიზმსა და პოლიტიკაში ანათლებდა ცნობილი საბჭოთა ჟურნალისტი კოლცოვი (რომანში — კარკოვი).

ჰემინგუეის სიტყვით, კოლცოვმა იცოდა, რომ მისი ამერიკელი მეგობარი კეთილგანწყობილი არ არის კომუნიზმის მიმართ, მაგრამ რადგან სჯეროდა ერნესტისა, როგორც მწერლისა, ცდილობდა აეხსნა მისთვის მოვლენათა მსვლელობის ჭეშმარიტი არსი, რათა შემდგომში სიმართლე დაეწერა ესპანეთის სამოქალაქო ომზე. რომანში კარკოვი, სხვათა შორის, გულახდილად უხსნის ჯორდანს, რომ კომუნისტები პოლიტიკურ მკვლელობათა მეთოდს ხშირად მიმართავენ შინაური მტრების წინააღმდეგ (ამ მეთოდის მსხვერპლი მალე თვით კოლცოვი გახდა).

ცოტა არ იყოს, გასაკვირია, მაგრამ კუპიურები შეეხო კოლცოვის პირად ცხოვრებას. ჰემინგუეი წერს: **„ჯორდანი და კარკოვი დამეგობრდნენ. ჯორდანი დაუმეგობრდა აგრეთვე კარკოვის ცოლს — გამხდარ, შავგვრემან, ნაზ, ნერვულ და თავშეუკავებელ ქალს, მოკლედ შეკრეჭილი, შეჭაღარავებული თმა რომ ჰქონდა და სატანკო კორპუსში მსახურობდა თარჯიმნად. ჯორდანი დაუმეგობრდა აგრეთვე კარკოვის საყვარელს... თითქოსდა კარკოვს, სატანკო კორპუსის თარჯიმნის გარდა, სადღაც კიდევ სხვა ცოლი ჰყავდა, მაგრამ ზუსტად არავინ იცოდა. რობერტ ჯორდანს ორივე მოსწონდა: კარკოვის ცოლიც, რომელსაც იცნობდა და საყვარელიც. იგი ფიქრობდა, რომ ალბათ მოეწონებოდა ის სხვა ცოლიც, თუკი გაიცნობდა და თუკი ის საერთოდ არსებობდა. კარკოვს კარგი გემოვნება ჰქონდა ქალებში".**

საბჭოთა ცენზორთა აზრით, რა თქმა უნდა, ამგვარი ლაღობა მომაკვდინებელ ცოდვებად ჩაეთვლებოდა საბჭოთა ჟურნალისტს, რომელიც ესპანეთში სამაგალითო წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოსი.

ზემოთქმული კუპიურის თავისებურ განმარტებად გამოდგება მცირე ნაწყვეტი რობერტ ჯორდანის შინაგანი მონოლოგიდან (ასევე ამოგდებული რუსული თარგმანიდან): **„როდესაც ლოთობ ანდა მრუშობა, ამით აღიარებ შენს პირად შეცოდებას, გადახვევას პარტიული ხაზიდან, მოციქულთა მოძღვრების სუროგატად რომ მოგვევლინა".**

ჰემინგუეი აღნიშნავს, რომ მადრიდის ერთ ჰოსპიტალში იწვნენ სასიკვდილოდ განწირული ორი რუსი ტანკისტი და ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდა და მტანჯველი იყო ამის შეგრძნება. ბოლოს ყვირილი გაბოროტებულ კივილში გადაიზარდა და მანამ გაგრძელდა, სანამ გონება დაკარგა.

●

დონის დედას აღარ შემოუღია ჭიშკარი. დახვეული იწვა გაუნძრეველად. სხვაც ნაკლებად აჭრიალებდა ჭიშკარს. იმ წივილ-კივილისა და წყევლა-კრულვის მერე დონის ყველა ერიდებოდა. მაშინ სიძულვილისა და შურისძიების გრძნობას რომ არ დაეხრჩო, დონიმ გონება დაკარგა. გონს მოსულს ეს გრძნობები აღარ აწუხებდა, ახლობლები ეხვია გარს და სული დარბილებოდა. ძმას მისი მაჯა ეჭირა ხელში, საწოლთან მოეედგა სკამი და მწუხარედ დაჰყურებდა. თვალი გაახილა თუ არა, მის უზომო ტკივილით სავსე თვალებს წააწყდა. თვალი აარიდა და ერთ ასეთ წყვილს კიდევ შეეფეთა ოთახის ბოლოს. გაბო მიყრდნობოდა ფანჯრის რაფას და იქიდან გამოჰყურებდა. ფეხზე ძლივს იდგა, ერთიანად მოშვებულს, რაღაც აკავებდა, რომ იქვე არ დახვავებულიყო. ერთადერთი ნაკვთი, სიმტკიცეს რომ გამოხატავდა, კუშტად მოყვანილი ნიკაპი იყო, თითქოს ამ ერთ გოჯ კუნთში შეეფარებინა თავი სხეულსაც და სულსაც. ბიცოლას სახეს ვერ ხედავდა, ზურგით იჯდა მაგიდასთან. მსუქანი მხრები უთრთოდა და დონის ვერ გაერკვია, ქვითინებდა, თუ მის კალთაში მჯდარ გიოს უნანავებდა. ასე იყო თუ ისე, მთრთოლვარე მხრები უღონო სასოწარკვეთას გამოხატავდა, ისეთს, რაღაც ძალის წინაშე უძლურებას რომ ნიშნავს. ოღონდ ამ უძლურებას და უძლურებიდან გამომდინარე სასოწარკვეთას ზღვარი ედებოდა. ეს ზღვარი ბიცოლას თეთრი, მსუქანი, მარცხენა მკლავი იყო, გიოს მუხლებზე ბორცვივით რომ ამაღლებულიყო. იმის იქით, თითქოს სხვა ცხოვრება იწყებოდა. გიოს ორი, უდარდელად მოქანავე ფეხი ნათელი სხივივით ეკიდა ჰაერში.

— უკეთ ხარ? — ვიღაც ხმაგაბზარულმა, თბილი ხელი გადაუსვა შუბლზე.

მიხვდა, რძალი იქნებოდა, გიოს დედა. არ აუხედავს. ოცნებობდა, დედის ხელი მადევს შუბლზეო და ისე ძალიან მოუნდა, ეს ასეც ყოფილიყო, რძლის ხელი სახეზე მიიკრა. მერე ატირდა, ამ ხნის მანძილზე პირველად. ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა, სულ დაასველა ხელი. გიოს დედაც ტიროდა. აწყნარებდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. დედამ მიგვატოვაო, შესჩიოდა ძმას, მაგრამ ვერაფერს აგებინებდა, თავს ვერ უყრიდა სიტყვებს.

გაგვისკდა გულებიო, მოთქვამდა საწოლთან დამხობილი ბიცოლა და დონის ფეხებს უკოცნიდა. „შენც თუ არ შეგვიწყე ხელი, დავიღუპებით, ბიცოლა, წამალი გაქვს გაკეთებული და, როგორმე თავი შეიკავე, არ იმოქმედებს“.

არ იმოქმედებსო? უკვირდა დონის და საბრალო, საყვარელი, ფუნთუშა, სულის გატეხამდე არასოდეს არ მიჰყავს საქმეო, ფიქრობდა, თავის მხრივ, ბიცოლაზე.

ზღვარი ახლა მის უსიცოცხლო, გაყინულ ფეხებს ჰქონდა შემოსალტული, თითქოს სურდა, სიცივე და უძლურება აქვე ჩაეხშო.

— ნუ გეშინია, ბიცოლა, ყველაფერს მოევლება როგორმე, ჩემთან იქნები, მოგივლი, არაფერს მოგაკლებ, აქაურობას გაბო მიხედავს. დედასაც ეშველება ამ სობაში, აბა, რა იქნება, — ხმა გაუბედავი გაუხდა:— მთავარია შენ არ დაეცე.

„ყველა სატანჯველს შრომით პასუხობს“, — ისევ ბიცოლაზე ფიქრობდა დონი, აღარ ტიროდა, სლუკუნებდა. ბიცოლა ლოყით ფეხისგულს უთბობდა, ის კი, მე ამ საქმეში არ გამოგადგები, მოვლა ახლა სიკვდილის პირამდე მიმიყვანსო, ეპასუხებოდა გუნებაში. ახლა მთავარი იყო, დუმილი არ ჩამოვარდნილიყო, სიჩუმე აუტანელი იქნებოდა ყველასთვის და ქალს, რომელიც ამას ახერხებდა, მადლიერებით დაჰყურებდნენ კაცები (ორივე ფეხზე იდგა, ერთს ბავშვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიც მფრინავი, რომლებიც იმყოფებოდნენ კარკოვის მეურვეობის ქვეშ. ისინი არ უნდა ჩავარდნოდნენ ხელში მტერს; თუკი რესპუბლიკელები დატოვებდნენ მადრიდს. კარკოვს უნდა მოეწამლა ისინი. რუსულ თარგმანში გამოტოვებულია შემდეგი ფრაზა: **„უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ არ დარჩენილიყო არავითარი საბუთი რუსების ინტერვენციისა, რითაც გაამართლებდნენ ფაშისტთა აშკარა ინტერვენციას“.**

ის რუსები კი ისე იყვნენ დამწვარდასახიჩრებულნი, რომ კაცი ველარ გაარჩევდა მათს ეროვნებას. ხოლო ცოცხლები რომ დარჩენილიყვნენ, ვაითუ ხმა ამოეღოთ და გამოეთქვათ თავისი ვინაობა...

განსაკუთრებით საინტერესოა ერთი თითქოსდა უმნიშვნელო და მცირე კუპიურა, რომანის დასაწყისშივე რომ გვხვდება.

რობერტ ჯორდანი მტრის ზურგში მიდის რესპუბლიკელთა მიერ დაგეგმილი შეტევისას სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდის ასაფეთქებლად. მას მოძღვრავს გენერალი გოლცი, რომლის პროტოტიპი გახლავთ გენერალი კაროლ სვარჩევსკი. ესპანეთში გენერალ ვალტერის სახელით ცნობილი. იგი დაბადებული იყო ვარშავაში, აღზრდაგანათლება რუსეთში მიიღო, რევოლუციის შემდგომ სამოქალაქო ომის დროს იბრძოდა წითელ არმიაში, ხოლო ესპანეთში გამგზავრებამდე მოღვაწეობდა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში. ესპანეთში მეთაურობდა მე-14 ბრიგადას, რომელმაც თავი გამოიჩინა მადრიდის დაცვისას.

რომანის რუსულ თარგმანში გენერალი გოლცი ასე მიმართავს ჯორდანს: „თქვენ ფიქრობთ არა მარტო გოგოებზე, არამედ ბევრ სხვა რამეზეც. მე საერთოდ არაფერ ამგვარზე არა ვფიქრობ, რისთვის მჭირდება?“

შტაბის ოფიცერი, რომელიც რუკას დაჰყურებს, რაღაცას ჩაიბუზღუნებს ჯორდანისათვის უცხო ენაზე. გოლცი ინგლისურად გასცემს პასუხს: „მომეშვი, მინდა ვიხუმრო და კბუმრობ. ისეთი სერიოზული ვარ, რომ ჩემთვის ხანდახან შეიძლება ხუმრობა“.

რამხელა ტაქტით არის გამოყვანილი გენერალი გოლცი — ინგლისურად მიმართავს რუს კოლეგას, ჯორდანი რომ არ დააეჭვოს.

ინგლისურ დედანში გოლცის ხუმრობას ნიუანსური სხვაობა დაჰკრავს: **„თქვენ არასოდეს ფიქრობთ მხოლოდ გოგოებზე. მე კი საერთოდ არ ვფიქრობ. რატომ უნდა ვიფიქრო? მე ხომ საბჭოთა გენერალი ვარ. მე არასოდეს ვფიქრობ. ნუ ცდილობთ ჩემს ჩათრევას ფიქრებში“.**

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჰემინგუეის რომანის რუსულად გამოცემას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ დოლორეს იბარური და ენრიკე ლისტერი. მათ ამგვარ პოზიციას სუბიექტური მოტივებიც განაპირობებდა. გენერალი ლისტერი, სხვათა შორის, აღნიშნავდა, რომ ჰემინგუეის რომანი არის „უხეში კარიკატურა ჩვენს ომზე“ და „ესპანელი ხალხის ბრძოლის შეურაცხყოფა“.

აი, ის კუპიურა, სადაც მსჯელობაა ლისტერის შესახებ:

„იგი იყო ნამდვილი ფანატიკოსი და როგორც ჰეშმარიტ ესპანელს ნაკლებად ჰქონდა მოწიწება სიცოცხლის წინაშე. იშვიათია ჯარი, დაწყებული დასავლეთში თათარ-მონღოლთა პირველი შემოსევიდან — ვიდრე დღემდე, სადაც მეომრები უმალვე ისჯებოდნენ თითქმის ტუუილუბრალოდ, ისე როგორც ისჯებოდნენ ლისტერის ხელქვეითნი“.

რაც შეეხება დოლორეს იბარურის, მიუხედავად მთელი თავისი ლიბერალისტური სიმპათიებისა, ჰემინგუეის არ შეეძლო აეტანა ის პროპაგანდისტული კამპანია, რომელმაც აღაზევა კომუნისტი გლეხი ქალი ბასკთა პროვინციიდან და გადააქცია მემარცხენეთა წმინდანად. კარლოს ბეიკერის მოწმობით, მწერალი ეუბნებოდა თავის მეგობრებს: „დოლორესი მუდამ გულს მირევს, მუდამ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, რომანში კარკოვი ესაუბრება გაზეთ „იზვესტიას“ კორესპონდენტს ესპანეთში (პროტოტიპი — ილია ერენბურგი).

ამ ტექსტის რუსულ თარგმანში გამოტოვებულია მათი დიალოგის მოზრდილი ნაწყვეტი:

„— მისი სახე განათებული იყო ახალი ამბის ჭეშმარიტებით. ეს დიდებული სახე, — თქვა მან აღტაცებით.

— ეს დიდებული სახე, — გაიმეორა კარკოვმა ხმაში ყოველგვარი ინტონაციის გარეშე.

— შენ რომ მოგესმინა მისგან ეს ახალი ამბავი! ისეთი სინათლით ბრწყინავდა მისი სახე, პირდაპირ არაამქვეყნიური სინათლით. ტყუილად როდი ეძახიან ჰასიონარიას!

— ტყუილად როდი ეძახიან, — თქვა კარკოვმა მონოტონური ხმით.

— ეს არის ქალი, რომელსაც არ შეიძლება დასცინო. შენისთანა ცინიკოსმაც კი არ შეიძლება დასცინოს. შენ რომ აქ ყოფილიყავ, მოგესმინა მისთვის და გენახა მისი სახე...

— ეს დიდებული სახე, — თქვა კარკოვმა, — ეს დიდებული ხმა. ახლავე ჩაიწერე, გაზეთისათვის გამოგადგება“.

რა თქმა უნდა, ესპანეთის კომპარტიის ბელადს არაფრად ესიამოვნებოდა დამოწმებულ ტექსტში კარკოვ-კოლცოვის მიერ აშკარად გამოხატული ირონია. ვინ იცის, ამგვარმა თამამმა ესკაპადებმაც შეუმოკლა სიცოცხლის დღენი სახელმოხვეჭილ ჟურნალისტს (რობერტ კონვესტი თავის წიგნში „დიდი ტერორი“ დოლორეს იბარურის შესახებ აღნიშნავს: ეს ქალი ცნობილი იყო იმით, რომ არასოდეს განიცდიდა სიწდისის ქენჯნას).

საინტერესო ფაქტია, რომ კუპიურები არ შეეხო ანდრე მარტის — გამოჩენილ ფრანგ კომუნისტს, ესპანეთის ინტერბრიგადების უმაღლეს კომისარს. ჰემინგუეის რომანში მას ეძახიან ანდრე მასარს, რუსულ თარგმანში მისი გვარი გაშიფრულია (ერთადერთი გამონაკლისი დაუშვეს!). საქმე ისაა, რომ ომისშემდგომ წლებში, როცა „ცივი ომი“ გაჩაღდა, სტალინმა რატომღაც შერისხა მანამდე უზომოდ ნალოლიავები ანდრე მარტი და იგი კომუნიზმის რენეგატად მონათლეს. დიდი იყო მისი პოპულარობა საბჭოთა კავშირში. თუნდაც ის რად ღირს, რომ თბილისში დღევანდელ ლეო ქიაჩელის ქუჩას ერქვა მარტის ქუჩა. ბევრ უცხოელ კომუნისტს როდი რგებია ესოდენ დიდი პატივი!

ლინკოლნის სახელობის ბატალიონის ვეტერანები 1940 წელს საყვედურობდნენ ჰემინგუეის ანდრე მარტის ცილისწამების გამო. 1947 წელს ფრანგულ ენაზე რომ გამოვიდა რომანი, იგივე საყვედური გაიმეორეს ფრანგებმა.

მაგრამ, როგორც გაირკვა, სიმართლე ჰემინგუეის მხარეზე იყო.

კ. ბეიკერის სიტყვით, როდესაც ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ანდრე მალრომ ჰკითხა ჰემინგუეის, როდის აპირებდა ნაწარმოების შექმნას ესპანეთის სამოქალაქო ომის თემაზე, ჰემინგუეიმ უპასუხა, რომ იძულებულია დაელოდოს იმ დროს, როდესაც შეძლებს სიმართლის დაწერას „ამ ძაღლიშვილი მარტის“ შესახებ. არ სურდა ჩირქი მოეცხო ლოიალისტებისათვის. მაგრამ, ეტყობა, მალე მიხვდა, რომ დიდი ხნის ლოდინი მოუწევდა, სანამ თვით კომუნისტები გაწირავდნენ მარტის და ამიტომაც აღარაფერს გაუწია ანგარიში.

რომანში დაუნდობლად აქვს ახდილი ნიღაბი ანდრე მარტის. ერთი ეპიზოდიც კმარა მისი დახასიათებისათვის. რაღაც გაუგებრობის გამო, მარტის ეჭვი შეაქვს გენერალ გოლცის ერთგულებაში და ფიქრობს ისეთი თავზარდაცემისა და აღტაცების შეზავებით, როგორიც შეიძლება იგრძნოს კაცმა, რომელმაც ეს-ეს არის შეიტყო, რომ მისი მეტოქე ბიზნესში უეცრად შეეწირა ავტოკატასტროფას ანდა იმ პიროვნებას, ვინც გძულს, მაგრამ ვისი პატიოსნებაც ეჭვმიუტანელია, თურმე ფული გაუფლან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავს. და ანდრე მარტის ინტრიგანულ ტვინში კალეიდოსკოპივით ტრიალებს ეჭვი და რწმენა: ნუთუ გოლცი ასე აშკარად დაუკავშირდა ფაშისტებს? გოლცი, რომელსაც იცნობს თითქმის ოცი წელიწადი. გოლცი, რომელმაც ხელთ იგდო ოქროს მატარებელი იმ ზამთარს, ციმბირში. ლუკაჩთან ერთად. გოლცი, რომელიც იბრძოდა კოლჩაკის წინააღმდეგ და იბრძოდა პოლონეთშიც (ე. ი. 1920 წელს). იბრძოდა კავკასიაში, იბრძოდა ჩინეთში და ბოლოს — აქ, ესპანეთში, პირველი ოქტომბრიდან. მეორე მარტის ფიქრებში დადებით ბალანსს ენაცვლება უარყოფითი: მაგრამ ის ახლოს იყო ტუხაჩევსკისთან; მართალია, ვოროშილოვთანაც ახლოს იყო, მაგრამ მთავარია, რომ ტუხაჩევსკისთან იყო ახლოს (ე. ი. „ხალხის მტერს" მეგობრობდა)...

შემდეგ ხატოვანება შეეპარება ფიქრში — როდესაც მოჭრილ დამპალ ტოტებს მხოლოდ მაშინღა დარჩება ჯანსაღი ხე და გაიზრდებაო.

„მან იცოდა, რომ არავის არ შეიძლება ენდო. არავის. არასოდეს. არც შენს ცოლს, არც შენს ძმას, არც შენს ძველისძველ მეგობარს. არავის. არასოდეს". — აი, ასეთია ანდრე მარტის პოლიტიკური კრედო და, ცხადია, იგი გამონაკლისი არ გახლდათ. მის სულში შესანიშნავად არის კონცენტრირებული შეუვალი და ეჭვმიუტანელი პროგრამა, რომელიც ფოლადის ხელით უნდა განახორციელო, აღარც მტერი უნდა დაინდო, აღარც მოკეთე. და ანდრე მარტი, ყურმოჭრილი ყმა სტალინისა, წარბშეუხრელად, უყოყმანოდ ახორციელებს კრემლიდან მოსულ ინსტრუქციებს. მაგან რომ ხალხი ამოწყვიტა, მაგდენს შავი ჭირი ვერ მოახერხებდაო, მწარედ ხუმრობს რესპუბლიკელი კაპრალი. და ესპანელები ინტერბრიგადების უმაღლეს კომისარს ეძახიან „გიჟს".

გენერალი გოლცი გაგულისებით ფიქრობს: შენი დახვრეტა მიჯობდა, ანდრე მასარ, ვიდრე ნებას გაძლევდე, რომ შენი ბინძური თითი დაფათურობდეს ჩემს რუკაზე. წყეულიმც იყავ ყველა ადამიანის გულისათვის, რომლებიც მხოლოდ იმიტომ დაიღუპნენ, შენ რომ ცხვირსა ჰყოფ იმ საქმეში, რისაც არაფერი გაგეგება. წყეულიმც იყოს ის დღე, როდესაც შენი სახელის დარქმევა დაუწყეს სატრაქტორო ქარხნებს, სოფლებს, კოოპერატივებს და შენ გადაიქეცი სიმბოლოდ, რომელსაც ხელს ვეღარ ვახლებ.

მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ყოველივე ზემოთქმული პირში მიახალოს მარტის, გოლცი ზრდილობიანად უსმენს და ეუბნება: დიახ, ამხანაგო მასარ, მე მესმის თქვენი. მაგრამ ვერ დაგეთანხმებით. შეგიძლიათ აღძრათ საკითხი პარტიული წესით. მაგრამ მე არ გეთანხმებით.

კარკოვი უფრო უკომპრომისოა, როგორც სტალინის პირადი ნდობით აღჭურვილი ფიგურა. მარტი და კარკოვი ასე მიმართავენ ერთმანეთს: „ტოვარიშჩ კარკოვ — ტოვარიშჩ მასარ!"

კარკოვი საკმაოდ აგდებულად ეუბნება განუსაზღვრელი ძალაუფლების პატრონ ფრანგ კომისარს: „მე ვაპირებ გამოვიკვლიო, თუ რამდენად ხელშეუხებელი ხართ, ამხანაგო მასარ! მინდა ვიცოდე, ხომ არაა შესაძლებელი, შეიცვალოს სახელწოდება იმ სატრაქტორო ქარხნისა".

ყოველივე ეს მოგონილს არა ჰგავს და კარკოვის „ცოდვები", უეჭველია, კოლცოვს უნდა მივაწეროთ, როგორც ჩანს, სტალინისგან განებივრებულს ავიწყდებოდა, რომ სტალინის ყოვლისშემძლე ფავორიტის ლუბიანკის უმწეო ტუსაღად გადაქცევას კრემლის მბრძანებლის თვალის ერთი დახამხამება ეყოფოდა.

ვინ იცის, ეგებ შეჯახება არანაკლებად გავლენიან ფრანგ ფავორიტთან იყო უმთავრესი მიზეზი კოლცოვის დაპატიმრებისა და დაღუპვისა.

...ამ რამდენიმე წლის წინათ აწ განსვენებული რაისა ორლოვა, ამერიკული ლიტერატურის მკვლევარი, მეუღლე ცნობილი გერმანისტისა და დისიდენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის ლევ კოპელევისა, წერდა ჰემინგუეის ხსენებული ნაწარმოების შესახებ:

„ჩვენს დროში უკვე დაიწყეს განდგომა ამ რომანისაგან სხვაგვარი შეხედულების ადამიანებმაც. უფრო რადიკალურად გადააფასეს მოვლენები, იდეები, მოლვაწენი „რუსეთის საზარელი წლებისა“. სხვადასხვა თაობის მრავალი ინტელიგენტი ხდებოდა შეუწყნარებელი ფანატიკოსი; ჩქარობდნენ, დაეწვათ ის, რასაც გუშინ თაყვანს სცემდნენ და თაყვანი ეცათ მისთვის, რასაც გუშინ წვავდნენ. ამას ემსხვერპლა „ზარიც“. ზოგმა დაინახა ჯორდანში „სულელი, გულუბრყვილო მეოცნებე“, ზოგმაც — სტალინის მოკავშირე დასავლეთში (ელმუნდ უილსონმა ჯერ კიდევ 1941 წელს ამ წიგნს „სტალინისტური“ უწოდა). და მათ უკუაგდეს წიგნი, რომლის გმირი, თუნდაც ომის დროს, ხდება კომუნისტების თანამოსანგრე. ის ფურცლები, რომელნიც მეოთხედი საუკუნის მანძილზე საბუთად ემსახურებოდა წიგნის გამოცემას, დროების შეცვლისთანავე ხელსაკრავი გახდა“.

აი, ასე იქნა შერისხული (კიდევ ერთ-ხელ!) ერნესტ ჰემინგუეის შესანიშნავი რომანი, რომლის პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ 1943 წლისათვის მილიონი ეგზემპლარი წიგნისა გაიყიდა შეერთებულ შტატებში.

ჰემინგუეი, რა თქმა უნდა, იმ მხარეზე იდგებოდა, სადაც იდგა, ვინაიდან, სხვას რომ თავი დავანებოთ, მოწინააღმდეგე მხარეზე ამერიკელები არ ყოფილან (ვგულისხმობ ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილეებს). ხოლო ჰემინგუეისთან ერთად ესპანეთის რესპუბლიკის ინტერესებს იცავდა ლინკოლნის სახელობის ბატალიონი.

დიახ, იგი სიმპათიით ასახავს ერთი მხარის პოზიციას, მაგრამ ხედავს ავსაც, კარგად ამჩნევს ყოველგვარ უკეთურობას. ამიტომაც არ დაიშურეს საყვედურები მემარცხენე კრიტიკოსებმა; ამიტომაც გადაიდო ოცდარვა წლით „ზარის“ რუსულ ენაზე გამოცემა.

1938 წელს (რომანის შექმნამდე) ჰემინგუეი სევდისა და გულისწყრომის შეზავებით ახასიათებდა ესპანეთის სამოქალაქო ომს: „მუხანათობისა და სულმდაბლობის კარნავალი ორივე მხრიდან“.

ობიექტურად რომ შევაფასოთ, მაინც რესპუბლიკელთა მხარეს ემსახურებოდა მისი მშვენიერი რომანი.

იქნებ ეს იყო „გენიალური შეცდომა“ დიდი ამერიკელი მწერლისა?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რემონ დიუგე

მოსკოვი და ნამებული საქართველო

შოთა რუსთაველი იყო მე-12 საუკუნის ყველაზე დიდი პოეტი, შეიძლება ითქვას, საქართველოს ყველაზე დიდი პოეტი. მისი „ვეფხისტყაოსანი" ბევრ უცხო ენაზე ითარგმნა. პოეტმა უკვდავყო თამარის მშვენიერი მეფობა.

მე-15 საუკუნეში მუსლიმანების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ ქართველები გამოაცალკევა. მათი მდგომარეობა უფრო რთული გახდა. ქრისტიანობა მას მარტოს უნდა დაეცვა.

მე-15, 16, 17 საუკუნეებში მუსლიმანურმა ძალმომრეობამ იმატა, რამაც საქართველოს ბევრი უბედურება მოუტანა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველები, როგორც წესი, ბოროტს კეთილად პასუხობდნენ. მართალია, მაჰმადიანი დამპყრობლების ხელში საქართველომ ბევრი ტანჯვა-ვაება გამოიარა, მაგრამ თუ მუსლიმანები ამ ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდნენ, ქართველები მათ კარგად ეპყრობოდნენ.

●

მე-17 საუკუნეში საქართველოს ერთდროულად დაეშუქრნენ თურქები და სპარსელები, ქართველებმა დამპარებისათვის ხმა ჭრისტიან ერებს მიმართეს. ამ მიზნით თავადი სულხან-საბა ორბელიანი, როგორც სრულუფლებიანი ელჩი, რომსა და საფრანგეთში მიემგზავრება. ვერსალში იგი ლუი XIV მიიღო, მაგრამ ამ დემარშებს არავითარი შედეგი არ მოუყოლია.

მე-18 საუკუნეში, ერეკლე II მეფობის ჟამს (1762-1798) საქართველოში ერთგვარი გაშოცოცხლება შეინიშნება. ქვეყანა ნამდვილად წელში გაიმართა. საგარეო ურთიერთობებში და მეტადრე საშინაო საქმეში საქართველოს გარკვეული გავლენაც კი ჰქონდა სპარსეთის პოლიტიკაზე. ფრიდრიხ II და ეკატერინე II თავიანთ გენერლებს შორად მიუთითებდნენ ერეკლე II საშინაო გამჭრიახობაზე. მაგრამ დიდხანს იზოლირებულად დარჩენა საქართველოს აღარ შეეძლო. მუსლიმანური თავდასხმის მუდმივი საშიშროებაც უნდა მომხპარიყო. რაკი დასავლეთის სახელმწიფოებთან ადრინდელმა დამპარებებმა ნაყოფი არ გამოიღო, ერეკლე II რუსეთის იმპერატორს ეკატერინე II მიმართა. 1783 წელს მათ შორის ხელშეკრულება დაიდო. ამ ხელშეკრულების მიხედვით, საქართველო ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, მეფეს, მთავრობას, საკუთარ მართველობას, ფულს, არმიას და ა. შ. იგი ვალდებული იყო გაეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა თურქეთთან და სპარსეთთან, რუსეთი კი კისრულობდა დამპარებოდა საქართველოს ამ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. იმასაც ჰპირდებოდა, რომ საქართველოს დაუბრუნებდა ამ მიწა-წყალს, რომელიც თურქეთმა წაართვა მე-14-16 საუკუნეებში.

მაგრამ, ძალიან მალე, 1795 წელს, სპარსელები, აღა მაჰმად ხანის მეთაურობით, კიდევ ერთხელ შემოესევიან საქართველოს. ანგრევენ თბილისს, სხვა ქალაქებს, ანადგურებენ ოკუპირებულ ტერიტორიას. ქართველები მარცხდებიან. აწიოკების შემდეგ აღა მაჰმად ხანი ტოვებს საქართველოს, ადგილს უთმობს რუსეთს, რომელიც ძალიან გვიან იწყებს საქართველოს დამპარებას. საფრანგეთიცა და ინგლისის წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთი საქართველოს ანექსიას ახდენს.

ასე და ამგვარად, საქართველო დაპყრობილია რუსეთის მიერ მანამ, სანამ ამ ვრცელ იმპერიას დიდი უბედურება არ დაატყდა თავს: ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდება. მცირე ხნით საქართველო თავისუფლებას მოიპოვებს, მაგრამ ჩქარა დაკარგავს. როგორ, ამას მერე ვნახავთ.

რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას საქართველო შეუპოვრად და ხანგრძლივად ებრძოდა, იმათ შორის, ვინც თავგამეტებული იცავდა ხალხობლოს დამოუკიდებლობას, ალბეთნიდრე ბატონიშვილი გამოირჩევა. იგი სპარსეთში დაიღუპა. რაცა იქ დამპარების ხაძებნელად იყო წასული. იმასაც დავძენ, რომ ქართველები მე-19

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 1, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნეში არაერთხელ აჯანყებულან რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ.

როცა საქართველო კარგავდა პოლიტიკურ თავისუფლებას, ამავდროულად ქართულ ეკლესიას არომევდნენ დამოუკიდებლობას. რუსთა მოსვლამდე საქართველოს საკუთარი საპატრიარქო ჰქონდა. მაგრამ ამიერიდან, სანამ რუსეთის მფლობელობა გაგრძელდება, ეკლესიას უხელმძღვანელებს რუსი არქიეპისკოპოსი. ქართულ საპატრიარქოში მოიკალათებს ბევრი რუსი მღვდელი და ბერი. ქართული ეკლესია იქნება რუსული ეკლესიის მხოლოდ ნაწილი, საქართველოში ოფიციალურ ენად აღიარებული იქნება რუსული ენა.

●

თუ საქართველო ხშირად იწვევდა მეზობელი ქვეყნების ცთუნებას, ეს, უპირველესად, იმის ბრალი იყო, რომ იგი ბუნებამ განსაკუთრებულად დააჯილდოვა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა მხარესაც — გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას.

საქართველო იმავე განედზეა, რომელზეც პირენეებია აღმართული. მისი ჰავა შეიძლება შევადაროთ ესპანეთისას, ანდა პირენეების ქედის მაღალი რეგიონებისას, ეს გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ: საქართველოს მიწის ნაყოფი ძალიან მრავალფეროვანი უნდა იყოს.

ბოსტნეული კულტურების პროდუქცია, ხორბალი, სიმინდი, ქერი, ფეტვი, ბრინჯი, ჩაი, თამბაქო, (ამას ძალიან აფასებს ზღვისპირა მოსახლეობა), აბუსალთანი, ძირტკბილა, დაფნა, ბამბა, ყოველნაირი ხილი—ფორთოხალი, მანდარინი, ლიმონი, ვაშლი, მსხალი, ატამი, გარგარი, ალუბალი, ბალი, ქლიავი, კაკალი და სხვა. ბათუმის რაიონში ზეთისხილის ტყეებია. 70000 ჰა ფართობი დაფარულია ვენახით. (ქართული ღვინოები, მეტადრე კახური, მთელ ახლო აღმოსავლეთშია განთქმული). დიდი და უღრანი ტყეებია (მთელი ტერიტორიის 40 %). ხე-ტყე ქვეყნის ძირითად ექსპორტს წარმოადგენდა. აქედან მეოთხედი ფიჭვი იყო. საკმაოდ არის განვითარებული მეაბრეშუმეობა და მეფრინველეობა. დიდი რაოდენობით არის ზღვისა და მდინარის თევზი, ფრინველი. ბევრია პირუტყვი. საქართველოში ერთერთი ყველაზე გავრცელებული საქმიანობა მეცხოველეობაა — ცხენი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, კამეჩი, მაგრამ უმთავრესია ცხვარი და თხა.

საქართველო წიაღისეულითაც საკმაოდ მდიდარია. უპირველესად უნდა დავასახელოთ ჭიათურის მარგანეცი. აქ არის მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი საბადო. ნორმალური პირობებსა და დროში საქართველოს შეუძლია უცხოეთში გაიტანოს მარგანეცის მსოფლიო პროდუქციის ნახევარზე მეტი. ამას ჩოსდევს სპილენძი შამლუღში, უაზბეგში, Chagali-Eliaz-ში[1] ბულაქანში და განსაკუთრებით ალავერდის რაიონში. ქვანახშირის საბადოებია ტყიბულსა და ტყვარჩელში[2]. ფოთის პორტის მახლობლად ბევრი ტორფია. ბევრ ადგილას ნავთობიც უნდა იყოს, უმთავრესად კახეთში, სადაც ნაპოვნია ამოსავალი. არის აგრეთვე თუთია, ტყვია, გოგირდი, ვერცხლისწყალი, პირიტი, სტიბიუმი, სურმა, ოქროც კი (რომელიც ალავერდში სპილენძს ურევია), ლითოგრაფიული წიხქვილის საფოლაბე და საცემენტე ქვები, თიხა, თაბაშირი, მარილი, განთქმული მინერალური წყლები და ტალახი.

ამ მთა-გორაკიან ქვეყანაში სამიმოსვლო გზებს უჭირავს: 825 კმ — რკინიგზას, 2000 კმ. — გზატკეცილს. საქართველოში არ არის მდინარეებზე სანაოსნო ქსელი. ნაოსნობა შეიძლება რიონისა და ჭოროხის მხოლოდ მცირე ნაწილზე. ყველაზე მნიშვნელოვანი პორტები — ბათუმი და ფოთი — მდებარეობს შავ ზღვაზე. შავ ზღვაზეევა შედარებით უმნიშვნელო ნავსადგურები — სოხუმი, გაგრა, სოჩი.

ისე რომ, ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად, საქართველო მდიდარია როგორც წიაღისეულით. ასევე მიწისზედა ნაწარმით.

გამოკვეთილი საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზები ძალიან ცოტაა. ამ მხრივ აღსანიშნავია ის გზა, რომელიც ამიერკავკასიის (უფრო ზუსტად საქართველოს, რადგან იგი ამიერკავკასიის გასაღებია) სახელმწიფოების მეშვეობით აკავშირებს დასავლეთს წინა და შუა აზიის ქვეყნებთან. ნათელია ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც აქვს საქართველოს, როგორც გზას ჩრდილეთთან, სპარსეთთან და შუა აზიასთან ურთიერთობისათვის[3].

საქართველოს გზით გააქვთ უცხოეთში ბაქოს ნავთობიც.

ერთი სიტყვით, საქართველო დერეფანია, რომლის საშუალებით მთელი ამიერკავკასია უკავშირდება დასავლეთს, ხოლო ამიერკავკასია თავად არის ბუნებრივი ხიდი ევროპას და აზიას შუა.

თავი II

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

მრავალგზის დაპყრობილი და აწიოკებული საქართველო ყოველთვის ახერხებდა ფეხზე წა-

---

[1] ვერ მივხვდით Chagali-Eliaz-ში რა ქალაქი იგულისხმება. შამლუღი და ალავერდი ამჟამად სომხეთშია, ბელაქანი — აზერბაიჯანში (მთარგმნელები).

2. საქართველოში ქვანახშირი თითქმის ყველგან მოიპოვება, მაგრამ დაუმუშავებელია.

3. 1920 წლის 18 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ ერთა ლიგას წარუდგინა განმარტებითი მემორანდუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგომას. ჯერ ერთი იმით, რომ საქართველოს მოსახლეობას აცოცხლებს მძაფრი ეროვნული გრძნობა და, მეორეც, ქართველ ჯარისკაცებს, მათ სამხედრო ხელმძღვანელებს აქვთ გასაოცარი მეომრული თვისებები და ვაჟკაცური სული.

ქართველთა უმრავლესობა გლეხებისაგან შედგება. ისინი პატარ-პატარა მესაკუთრეები არიან (80 %). მათზე სხვადასხვა ტიპის თეორიებს არასოდეს მოუხდენიათ გავლენა. მათ ყოველთვის მკვეთრად გამოხატული ეროვნულობა ახასიათებდათ.

უარსაყოფია ის არსებითი შეცდომაც, რომელსაც ჩვენში უშვებს ზოგიერთი, როცა სოციალისტურ საქართველოზე ლაპარაკობს. ამ ორი სიტყვის შეერთება დიდი შეცდომაა. მცდარია პოლიტიკური ვითარების დახასიათებაც, თითქოს ყველა ჩატარებულ კონსულტაციაზე ხმათა უმრავლესობა სოციალდემოკრატებს მიეცათ[1]. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: სოციალ-დემოკრატებისათვის მიცემული ხმების პროპორციული რაოდენობის უმრავლესობა გამოხატავდა ეროვნულ არჩევანს.

საიდან გაჩნდა ხმების უმრავლესობა, გინდაც მინიმალური, სოციალისტურ ან სოციალ-დემოკრატიულ არჩევნებში?

მოვძებნოთ.

! ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ცნობილმა წევრმა ამიხსნა[2] (იგი ამჟამად პარიზში ცხოვრობს. მასთან ხანგრძლივი საუბარი მქონდა):

ერთი მხრივ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საქართველოში მტკიცე საფუძველი ჰქონდა: ჭიათურის მეშახტეების (მარგანეცის საბადოები), თბილისის (ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოები), ბათუმის და ფოთის პორტების მუშების მყარი მხარდაჭერა. მაგრამ, მეორე მხრივ, გლეხებს, რომელნიც ქართული მოსახლეობის წვრილ მესაკუთრეებს წარმოადგენენ (80 %), არაფერი ესმოდათ სოციალიზმისა და, ცხადია, სოციალისტები არ იყვნენ.

ეს მან გულწრფელად აღიარა და დასკვნაც თავისთავად კეთდება.

●

ამგვარ ვითარებაში რატომ მიეცათ ხმების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს? ახლავე ვნახავთ.

განვიხილოთ რა პოლიტიკური პარტიები მოღვაწეობდა საქართველოში, როცა რუსეთის იმპერიაში 1917 წლის რევოლუციამ იფეთქა. გავიგოთ, რა ადგილი ეჭირათ მათ და მოქმედების რა საშუალებებს მიმართავდნენ.

ყველა ამ პარტიის თავში სოციალ-დემოკრატიული პარტია იდგა. იგი, მართლაც, კარგად იყო ორგანიზებული. ერთადერთი იყო, რომელსაც შეეძლო საჭირო წუთში ეხელმძღვანელა ქვეყნის ბედისათვის.

სანამ საქართველო რუსეთის იმპერიის განუყოფელი ნაწილი იყო, ქართველი სოციალ-დემოკრატები სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ. (ქართული სოციალ-დემოკრატია მას მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გამოეყო). სოციალ-დემოკრატია ედგა მუდმივად სათავეში რევოლუციურ მოძრაობას, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. ქართველი სოციალ-დემოკრატები იმდენად სახელმოხვეჭილი იყვნენ, რომ სახელმწიფო სათათბიროში სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასაც კი ხელმძღვანელობდნენ.

ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეპოქაში ქართველი სოციალ-დემოკრატები, ვითარებისა და მოვლენათა განვითარების შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იღწვოდნენ. ეს საქმიანობა უფრო და უფრო ეროვნული ტენდენციისაკენ განვითარდება. სწორედ ამით განსხვავდებიან ქართველი სოც-დემოკრატები რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური ნაწილისაგან.

1905 წლის რევოლუციის წინ საქართველოში სოციალ-ფედერალისტთა პარტია ჩამოყალიბდა. იგი რიგით მეორე პარტია იყო.

1914-18 წლების ომის დაწყებამდე შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. წევრთა რაოდენობა ამ პარტიაში ძალიან ჩქარა იზრდებოდა. მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ამ პარტიას აქტიური როლი ეთამაშა ჯერ პოლიტიკური ლიდერების აღზრდაში და მერე რეგულიარული მთავრობის ჩამოყალიბებაში. მისი წევრები ვერც ორგანიზირების უნარით გამოირჩეოდნენ და ვერც ხალხთაშორისი ურთიერთობების პოლიტიკაში გამჭრიახობით.

ამ პოლიტიკური პარტიების გვერდით არსებობდა კიდევ სოციალისტ-რევოლუციონერთა და ბოლშევიკ-კომუნისტთა პატარა ჯგუფები. მათ არც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და არც რაიმე გავლენა.

●

ჩვენთვის ცნობილია, რომ ქართული მოსახლეობა ყოველთვის ცოცხლობდა ეროვნული გრძნობით. თუ, ერთი მხრივ, მას მძაფრად სურდა სამშობლოს თავისუფლება, მეორე მხრივ, კარგად ესმოდა — სანამ რუსეთში ცარიზმი ბატონობდა, საქართველოს ცოტა შანსი ჰქონდა

---

1 1925 წლის 29 იანვარს დეპუტატთა პალატაში სოციალისტ რენოდელის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან.

2. მოვძებნე სამხედრო და ეროვნული საბუთები, სოც-დემოკრატების წყაროები, რათა შემეგროვებინა დოკუმენტაცია, რომლის უტყუარობას ვერც ერთი პარტია ვერ გახდიდა საეჭვოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომია და დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. იმ შემთხვევაში კი, თუ ცარიზმი დაემხობოდა, თავისუფლებისათვის შეიქმნებოდა მკვეთრად ხელსაყრელი პირობები. ეს მით უფრო მოსალოდნელი იყო, თუ რუსეთში ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციონერთა წრეებში საქართველოს წარმომადგენლებს გავლენა ექნებოდათ. ამდენად, ქართული პატრიოტიზმის გამო იყო, რომ, როგორც წესი, რუსეთში პოლიტიკურ წარმომადგენლებად სოციალ-დემოკრატებს ირჩევდნენ, ე. ი. ირჩევდნენ იმ ადამიანებს, რომელთა საქმიანობა, ჯერ ერთი, მიმართული იყო ცარიზმის წინააღმდეგ და, მეორეც, სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ძლიერ პირებად ითვლებოდნენ.

ამგვარი საქმიანობა გრძელდებოდა მას მერეც, რაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შეიქმნა. როგორც უკვე ვთქვი, ამ პარტიას აკლდა დიდი პოლიტიკოსები. იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის უკან იდგა მაშინაც, როცა რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუცია მოხდა და მაშინაც, როცა ბოლშევიკებმა გადატრიალება მოაწყვეს. ამ „ხალმრთო კავშირში" გულისამაჩუყებელი საქციელიც კი ხდებოდა. სოციალ-დემოკრატიის პარტიის ერთმა წევრმა, ვისთანაც პატივი მქონდა დოკუმენტაციის გასაცნობად მივსულიყავი, მითხრა: ქართველი თავადაზნაურობის წინამძღოლმა თავადმა კოტე აფხაზმა[1], ქართველ თავადებისა და აზნაურების სახელით, ქართველ ერს გადასცა საკუთარი მამულები (მაგ. თბილისის მთელი ერთი უბანი) და მიწა-წყალი, რომელიც მათ ეკუთვნოდა.

მაშასადამე, საქართველოს პოლიტიკური ვითარების დასახასიათებლად უნდა ვთქვათ არა „სოციალისტური საქართველო", არამედ „ხალვთო კავშირი".

●

1917 წლის თებერვალში რევოლუციამ რომ იფეთქა და პეტროგრადში გაიმარჯვა კიდეც, სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის თავმჯდომარემ ჩხეიძემ რუსული საბჭოები შექმნა. ამიერკავკასიის მთავრობაც მაშინვე ჩამოყალიბდა. იგი შედგებოდა ამიერკავკასიის სამი ეროვნების წარმომადგენელთაგან. ორი იყო ქართველი (პარტიულობით ერთი სოციალ-დემოკრატი, მეორე სოციალ--ფედერალისტი), ერთი ხომეინი და ერთიც — აზერბაიჯანელი. კონტროლის მიზნით, მათ დაემატა ერთი დონელი კაზაკი დეპუტატი, რომელიც კავკასიელად ჩაითვალა. ამიერკავკასიის ამ მთავრობას („ოზაკომი") ისეთივე უფლებანი ჰქონდა, როგორიც პეტროგრადის დროებით მთავრობას. მაგრამ სიმართლე მაშინვე წარმოიშვა. რუსეთის რევოლუციის გამარჯვებასა და ამიერკავკასიაში ახალი მთავრობის შექმნასთან ერთად დაიკარგა [illegible]სული ადმინისტრაცია. მაშინ „ოზაკომის" წევრები მიუბრუნდნენ ეროვნულ საბჭოებს. ესენი ოფიციალურად უკვე არსებობდნენ საქართველოშიც, სომხეთშიც, აზერბაიჯანშიც. ასევე მიიხედეს გლეხებისა და მუშების საბჭოებისაკენ. ესენი კი ამიერკავკასიაში, როგორც რუსეთის მთელ იმპერიაში, ცენტრალური ხელისუფლების ბრძანებით შეიქმნენ.

ჯარისკაცების საბჭოებს, რომლებიც ძირითადად რუსებისაგან შედგებოდა, დიდი გავლენა არ ჰქონდათ. მალე რუსეთის არმიის ნაწილებმა, ამიერკავკასიაში რუსეთ-თურქეთის ფრონტზე რომ იმყოფებოდნენ, სამშობლოში დაბრუნება დაიწყეს. სანამ რუსეთის შეიარაღებული ძალები ამიერკავკასიაში იყო განლაგებული, ჯარისკაცთა საბჭოები ხელს უშლიდნენ ეროვნულ საბჭოებს. რუსეთის წყენა რომ არ გამოეწვიათ, ეროვნული საბჭოები სუსტად მოქმედებდნენ.

საინტერესოა ისიც, რომ რუსეთში საბჭოებს უწესრიგობა ამლდა, საქართველოში კი მათ ხელი შეუწყეს წესრიგის დამყარებას. ქართველები დისციპლინირებულნი არიან, უყვართ წესრიგი. იმდენად კონსერვატორნი არიან, რომ უკიდურეს ტრადიციონალიზმში ვარდებიან. საბჭოებზე, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ, ქართველებმა იმდენად კარგი გავლენა მოახდინეს, რომ მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდა „ოზაკომს", ეროვნულ და გლეხთა და მუშათა საბჭოებს შორის.

მთელ ამიერკავკასიაში დამყარდა წესრიგი, რაც ადვილი საქმე არ იყო. განსაკუთრებით ბოლშევიკების მიერ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. ბოლშევიკების ბრძანებით, რუსი ჯარისკაცები ტოვებდნენ რუსეთ-თურქეთის ფრონტს. რუსები, უკან დაბრუნებისას, გზაზე აწიოკებდნენ ყველაფერს. რაც ხელში მოსვდებოდათ.

●

როცა „ოზაკომმა" დაინახა, რომ რუსეთს ბოლშევიკები დეპატრონენ, მან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა პეტროგრადთან. იგი ამიერკავკასიის კომისარიატად გადაიქცა. ამიერიდან კომისარიატი დამოუკიდებლად მოქმედებდა. მის წინაშე ორი ამოცანა იდგა: ერთი მხრივ, ერთგული უნდა დარჩენილიყო ანტანტის და, მეორე მხრივ, თავი დაეღწია თურქეთის შემოსევისაგან. ამ მიზნით კომისარიატი საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში აყალიბებს სამხედრო ნაწილებს. ეს საჯარისო ნაწილები 1918 წლის გაზაფხულზე იკავებენ რუსეთ-თურქეთის ფრონტს.

კომისარიატს მიაჩნდა, რომ წითელი დიქტატურა დიდხანს ვერ გასტანდა და რუსეთში სტაბილური რეჟიმი ისევ დამყარდებოდა, ამიტომ ამიერკავკასიის კომისარიატი საკუთარი სურვილით დაუყოვნებლივ ირჩევს დეპუტატებს. ამ დეპუ-

1. როგორც შემდეგ ვნახავთ, თავადი აფხაზი ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

ტატებს უნდა წარმოედგინათ ამიერკავკასია სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაში. დამფუძნებელი კრება ვერ შეიკრიბა პეტროგრადში. ბოლშევიკებმა იგი გარეკეს პირველივე დღის ბოლოს. მანამდე, სანამ ზოგიერთი დეპუტატი შორეული რაიონებიდან პეტროგრადში ჩამოსვლას მოახერხებდა, კოლეგებს რომ შეერთებოდა.

მოვლენები სწრაფად იცვლება: წითლებმა ბრესტ-ლიტოვსკის ურცხვი მოლაპარაკება დაიწყეს. ამიერკავკასიიდან თურქეთის შუამავლობით, 1918 წლის იანვარში, ერთი დელეგატი მიიპატიჟეს.

კომისარიატმა წინასწარი პროტესტი განაცხადა. მტკიცე უარი თქვა ყოველგვარ ხამშვიდობო ხელშეკრულებაზე, რომელიც ზელმოწერილი იქნება ანტანტის სხვა ქვეყნების მონაწილეობის თვინიერ. ამასთანავე, იგი წინააღმდეგი იყო ყოველნაირი მომავალი შეთანხმებისა, რომელიც ამიერკავკასიას შეეხებოდა.

რაკი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება ჩაიშალა, ამიერკავკასიელებმა გადაწყვიტეს საკუთარ ხეიმში შეკრება. ხეიმის დეპუტატებად ის დეპუტატები დარჩნენ, რომელნიც რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის აირჩიეს (ამ დეპუტატების დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატები იყვნენ იმ მიზეზით, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით). ამ დეპუტატების რიცხვს დაემატა ახლად არჩეული სოციალ-დემოკრატი დეპუტატები. მათი რაოდენობა ხეიმში გაორმაგდა.

ამასობაში ბრესტ-ლიტოვსკის ნაღვლიანი კომედია დამთავრდა. ბოლშევიკებმა თურქეთს დაუტოვეს საქართველოსა და ხომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი — ყარსი, არდაგანი, ბათუმი.

1918 წლის მარტ-აპრილში თურქებმა შეტევა დაიწყეს ჩრდილოეთისაკენ. მათ ახალი ტერიტორიისა და ძლიერი ციხე-სიმაგრეების ხელში ჩაგდება უნდოდათ (მაგ. ბათუმისა). ამის მეშვეობით, ახლო თუ შორეულ მომავლისათვის, ხელსაყრელი გახასვლელი ბაზების შექმნა ხურდათ.

ამიერკავკასიის კომისარიატი ენერგიულ პროტესტს უცხადებს თურქეთსა და ევროპის ქვეყნების მთავრობებს. თურქები მაინც ხულ წინ და წინ მიიწევენ; კომისარიატი იძულებულია ტრაპიზონში მოლაპარაკება დაიწყოს თურქეთთან. შეთანხმებას ვერ აღწევენ. თურქები ანახლებენ შეტევას. მოლაპარაკების დროს იგი მცირე ხნით შეჩერდა. თურქეთის მიზანია საჩქაროდ დაეუფლოს ტერიტორიას, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შედეგად ერგო.

ამიერკავკასიის ხეიმმა დაინახა: ამიერკავკასიის დელეგაციამ ტრაპიზონში ვერაფერი გაწყო. ხეიმმა იმედის თვალი უცხოეთის ქვეყნების თანხმობას მიაპყრო. მან პირველ აპრილს საალყო წესები გამოაცხადა. შეიქმნა დირექტორია. მას დაევალა — მოემზადებინა და მოეწყო მთელი ამიერკავკასიის დაცვა.

ხეიმი მალე მიხვდა, რომ ბრძოლა ამაოა. 1918 წლის 22 აპრილს მან გადაწყვიტა გაგრძელებინა თურქეთთან მოლაპარაკება. ამასთანავე, ამავე კრებაზე იგი აცხადებს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას. ამით იგი შეხაძლებლობას იღებს თურქეთთან მომავალ მოლაპარაკებაზე ავტონომიური ხასელმწიფოს ხახელით ილაპარაკოს.

ამიერკავკასიის ამ რეხპუბლიკამ მხოლოდ ხუთი კვირა იარსება.

მოლაპარაკება 11 მაისს განახლდა. ბათუმში, რომელსაც თურქეთი 14 აპრილს დაეპატრონა, მოლაპარაკებაში გერმანიაც მონაწილეობს.

თურქები ხულ უფრო და უფრო მეტს ითხოვენ. ბათუმის აღების შემდეგ მათ ყარსი და ხომხეთის დიდი ნაწილი დაიპყრეს. ხელში ჩაიგდეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული ცენტრები. შეიჭრნენ აზერბაიჯანში. გათამამებული თურქები ბევრად მეტის მიღებას ცდილობდნენ, ვიდრე ბრესტ-ლიტოვსკის ზავი ითვალისწინებდა. ამით მათ გერმანელები გააღიზიანეს. გერმანიის წარმომადგენლებს გენერალი ფონ ლოსოვი მეთაურობდა. იგი წარმომავლობით ბავარიელი იყო. მიმდინარე მოვლენებზე ნათელი წარმოდგენა ჰქონდა და საღად მოაზროვნე პიროვნებაც გახლდათ.

გერმანელებს არ ხურდათ მათ მოკავშირეებს უფრო ღრმად შეეღწიათ იმ ტერიტორიაზე, რომელიც არც მათთვის იყო ინტერესმოკლებული.

ამიერკავკასიის დელეგაციას ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ქართველი ბ-ნი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა. დელეგაცია მარჯვედ მოქმედებდა. ამის შედეგად გენერალმა ფონ ლოსოვმა თავად შეხთავაზა ამიერკავკასიის დელეგაციას თავის სამსახური. რომ მორიგებულიყვნენ, იგი იშუამდგომლებდა თურქებსა და ამიერკავკასიელებს შორის. ამიერკავკასიელები დათანხმდნენ. თურქებმა უარი თქვეს ემსჯელათ გენერალ ფონ ლოსოვის შეთავაზებულ წინადადებაზე.

გერმანელებმა შეწყვიტეს შუამავლობა. მოლაპარაკება კიდევ ერთხელ გადაიდო.

●

იმის გამო, რომ ამიერკავკასიის ერთიანობა რეალურად აღარ არსებობდა,

იმის გამო, რომ თურქები ხომხეთსა და აზერბაიჯანში ღრმად იყვნენ შეჭრილნი.

იმის გამო, რომ აზრთა დაპირისპირება-ხვადასხვაობამ იჩინა თავი ამიერკავკასიის აღმოსავლეთ რაიონების მოსახლეობას შორის.

ხეიმმა 26 მაისს დაადასტურა ხეიმის დაცემა და მოვალეობის შეხრულება შეწყვიტა.

მაშინათვე შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭო. იგი გრძნობდა, რომ ხეირდებოდა მოქმედების ხრული თავისუფლება. თურქეთთან მომავალი მოლაპარაკებისათვის აჯობებს საქართველო დამოუკიდებელ ხახელმწიფოს ხახელით გამოვიდეს. იმავე დღეს, 1918 წლის 26 მაისს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული საბჭო საქართველოს დამოუკიდებლობას აცხადებს.

ამ მომენტისათვის „სალმრთო კავშირი“ აბსოლუტურია. პარტიების განურჩევლად მთელი მოსახლეობა ერთ ბლოკად იკვრება. იგი დგება იმ ადამიანთა გვერდით, რომელთაც გამოაცხადეს ეს ნანატრი დამოუკიდებლობა, ახე დიდხანს რომ ელოდნენ.

თავის მხრივ ხომხეთი და აზერბაიჯანიც აცხადებენ დამოუკიდებლობას.

მოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება. იგი არჩეულია ხაყოველთაო, პირდაპირი არჩევნებით, არჩევნებში მონაწილეობდა ყველა, განურჩევლად სქესისა, ქალი და ვაჟი, ვისაც 20 წელი შეუსრულდა და ვისაც ხმის მიცემის უფლება ჰქონდა (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში არჩევნების ახეთი წესი იქნება შემდგომ საბოლოოდ მიღებული).

დამფუძნებელი კრების მიერ დაუყოვნებლივ ხდება რატიფიკაცია აქტისა, რომლის თანახმად საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

●

ახლა ყურადღება გერმანელებისაკენ გადავიტანოთ. ცხადია, მათ ხაკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ, როცა ქართველებს დაუჭირეს მხარი თურქთა წინააღმდეგ. გერმანელებს არ უნდოდათ, მათ მოკავშირეს ხელში ჩაეგდო ქართული ნამცხვრის დიდი ნაჭერი.

როგორც ვნახეთ, უკრაინის დაპყრობის შემდეგ გერმანელები მონაწილეობდნენ ბათუმის მოლაპარაკებაში. ამით გამოიხატა თურქეთის ხაწინააღმდეგო თვალსაზრისი. გერმანია არ ეთანხმებოდა თურქების ოპერაციის გაგრძელებას ამიერკავკასიაში.

თურქები ჯიუტად მიიწევდნენ წინ ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. გერმანელებმა აღარ დააყოვნეს და ქართული ხაჯარისო ნაწილების გასაძლიერებლად გაგზავნეს ქვეითი ორი თუ ხამი ბატალიონი და მსუბუქი არტილერია.

თურქეთის არმიის ხარდალმა გენერალმა ვეიბ-ფაშამ გერმანელებს ოფიციალური დეპეშით შეატყობინა: თურქები, რომელნიც საქართველოს სიღრმეში მიიწევენ, არ არიან თურქეთის რეგულიარული არმიის ჯარისკაცები. ისინი არიან ბანდები, ხაზელდაზელოდ შექმნილნი სასაზღვრო რეგიონებში. გერმანელებმა ამოისუნთქეს. ახლა მათ თავისუფლად შეეძლოთ დაბმარებოდნენ ქართველებს თურქთა ბანდების წინააღმდეგ და ხელი შეეშალათ მოკავშირისათვის უფრო ღრმად შეებრძოლიყო მდიდარ საქართველოში. თურქები კი ვერარ უსაყვედურებდნენ მოკავშირეებს, ფვებრძვისო.

გერმანელებმა კარგად გამოიყენეს ეს ვითარება.

1918 წელს ერთი სასაცილო ამბავიც მოხდა ეს ერთმა ქართველმა მიამბო. იგი მონაწილეობდა „გერმანელი ჯარისკაცების“ იმპროვიზირებული გადაცემის პროცესში.

გერმანელებს ნაკლებად აღელვებდათ, რომ თურქები იკავებდნენ გზას — ბათუმი-თბილისი, რომელიც, არსებითად, შუა აზიისაკენ მიმავალი გზაა. მაგრამ მათ მაინც გადაწყვიტეს მიეხედათ ძირითადი პუნქტებისათვის, მეტადრე, პატარა ხადგურებისათვის. მაგრამ ჯარისკაცები აკლდათ, გადაწყვიტეს — გამოეყენებინათ ყოფილი გერმანელი ტყვეები, ყველა, ვისაც თოფის დაჭერა შეეძლო. აგროვებდნენ იმ გერმანელებსაც, ვინც საქართველოში მოსახლეობდა. დაახლოებით 200 კაცი შეკრიბეს. ჩაიცვეს ძველი რუსული უნიფორმა. დაახურეს უწინაფრო ბრტყელი ქუდები. ხელთ დაუჭერინეს თოფები და ხიშტები. უნტეროფიცრებისათვის გერმანული ჩაფხუტებიც კი გამოძებნეს. ისინი ძალიან ჰგავდნენ გერმანულ landwehr-ს (სახალხო ლაშქარს). ეს ხალხი, ხუთიდან ოც კაცამდე, დააყენეს ბათუმი-თბილისის რკინიგზის საგუშაგოებზე. ამ „ლაშქარს“ ნამდვილი გერმანელი ოფიცერი ხელმძღვანელობდა.

შეთანხმების მიხედვით, თურქები უნდა შეჩერებულიყვნენ, როცა გერმანელთა მიერ დაკავებულ პოზიციას მიუახლოვდებოდნენ და პირიქით: გერმანელები უნდა შეჩერებულიყვნენ, თუ თურქების დაკავებულ პოზიციას მიუახლოვდებოდნენ. როცა თურქებმა დაინახეს, რომ ბათუმი-თბილისის რკინიგზა ძირითადად „გერმანელთა“ საგუშაგოებით არის დაკავებული, მათ პირნათლად დაიცვეს „შეთანხმება“. რკინიგზის ბატონ-პატრონად „გერმანელთა“ საგუშაგოები იქცნენ:. ეს 1918 წლის მაისში მოხდა.

შემდეგ თვეში გერმანელებმა გამოიყენეს ვეიბ-ფაშას განცხადება: თურქეთის არმია კი არ იპყრობს ქართულ ტერიტორიას, არამედ „თურქი ბანდები“. გერმანელები შეუერთდნენ ქართულ შეიარაღებულ ძალებს. მათ უკუაგდეს „თურქი ბანდები“ მდინარე ხრამზე მომხდარ ბრძოლაში 1918 წლის პირველ ივნისს (გერმანელებს ჰყავდათ ორი თუ ხამი ქვეითი ბატალიონი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა არტილერია).

ქართულ-გერმანულმა ჯარმა, რომელსაც ქართული არმიის მხედართმთავარი გენერალი კვინიტაძე მეთაურობდა, გამარჯვება იზეიმა.

თურმე, მეომართა უმრავლესობა ნამდვილად ბანდებს ეკუთვნოდა, მაგრამ ისიც უდაოა, რომ ამ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა თურქეთის რეგულარული არმიის ოფიცერი.

ახე და ამგვარად, კეთილმა გერმანელებმა ხელი შეუწყვეს თავიანთი მოკავშირის თურქეთის წინსვლის შეჩერებას საქართველოში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III

მოსკოვი საქართველოსთან მეგობრობის ხელშეკრულებას აწერს ხელს და ამავე დროს მუხანათურად ესხმის თავს

1801 წლიდან, ანუ იმ დროიდან, როცა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია მოხდა და ქართველთა სახელმწიფომ დაკარგა ტერიტორიული ერთიანობა, საქართველოში ხალხებისა და რასების ერთმანეთში აღრევას დიდი ხელშეწყობა ჰქონდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაისვა საზღვრების საკითხი საქართველოსა და მის მეზობელ ერებს შორის. სამწუხაროდ, ამ პრობლემამ რამდენიმე შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვია. ქართველებს სამჯერ მოუწია თავისი ტერიტორიის ხელშეუხებლობის დაცვა. მართალია, ეს კონფლიქტები ლოკალურ ხასიათს ატარებდნენ.

ქართველებს უსიამოვნება არ შეხვედრიათ არც იმ ტერიტორიის გამო, რომელიც თურქებმა დაიკავეს შემოჭრის შედეგად და არც იმ ტერიტორიების გამო, რომელიც გერმანელებს ეჭირათ მას მერე, რაც ქართველებმა და გერმანელებმა ერთად შეაჩერეს თურქების წინსვლა. 1918 წლის 11 ნოემბერს ზავის შემდეგ თურქებსა და გერმანელებს ამ ქართული ტერიტორიის დატოვება მოუხდათ. 1918 წლის დამლევს იქ ანტანტის ჯარების კონტინგენტი მოვიდა.

ანტანტის საქართველოში ყოფნამ განამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამიერიდან ვერც ერთი მეზობელი ხალხი ვერ იფიქრებდა მისი საზღვრების დარღვევას.

თავის მხრივ, ანტანტა საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას. ისინი იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ მოვლენების მსვლელობას ადევნებდნენ თვალს. ძალიან ბევრი პოლიტიკოსი და დიპლომატი, დარწმუნებული იმაში, რომ ბოლშევიკური დიქტატურა ხანგრძლივი არ იქნებოდა, ნანობდა ამიერკავკასიის გამოყოფას რუსეთის დიდი იმპერიისაგან. მალე საქართველოს სიცოცხლისა და ცხოვრებისუნარიანობა თვალშისაცემი აღმოჩნდა. ამიტომ, ამიერკავკასიის სხვა მთავრობებზე ადრე, საქართველოს მთავრობა იქნა აღიარებული დე ფაქტო.

ამ ფაქტმა ხელი ვერ შეუშალა დენიკინს დასჯახებოდა ქართველებს. დენიკინი თავისი თეთრგვარდიელთა არმიით ბოლშევიკებს ებრძოდა. ქართველები მაინც ემზადებოდნენ საბრძოლოს დასაცავად მიუხედავად იმისა, რომ ანტანტა თითქოს საქართველოს უხიფათობის გარანტიას იძლეოდა.

ბოლშევიკებმა დაამარცხეს დენიკინი. ისინი ამიერკავკასიის (საქართველოს უშუალო მეზობლები) გახდნენ. მათ, ჩვეული მეთოდით, აზერბაიჯანში აჯანყების მსგავსი მოძრაობა მოაწყვეს. მოულოდნელად წითელი არმიის ტევა განახორციელეს და 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანი დაიპყრეს.

აზერბაიჯანი, განსაკუთრებით ბაქოს რეგიონი, საბჭოელებისათვის ძვირფასი ნადავლი იყო. რუსეთში ისინი ძალიან მძიმე ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისს განიცდიდნენ.

საქართველოსა და საბჭოების მთავრობებს შორის მოლაპარაკება დაიწყო. იგი თითქოს ურთიერთთანხმობით მიმდინარეობდა, მაგრამ ბოლშევიკებისათვის ჩვეული ორპირობით. მოლაპარაკება 1920 წლის 7 მაისს ხელშეკრულების ხელმოწერით დაგვირგვინდა. ხელშეკრულების მიხედვით, მოსკოვის მთავრობა (ჩაქარა სიტყვას დაარღვევს) **ფორმალურად და ფაქტობრივად ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას. გათილად აცხადებს ცარიზმის ყველა უფლებას საქართველოს ტერიტორიაზე, პირობას სდებს, რომ არ ჩაერევა საქართველოს საგარეო და საშინაო საქმეებში.**

●

ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ მოლაპარაკებით, რომელიც წინ უძღოდა ხელშეკრულების ხელმოწერას, მოსკოვს სურდა ქართული მთავრობის ყურადღების მოდუნება. ეს იქიდან ჩანს, რომ მოლაპარაკებისას, თითქოს შემთხვევით, აზერბაიჯანის მხრიდან, წითელმა რაზმებმა საქართველოს შემოუტიეს. ამაზე ახლავე მოგახსენებთ.

აქ ფრჩხილები უნდა გავხსნათ: აზერბაიჯანი ძირითადად ნავთობის ქვეყანაა, უპირატესად ბაქოს რეგიონი. მაგრამ აზერბაიჯანს არა აქვს გარე სამყაროსაკენ გასასვლელი. ნავთობის გატანა რომ შესძლოს, იგი ბათუმში უნდა გააგზავნოს ან რკინიგზით, ან ნავთსადენით. ამიტომ იყო ბოლშევიკების გეგმა ჯერ აზერბაიჯანის ხელში ჩაგდება და მერე საქართველოსი.

აზერბაიჯანი უკვე მათ ხელში იყო. ფორმალურად აზერბაიჯანს დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უწოდეს. ყავდა საკუთარი მთავრობაც, რომელიც სინამდვილეში მოსკოვის ხრიკების შესანიშნავი ფასადი იყო. ეს ყალბი დამოუკიდებლობა მოსკოვს ძალიან დაეხმარება შემდგომში.

უპირველესად, მოსკოვი ცდილობს საქართველოსთან უთანხმოების საბაბი გამოძებნოს. ქართველების მოთმინებიდან გამოსაყვანად ქმნიან casus belli-ს (ომის საბაბს), ვაგონებისა და ნავთობის ცისტერნებთან დაკავშირებით. აქ ნათლად გამოჩნდა მათი ბნელი ზრახვა. მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს და ქართველებს წონასწორობა ვერ დააკარგინეს. ქართველები ბოლშევიკებს უნდოდ უყურებდნენ.

რაკი ეშმაკობამ ვერ გაჭრა, ბოლშევიკებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალისა და მოულოდნელობის ფაქტორს მიმართეს.

●

საქმის არსი ნათელი რომ გახდეს, ცოტა უკან უნდა დავიხიოთ.

1920 წლის დამდეგს, ყირიმში, წითლების მიერ დამარცხებული დენიკინის არმიის ნარჩენები ხელმეორედ გააერთიანეს გენერალ ვრანგელის მეთაურობით. თეთრი არმია ახალი შეტევისათვის ემზადება, რაც ზაფხულში უნდა დაიწყოს. ამავე დროს, ბოლშევიკებს ომი აქვთ გაჩაღებული პოლონეთთან. ამ ვითარებაში, მოსკოვისათვის ძნელია ამიერკავკასიის სახელმწიფოების ხელში ჩასაგდებად ჯარი გაგზავნოს, ორ-სამ დივიზიაზე, ანუ 20000 ჯარისკაცზე მეტი. ეს კი არ კმარა სამი ქვეყნის დასაპყრობად. ჩრდილოეთ კავკასიაშიც ციებ-ცხელებაა. არადა, ამიერკავკასიისაკენ მიმავალი გზა სწორედ ჩრდილოკავკასიის მტრულად განწყობილ მუსლიმანური მოსახლეობის ტერიტორიაზე გადის.

თუ მდგომარეობას სუფთა სამხედრო თვალსაზრისით განვიხილავთ, უნდა ვთქვათ, რომ ბოლშევიკები გადაუჭრელი პრობლემის წინ იდგნენ.

მაგრამ წითლებმა მოახერხეს ამიერკავკასიის პოლიტიკური ვითარების გამოყენება. ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ურთიერთდამოკიდებულება უფრო მიღობრული და მტიდრო რომ ყოფილიყო, ისინი უდაოდ მოახერხებდნენ თავი დაეღწიათ მოსკოვის უღლისაგან.

რაკი წითელი არმიის ნაწილების შემოტევა მოსალოდნელი იყო, საქართველოს მთავრობას სურდა ჩაერთო თავდაცვითი ფრონტის გამაგრება. ამ მიზნით ქართველებმა შეხთავაზეს სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებს ხელი მოეწერათ სამხედრო კავშირის ხელშეკრულებაზე. ეს სამხედრო კავშირი მიმართული უნდა ყოფილიყო ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ამიერკავკასიაზე თავდასხმას და მის დაპყრობას მოინდომებდა.

სომხებმა ამ წინადადებას წაუყრუეს. 1919 წლის ზაფხულში ხელშეკრულება მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმდა. შეთანხმება, საუბედუროდ, ძალიან ზოგადი იყო. წინასწარ არ ყოფილა დაზუსტებული აუცილებელი დეტალები. არ დაუსახავთ დიდი საკითხები. არ დაუმუშავებიათ საერთო მტრის წინააღმდეგ თავდაცვის გეგმა. ეს ხელშეკრულება უეფექტო იყო და არც არასოდეს გამოუყენებიათ.

აზერბაიჯანისა და საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლობის ახლო თანამშრომლობას შეეძლო ეს ხელშეკრულება ძალიან სარგებლიანი გაეხადა, მაგრამ საბედნიეროდ, არ იყო ურთიერთგაგება. ეს, ალბათ, იმისი ბრალიც იყო, რომ აზერბაიჯანის ხელმძღვანელ წრეებსა და მთავრობაში ერთგვარი უყოყმანი და გადაუწყვეტელობა იგრძნობოდა. ზოგიერთს თურქეთისაკენ ეკერა თვალი. ზოგიერთს სურდა აზერბაიჯანი ისევ რუსეთის, თუნდაც ბოლშევიკური, ორიენტაციას დასდგომოდა. ზოგიერთი კი გულწრფელად ელტვოდა თავის სამშობლოს დამოუკიდებლობას.

მოსკოვის ხელისუფლებამ მშვენივრად იცოდა აზერბაიჯანის ეს ვითარება.

იყო კიდევ ერთი გარემოება: აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა საზღვრების გამო. 1920 წლის გაზაფხულის დამდეგს, აზერბაიჯანის მთელი არმია სომხეთის საზღვარზე, ანუ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში გაიგზავნა, რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვრის მოპირდაპირე მხარეს. მოხდა კიდევ რამდენიმე შეტაკება. თუმცა არც ჩრდილოეთა საზღვარი, ანუ რუსეთ-აზერბაიჯანის გამყოფი ზოლი დავიწყებიათ. იქ, დაახლოებით ოც კილომეტრზე, კასპიის ზღვიდან კავკასიის მთებამდე, მდ. სამურის გაყოლებით, სადაც როსტოვი-ბაქოს რკინიგზა გადის, გაამაგრეს პოზიციები.

დენიკინის არმიის უკანდახევის შემდეგ, მდ. სამურის ხიდი, სწორედ იმ ზოლში, რომელზეც ეს-ეს არის ვილაპარაკეთ, ფრიად საეჭვო ვითარებაში ბოლშევიკებმა დაიკავეს.

ამიერკავკასიისათვის ეს აღმაშფოთებელი მოვლენა იყო. მიუხედავად ამისა, 20 კილომეტრიან პოზიციას დარაჯობდა აზერბაიჯანელთა მხოლოდ ერთი ქვეითი ბატალიონი. ბოლო ის ორი თუ სამი ბატალიონი, რომელიც შეიძლებოდა დახმარებოდა რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვრის დამცველებს, განლაგებული იყო ბაქოსა და ელიზავეტოპოლში. ამდენად, საკონფლიქტო პოზიციას დაშორებული იყო 100-300 კილომეტრით.

რაც შეეხება აზერბაიჯანის არმიას მთლიანად, როგორც უკვე ვთქვი, იგი იმყოფებოდა აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე, ანუ ბაქო-როსტოვის რკინიგზის ხაზს მოცილებული იყო 250-300 კმ-ით.

ასე, რომ ბოლშევიკებისათვის მეტად ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა, გამოიყენეს კიდეც ეს თავის სასიკეთოდ, თუმცა დიდი ჯარი არ მოუვიდათ. გითხარით, რომ მისი ძირითადი არმია პოლონელებსა და ვრანგელს ებრძოდა.

1920 წლის აპრილის ბოლოს ბოლშევიკებმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს ბაქოში. იმავდროულად შეუტიეს იმ ერთადერთ ბატალიონს, რომელიც მდ. სამურის გასწვრივ განლაგებულ პოზიციას დარაჯობდა. მათ, როგორც სახელმწიფო გადატრიალება, ისე შეტევა წარმატებით განახორციელეს.

ბატალიონს, რომელიც მდ. სამურის ზოლს იცავდა, ხელმძღვანელობდა ენერგიული ქართველი ოფიცერი თუმანოვი. მას შეუძლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანა ჰქონდა დავალებული — დაეცვა ჩრდილოეთის საზღვარი. იგი მამაცურად იბრძოდა მაინც თითოეული გოჯი მიწისათვის. ყოველგვარ რაინდულ და კეთილშობილურ თვისებებს მოკლებულმა უცხოელებმა — რუსებმა — დახვრიტეს ეს გულადი და ღირსეული ადამიანი. მან ბოლომდე აღასრულა თავისი საომარი მოვალეობა, თუმცა გამარჯვების იმედი არ ჰქონდა.

ასევე ლაჩრულად დახვრიტეს სხვა ოფიცრებიც. მათ შორის გენერლებიც ბაქოში და სხვაგან.

ბაქოში მოკალათებულმა, ბოლშევიკების მიერ დასმულმა მთავრობამ უპირველეს საზრუნავად მიიჩნია დეპეშა გაეგზავნა სომხეთის საზღვარზე მდგომ აზერბაიჯანული არმიისათვის და განკარგულება მისცა — მედგრად დაეცვა ქვეყნის ტერიტორია, თუკი სომხები შეტევაზე გადავიდოდნენ.

წითელი არმიის ნაწილებმა სრულიად იოლად დაიპყრეს აზერბაიჯანი. დაიკავეს ბაქო-თბილისის რკინიგზის ხაზზე მდებარე ქალაქები. დაიწყო ჯარისკაცებით სავსე მატარებლების საქართველოსაკენ გაგზავნა.

●

აზერბაიჯანის ტერიტორიის უმსგავსო ძალმომრეობით ოკუპაციამ, საერთაშორისო კანონების სრულმა იგნორირებამ გამოაფხიზლა ქართული მთავრობა. გვიანლა იყო!

ბაქოს აღებისა და აზერბაიჯანის დაპყრობის ამბავმა თბილისში 30 აპრილს ჩამოაღწია. პირველ მაისსავე გაიცა ბრძანება — სამხედრო ქართული ნაწილები შეედგინათ. მაშინვე დაიწყო ბოლშევიკებთან მოლაპარაკება. იგი 7 მაისს დამთავრდა. დაიდო მეგობრობის ხელშეკრულება, რომელზეც ამ თავის დასაწყისში ვილაპარაკე.

საქართველო მზად არ არის წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს. საკმარისი არ არის სამხედრო ამუნიციები. საჭიროა სასწრაფო მოქმედება. დეტალებს ველარ შევეხები. ამ წიგნის მიზანი მოვლენების ზოგადი აღწერაა. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ როცა ბოლშევიკების თავდასხმის მუქარა გაჩნდა, თავდაცვის არავითარი გეგმა არ იყო ჩამოყალიბებული.

პირველ მაისს საქართველოს მთავრობა გენერალ კვინიტაძეს ნიშნავს მთავარსარდლად. მანამდე იგი ქართულ სამხედრო სკოლას ხელმძღვანელობდა თბილისში. კვინიტაძე სწორედ პირველ მაისს, დილით, დაბრუნდა აზერბაიჯანიდან, სადაც მივლინებით იყო გაგზავნილი. მისი საგანგებო მატარებელი ისე გამოვიდა ბაქოდან, რომ გენერალმა არც სახელმწიფო გადატრიალების ამბავი იცოდა და არც აზერბაიჯანზე წითლების თავდასხმისა. იგი კინაღამ ბოლშევიკებს ჩაუვარდა ხელში. ბაქო-თბილისის რკინიგზის მახლობელ საგუშაგოებს წითლებმა ბაქოდან დეპეშები დააყარეს ბრძანებით — გენერალ კვინიტაძის მატარებელი და თავად იგი დაეპატიმრებინათ. მაგრამ საგუშაგოების უმეტეს ნაწილს ქართველი ოფიცრები მეთაურობდნენ. სადაც დეპეშით ბრძანება დროზე მოვიდა, იქ არავინ გაანძრეულა. არც უფიქრიათ გენერლის დაპატიმრება. კვინიტაძეს მატარებელში ტკბილად ეძინა. არც იცოდა, რა საფრთხე ემუქრებოდა. მთელი ღამე მშვიდად იმგზავრა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. დილით კი დაუბრკოლებლად ჩავიდა საქართველოში, სადაც მისი ყოფნა ეგზომ საჭირო იყო.

●

რაკი თავდაცვის არავითარი გეგმა არ არსებობდა, გენერალმა, უპირველესად, მთავრობას კითხვა დაუსვა:

დედაქალაქი თბილისი მტერს თუ ჩაუვარდება ხელში, ქართველთა წინააღმდეგობა დამთავრებულად ჩაითვლება, თუ პირიქით — ბრძოლა კვლავ გაგრძელდება?

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: საქართველოს მთავრობამ ერთსულოვნად და ვაუკაცურად გადაწყვიტა — იმ შემთხვევაშიც კი, თუ თბილისს მტერი აიღებს, ქვეყნის ტერიტორიის დაცვა და ბრძოლა გაგრძელდება მანამ, სანამ ერთი მებრძოლი მაინც დარჩება.

გენერალი ხელმძღვანელობს ამ დირექტივით. იგი განიხილავს შექმნილ ვითარებას. აზერბაიჯანისა და საქართველოს გამყოფი საზღვრიდან თბილისისაკენ სამი ძირითადი გზა მოდის.

1. ბაქო-თბილისის რკინიგზის ხაზი. იგი გადაკვეთს მდ. მტკვარს. თბილისიდან 85 კმ-ზეა.

2. ბაქო-თბილისის რკინიგზა საზღვრიდან სადგურ ალსტაფამდე. შემდეგ არის გზა ალსტაფა-წითელი ხიდი-თბილისი. მანძილი 85 კმ-ზე ნაკლებია.

3. ელანი-ნუხა-ზაქათალა-ხიღნალი-თბილისის გზა. ეს გზა გრძელი და ნაკლებ მოსახერხებელია, ვიდრე პირველი ორი.

უმთავრესად გასათვალისწინებელი იყო პირველი ორი გზა. იქაური სასაზღვრო ხიდები — ფოილოსა და წითელი — აზერბაიჯანელებს ეკუთვნოდათ. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მათი ხელში ჩაგდება სისხლის დაუღვრელად. აზერბაიჯანის ბატონ-პატრონ ბოლშევიკებს საბაბი არ უნდა მისცემოდათ ეყვირათ — შეტაკებები საქართველომ წამოიწყოო.

ამ დროს თბილისში იმყოფებოდა აზერბაიჯანის დამხობილი მთავრობის წარმომადგენელი. ამ დელიკატურ ვითარებაში გენერალმა კვინიტაძემ მას მიმართა თხოვნით: დეპეშით შეეტყობინებინა ფოილოს ხიდის დამცველ აზერბაიჯანელთა რაზმისათვის, დაეტოვებინათ ხიდი და ქართველები შეეშვათ.

აზერბაიჯანელის წარმომადგენელი სიამოვნებით დათანხმდა ამ სათუთი საკითხის ამგვარ გადაჭრას. ქართველთა ერთი ბატალიონი საჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაროდ გაიგზავნა მატარებლით, ბატალიონს ევალებოდა ფოილოს ხიდის დაკავება, მისი დანაღმვა, რომ საჭიროებისდა მიხედვით, აეფეთქებინათ.

წითელ ხიდს რაც შეეხება, იქ შეუძლებელი აღმოჩნდა დეპეშის გაგზავნა. არც ხიდამდე და არც ახლომახლო ადგილებამდე სატელეგრაფო ხაზი არ აღწევდა. იქ ცხენოსანთა ოთხი ესკადრონი გაუშვეს. მათ უნდა დაეკავებინათ ხიდი და დაუყოვნებლივ მოემზადებინათ ნაღმები. ესკადრონმა ვერ მოასწრო ხიდის აღება. გზაზე რუსი ბოლშევიკების ავანგარდი შემოხვდა. წითლებმა ხიდი გადმოიარეს და საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ.

იმავე ღამეს (8-4 მაისი) ორმოციოდე ბოლშევიკი ცხენოსანი, ოფიცრის მეთაურობით, წითელი ხიდის მახლობელ სოფელში შევიდა. სოფელში ქართული სამხედრო პუნქტი იყო განლაგებული, სულ... ოთხი კავალერისტი. მორიგემ განგაში ატეხა. პუნქტის უფროსი შენობიდან გამოვარდა. მას ორი ჯარისკაციდან ერთი გამოჰყვა. ისინი, ორივენი, რუსი ცხენოსნების პირისპირ აღმოჩნდნენ. ძალიან ბნელოდა და რუსები გაურკვეველ მასად მოჩანდნენ.

— იარაღი დაყარეთ! — გაისმა ბოლშევიკების მხრიდან ბრძანება.

პასუხად ორმა ქართველმა ჯარისკაცმა ცეცხლი გახსნა წითლების მიმართულებით.

ქართველებმა მომხდურთა რიცხვი არ იცოდნენ. ბედად წითლების მეთაური დაიჭრა. იგი ცხენიდან ჩამოვარდა. ბოლშევიკებს ეგონათ, მათ პირისპირ მრავალრიცხოვანი რაზმი იდგა. თან ოფიცერიც გამოაკლდათ. აღარ დააყოვნეს და უკან მოკურცხლეს. მოკლულ ოფიცერს ჯიბეში რამდენიმე საბუთი აღმოაჩნდა. ერთი მათგანი თბილისზე შეტევის ბრძანება იყო. ეს კი უტუყარად მიანიშნებდა იმას, რომ რაც მოხდა, უბრალო სასაზღვრო ინციდენტი არ ყოფილა. მოსკოვთან ნამდვილი ომი იწყებოდა.

●

საქართველოშიც, თბილისშიც მოინდომეს ბოლშევიკური მეთოდით სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა.

სამი მაისი რომ თენდებოდა, ღამით, პირველ საათზე 50 შეიარაღებული კაცი სამხედრო სკოლის შენობაში შეიჭრა უკანა შესასვლელით. მათ დაატუსაღეს მორიგე ოფიცერი და იარაღი ამუარეს. მერე კურსანტების საწოლ ოთახებში შეცვივდნენ. ისინი იარაღის მუქარით ოთახებში ჩაკეტს და ერთადერთ კარს მეთვალყურე დაუყენეს. მომხდურთა დიდი ნაწილი მეზობელი შენობისაკენ გაეშურა. იმედოვნებდნენ — როცა გამოვაცხადებთ, საქართველოს მთავრობა აღარ არსებობს, ქვეყანას ბოლშევიკები განაგებენო, იქ მყოფი ბატალიონის უნტერ-ოფიცრები აჯანყდებიანო.

მართალია, ბოლშევიკებმა ყველაფერი წინასწარ გათვალეს, მაგრამ გენერალი კვინიტაძე გამორჩათ. ეგონათ, იგი სამხედრო სასწავლებელში აღარ იმყოფებოდა, რადგან ივ დღეებში დანიშნეს მთავარსარდლად. როცა თავდასხმა მოხდა, გენერალი სწორედ მაშინ დაბრუნდა სკოლაში. იგი ჩვეულებრივ ცხოვრობდა თავის მოადგილე გენერალ ჩხეიძესთან ერთად, სანამ კვინიტაძე თავის ოთახში მივიდოდა, გენერალმა ჩხეიძემ დატყვევებული მორიგე ოფიცერი გაანთავისუფლა (მისი მოდარაჯე ბოლშევიკი იქვე გაგორა). სამივემ სროლა დაიწყო. ტელეფონის გადავრა ბოლშევიკებს დავიწყებოდათ. კვინიტაძემ ისარგებლა ამით. სასწრაფოდ მოთხოვა შტაბს ორი ტვეიამფრქვევი და დახმარება. შემდეგ სამმა გაბედულმა მხედარმა ფანჯრიდან იარაღი და ტყვიები გადასცეს კურსანტ ოფიცრებს. მათ სინათლე გამორთეს და სკამებითა და იარაღით დაერივნენ მოდარაჯე ბოლშევიკებს. მათი უვნებელყოფის შემდეგ მეზობელ შენობისაკენ გაიქცნენ, რომ დარჩენილი წითლები სკოლიდან გაეყარათ.

რამდენიმე ბოლშევიკმა მოახერხა გაქცევა და თავისიანების გაფრთხილება. ზოგიერთი ჯერ კიდევ ცდილობდა დაერწმუნებინა უნტერ-ოფიცრები, აჯანყება დაეწყოთ. არაფერი გამოუვიდათ. მომხდურთა ბანდა გაიქცა. სამი ბოლშევიკი ტყვედ ჩავარდა. ისინი მეორე დღეს დახვრიტეს.

უნდა აღვნიშნო: ამ ბოლშევიკებში არც ერთი ქართველი არ ერია[1]. მათი უფროსიც ბოლშევიკი იყო, რომელმაც მოსკოვში უხელმძღვანელა ასეთსავე გადატრიალებას. მაშინ ბოლშევიკების გამარჯვებით დამთავრდა საქმე.

თავი IV

ზედმეტად მიმნდობი საქართველოს მთავრობა ვერ იყენებს ლამაზი გამარჯვების ნაყოფს

მაშინვე, როგორც-კი საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარი წითელმა არმიამ გადმოლახა, მთავრობამ მიმართა მოსკოვს. მოსთხოვა ამ სრულიად უსაფუძვლო თავდასხმის გამო ახსნა-განმარტება.

მოსკოვმა მარტივად უპასუხა: იგი (მოსკოვი) არაფერ შუაშია. აზერბაიჯანი დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა. ეს აზერბაიჯანის სამხედრო ნაწილებმა დაარღვიეს საქართველოს საზღვარი. და შეიჭრნენ მის ტერიტორიაზე.

საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების ცდა მოსკოვის საბჭოთა მთავრობას ჩაეშალა. არც ის იცოდა, როგორ შედეგს გამოიღებდა

---

[1] დიუგე ცდება. თავდამხსმელები ძირითადად ქართველები იყვნენ (მთარგმ.) იხილე გენერალ კვინიტაძის წიგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხდარი სამხედრო აქცია. ამიტომ ამგვარი პასუხით სცადა თავის დაძვრენა.

საქართველოს მთავრობის წევრებმა მოსკოვის მხრიდან ვერ წარმოიდგინეს ამგვარი ორპირობა და თავხედობა. პირდაპირ ვთქვათ: დაუჯერეს კიდეც. ამიტომ იყო, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ხელი მოაწერეს მეგობრობის ცნობილ ხელშეკრულებას, რაც ზემოთ მოვიხსენიე.

სინამდვილეში კი თავდამსხმელები, მართლაც, რუსეთის წითელი არმიის ნაწილები იყვნენ. იმ ადგილებში განლაგებული იყო ბოლშევიკების მე-20 და 32-ე დივიზიები. ისინი შემოიჭრნენ საქართველოში ყოველგვარი მიზეზისა და საბაბის თვინიერ.

მოსკოვის მთავრობა, ალბათ, გულში ხითხითებდა, როცა 7 მაისის ხელშეკრულებას აწერდა ხელს.

●

სინამდვილეში მოსკოვმა ნამდვილი ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს თავდასაცავად ორი სახის შეიარაღებული ძალა ჰყავს. ჯერ ერთი, ჰყავს არმია, მსგავსი ყველა ჩვეულებრივი არმიისა. იგი შედგება 12 ბატალიონისაგან. მობილიზაციის დროს ისინი შეიძლება გარდაიქმნას სამ ბატალიონად, რომელთაც ეყოლებათ სპეციალური დანაყოფები არტილერიისა, საინჟინრო ჯარებისა, მესანგრეებისა და ა. შ. ამათ დაემატება ცხენოსანი პოლკის ოთხი ესკადრონი.

მეორეც, ჰყავს აგრეთვე ეროვნული გვარდია. იგი შედგება 23 ბატალიონისაგან, საარტილერიო ბრიგადის, ცხენოსანი პოლკის ოთხი ესკადრონისა და მესანგრეებისაგან.

მობილიზაცია დიდი პატრიოტული აღმაფრენლობით ჩატარდა. უპირველესად, მთავარსარდალმა პატარ-პატარა ჯგუფები გაანაწილა. მათ ჩრდილოეთში და შავი ზღვის პირად სტრატეგიული წერტილები დაიკავეს. ლაგოდეხიც გაამაგრეს. ყველა ხეობა უნდა დაეგირათ. ამით ხელი ეშლებოდა მტერს საქართველოში შემოსაჭრელად გამოეყენებინა რომელიმე მესამე გზა და თბილისამდე მოეღწია.

არმიის ძირითადი ნაწილი და გვარდია — კი წითელი ხიდისაკენ გაგზავნა.

მაგრამ აღმოსავლეთ საზღვარზე მოვლენები სწრაფად განვითარდა. ამ სტრატეგიულ პუნქტს იცავდა ქართული ბატალიონის მეთაური პოლკოვნიკი კენჭუაშვილი. როცა პოლკოვნიკმა დაინახა, რომ წითელი ჯარის ავანგარდი ჯავშნოსანი მატარებლით მოემართებოდა ფოილოს ხიდისაკენ (ხიდი — საზღვარი, რომელშიც ბაქო-თბილისის რკინიგზა გადის), მან სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება აეფეთქებინა ხელოვნების ეს ნიმუში. ასე „ზედმიწევნით" შეასრულა ის ბრძანება, რომელიც მისცეს.

ბოლშევიკები აღმოჩნდნენ წვიმებისა და თოვლის დნობისაგან ადიდებული მდინარის პირას. მათ გადმოსვლის საშუალება არ ჰქონდათ. სხვა აღარაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ მდინარის ნაპირს გაჰყოლოდნენ წითელი ხიდის მიმართულებით.

წითელი ხიდის მისადგომებთან შეტაკებები რამდენიმე დღე გაგრძელდა. ბოლშევიკები დამარცხდნენ: მათი ერთი დივიზიიდან დარჩა მხოლოდ ჩონჩხი. მან უკან დაიხია და იგი ახალმა დივიზიამ შეცვალა. მოსკოვის ჯარისკაცები არა მარტო უკუაგდეს საქართველოს ტერიტორიიდან, არამედ 40 კმ-ით აღმოჩნდნენ საზღვარს მოცილებული.

ეს პირველი წარმატებები რამდენიმე ქართულმა პოლკმა მოიპოვა. მობილიზაციაც ნორმალურად ჩატარდა. მთელი არმია მზად იყო. მთავარსარდლის ხელმძღვანელობით მტერს მიერეკებოდა.

●

მაგრამ არც მოსკოვი თვლემდა. როგორც გითხარით. ე. წ. დამოუკიდებელ აზერბაიჯანის მთავრობის ვერსია გაითამაშეს (თუმცა იგი ბოლშევიკების დასმული იყო). მოსკოვი ყველა ხერხით ცდილობდა დაერწმუნებინა საქართველოს მთავრობა, რომ თასდახსმა განახორციელეს აზერბაიჯანის წითელმა რაზმებმა რომ ეს აზერბაიჯანის „ახალგაზრდა მთავრობის" „შეცდომა" იყო. ამ ფაქტის მიმართ საქართველოს ხელისუფლებას უნდა გამოეჩინა შეუწყნარებლობა და არ უნდა გაენადგურებინა აზერბაიჯანი. მოსკოვმა იმდენი უჩიჩინა თბილისს, რომ საქართველოს მთავრობამ განკარგულება გასცა — შეეწყვიტათ მტრის დევნა. დევნის შეჩერებას მაშინვე მოჰყვა მოლაპარაკებაც.

ასე აიცდინა მოსკოვის გამოგზავნილმა წითელმა ჯარმა დამარცხება, რაც გარდაუვალი ჩანდა. ბოლშევიკებმა მეტსაც მიაღწიეს: მოლაპარაკების დასაწყისშივე ქართულმა ჯარმა არა მარტო მტრის დევნა შეწყვიტა, არამედ თბილისის მთავრობის ბრძანებით, უკან საზღვრამდე დაიხია და საქართველოს ტერიტორიაზე გადმოვიდა.

ისტორიაში შეიძლება პირველად მოხდა ასეთი რამ: კარგად მომზადებული, ენერგიით სავსე ძლიერი არმია უარს ამბობს ლამაზი გამარჯვების ნაყოფი გამოიყენოს. მას ბომ არაფერი უშლიდა ხელს საბოლოო გამარჯვებაში! ისტორიაში, ალბათ, პირველი შემთხვევაა. როცა გამარჯვებული არმია უკან იხევს. მტერი დაამარცხა, გააქცია, თავად კი უკან დაიხია.

ამ გამარჯვების გამოყენება საქართველოს ძალიან ხელსაყრელ ვითარებას უქმნიდა როგორც რუსეთთან, ისე სხვა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში.

ბოლშევიკები ერთი მხრივ, პოლონეთს ებრძოდნენ, მეორე მხრივ, — ვრანგელს. მათთვის სრულიად შეუძლებელი იყო დახმარებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზერბაიჯანელ ბოლშევიკებს.

ქართველების გამარჯვების შედეგად აზერბაიჯანში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ბევრ რეგიონში ხალხი მზად იყო წითლების წინააღმდეგ აჯანყებისათვის. ამით ქართველთა წინსვლა გაადვილდებოდა. აზერბაიჯანელებიც დაეხმარებოდნენ. აღდგებოდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, რაკი ამ ქვეყნიდან მოსკოვის ჯარს გაყრიდნენ.

ქართული ჯარის შეტევით, აზერბაიჯანელი მოსახლეობის აჯანყებით, აზერბაიჯანის არმიის მონაწილეობით, რომელსაც, როგორც ვთქვი, ქართველი ოფიცრები მეთაურობდნენ, უკანდახეული წითელი ჯარები აირდაირეოდნენ, გაჩნდებოდა უწესრიგობა და ბოლშევიკებიც ამიერკავკასიიდან გაძევებულნი იქნებოდნენ. ნავთობ-ით მდიდარი რეგიონიც — ბაქოც განთავისუფლდებოდა. ამიერკავკასიიდან ბოლშევიკების გაყრა რუსეთს დიდ დარტყმას მიაყენებდა.

აზერბაიჯანისა და საქართველოსათვის ფატალური ბრძანება ბრძოლის შეჩერებისა და უკანდახევისა თბილისიდან მოვიდა! მოვიდა იმ დროს, როცა მთავარსარდალს და საერთო ჯარის ხელმძღვანელობას ბრძოლის გაგრძელებისა და შეტევის განკარგულება ჰქონდა გაცემული. გენერალი კვინიტაძე მაშინვე მიხვდა, რა სავალალო შედეგი მოჰყვებოდა თბილისიდან მოსულ ბრძანებას. იგი გადადგა. არ სურდა რაიმე კავშირი ჰქონოდა ამ მოუფიქრებელ და უგუნურ ბრძანებასთან.

გენერალმა ცხადად დაინახა, რომ მისი სამშობლო კომპრომიტირებული იყო. ნათლად დაინახა, როგორ მოიკალათებდნენ დიდი ხნით წითელი ბანდები აზერბაიჯანში, საქართველოს კართან. ალბათ, ისიც აფიქრებდა, რა ბედი ეწეოდა იმ აზერბაიჯანელებს, რომელნიც მზად იყვნენ წითლების წინააღმდეგ ასამბოხებლად. ზოგიერთ რაიონში დაწყებულიც იყო აჯანყება. ეს აჯანყება გამანთავისუფლებლად მიაჩნდათ.

თბილისიდან მოსულმა საბედისწერო ბრძანებამ ჩეკას ჯალათებს ხელში ჩაუგდო აზერბაიჯანელი პატრიოტები, რომელთაც საფუძველი მოამზადეს თავიანთი სამშობლოს გასათავისუფლებლად.

ამ უცნაურმა და უგუნურმა ბრძანებამ საქართველოს დამოუკიდებლობას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა.

თბილისის მთავრობა კი იმედოვნებდა: რაკი მან უარი თქვა ესარგებლა გამარჯვების შედეგით, ამით მოსკოვის ხელისუფლების გულს მოიგებდა და ხანგრძლივ მშვიდობას დაამყარებდა. სინამდვილეში კი ხელ-ფეხი შეიკრა. ეხოლოდ ათი თვე-ღა იყო საჭირო ბოლშევიკებისათვის, რომ ხელმეორედ შესეოდნენ საქართველოს და ამჯერად გაენადგურებინათ იგი.

თავი V

თბილისში ცნობილი ხდება, რომ ბოლშევიკები საქართველოს ხელმეორედ დასაპყრობად ემზადებიან

სანამ საქართველოს მთავრობასა და ბოლშევიკებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ანტანტამ გადაწყვიტა დაეტოვებინა ბათუმი. 7 ივლისს ქალაქში ქართული ჯარი შევიდა.

ქართველები მარტო აღმოჩნდნენ ბოლშევიკების პირისპირ, უფრო ზუსტად — ბოლშევიკებით გარშემორტყმულნი. ახლა ბოლშევიკებს სომხეთიც დაპყრობილი ჰქონდათ, იმავე მეთოდით, რითაც ადრე აზერბაიჯანი ჩაიგდეს ხელში. ქართველებს წითლების შემოსევის საფრთხე ელის ყოველი მხრიდან. გარდა სამხრეთისა, სადაც თურქეთ-საქართველოს საზღვარია და შავი ზღვის მცირე ზოლი.*

ოქტომბერში ქართველები იგებენ, რომ ბოლშევიკები გამალებული ემზადებიან მათ დასაპყრობად.

ამ პერიოდში ბოლშევიკების მდგომარეობა საკმაოდ კარგია: დენიკინის შემდეგ დამარცხებულია ვრანგელი. მოგვარებულია პოლონეთთან ურთიერთობაც.

ივლისის თვიდან აზერბაიჯანში ბოლშევიკების თავშეყრა დაიწყო. ამ დროს ხანგრძლივი მოლაპარაკება მიმდინარეობს, რომელსაც აგვისტოში მეგობრობის ცნობილი ხელშეკრულების ხელმოწერა მოჰყვა*.

სამწუხაროდ, თბილისში თავდასხმისათვის მზადების ნათლად გამოხატულ ნიშნებს ის უურადღება არ მიაქციეს, რასაც იმსახურებდა.

ნოემბერში ვითარება ძალიან იძაბება. საქართველოს მთავრობა უახლეს საფრთხეზე ზუსტ ინფორმაციას იღებს. უმცირესი ეჭვიც

---

* ამ მოძრაობას ქართულ ჯართან კავშირში უნდა გაეთავისუფლებინა აზერბაიჯანი. იგი კარგად იყო მომზადებული. შიუხედავად ქართული ჯარის შეჩერებისა მოსკოვის წინააღმდეგ აჯანყებამ 25 მაისს ელიზავეტპოლში (განჯაში), აზერბაიჯანის დედაქალაქში, მაისც იფეთქა.

* 1920 წლის 8 აგვისტოს ბ-ნი ეან მარტენი ბაკურიანიდან სწერდა „ჟენევის გაზეთს“: „ჩემი ღრმა რწმენით, ბოლშევიკები თამაშობენ საქართველოთი, როგორც კატა თაგვით. იცდიან, რომ დაღეჭონ კბილებით და დაკაწრონ ბრჭყალებით. იციან, რომ საქართველო მათ განკარგულებაში იქნება, როგორც კი მოისურვებენ. მის უხვ სიმდიდრესაც კარგად გამოიყენებენ, როგორც კი აზერბაიჯანს მოუღებენ ბოლოს. თუ ასეა, რაღას ვლიან? იციან ქართველი ჯარისკაცების სიმამაცე და არ უყვართ, როცა ერთდროულად ბევრი მტერი ჰყავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ რჩება. ნათელია, რა განზრახვა აქვს მტერს. თბილისში შეიტყვეს, რომ აზერბაიჯანში წითელი ჯარის უფროსს, ვინმე გეკერს, ბალტიის ქვეყნებიდან გამოსულ გერმანელს, მოსკოვმა სთხოვა შეედგინა მოხსენებითი ბარათი საქართველოს შესაძლებელი დაპყრობის შესახებ.

ამ მოხსენებითი ბარათის პირი საქართველოს მთავრობას ხელთ ჰქონდა უკვე დეკემბერში. გეკერი აცხადებდა, რომ საქართველოს დასაპყრობად მხოლოდ ექვსი კვირა სჭირდებოდა.

ვფიქრობ, საჭიროა მოვიყვანო ამ საბუთის დამახასიათებელი ნაწყვეტები. მოხსენებითი ბარათი ეგზავნებოდა მე-11 არმიის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს:

„როგორც უკვე მოგახსენეთ „მე-11 არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს" კრებაზე ამა წლის (1920) 3 დეკემბერს საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ კიაზიმ კარაბეკირის (ქემალისტური თურქები) ჯარები დაიცავენ გარკვეულ მეგობრულ ნეიტრალიტეტს, რადგან, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ ოპერაციისათვის დაინიშნებიან მეთერთმეტე არმიის გარდა, მთლიანად მეცხრე არმია და მეორე არმიის კავალერია, ჩვენს კომანდობას არ ეყოლება საკმარისი ძალები თურქების წინააღმდეგ ჯებირი რომ შეექმნათ.

„ჩვენი უწყების ცნობების მიხედვით, კიაზიმ კარაბეკირის ძალები, სარაკამიშ-ალექსანდროპოლის ხაზზე აღწევს 22-24000 რეგულიარულ ჯარისკაცს და 14-16000 ქურთ და თათარ კავალერისტს. ვიღებთ რა მხედველობაში სომხური ჯარის სისუსტეს, რომელიც სრულ დაშლის კრიზისს განიცდის და რომელიც საფუძვლიან რეორგანიზაციას მოითხოვს, ჩვენ თურქების შესაკავებლად უნდა დავაყენოთ ძალები, რომლებიც ერთ ქვეით დივიზიაზე და ერთ კავალერიის ბრიგადაზე მცირე არ იქნება.

„ამ შემთხვევაშიც კი ჩვენი ოპერაცია ყაზახ-წითელი ხიდის მიმართულებით და შორსაც, თბილისისაკენ, შეფერხებული იქნება. ქართული ჯარის ნაწილების მიერ სერიოზული წინააღმდეგობის შემთხვევაში ჩვენი ჯარები შეიძლება კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. ამგვარად, მე არ ვხედავ შესაძლებლობას ასეთი ჯებირის მოსაწყობად. მითუმეტეს, სამხედრო ოპერაციების დასაწყისში ვერ გავბედავ გაძოვიყვანო ჯარები, რომლებიც დაკავებულნი არიან ლენინაკანში, დაღესტანში, ჯავუშირში და ყარაბახში.

„ასეთ პირობებში, ჩემი ღრმა რწმენით, რაც წერილობით უნდა მოგახსენოთ, თურქებთან ჩვენი ურთიერთობის წინასწარი მოგვარების გარეშე ხაშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყება.

„თუ მე-11 არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭო მიიღებს რეალურ გარანტიებს იმისას, რომ კიაზიმ კარაბეკირის ჯარები ჩვენს მიმართ მეგობრულ განწყობილებას დაიჭერს, საქართველოს ოკუპაციის პრობლემა და, უპირველეს ყოვლისა თბილისის, უფრო რეალური გახდება.

„საქართველოს წინააღმდეგ სრულიად გარანტირებული ოპერაციის ჩასატარებლად მე მიმაჩნია საჭიროდ შემდეგი ძალების თავმოყრა: ყაზახ-წითელი ხიდის ხაზზე ორი ქვეითი დივიზია და ორი კავალერიის დივიზია, ფოილოსაკენ ქვეითი ჯარის ერთი დივიზია და კავალერიის ორი დივიზია, ალსტაფა-ელიზავეტოპოლის ხაზზე ქვეითი ჯარის ორი დივიზია. სულ, ქვეითი ჯარის ექვსი დივიზია და ხუთი დივიზია კავალერიისა; მთლიანად 25000 ხიშტი და 4000 ხმალი. ფოილის მიმართულებით ამას გარდა კიდევ უნდა გვყავდეს სამი ჯავშნოსანი მატარებელი. სოჭის მიმართულებით ქართული ჯარების შესაკავებლად იქ უნდა დავტოვოთ ქვეითი ჯარის ერთი დივიზია, ხოლო ვლადიკავკაზის დასაფარავად — ამხანაგ იქსის მოძრავი ჯარი".

„....ყველა ეს მოსაზრება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელი იქნება საქართველოზე შეტევა. არამედ მგონია რომ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ, რათა სასწრაფოდ მოვუთავოთ ხელი თბილისის ხალხს.

„თუ მაინც პოლიტიკური მოვლენები გვაიძულებენ დავიწყოთ შეტევა, მაშინ უნდა მოველოდეთ იმას, რომ საქართველოს წინააღმდეგ ომი მიიღებს ხანგრძლივ ხასიათს.

„მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ შეგვიძლია დაუბრკოლებლად მოვახდინოთ მთელი საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია სურამის ქედამდე, მაგრამ შემდეგ ჩემი ჯარები შეფერხდებიან. ამის გამო, ნებას ვაძლევ თავს გაგაფრთხილოთ, რომ უნდა დავაგვიანოთ შეტევა საქართველოს წინააღმდეგ, სანამ შემდეგი პირობები არ განხორციელდება:

1. ბაქო-ბულახ-ნუხა-ელიზავეტოპოლ-ყაზახში მეშვიდე ქვეითი დივიზიის და მეორე არმიის კავალერიის კონცენტრაცია.

2. ბაქო-ელიზავეტოპოლის ხაზზე სანოვაგით დატვირთულ მატარებლის მისვლა-მოსვლა, რომელიც ხურსათით მოამარაგებს დეკემბერ-იანვრის თვეთა განმავლობაში.

3. შეთანხმება თურქეთის სარდლობასთან.

ამ პირობების და ჯარის ერთეულთა სიმტკიცის შემთხვევაში მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კამპანია საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება მოთავსდეს ექვსი კვირის განმავლობაში..."

წითლების ორპირობა სრულად გამოჩნდება, თუ გაგახსენებთ რომ დაახლოებით იმავე პერიოდში, როცა ეკერი ამზადებდა თავის მოხსენებით ბარათს, ჩიჩერინი უგზავნიდა ლორდ კერზონს ნოტას, რომელშიც აღნიშნავდა საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოების მთავრობის მშვიდობიან ზრახვებს საქართველოს მიმართ. ამ საკითხთან დაკავშირებით, 1920 წლის სამ დეკემბერს ლონდონის სოციალისტურმა გაზეთმა „Daily Herald"-მა გამოაქვეყნა შემდეგი სტრიქონები:

„ლორდ კერზონს ბათუმის საკითხთან დაკავშირებით ჩიჩერინმა ნოტა გამოუგზავნა. ნოტაში გამოთქმულია პროტესტი იმის გამო, რომ თითქოსდა რუსეთის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრება. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. ერთადერთი საფრთხე ანტანტაა...

...საბჭოთა რუსეთს არ დაუწყია და არც დაიწყებს მტრულ საქმიანობას საქართველოს წინააღმდეგ, ბათუმის აღებით ან სხვა რაიმე ქმედებით".

●

მაგრამ საქართველოში იციან, რომ თავდასხმა მოსალოდნელია.

დაუყოვნებლივ იგზავნება ჯარის ნაწილები აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებზე სამეთვალყურეოდ. საფრთხე ამ ორი ქვეყნიდან არის მოსალოდნელი. ორივეს ბოლშევიკები ბატონ-პატრონობენ.

მაგრამ ხიფათი იმდენად ახლოა, რომ უფრო სერიოზული და გამალებული მზადებაა აუცილებელი.

1920 წლის ნოემბერია, ის თვე, როცა ახალწვეულები მიჰყავთ ჯარში. ყველაზე ლოგიკური ჩანს, რომ დაუგვიანებლად გაიწვიონ ახალგაზრდები სამხედრო სამსახურში რომ შემოსევისთანავე შეეძლოთ დედა-სამშობლოს თითოეული გოჯის დაცვა. საჭიროა, რაც შეიძლება მეტი რაოდენობის გაწვრთნილი ჯარისკაცების შეგროვება.

საქართველოს მთავრობა ამ კუთხით ვერ ხედავს ვითარებას და სხვა გადაწყვეტილებას იღებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ იგი სოციალ-დემოკრატებისაგან შედგება და სამხედრო საქმეში ვერ ერკვევა. მობილიზაციის მომენტისათვის სამხედრო ფორმების დიდი ნაკლებობა იყო. ერთდროულად ახალგაზრდების გაწვევა და რეზერვისტების მობილიზება არ მოხერხდება. არჩევანი უნდა გაეკეთებინათ. ჯერ ახალგაზრდები უნდა გაეწვიათ, მერე — რეზერვისტები.

მართალია, საფრთხე რეალური იყო (თუმცა ეკერის მოხსენებითი ბარათის პირი ჯერ ხელთ არ ჰქონდათ), მაგრამ საქართველოს მთავრობა მაინც ფიქრობდა, რომ თავდასხმა ასე ჩქარა არ მოხდებოდა. ბოლშევიკები კი ცდილობდნენ საქართველოს დაპყრობას. მაგრამ მათაც ბევრი რამ აკლდათ გამარჯვების მოსაპოვებლად. აუცილებელი მაშველი ჯარის გამოსროლას რამდენიმე კვირა დახჭირდებოდა რთული და ძნელი გზების გამო. ამ ხნის მანძილზე მოესწრებოდა ახალგაზრდა ჯარისკაცებისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება. ეს მათ საშუალებას მისცემდა, სამშობლოს ტერიტორია უფრო ეფექტურად დაეცვათ. ამასობაში აუცილებელ ფორმებსაც იშოვნიდნენ. რეზერვისტებსაც შემოსავლენენ. შესაძლებელი იქნებოდა მათი რეგულიარული გამოძახება და ჩაცმა.

ეტყობა საქართველოს მთავრობა მხოლოდ აწმყოს ხედავდა. ცხადია, მას სურდა, რაც შეიძლება კარგად და სწრაფად მოეწყო იმ ქვეყნის დაცვა, რომლის ბედსაც განაგებდა. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება: ჯერ გამოიძახეს რეზერვისტები, ხოლო უფრო გვიან ახალგაზრდების გაწვევა დაიწყეს.

ეს იყო სერიოზული და ხახიფათო შეცდომა. ამაზე უარეს შეცდომას მთავრობა ვერ დაუშვებდა.

●

ბოლშევიკები, თავის მხრივ, დროს არ კარგავენ საქართველოში. მათ თბილისში მოაწყვეს რუსული საბჭოთა, დაახლოებით 300 კაციანი, საელჩო. ეს რიცხვი, პროპორციულად საოცრად აღემატებოდა თბილისის საელჩოს განსაზღვრულ საშტატო რაოდენობას.

ეს იყო დიდი კომუნისტური კერა. მას ხელმძღვანელობდა ვინმე შეიმანი. საელჩო აწარმოებდა კომუნისტურ პროპაგანდას. ეძებს კავშირებს. აგროვებს ცნობებს დაგეგმილი შემოსევის სასარგებლოდ. განსაკუთრებით აქტიურია საბჭოთა სამხედრო ატაშე. ეს პოსტი უჭირავს ცარიზმის არმიის ყოფილ გენერალს — სიტინს. იგი 1917 წელს წითელ ძალებს ედგა სათავეში დენიკინის წინააღმდეგ. მაშინ სიტინი დამარცხდა. სავარაუდოა: როგორც ჯაშუშთა უფროსი და ინფორმატორი, იგი უფრო მარჯვეა, ვიდრე არმიის სარდალი.

მოხდა ისე, რომ 1921 წლის თებერვალში, დანაშაულის ადგილას, ჯაშუშობისათვის სიტინს ორი სამხედრო დაუჭირეს — ივანოვი და გოკი. ისინი სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა. როცა ბოლშევიკები თბილისს მიუახლოვდნენ, ორივე დახვრიტეს.

როცა ქარიშხლის მომასწავებელმა პირქუშმა ღრუბლებმა ჰორიზონტი დაფარეს, პარიზში, ქართული საელჩოს დიდი მონდომების შედეგად, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, დე-იურედ აღიარა საერთაშორისო კონფერენციამ*.

სამწუხაროდ, ეს დამოუკიდებლობა ეფემე-

---

* საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა დე-იურედ აღიარეს შემდეგმა ქვეყნებმა — ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, არგენტინამ, გერმანიამ, პოლონეთმა, ავსტრიამ, რუმინეთმა, ლუქსემბურგმა, მექსიკამ, ჰაიტიმ, ლიბერიამ და რუსეთმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული იყო. ძალიან ჩქარა, წითელი არმია, როგორც ზვავი, ისე მოაწყდება საქართველოს. რუსეთს მხარი აუბეს ქემალისტებმა. ამას მოჰყვა სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლა, გმირული, კეთილშობილი, თავგანწირული, მაგრამ ამაო. წითლებმა გაიმარჯვეს. დაიწყო რეკვიზიცია, ძარცვა, ეკონომიკური ნგრევა, სიღატაკე, მასიური დაჭერები, დახვრეტები გაუსამართლებლად და ყოველნაირი თავისუფლების მოსპობა.

ღრმა თანაგრძნობა უჩნდება ადამიანს, როცა გაიგებს ქართველთა ამ დრამას. შეუძლებელია არ სცე თაყვანი იმ გმირებს, ვინც მედგრად ეწინააღმდეგებოდა მტერს. არ გაოცდე იმ სრული ერთიანობით, რომელიც სუფევდა ამ ძალებმოსილ დღეებში.

სანამ სამხედრო ხასიათის მოვლენებს შევეხებოდე, იმ მრავალმხრივ ღირშესანიშნავ კამპანიას, ვფიქრობ საჭიროა გიამბოთ — როგორ ემზადებოდა ეს მცირერიცხოვანი ერი წითელი ურდოების წინააღმდეგ საბრძოლველად.

●

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართულ შეიარაღებულ ძალას შეადგენდა ეროვნული გვარდია (23 ბატალიონი), რეგულიარული არმია (12 ბატალიონი, რომელიც მობილიზაციის პერიოდში გაიზარდა 36 ბატალიონამდე). თითოეულ ბატალიონში 600 კაცი შედიოდა. მთლიანი მობილიზაციის შემთხვევაში ჯარის საერთო რაოდენობა შეიძლებოდა ყოფილიყო 35.400 მეომარი.

მობილიზაციის გეგმის ხარვეზების გამო 15-20 დღე დასჭირდა ჯარში გაწვევას, ჩაცმას, იარაღით აღჭურვას. რამდენიმე დღე ქვეგანაყოფების ჩამოყალიბებამ წაიღო.

35400 მეომარს უნდა დაემატოს არტილერია, საინჟინრო ჯარები, კავალერია, მეკავშირეები, არიერგარდი. სულ 50000-დან 55000-მდე კაცი.

სამშობლოს დასაცავად სინამდვილეში 148000 ქართველი იყო გაწვეული (ე. ი. ყველა მამაკაცი 20-დან 38 წლის ჩათვლით).

საქართველო შეძლებდა უფრო ეფექტურად წარემართა ბრძოლა, ჯარის ორგანიზირება მშვიდობიანობის დროს რომ მომზადარიყო. ომისათვის იგი უფრო თანმიმდევრულად და პრაქტიკულად მოემზადებოდა. ამჯერად კი მას საშუალება არ ჰქონდა 55000 კაცზე მეტი გაეწვია ჯარში.

ამით ხელმძღვანელობდა მე-11 წითელი არმიის სარდალი ეკერი. მან საქართველო დაიპყრო აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან, ანუ აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. როგორც უკვე ითქვა, იგი მოხსენებით ბარათში მოსკოვს სამხედრო ოპერაციისათვის სთხოვდა მინიმუმ 30000 მეომარს. მე-9 წითელი არმია კი საქართველოში უნდა შემოჭრილიყო კავკასიონის ხეობებით და შავი ზღვის სანაპიროთი.

ეკერი ეურდნობოდა საბჭოთა საელჩოს ცნობებს. მან ზუსტად გამოითვალა რომ ქართული შეიარაღებული ძალის ერთი მესამედი მაინც გაიგზავნებოდა მთებში და ზღვის სანაპიროზე. თავად ეკერს კი 20-22000 მეომარზე მეტი არ დაუპირისპირდებოდა. ესეც იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ საქართველოში მთლიანი მობილიზაცია ჩატარდებოდა.

●

როგორც წესი, მობილიზაცია, ომისათვის მზადების ბოლო აქტია. მობილიზაციისას ქვეყნის ძალების დაჯგუფება წინასწარ დადგენილი დირექტივების მიხედვით მიმდინარეობს ამის მერე იწყება ოპერაციები.

მობილიზაცია საქართველოში 1920 წლის ნოემბერში დაიწყო. შეიარაღებული ძალა გაიგზავნა სამხრეთ აღმოსავლეთის საზღვრის ძირითად პუნქტებში: ვორონცოვის რაიონში — 3000 კაცი (ეროვნული გვარდია), სადახლოში — 5000 მეომარი (რეგულარული არმია), წითელი ხიდის მიდამოებში — 5000 კაცი (ეროვნული გვარდია), ფოილოს ხიდთან — 1500-2000 მეომარი (ეროვნული გვარდია), ლაგოდეხში — 1000-1500 კაცი (ეროვნული გვარდია და რეგულიარული არმია.

ეკერის მოხსენებითი ბარათი ცნობილი იყო საქართველოს მთავრობისათვის. მასში ნათლად იყო აღნიშნული ბოლშევიკების საომარი ზრახვები. მიუხედავად ამისა, მობილიზებულ ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი შინ გაუშვეს.

როგორც უკვე ვთქვი, რეზერვისტების პირველი კონტიგენტი 1920 წლის ნოემბერში უნდა გაეწვიათ, მაგრამ წაიყვანეს 1921 წლის იანვარში. ომი კი 11-12 თებერვალს ღამით დაიწყო. ამ წუთისათვის რეზერვისტები იმდენად მოუმზადებელი იყვნენ ბრძოლისათვის, რომ მათ ჭამის მეტი არაფერი შეეძლოთ.

ქართული შეიარაღებული ძალების ერთი ნაწილი განლაგებული იყო საზღვრების გასწვრივ. მას მტერი უშუალოდ ემუქრებოდა. მეორე ნაწილი გარნიზონებში იმყოფებოდა. ზოგიერთი გარნიზონი 5-6 და 10 დღის სავალით იყო დაცილებული რკინიგზას. ეს დეტალიც კი საყურადღებოა იმისათვის, რომ ცხადი გახდეს — რა სიძნელეებს ხვდებოდა საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლობა ქვეყნის დაცვის საქმეში.

დააკვირდით ამ ფაქტს: თბილისის გარნიზონის პირველი გამაგრებული პუნქტი (რომ ქვეითი ბატალიონი) დაშორებული იყო საზღვრის ყველაზე სტრატეგიულ პუნქტებს შემდეგი მანძილით: ვორონცოვკიდან — 220 კმ (ფეხით), სადახლოდან — 100 კმ. (რკინიგზითა და ფეხით), წითელი ხიდიდან — 70 კმ (ფეხით), ფილოს ხიდიდან — 90 კმ (რკინიგზითა და ფეხით) ლაგოდეხიდან — 160 კმ. (რკინიგზითა და ფეხით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, ქართული არმიის ნაწილები დაქსაქსულნი იყვნენ. შეუძლებელი ხდებოდა გამოეყენებინათ 1920 წლის კლასის წვევამდელები. ეს ხდებოდა ომში, როცა საქართველოს სჭირდებოდა ყველა საშუალების გაშლა, ყველა ჯარისკაცის ამოქმედება ბოლშევიკური ურღოების წინააღმდეგ.

თავი VI

სიტუაციისამტეხი ბოლშევიკები მეორედ იპყრობენ საქართველოს

აზერბაიჯანში უმაღლესი წითელი მთავარსარდლობა ემზადება საქართველოზე თავდასასხმელად. ამ დროს ქართული არმია განლაგებულია სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვარზე, ხუთ პუნქტში. შეშოსევა აქედან არის მოსალოდნელი და ამიტომ სომხეთის მხრიდან, ჯარი საქართველოს იცავს ვორონცოვკისა და სადახლოს რაიონებში: აზერბაიჯანის მხრიდან — წითელ ხიდთან, ფოილოს ხიდთან და ლაგოდეხში.

წითელი რუსეთის მიერ დაპყრობილ სომხეთსა და საქართველოს შორის არსებობს სადაო ტერიტორია. სომხეთის დაპყრობამდე, გარკვევა იმისა თუ ვის ეკუთვნის სადაო ტერიტორია, საქართველოსა და სომხეთის მთავრობების მოლაპარაკება-მოგვარების საგანი იყო. ეს ერთგვარად ნეიტრალიზებული ტერიტორია არავითარ მტრულ გამოხდომებს არ იწვევდა. საზღვარზე განლაგებულ ქართული ჯარისა და წითელი არმიის ნაწილებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა იყო.

ამგვარი იყო ვითარება, სანამ რაიმე საპატიო საბაბის და წინასწარი გაფრთხილების თვინიერ, წითელი მე-11 არმიის რაზმები მოულოდნელად არ შეიჭრა ხსენებულ ზონაში 1921 წლის 12 თებერვალს ღამით. მათ მოპყვა წითელი არმიის დანარჩენი ნაწილიც გენერალ ეკერის მეთაურობით. ისინი ხელში იგდებენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს. ხნელი ღამით სარგებლობენ და ჩუმად თავს ესხმიან ქართულ ჯარს, განლაგებულს სადახლოსა და ვორონცოვკაში. ქართული არმიის ის ნაწილები, რომელთაც მოახერხეს გაქცევა, სასწრაფოდ გაერთიანდნენ და ეკვეთენ მტერს. სცადეს წითლების შეჩერება.

თბილისიდან სასწრაფოდ გაგზავნილი დამხმარე ბატალიონი სადახლოში ენერგიულ კონტრშეტევაზე გადადის, მაგრამ მტრის წინსვლას ვერ აჩერებს. თბილისი კიდევ ერთ ბატალიონს ამატებს, შემდეგ ნახევარ ბატალიონს. ისინი მედგრად იბრძვიან, მაგრამ ამაოდ.

ახლომახლო დამხმარე ძალა აღარაა. 14 თებერვალს ბრძანება გაიცა: წითელ ხიდთან მდგომი საჭარისო ნაწილები დაეხმარებიან სადახლოს მებრძოლებს. წითელ ხიდთან ბრძოლა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, როგორიც ეს ხიდია, დაუცველად რჩება.

დასახმარებლად გაგზავნილი ეს პატარ-პატარა რაზმები, სამწუხაროდ, იმთავითვე განწირული იყო დასამარცხებლად. როცა ბოლო დამხმარე ჯგუფი 5000-6000 მეომრით, გენერალ ჯიჯიხიას მეთაურობით, წითელ ხიდთან მივიდა, უკვე გვიან იყო. ქართველი ჯარისკაცები იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ საზღვრის ამ ზოლის დაცვაზე.. ისინი გაიემართნენ მდინარე ხრამის მიმართულებით და დაბანაკდნენ მდინარის მეორე ნაპირზე.

მდინარე ხრამი კი თბილისიდან 80 კმ-ზეა.

წითელ ხიდთან ეროვნული გვარდიის მხოლოდ ერთი ქვეითი ბატალიონი დარჩა. ბოლშევიკებმა კეთილი და მეგობრული დამოკიდებულებით მოადუნეს ქართველთა სიფხიზლე. ამით აზერბაიჯანის მხრიდან ისარგებლეს წითლებმა და ელვისებური სისწრაფით თავს ესხმიან ქართველებს; აიძულებენ დასავლეთისაკენ დაიხიონ. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა.

ქართული ჯარის მარცხენაა ფრთა, განლაგებული მდ. ხრამის ნაპირზე, სადახლოს პირდაპირ, მტერმა აღმოაჩინა. 16-ში ზურგიდან მიეპარა და ხელთ იგდო. უთანასწორო ბრძოლა შეუძლებელი გახდა. იგი წაგებულია. საქართველოს ამ ნაწილს მტერი ეუფლება.

●

მტერი კი, ერთგული მისთვის ჩვეული ცბიერი პროპაგანდისა, ხმამაღლა აცხადებდა: ვორონცოვკასა და სადახლოში განლაგებული ქართული ჯარის წინააღმდეგ შეტევისას წითელ არმიას ახლდა სომხეთში საგანგებოდ შეგროვებული ბანდა. წითელი არმია ასრულებდა ადგილობრივი მოსახლეობის, როგორც სომეხის, ისე ქართველის სურვილს. მოსახლეობას თანასწორუფლებიანობა სურს. წითელი არმია ეხმარებოდა ადგილობრივ მოსახლეობას ქართული ჯარის წინააღმდეგ.

შემდეგმა მოვლენებმა ცხადჰყვეს ამ განცხადების სიცრუე. როგორც კი ზურგიდან მოულოდნელი თავდასხმის ამბავი ცნობილი გახდა, ქართველებმა დაამტკიცეს თავიანთი პატრიოტული გრძნობები და ეროვნული სული. ისინი ერთხულოვნად შეერკინენ მტერს. მათ არავითარი ხურვილი არ ჰქონდათ წითლების საქართველოში შეშოსვლისა. ამას წინათ, ერთი ამერიკელი, რომელიც სომხეთის დამხმარე ამერიკულ მისიაში მონაწილეობდა და რამდენჯერმე საქართველოში ყოფნა მოუხდა, ჩემთან ლაპარაკში იხსენებდა იმ დღეებს და საათებს, საქართველოსათვის ტრაგიკულს და ამასთანავე პათეტიკურს; იხსენებდა, როგორი ენთუზიაზმით იცავდა ქართველობა სამშობლოს; იხსენებდა ხადგურებში, რკინიგზებზე გამოფენილ ხალხს, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც ჯარისკაცებს ყვავილებს ესროდა და მათთვის სურსათ-სანოვაგე მოჰქონდა.

წითლების ცბიერების მეორე მაგალითსაც მოვიყვან: იმ მოულოდნელი თავდასხმის მერე, თბილისის დაცვის დროს, საქართველოს მთავრობამ კატეგორიულად მოსთხოვა მოსკოვს ახსნა-განმარტება, ამჯერად ყოველგვარი ყოყმანის თვინიერ. პასუხი მაშინათვე მოვიდა მოსკოვიდან — ცინიკური და გამაოგნებელი: თურმე მოსკოვმა არაფერი იცოდა, საქმის კურსში არ იყო. მისი აზრით, საზღვარზე უმნიშვნელო ინცინდენტი მოხდა.

ცხადია, წითლებს დიდიხნით ადრე ჰქონდათ განზრახული ეს დარტყმა. ზემოაღნიშნული მოლაპარაკების დროს განა მათ არ მოითხოვეს, საქართველოს მშვიდობიანი ზრახვებისა და ურთიერთნდობის საბუთად ყოფილიყო ფოილოს ხიდი? სახაზღვრო ხიდი, რომელიც ნეიტრალურ ზომად გამოაცხადეს და რომელიც არ უნდა დაენაღმათ. საქართველოს მთავრობა, რომელსაც სჯეროდა მოსკოვის მშვიდობისმოყვარეობა, დათანხმდა ამ უცნაურ პირობას. რა მოჰყვა მერე ამას? ფოილოს ხიდის დამცველებს, მტრის ძლიერი დაწოლის გამო, უკან დახევა მოუწია და იმ ნაწილებთან შეერთება, რომელიც თბილისისაკენ მოდიოდა.. მართალია, ქართველებმა ხიდი ააფეთქეს, მაგრამ ნაჩქარევად. ისე ვერა, რომ ხიდი დიდი ხნის განმავლობაში გამოუსადეგარი ყოფილიყო. ბოლშევიკებმა იგი სწრაფად შეაკეთეს, ზედ ჯავშნიანი მატარებელიც და ტანკებიც კი გაატარეს, რაც დიდ დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა.

●

16-ში საღამოთი, ქართული ჯარის ის ნაწილი, რომელმაც მოახერხა მტრისაგან თავი დაღწია, სანდარში შეიკრიბა. იმ დროს გზა წითელი ხიდიდან თბილისამდე ღიაა ბოლშევიკებისათვის. ეს სამწუხარო ამბავი იმავე დღეს შეიტყვეს თბილისში.

გენერალი ოდიშელიძე გადააყენეს თანამდებობიდან. მთავარსარდლობა კიდევ ერთხელ გადავიდა გენერალ კვინიტაძის ხელში. კვინიტაძე გადადგომის შემდეგ უმუშვარი იყო. სამხედრო მატიანეებში იშვიათ მაგალითად უნდა შევიდეს ერთი ფაქტი: გადაყენებული გენერალი ოდიშელიძე, რომელმაც მთავარსარდლობა ვერ შეძლო, მთავრობის თავმჯდომარემ, ყორდანიამ, მოიწვია და თავის სამხედრო მრჩევლად დანიშნა. ეს თანამდებობა კი საგანგებოდ მისთვის შექმნეს.

ისევე, როგორც 1920 წელს, თავდაცვის არავითარი გეგმა არ არსებობდა. ახალმა მთავარსარდალმა ეს რომ დაინახა, მთავრობას შეეკითხა: წინააღმდეგობა თბილისში დამთავრდება, თუ ბრძოლა ბოლომდე გაგრძელდებოდა. მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო: სანამ შეეძლებათ, ქართველებმა უნდა იბრძოლონ, სამშობლო უნდა დაიცვან უკანასკნელ გოჯამდე.

ყველა სათადარიგო ნაწილი მაშინვე გამოიძახეს თბილისში. ორი პოლკი გაგრის მიმართულებით, შავი ზღვის პირას გაიგზავნა. რამდენიმე რაზმს კავკასიის ხეობების დაცვა დაეკალა. ახლადშექმნილი, ჯერ კიდევ არასრული პოლკები სასწრაფოდ თბილისში ჩამოვიდნენ დედაქალაქის დასაცავად. თავგანწირულად იბრძოლეს კიდეც პირველი დღიდან უკანასკნელ წუთამდე.

თბილისისათვის ბრძოლა 16 თებერვალს დაიწყო. ამ დროისათვის ქალაქში მხოლოდ 400 ჯარისკაცი იყო, მისი დაცვის რეგულიარული გარნიზონი.

სინამდვილეში თბილისი დაუცველი იყო. ამ პატარა გარნიზონში მხოლოდ ის ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც წითლებთან ბრძოლაში უკან იხევდნენ და თბილისში ნელ-ნელა იყრიდნენ თავს. ისინი საკმაოდ დემორალიზებული ივყნენ მდ. ხრამზე დამარცხების გამო. უძლურნიც, სეიროზული წინააღმდეგობა რომ გაეწიათ მტრისათვის.

●

ასეთი იყო ვითარება, როცა ბოლშევიკებმა, 18-19 თებერვალს ღამით, იერიში დაიწყეს სოღანლუღის მხრიდან. კოჯრის მხრიდან კი გამთენიისას აიღეს ეს დაბა. კოჯრის მაღალი ადგილი, დედაქალაქთან ახლოს მდებარე, მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია.

აქ უნდა გაგახსენოთ, რომ ბოლშევიკების სწრაფ წინსვლას სხვადასხვა გარემოებამ შეუწყო ხელი:

17-ში ბოლშევიკებმა ფოილოს ხიდს შეუტიეს. ამ სახაზღვრო ხიდს ეროვნული გვარდიის ორი ბატალიონი იცავდა. როგორც უკვე გითხარით, მოსკოვთან მოლაპარაკების საფუძველზე ხიდი ნეიტრალურ ზონად იყო გამოცხადებული. მიღებული იყო შეთანხმებაც, რომ ხიდი არ დაენაღმათ.

მოსახლეობა კი მოხდა: წითლების მოულოდნელმა იერიშმა ქართველებს არ აცალა ხიდის დანაღმვა. შესძლეს მხოლოდ იმ საყრდენი ბურჯების აფეთქება, რომელიც ქართველთა მხარეს იყო. მტერმა ჩქარა შეაკეთა ხიდის დაზიანებული ნაწილი. დიდ სამხედრო ძალას მოუყარეს თავი, სამი ჯავშნიანი მატარებელი და სამი ტანკიც მოიშველიეს. ქართულმა ჯარმა თბილისისაკენ დაიხია.

უკან დაიხიეს იმ ნაწილებმაც, რომელნიც ლაგოდეხთან იცავდნენ საზღვარს. ბოლშევიკების არმია მრავალრიცხოვანი იყო. მის შემოტევას ქართველებმა ვერ გაუძლეს.

17-18 თებერვალს, როგორც იქნა, თბილისში წინააღმდეგობის ცენტრი ჩამოყალიბდა. მასში ის საჯარისო ნაწილები შევიდა, რომელთა შეგროვება მოხერხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე კი შემდეგი ვითარება იყო:

ორნახევარი ახეული, ანუ 500 ხიშტიანი ჯარისკაცი. კოჯორში იყო გამაგრებული.

სამხედრო სკოლა და მე-8 პოლკის ერთი ბატალიონი, დაახლოებით 1000 ხიშტი, ტაბახმელაში იდგა (კოჯრის მთის ფერდი სოღანლუღის მიმართულებით).

სამნახევარი ბატალიონი კი, დაახლოებით 1700 ხიშტი, სოღანლუღის ბორცვებს იცავდა მტკვრამდე.

მტკვრის მარცხენა ნაპირს ბოლშევიკები მხოლოდ 50 კმ-ით იყენენ დაშორებული.

თბილისში იქმნებოდა ეროვნული გვარდიის 7 თუ 8 ბატალიონი იმ ჯარისკაცთაგან, რომელნიც ხრამის დამარცხებას გადაურჩნენ.

18-ში, სალამოს, დასაზვერად გაგზავნილმა რაზმმა, თბილისიდან 15 კმ-ის მანძილზე, ბოლშევიკების ვერავითარ კვალს ვერ მიაგნო. მაგრამ ვორონცოვკიდან თბილისისაკენ უკანდახეულ ქართულ ჯარს თავს დაესხა ბოლშევიკების არმია და დაფანტა. თუმცა ბევრმა მათგანმა მიაღწია განლაგებულ ნაწილებამდე.

19 თებერვალს, გამთენიის სამი საათისათვის, სოღანლუღში ბოლშევიკები ქართველთა ფორპოსტს უახლოვდებიან. მთელ ხაზზე დაიწყეს შეტევა. ბრძოლა გათენებამდე გაგრძელდა. დილით ბოლშევიკებმა პოზიცია დათმეს. სამარცხვინოდ უკუიქცნენ და გამარჯვებულ ქართველებს, ერთი ოთხის წინააღმდეგ რომ იბრძოდა, 1000 ტყვე დაუტოვეს.

საშუალოდ, იმავე დილით, წითლებმა კოჯრის მთა (1524 მ) დაიკავეს. იგი თბილისის შემოგარენშია და ქალაქს თავზე დაყურებს. ამ შესანიშნავი გადმოსახედიდან ბოლშევიკებს შეუძლიათ პირდაპირ ქალაქისაკენ დაიძრან. სულ 4 თუ 5-კმ-ია. ამით ისინი ფლანგებიდან მოუვლიან ქართულ რაზმებს, რომელთაც ჯერ კიდევ უჭირავთ ტაბახმელა და სოღანლუღი.

კოჯრის დამარცხება სოღანლუღის გამარჯვებას აქარწყლებდა. მდგომარეობის გამოსახსნელად საჭიროა სასწრაფო და გადაუდებელი მოქმედება.

საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლობა შეუძლებელს გადაწყვეტს. ეცდება კოჯრიდან გაადგოს მტერი. კოჯრის ფერდობები იმდენად დამრეცია, რომ კონტრშეტევა არარეალური ჩანს.

არც ახალი რაზმები და რეზერვებია. იმ ძალების გადაჯგუფება კი რაც არის, საკმაო დროს მოითხოვს — რვა-ათ საათს. ბოლშევიკების კოჯრიდან განდევნა კი დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს!

და ამ დროს ხდება საოცარი რამ, რაც ნათელმყოფს ქართველი ჯარისკაცის სულის სიდაადეს.

თავადი ანდრონიკაშვილი კოჯრის მეზობლის — ტაბახმელის სარდალია. მას მცირე ჯგუფი ჰყავს. იგი სამხედრო სკოლის კურსანტებისაგან შედგება. ანდრონიკაშვილი ამ 80-კაციან პატარა ერთეულს ორ ნაწილად მყოფს. კაპიტან თოიძის მეთაურობით, ეს კურსანტები და მსუბუქი არტილერიის ხამი ბატარეა ეკვეთა მტერს. ისე, როგორც წყლის წვეთი ცდილობს დიდი ნაკადის შერერებას, ასევე ფიქრობენ ეს ბიჭები, დააკავონ წითლების წამოსული ზვავი.

ხდება გაუგონარი ამბავი. თავადი ანდრონიკაშვილი ამ ჭაბუკებზე ამყარებდა იმედს. იმა, თაც გაუმართლეს. საქართველოსათვის თავგანწირულმა რამდენიმე კურსანტმა მოახერხა კოჯრის ბორცვის აღება. იქიდან მათ ფეხი აღარ მოუცვლიათ. ბოლშევიკთა ურდოები უწყვეტ იერიშად მოედინებიან. ხამი ჩინებულად აწყობილი ბატარეა ანადგურებს მათ.

კაპიტანი თოიძე ბრძოლის დაწყებისთანავე დაიღუპა. მოკლეს მისი ერთადერთი ლეიტენანტიც. სამხედრო სკოლის თავგანწირული და უდრეკი ჭაბუკების გვამები კოჯრის ბორცვებს ეფინება. გადარჩენილებში ცოტაა, ვინც არ დაჭრილა. ასე შეუწყვეტლად მიმდინარეობს ბრძოლა ღამემდე.

როგორც იქნა, მათ დასახმარებლად 5 ბატალიონი მოვიდა. ისინი სხვა ნაწილებიდან გამოიგზავნა.

მეორე დღეს, გამთენიისას, მეომრები წინ მიიწევდნენ, მიცოცავდნენ, ებღაუჭებოდნენ კოჯრის ციცაბო კლდეებს (ზოგან დაბრეცი 45°-ია). უმაწვილების თავგანწირვამ ნაყოფი გამოიღო: კოჯორი აღებულია. ბრძოლის ველზე მტერმა დატოვა 200 მოკლული, 4 ქვემეხი. 18 ტყვიამფრქვევი.

თავი VII

საქართველო გარბაროსებმა დაიპყრეს

თბილისის გარშემო დღეცა და ღამეც გაშმაგებული ბრძოლები გრძელდება. იგი მხოლოდ 24-25 თებერვალს, ღამით 12 საათზე დამთავრდება.

თბილისის ეს დაუვიწყარი დაცვა, ისევე როგორც მთელი ეს ომი, საგნად ეპიზოდებით, რომელნიც ავლენენ ქართველთა პატრიოტიზმისა და გმირობის, თავგანწირვისა და კეთილშობილების გრძნობებს. კოჯრის აღების გარდა, კიდევ რამდენიმე მაგალითი უნდა გიამბოთ. ისინი საშუალებას მოგვეცმს, უფრო ღრმად გავიგოთ ქართველთა ბუნება.

ტაბახმელის რაიონის ერთ ტრანშეაში 40 ჯარისკაცია. მათ კაპიტანი ყიფიანი მეთაურობს. უცბათ ტრანშეას თავს დაესხა წითელი ჯარი. თითქმის ალყაში მოაქცია. რიცხობრივად მათ შორის უშველებელი ხვეობაა. მაგრამ ქართველები არ ნებდებიან, იმედოვნებენ, დაახმარება მოუხწრებთ. ეს იმედი ამაოა. ქართველთა რაოდენობა სწრაფად კლებულობს. რჩება მხოლოდ ხუთი ფეხზე მდგომი ჯარისკაცი და მათი კაპიტანი. ბოლშევიკები ტრაშეას იღებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი გადარჩენილი რწმუნდება, რომ დამარცხება გარდაუვალია. ისინი ერთ მუშტად იკრუბებენ. კაპიტანი მათგან მოშორებით აღმოჩნდა. მას არც გაქცევა სურს და არც ცოცხლად მტრის ხელში ჩავარდნა. კაპიტანი მკერდზე რევოლვერს მიიდებს. ერთი მეორის მიყოლებით ტყვიას დაიხლიტ. ხასწაულია: კაპიტანს ხიკვდილი არ ეკარება. იგი ჯერ ცოცხალია. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა. მეხუთე ტყვიით მაინც მოიხპობს სიცოცხლეს. უეცრად ვიღაცამ უსწრაფესად გამოგლიჯა ხელიდან რევოლვერი. ეს საშხედრო სკოლის კურსანტები გამოჩნდნენ დასახმარებლად. კურსანტებმა მტერი უკუაგდეს. ტრანშეა ბოლშევიკებისაგან გაწმინდეს.

საშხედრო სკოლის კურსანტებმა ამ აქტით ისეთი დიდება მოიპოვეს, რომ მათ მთელი საქართველო „ტაბახმელას გმირებს“ უწოდებს..

ერთი ოფიცერი და ორი ჯარისკაცი თავის ტრანშეისაკენ მიდიოდნენ. ღამით მიმართულება შეეშალათ. ანაზდად ბოლშევიკების დიდ ჯგუფს შეეჩეხენ. დარწმუნებულნი, რომ გარდაუვალი ხიკვდილი ელით, დაუფიქრებლად მტერს ეკვეთნენ „ვაშას“ ძახილით. კიდევ ერთი საოცრება ხდება: წითლები იარაღს ყრიან! და ამ ხამ კაცს ტყვედ ხებდებიან...

იმ გაუკაცებს, კოჯრის მთა რომ ქართველებს დაუბრუნეს, კაპიტანი ალექსი მეხსიშვილის ბატარეა ახლავს. იგი უკან იხედება და რას ხედავს: 50-ოდე ბოლშევიკი ზურგიდან უვლის. ბატარეის ხელში ჩაგდება უნდათ. „ჩემსკენ“ — ბრძანებს ალექსი-მეხსიშვილი. თვალისდახამხამებაში ხმალამოწვდილი მეზარბაზნეები მის გვერდით დგანან. „ვაშას“ “ძახილით ეს პატარა რაზმი მტერს მიესევა ხმლებით. სმხედრო სკოლის კურსანტებიც მათ დასახმარებლად მიეშურებიან. წითლებმა ვეღარ გაუძლეს ორივე მხრიდან შეტევას. ნაწილი დაიღუპა. ნაწილი ტყვედ ჩაბარდა...

თბილისის ახლოს საშხედრო სკოლის კურსანტებს მტერმა ტრანშეა წართვა. კურსანტების მეორე ჯგუფმა იგი უკან დაიბრუნა. ტრანშეაში ნახიკვდილოდ დაჭრილი და გულწასული შალვა ერისთავი ნახეს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მას თოფი ხელიდან არ გაუშვია. თვალს ვერ ახელდა, ფეხზე ვერ დგებოდა და მაინც ხაბრძოლო განკარგულებებს იძლეოდა.

უკან დახევის დროს, ქართულმა ჯარმა ქუთაისი დატოვა (ამაზე მოგვიანებით გიამბობთ). შეაჩნიეს, რომ ხამხედრო ფორმით დატვირთული ხამი თუ ოთხი ვაგონი სადგურში დავიწყებოდათ. ქართველებს დირსების საკითხად მიაჩნდათ — არაფერი დაეტოვებინათ მტრისათვის. ორიერგარდის სარდალმა ანდრონიკაშვილმა ჯავშნიანი მატარებელი გაგზავნა იმ ვაგონების წამოსაყვანად.

ქუთაისის სადგური და მთელი ქალაქი წითლების ხელშია. ქართული ეროვნული გვარდიის ოფიცრის, ჯავშნიანი მატარებლის მეთაურის გოგუაძის ბრძანებით, მატარებელი დიდი სიწრაფით შეიჭრა ქალაქში. მიაღწია სადგურს. ჯავშნიანი მატარებლის წევრები დავიწყებულ ვაგონებს გამოაბამენ ჯავშნოსანს და ქალაქიდან გაიყვანენ. თან ქუთაისის სადგურში დატყვევებულ 20-ოდე წითელ კაზაკს წაიყვანენ.

საქართველოში ბოლშევიკების რეჟიმი რომ დამყარდა, ეს გმირი (გოგუაძე) პარტიზანების მეთაური გახდა. მთებში გაიხიზნა და იქიდან ებრძოდა მტერს. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ის წითლებმა დააპატიმრეს და დახვრიტეს*.

●

ბრძოლა გრძელდება. ზემოთ ნაამბობის მსგავსი ბევრი ეპიზოდის მოყოლა შეგვიძლია. მაგრამ ქართული უმაღლესი მთავარსარდლობა გრძნობს: მიუხედავად ქართველთა დიდი ვაუკაცობისა და შეუპოვრობისა, ძალები უთანასწორია. გადაწყვეტილია 24-ში უკანდახევა.

მართლაც, თბილისის დაცვა უკვე შეუძლებელია. გაჩნდა საშიშროება ქართული ჯარის ალყაში მოქცევისა. ეს ხდება იმ დროს, როცა ქართული ჯარი 9600 ხიშტს ითვლის, ხოლო მტერს 5 ქვეითი დივიზია მყავს და ორი კავალერიისა, ე. ი. 80000 მეომარი. მათ განუწყვეტლივ ემატება ახალი ძალა ბაქოდან რკინიგზით.

მცირერიცხოვნების გამო ქართული ხაჯარისო ნაწილები დღედაღამ იბრძვიან. მათ შემცვლელი არ მყავთ. ისინი სტოვებენ იმ ადგილებს, სადაც შედარებით სიმშვიდეა. ხასწრაფოდ მიეშურებიან მანქანით იქ, სადაც გააფთრებული ბრძოლაა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც თბილისში თითქმის ალყაში იყო, დედაქალაქში მანქანების განუწყვეტელი მიმოსვლა იყო. მათ მეომრები გადამყავდათ კოჯრის, ტაბახმელის, სოღანლუღის მიდამოებში, მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან — მარცხენაზე. მანქანების მოძრაობა კარგად იყო ორგანიზებული. ჩინებულადაც მოქმედებდა.. ამან საშუალება მიხცა მთავრსარდლობას დედაქალაქი საკმაოდ დიდხანს დაეცვა.

მაგრამ რა შეუძლია თავგანწირვას, ამაღლებულ და წმინდა გრძნობას იმ მტრის წინააღმდეგ, რომელიც რიცხობრივად ბევრად აღმატებულია და ყოველ საათში ძალას იმაგრებს ახალ-ახალი რეზერვებით?

ქართველები მხოლოდ თავდაცვით უნდა შემოფარგლულიყვნენ. მცირერიცხოვნების გამო მათ არ ჰქონდათ საშუალება ცეცხლის რკალი გაერღვიათ და გასულიყვნენ. თბილისის გარშემო მტრის რაოდენობა ხულ უფრო და უფრო იზრდებოდა. 24 თებერვალს, 16 საათისათვის, დადგა კრიტიკული მომენტი: დასავლეთით, შავი ზღვისაკენ ნიმავალი რკინიგზის სადგური

* ვ. გოგუაძე 1924 წლის აჯანყების წინ დააპატიმრეს. დახვრიტეს აჯანყების სხვა ხელმძღვანელებთან ერთად (მთარგმ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავჭალა ბოლშევიკებმა აიღეს. თბილისი თითქმის მთლიანად ალყაშემორტყმულია. დარჩენილია ერთადერთი, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მცხეთისაკენ მიმავალი საავტომობილო გზა (სამხედრო გზა). ბოლშევიკები მას 3 თუ 4 კმ-ით არიან დაშორებული. დედაქალაქის გადარჩენის იმედი გადაწურულია. ბრძოლა მაინც გრძელდება, იბრძვიან გარეუბნებში, მტკვრის ორივე ნაპირას. ამასთანავე დასავლეთისაკენ იგზავნება სანოვაგე, აღჭურვილობა, ტანსაცმელი და სხვა, რისი გადარჩენაც სურთ.

22 საათისათვის ბოლშევიკების ყველა იერიში უკუგდებულია. დედაქალაქის გარშემო ამ შეუწყვეტელი ომის დაწყებიდან პირველად ხდება, რომ სიმშვიდე დგება. ორივე მხრიდან წყდება ხაომარი მოქმედება. ყველა ცეცხლმსროლი იარაღი დუმდება.

შესვენების ეს წუთი ბედისწერის საჩუქარი იყო ქართული არმიისათვის. ამან გაუადვილა მას ნორმალური უკანდახევა.

მართლაც, ღამის 12 საათზე შესაძლებელი გახდა უკანდახევის დაწყება. ბოლშევიკები ალარ აწუხებენ. თბილისის ევაკუაციას არაფერი უშლის ხელს. 25-ში დილით ადრე საჯარის ნაწილებმა დედაქალაქი გაიარეს. უკანდახევა მტკვრის ორივე ნაპირზე მიმდინარეობს. მარცხენა კოლონას ერთ ადგილას, სოფელ ავჭალაში, ხიშტებით მოუხდა გზის გაკაფვა. წითლებმა, რომელთაც სადგური ავჭალა დაიკავეს, სოფელი ავჭალაც აიღეს. იგი დედაქალაქიდან 10 ვერსზეა.

მთავრობა და დამფუძნებელი კრება უკანასკნელ წუთამდე თბილისში დარჩა. მათ არიერგარდთან ერთად დატოვეს ქალაქი.

25-ში ქართული არმია დისციპლინირებულად იხევს უკან. იგი მცხეთას აღწევს. იქ ღამეს ათევს. მერე გორში ჩადის. გორს ცხარე ბრძოლის შემდეგ ტოვებს. ბოლშევიკებმა გორში დაარტყეს ქართველებს ზურგიდან.

უკანდახევა მეთოდურად გრძელდებოდა. პირველ მარტს არმია ხაშურს აღწევს. აქ ორი დღის ბრძოლის შედეგად ბოლშევიკების იერიში შეჩერებულია. გამარჯვება ქართველებს დარჩათ. ისინი დაიღალნენ პასიური როლით, რაც გარემოებამ მოახვია თავს. თავდაცვიდან ისინი შეტევაზე გადიან.

ხელისგულივით გაშლილ ველზე ქარი დათარეშობს. იგი დაფარულია სქელი თოვლით. ადამიანი მუხლამდე ეფლობა. ხე რომ ხეა, ისიც არსად ჩანს, არა თუ რაიმე ნაგებობა-თავშესაფარი. მთელი კვირის ბრძოლით გადაქანცული ქართველები უცბათ შეტევაზე გადასვლას გადაწყვეტენ. მტერი კი რიცხობრივადაც სჭარბობს და მდგომარეობაც უკეთესი აქვს.

სამშობლოს სიყვარული ქართველ ვაჟკაცებს ახალ ძალს მატებს. ამ არასახარბიელო ადგილსა და პირობებში ისინი იმარჯვებენ. ეს გამარჯვება ლამაზიც არის და აღმაფრთოვანებელიც. დღის მიწურულს ქართველები წითლების მარჯვენა ფრთას დაეუფლნენ. შეშინებული ბოლშევიკები უკუიქცნენ. ჰათი მეთაურები პანიკამ მოიცვა.

ამ მშვენიერ გამარჯვებას გაგრძელება არ ეწერა. ეროვნული გვარდია, რომელიც მართლა მედგრად იბრძოდა და ამ გამარჯვებაში წილი ედო, ღამით ქართული არმიის უკიდურეს მარცხენა ფლანგზე აღმოჩნდა.

ქართულ ეროვნულ გვარდიას იგივე ნაკლი ჰქონდა, რაც თითქმის ყველა ეროვნულ გვარდიას ახასიათებს. აკლდა ბევრი ის თვისება, რაც რეგულიარულ არმიას აქვს. სახელდობრ, აკლდა ღამით ბრძოლის გამოცდილება, არ გააჩნდა ის დისციპლინა, რაც აუცილებელია ჯარის სიმტკიცისა და მანევრირებისათვის. ერთი სიტყვით, გვარდია თუ დღისით კარგად იბრძოდა, ღამით ძალიან სუსტი იყო.

ცხადია, უმაღლეს მთავარსარდლობას რომ შეხძლებოდა, ღამით ბრძოლაში ეროვნულ გვარდიას შეცვლიდა. მაგრამ, საუბედუროდ, არავითარი რეზერვი არ ჰყავდა. მეტი რაღა დარჩენოდა: ეროვნული გვარდია უნდა გამოეყენებინა.

გაქცეული მტერი სიცოცხლის ნიშან-წყალს არ იძლეოდა. გამარჯვებაც საბოლოო იქნებოდა. ძნელია განსაზღვრო, რა შედეგი მოჰყვებოდა ამ გამარჯვებას, ეროვნულ გვარდიას ბრძოლაში მონაწილეობა რომ არ მიეღო.

აუხსნელმა და გაუგებარმა პანიკამ მოიცვა გვარდიის ერთი ნაწილი. ეს მოხდა მაშინ, როცა მტრის ბანაკში აბსოლუტური სიჩუმე სუფევდა. მოულოდნელად გაისმა ყვირილი — „განგაში"! „თავს უშველეთ" ეს პანიკური ღრიალი აიტაცეს და მთელ გვარდიას მოედო.

ზედმეტია ხაზგასმა იმისა, როგორ უწყობს ხელს პანიკას ღამე, განსაკუთრებით — უდისციპლინო და გაუწვრთნელ არმიაში. ამის გამო აღმოჩნდა პანიკის მსხვერპლი მთლიანად ქართული გვარდია. მან ბრძოლის ველი მიატოვა, ისე მოკურცხლა, რომ მეორე დღეს დილით, 18 კმ-ით აღმოჩნდა ბრძოლის ადგილას დაშორებული.

როცა ბოლშევიკებმა დაინახეს, რომ მარჯვენა ფრთა გაშიშვლდა, გული მოეცათ. ამასთანავე ახალი ძალა მოემატათ. რუსეთიდან მატარებლებით მოეშურებოდა დასვენებული რაზმები.

ქართულ მთავარსარდლობას ერთიღა დარჩენოდა: კვლავ უკანდახევის ბრძანება გაეცა.

●

სწორედ ამ დროს ქართველებისათვის ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან, შავი ზღვის სანაპიროთი, საქართველოში მე-9 არმია იჭრება. მას ლევანდოვსკი ხელმძღვანელობს. ჯარის ზვავი იზრდება და იზრდება. მე-9 არმია ქუთაისისაკენ და სამტრედიისაკენ მიემართება. ქართულ ჯარს სრული განადგურება ემუქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევს, მაგრამ მაინც იძულებულია უკან დაიხიოს.

ქართული არმია მედგარ წინააღმდეგობას უწიგი სამტრედიის მაღლობზე ადის. წითლების შეტევას აჩერებს. მერე მდ. რიონს გადადის. გადასვლისას ერთადერთ ხიდს აფეთქებს.

რიონი ძალიან ადიდებულია ბოლშევიკებისათვის იგი გადულახავი დაბრკოლებაა. იძულებულნი არიან შორი გზიდან მოუარონ. დიდი დრო ეკარგებათ. მართალი რომ ვთქვა, ქართველებსაც არ ყოფნით დრო მოაწესრიგონ ყველაფერი, დაისვენონ, ახალი ბრძოლისათვის მოემზადონ. ამით საშუალება მიეცემოდათ, უკანასკნელი დასაყრდენი — ბათუმის გამაგრებული ნაწილი — დაიცვან. ეს სიმაგრე რუსების აგებულია მაშინ, როცა ისინი საქართველოს ბატონ-პატრონი იყვნენ.

●

ახალი უბედურებაც გამოჩნდა, რომელმაც კიდევ უფრო გაართულა ისედაც აწეწილ-დაწეწილი ვითარება. საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი თურქეთის დამოკიდებულებამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია.

რუსეთთან ომის დაწყებისთანავე საქართველოს მთავრობამ თურქეთთან მოლაპარაკება დაიწყო. თურქებმა დაუმალეს ქართველებს, რომ ისინი ბოლშევიკების მოკავშირენი იყვნენ. პირიქით: ქართველებს დახმარება აღუთქვეს. მაგრამ ამ დაპირების მერე მცირე ხანიც არ გასულა, რომ თურქეთის ჯარმა დაიკავა ართვინის რაიონი. ეს ნეიტრალიტეტის დაცვის ფასად მოითხოვა.. მერე ჯარი ბათუმშიც შეიყვანა საქართველოს დახმარების საბაბით, თუმცა წითლები ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყვნენ.

როცა, 18 მარტს, ქართული არმიის მთავარსარდალი ბათუმში ჩავიდა ქალაქის გამაგრების მიზნით, მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: ბათუმში თურქთა ჯარი იყო მოკალათებული.

თურქეთის მთავრობის ნამდვილი განზრახვა ეჭვს იწვევდა. საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდლობამ დაუყოვნებლივ გაგაგზავნა 8 ბატალიონი ბათუმში. ქართული შეიარაღებული ძალა ისე განალაგეს, რომ, საჭიროებისდა მიხედვით, თურქებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ. თურქებს კი არა მარტო ბათუმი ეჭირათ, არამედ ახალციხის მიმართულებითაც ჯარი ჰყავდათ დაყენებული.

16 მარტს თურქეთის მთავრობამ ნოტაში მოიხსნა. თურქეთის წარმომადგენელმა ქიაზიმ-ბეიმ საქართველოს მთავრობას გადასცა ნოტა: იგი გუბერნატორად აცხადებდა თავს. ეს კი ახალი ომის დაწყებას ნიშნავდა თურქეთთან.

ქართული ჯარი მაშინვე იღებს ბრძანებას. გამოწვეულს ახალი ვითარებით, 17-18 მარტს ღამით, საქართველოს მთავრობა ჯდება იტალიურ გემზე „კირალი". მთავრობა დარწმუნებულია, რომ ომი საბოლოოდ წაგებულია. არადა, ახალი ომი იწყება, ახალ მტერთან, ბოლშევიკებთან ბრძოლა კი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

რაკი საქართველოს მთავრობამ ჩათვალა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა დაკარგულია, წითლებთან ბრძოლის გაგრძელება უაზროდ მიიჩნია. მან, სანამ სამშობლოდან გაემგზავრებოდა, ბოლშევიკებთან მოლაპარაკება დაიწყო. წითლები დათანხმდნენ ბრძოლის შეწყვეტის პირობით: მათ ჯარს ბათუმისაკენ გზა უნდა გახსნოდა. ქართველები იძულებულნი იყვნენ, თანხმობა მიეცათ. დემოკრატიულმა საქართველომ რელურად აღიარა თავისი დამარცხება.

18-ში წითელი ჯარი მიუახლოვდა ბათუმს რკინიგზით. ქალაქში კი ცხარე ბრძოლა მიმდინარეობდა ქართველებსა და თურქებს შორის. ბოლშევიკები შეჩერდნენ. ბრძოლაში არ ჩაებნენ. მაყურებლის როლი ირჩიეს.

19 მარტს თურქები ყველა გამაგრებული ადგილიდან გაყარეს.

ამ დროს საქართველოს მთავრობა შუა ზღვაში იყო, წასვლამდე წითლებთან არავითარი ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული.

გაგრძელება იქნება

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-38. განყოფილებები: 98-36-43, საკორექტორო — 98-64-38.

გადაეცა ასაწყობად 11.03.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.04.92 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 15 85. შეკვეთა 302. ტირაჟი 12.000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ანონსი

მე-4 ნომრის

პოეზია

მორის ფოცხიშვილი,
ეთერ თათარაიძე,
დავით მჭედლური.

პროზა:

მარინე რჩეულიშვილი (გაგრძელება),
ლევან მალაზონია,
ზურაბ სამადაშვილი (რომანი მთლიანად).

წერილები:

ჯემალ აჯიაშვილი, (ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა შესახებ)
მაია ციციშვილი,
ნათელა ონაშვილი.
ნომერში წაიკითხავთ კიდევ რამდენიმე საინტერესო მასალას...

6122/38

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 5 მან.

ინდექსი 78286

ხელმომწერთათვის 2 მან.